

**საინჟინრო-გეოლოგიური  
და  
გეოეკოლოგიური  
განმარტებითი  
ლექსიკონი**

(რუსულ-ინგლისურ-ქართულ ტერმინთა შესატყვისობით  
და ქართული განმარტებით)

„მეცნიერება“  
თბილისი  
2005

**საქართველოს გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

**გეოლოგიის დეპარტამენტი**

**ბუნების სტიქიური პროცესებისა და  
საინჟინრო გეოეკოლოგიის კვლევების ცენტრი  
„სტიქია“**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის  
გეოგრაფიის ინსტიტუტი**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრა**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და  
საინჟინრო გეოლოგიის კათედრა**

**МИНИСТЕРСТВО ОХРАНЫ ПРИРОДЫ И  
ПРИРОДНЫХ РЕСУРСОВ**

**Департамент геологии Грузии**

**Центр по исследованию природных стихийных процессов и  
инженерной геоэкологии**

**«Стихия»**

**Институт географии им. Вахушти Багратиони  
Академии наук Грузии**

**Кафедра геоморфологии и геоэкологии Тбилисского  
гос. университета имени Ив. Джавахишвили**

**Кафедра гидрогеологии и инженерной геологии  
Грузинского технического университета**

**MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION  
AND NATURAL RESOURCES**

**Department of Geology of Georgia**

**Research Center of Engineering-Geoecology and Natural Hazards  
«Stiqia»**

**Vakhushti Bagrationi Institute of Geography  
of the Academy of Sciences of Georgia**

**Department of Geomorphology and Geoecology  
Tbilisi Ivane Javakhishvili State University**

**Department of Hydrogeology and Engineering-Geology  
Technical University of Georgia**



რუსულ-ინგლისურ-ქართული ლექსიკონი წარმოადგენს რუსულ ანბანზე დაღუბებულ განმარტებით ცნობარს საინჟინრო გეოლოგიასა და გეოეკოლოგიაში. მასში შეტანილია 2000-ზე მეტი ქართულ ენაზე განმარტებული ტერმინი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სპეციალურ ტერმინოლოგიაში ჯერჯერობით არ არის მყარად დამკვიდრებული, მაგრამ მათი არსებობა საჭიროდ მიგვაჩნია. ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე ჩვენ მიერ დამუშავებული მრავალი ტერმინი, რომელსაც ვიყენებთ პროფესიულ საქმიანობაში (წიგნს ერთეის გამოყენებული ლიტერატურის ძირითადი სია).

ლექსიკონი განკუთვნილია საინჟინრო გეოლოგიაში, გეოეკოლოგიასა და გეომორფოლოგიაში მომუშავე სპეციალისტების, გარემოს დაცვის საკითხებით დაინტერესებული პირების, სტუდენტებისა და სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ სახის ლექსიკონი ქართულ ენაზე პირველად გამოდის.

შემდგენლები – გეოლოგიის სახ. დეპარტამენტიდან: გ.მ.ნ.კ. ბ. კვიციანი, პროფ. ემ. წერეთელი, გ.მ.ნ.კ. დ. ბერძენიშვილი, გ.პ.კ. ჯ. წერეთელი; მთავარი სპეციალისტები: ი. წულუკიძე, მ. გაფრინდაშვილი, ი. ჩხეიძე, მ. ჩაღატაშვილი, წამყვანი სპეციალისტები: ლ. ბარამიძე, ი. წერეთელი. საქართველოს მეცნ. აკად. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტიდან და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: აკად. წვერ-კორ., პროფ. ზ. ტატაშვიძე, პროფ. რ. ხაზარაძე, პროფ. რ. გობეჯიშვილი, პროფ. ი. ბონდირევი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან: პროფესორები – ო. ქუცნაშვილი, ლ. ვარაზიშვილი, დ. ჩხეიძე

მთავარი რედაქტორები – საქ. მეცნ. აკად. წვერ-კორ., პროფ. ზ. ტატაშვიძე, პროფ. ემ. წერეთელი

სარედაქციო კოლეგია – ბ. კვიციანი, მ. გაფრინდაშვილი, რ. გობეჯიშვილი, ო. ქუცნაშვილი, დ. ჩხეიძე, რ. ხაზარაძე, ჯ. წერეთელი, ი. წულუკიძე, ი. წერეთელი (მდივანი); პასუხისმგებლები ინგლისურ ტერმინებზე: ნ. ცენტერაძე, ე. ინაშვილი, მ. წერეთელი

რეცენზენტები: პროფ. შ. ცხოვრებაშვილი, პროფ. გ. გობეჩია

**Составители** – От департамента геологии Грузии: **Б.Д. Квирквелия**, к.г.м.н.; **Э.Д. Церетели**, проф.; **Д.П. Бердзенишвили**, к.г.м.н.; **Д.Д. Церетели**, к.г.н.; главные специалисты: **И.П. Цулукидзе**, **М.В. Гаприндашвили**, **И.В. Чхендзе**, **М.С. Чалаташвили**; ведущие специалисты: **Л.Д. Барамидзе**, **И.О. Церетели**; от института географии им. В.Багратioni АНГ и кафедры геоморфологии и геоэкологии Тбилисского гос. университета им. И. Джавахишвили: **З.К. Таташидзе**, чл.-кор. АНГ, проф.; профессора: **Р.Д. Хазарадзе**, **Р.Г. Гобеджишвили**, **И.В. Бондырев**; от Грузинского технического университета: профессора – **О.З. Куцнашвили**, **Л.И. Варазишвили**, **Д.В. Чхендзе**

**Главные редакторы** – **З.К. Таташидзе**, чл.-кор. АНГ, проф.; **Э.Д. Церетели**, проф.

**Редакционная коллегия** – **Б.Д. Квирквелия**, **М.В. Гаприндашвили**, **Р.Г. Гобеджишвили**, **О.З. Куцнашвили**, **Д.В. Чхендзе**, **Р.Д. Хазарадзе**, **И.П. Цулукидзе**, **Д.Б. Церетели**, **И.О. Церетели** (секретарь), **Н.М. Центрадзе**, **Э.Д. Инашвили**, **М.Э. Церетели**, (ответственные за английские термины).

**Рецензенты** – проф. **Ш.А. Цховребашвили**, проф. **Г.Н. Гобечия**

**Compilers** – Department of Geology of Georgia: Cand. Geol. Miner. Sc. **B. Kvirkvelia**; Prof. **E. Tsereteli**; Cand. Geol. Miner. Sc. **D. Berdzenishvili**; Cand. Geogr. Sc. **D. Tsereteli**; Chief specialists: **M. Gaprindashvili**, **I. Chkheidze**; Leading specialists: **L. Baramidze**, **I. Tsereteli**; **Vakhushti Bagrationi Institute of Geography of the Academy of Sciences of Georgia**, department of Geomorphology and Geoecology of Tbilisi Ivane Javakishvili State University: CM Georgian Acad. of Sc., Prof. **Z. Tatashidze**, Prof. **R. Khazaradze**, Prof. **R. Gobejishvili**, Prof. **I. Bondyrev**; Technical University of Georgia: Prof. **O. Kutsnashvili**, Prof. **L. Varazishvili**, Prof. **D. Chkheidze**

**Editors-in Chief:** CM of Georgian Acad. Sc., Prof. **Z. Tatashidze**, Prof. **E. Tsereteli**

**Editorial Board:** **B. Kvirkvelia**, **M. Gaprindashvili**, **R. Gobejishvili**, **O. Kutsnashvili**, **D. Chkheidze**, **R. Khazaradze**, **D. Tsereteli**, **I. Tsulukidze**, **I. Tsereteli** (secretary); **N. Tsenderadze**, **I. Inashvili**, **M. Tsereteli** (responsible for English terms)

**Reviewers:** Prof. **Sh. Tskhovrebashvili**, Prof. **G. Gobechia**

ს  $\frac{1804010000}{M(607)06}$  2005

© „მეცნიერება“, 2005

ISSN 99928-962-4-8

*ელვინება ცენტრ „სტიქიას“ თანამშრომლებების, შესანიშნავი მეგობრების, პროფესიონალების – მ. ქურდაძის, ლ. ღვინერიას, გ. ლომთათიძის, გ. ჩუბინიძის, ჯ. კაჭახიძის, ბ. ჯაჯანიძის ხსოვნას, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოლინამიკური პირობების შესწავლაში.*

## წინასიტყვაობა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა აუცილებლად მოითხოვს ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დახვეწას და მის დანერგვას. ამის განსაკუთრებული საჭიროებაა გეოლოგიურ მეცნიერებაში, რომლის პრაქტიკული საქმიანობა ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა რუსულ ენაზე და ტერმინოლოგიის შექმნასა და დახვეწას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება გეოლოგიური მეცნიერების ისეთ ახალ დარგებს, როგორიცაა საინჟინრო გეოლოგია და გეოეკოლოგია, რომელთა შესახებ დღემდე არ გავეანჩია სრულყოფილად დამუშავებული სასწავლო პროგრამებიც კი. მართალია, ქართველი ტერმინების შეგროვება-დამუშავებას შეუდგნენ ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან და შემოკლებული ვარიანტების პირველი ქართული „გეოლოგიური ტერმინოლოგია“ გამოიცა კიდევ 1941 წელს აკად. გ. ახვლედიანის რედაქციით, მაგრამ გეოლოგიის სხვადასხვა დარგში დიდი წარმატებით წარმოებულმა კვლევებმა-ძიებამ ცხადყო, რომ არსებულ ტერმინთა მარაგი მაინც არასაკმარისი და ნაწილობრივ მოძველებული იყო. იგი საჭიროებდა გეოლოგიურ ტერმინთა არა მარტო მოცულობის გაზრდას, დახვეწასა და ახლებურად გადამუშავებას, არამედ ცალკეული დარგობრივი მიმართულების ტერმინთა დამუშავებასაც. ამ გარემოებით იყო ნაპარნახევი, რომ 60-იანი წლების ბოლოს გამოვიდა პროფ. დ. უკლებას მიერ დამუშავებული „რუსულ-ქართული“ და „ქართულ-რუსული გეოგრაფიის ტერმინოლოგია“ (რედ. გ. დონდუა, რ. ღამბაშიძე), ხოლო 1996 წ. „გეომორფოლოგიური ლექსიკონი“ (საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორ. ზ. ტატაშიძის რედაქციით).

საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის მოკლე პერიოდმა ცხადყო, რომ გეოლოგიური დარგებიდან, პრაქტიკული და შემეცნებითი თვალსაზრისით განსაკუთრებულ საჭიროებას მოითხოვს საინჟინრო გეოლოგიასა და გეოეკოლოგიაში ქართული ტერმინოლოგიის დამუშავება, რადგან საბჭოთა სისტემის პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ათეული წლების მანძილზე, გეოლოგიის სახ. დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულებულია რუსულ ენაზე. თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, ყველა არსებული მასალის ანალიზი, განზოგადება, განახლება და საინჟინრო-ბანკის შექმნა საჭიროებს მის ქართულ ენაზე გადამუშავებას, მით უმეტეს ახალი კვლევების განხორციელება. ხსენებული ლექსიკონის დამუშავების ინიციატივა აიღო გეოლოგიის დეპარტამენტმა, შესაბამისი სამეცნიერო-სასწავლო ორგანიზაციების სპეციალისტების მონაწილეობით.

წლების მანძილზე დაგროვილი ტერმინების შინაარსობრივმა დაზუსტებამ და მათმა თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გაანალიზებამ შესაძლებლობა მოგვცა შევედგინა ტერმინთა სამეწიქონი (რუსულ-ინგლისურ-ქართულ) შესატყვისობა და განგვემარტა ქართულად. იმასთან დაკავშირებით, რომ დღემდე საინჟინრო გეოლოგიაში (და მით უფრო გეოეკოლოგიაში), მთელ რიგ შემთხვევებში, ამა თუ იმ ტერმინის შინაარსის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს, ან საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში აღიქმება განსხვავებული მნიშვნელობით, ჩვენ შეგნებულად მოგვეყავს სხვადასხვა ავტორის განსხვავებული განმარტებები და ზოგჯერ ვიდრეუთ საკუთარ ინტერპრეტაციას, განსაკუთრებით იმ ტერმინებისათვის, რომლებმაც არსებულ ქართულ ლექსიკონში ჯერჯერობით ვერ პოვეს სათანადო შინაარსობრივი დატვირთვა. ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს მეცნ. აკად. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერ-სპეციალისტები და პედაგოგები.

წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიისა და გეოეკოლოგიის რუსულ-ინგლისურ-ქართული ლექსიკონი პირველი ცდაა ამ მეტად რთული საქმის პრაქტიკულად განხორციელებისა და ბუნებრივია, ლექსიკონი დაზღვეული არ იქნება რიგი უზუსტობისა და ხარვეზისაგან. ამიტომ ყველა საქმიანი შენიშვნა და სურვილი დიდი მადლობით იქნება მიღებული და გათვალისწინებული ლექსიკონის მომავალი სრულყოფისას. ყოველი შესაძლო ხარვეზის ან უზუსტობის მიუხედავად, ვფიქრობთ, ლექსიკონი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საინჟინრო გეოლოგიის, გეომორფოლოგიისა და გარემოს დაცვის საქმეში პრაქტიკულად მომუშავე სპეციალისტებს, სტუდენტებს, პედაგოგებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს.

ლექსიკონის შემდგენლები უღრმეს მადლობას უხდიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მისი საქვეუწყებო დაწესებულების, გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელთა თანადგომითაც დამუშავდა და გამოიცა აღნიშნული ნაშრომი.

## А

**АБИОСЕСТОН** - Abioscston - აბიო(ს)ს-ტონი - წყალში ატიენარებული მინერალური ნაწილაკები (ზოგიერთი ავტორი მათვე მიაწერს მკედარ ორგანიზმებს).

**АБИОТИЧЕСКИЕ ФАКТОРЫ** - Abiotic factors - აბიოტური ფაქტორები - გარეგანი არაცოცხალი გარემოს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ცხოველების, მცენარეებისა და, საერთოდ, ბიოცენოზის სიცოცხლესა და გავრცელებაზე.

**АБИССАЛЬНАЯ ОБЛАСТЬ** - Abyssal area - აბისალური ზონა - ზღვასა და ოკეანეში 3000 მ-ზე მეტ სიღრმეზე (ბათიალური ზონის ქვემოთ) არსებული ზონა. მორფოლოგიურად ეთანაბრება ოკეანის კალაპოტს. ზღვის ქვაბურ ფსკერს, ან ზოგჯერ წყალქვეშა ქედებს. აბისალური ზონის ნალექები წარმოდგენილია ორგანოგენული ლამით, წითელი თიხებით, ვულკანური ფერფლით, კოსმიური მტერის ნაწილაკებითა და სპეციფიკური ფაუნით. აბისალური ზონა ხასიათდება შედარებით მუდმივი მარილიანობითა და ტემპერატურით.

**АБЛЯЦИЯ** - Ablation - აბლაცია - თოვლისა და ყინულის მასის შემცირება დნობის, აორთქლებისა და მექანიკური ნგრევის (მათ შორის აისბერგის) შედეგად. აბლაციაზე მოქმედებს პაერის ტემპერატურა და ტენიანობა მზის პირდაპირი რადიაცია, ქარის სისწრაფე და ოროგრაფიული პირობები. არჩევენ ყინულქვეშა, შინაგან, ზედაპირულ და მექანიკურ აბლაციას.

**АБЛЮВИАЦИЯ** - Abluviation - აბლუვიაცია - 1. დენუდაციის სახესხვაობა, რომელიც ხორციელდება წერილმარცვლოვანი მასალის თანაბარი გადარეც-

ხვით, ისეთი ჩამონადენი წყლის ჰაელოთ, რომლებიც არ ერთდებიან ნაკადებად. აბლუვიაციის შედეგად დაგროვილი მასალა წარმოქმნის დელუვიონს (Висоуиш, 1909), 2. მსხვილნამტვერეებიანი მასალის გადაადგილების პროცესი ფერდობზე ქვემოთ, მისი ძირითადი გრენტის წერილი ნაწილაკების ზედაპირული წყლით გარეცხვის შედეგად (Маккавсвв. Калинин, 1969).

**АБЛЮВИЙ** - Abluvium facial colluvial zone - აბლუვია - მსხვილნამსხვრევეებიანი ნარჩენი მასალა (ლორღი, ლოღი) დარჩენილი ფერდობზე წერილმარცვლოვანი მასალის გარეცხვისა და გატანის შედეგად. ე. შანცერის მიხედვით მიეკუთვნება ფერდობის პროლუვიონს.

**АБРАЗИОННАЯ ТЕРМИНАНТА** - Equilibrium profile of abrasion - აბრაზიონული ტერმინანტა - აბრაზიული ბაქნის სივანეში განვითარების ზღვარი. ესაა მონაკვეთი, რომელზეც ზეერთკემის ნაკადი ხახუნისა და სიმძიმის ძალის გავლენით კარგავს მთელ ენერჯიას და მასთან ერთად, მყარი ნგრული მასალის გადატანისა და ნგრევის უნარს.

**АБСОЛЮТНАЯ ВЛАГОЕМКОСТЬ** - Absolute moisture capacity - აბსოლუტური ტენტემპადობა - წყლის ჯამური რაოდენობა ქანში, როცა შეესებულია ყველა მისი სიცარიედე. აბსოლუტური ანუ სრული ტენტევალობა შეიძლება გამოესახოს შეფარდებით, როგორც აბსოლუტურად მშრალი ქანის წონისადმი, ისე მინერალური ნაწილაკების (ჩონჩხის) მოცულობისადმი. ქანის სრული ტენტევალობა მისი ფორიანობის მოცულობასთან შეფარდებით მუდამ ერთის ტოლია.

**АБСОЛЮТНАЯ ВЛАЖНОСТЬ ВОЗДУХА** - Absolute air humidity - ქაერის

აბსოლუტური ტენიანობა - წყლის ორთქლის რაოდენობა, რომელიც იმყოფება მოცემული მომენტისთვის მოცულობის ერთეულში; გამოიხატება გ/მ<sup>3</sup>-ში.

**АБСОЛЮТНАЯ ВЛАЖНОСТЬ ПОРОДЫ** - Absolute rock humidity - ძანის აბსოლუტური ტენიანობა - ტენიანობა, გამოიხატება აბსოლუტურად მშრალი ქანის წონისადმი (გამოშრობილი 105-107°C).

**АБСОЛЮТНАЯ (ФИЗИЧЕСКАЯ) ПРОНИЦАЕМОСТЬ** - Absolute (physical) permeability - აბსოლუტური (ფიზიკური) შეღწევალობა - ქანის შეღწევალობა ნიშნავს მისი ფორიანობის სივრცის 100%-ით შეესებას ერთგვაროვანი ინერტული სითხით ან აირით. ყველა ქანს, მასზე წნევის ზოგჯერ ძლიერ დიდი ზემოქმედებით ახასიათებს სითხის ან აირის შეღწევალობა. ასეთ შემთხვევაში გაზომულ შეღწევალობას ეწოდება აბსოლუტური (ფიზიკური), განსხვავებით ეფექტური (სასარგებლო) შეღწევალობისგან, რომელიც წარმოადგენს ქანის თვისებას გაატაროს ბუნებრივ პირობებში აირი ან სითხე.

**АБСОЛЮТНЫЙ МАКСИМУМ** - Absolute maximum - აბსოლუტური მაქსიმუმი - მეტეოროლოგიური ელემენტების ყველაზე დიდი მაჩვენებელი (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა და სხვ.) რომელიმე ადგილის, მხარის ან მთელი დედამიწისთვის მრავალწლიური დაკვირვების პერიოდში.

**АБСОЛЮТНЫЙ МИНИМУМ** - Absolute minimum - აბსოლუტური მინიმუმი - მეტეოროლოგიური ელემენტების ყველაზე მცირე მაჩვენებელი (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა და სხვ.), რომელიმე ადგილის, მხარის ან მთელი დედამიწისთვის მრავალწლიური დაკვირვების პერიოდში.

**АБСОРБЦИЯ** - Absorption - აბსორბცია - ხსნარიდან გრუნტის ნაწილაკების მიერ (აბსორბენტი) ნივთიერების ფიზიკური შთანთქმა. აღსანიშნავია, რომ აბსორბირებული ნივთიერება შთანთქმება

თანაბრად (მოცულობითი შთანთქმა) გრუნტის ნაწილაკების მთელი მოცულობით. აბსორბცია არ უნდა აურიოთ ადსორბციაში, რაც ნიშნავს ზედაპირულ, ფიზიკურ შთანთქმას.

**АВАРИЙНАЯ ЗАЩИТА** - Emergency defence means - ავარიული დაცვა - გაერთხილებითი ღონისძიების სისტემა, რომელიც მიმართულია ავარიის მოხდენის საწინააღმდეგოდ (სიგნალიზაცია ასევე ნორმატიული, პროფილაქტიკური და კაპიტალური საინჟინრო ღონისძიებები).

**АВАРИЙНАЯ СИГНАЛИЗАЦИЯ** - Emergency alarm - ავარიული სიგნალიზაცია - შეტყობინება, გაფრთხილება, ინფორმაცია ავარიის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების გამოროთით, შექნილნებით, ხმოვანი სიგნალებით და სხვა.

**АВАРИЙНАЯ СИТУАЦИЯ** - Emergency situation - ავარიული სიტუაცია - საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობა ტერიტორიის ამა თუ იმ უბანზე, ნაგებობაზე, საინჟინრო სამუშაოების შესრულების ადგილებზე, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ან აუცილებლად გამოიწვევს ქანების წონასწორობის დარღვევას, მიწისძვება და ზედაპირული წყლების რეჟიმის შეცვლას, ტერიტორიის მდგრადობის დაცემას გეოლოგიური ან ტექნოგენური მოვლენების წარმოქმნას მათი შესატყვისი საშიში შედეგებით.

**АВАРИЙНОСТЬ** - Signs of impending catastrophe - ავარიულობა - საშიში გეოლოგიური მოვლენების დახასიათების მაჩვენებელი, რომელიც ხდება განსაზღვრულ დროს პერიოდში და იწვევს ტერიტორიის დაზიანებას, ნაგებობების, შენობების ნგრევას და ადამიანთა მსხვერპლს.

**АВАРИЯ** - Collapse - ავარია - საინჟინრო გეოლოგიაში აღნიშნავს ტერიტორიაზე განლაგებული შენობებისა და ნაგებობების ნგრევა-დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია გეოლოგიური, ტექნოგენური ან ბუნებრივი მოვლენებით. მოვ-

ღენები ხშირად ვითარდება მოულოდნელად და სწრაფად.

**АВИФАУНА** - Avifauna - ამიშაშნა - 1. ფრინველთა სახეები, რომლებიც მუდმივად, დროებით, სეზონურად ცხოვრობენ ან შემთხვევით მოხვდნენ ამ ტერიტორიაზე. 2. ფრინველები რომელიც სხვა ადგილიდან.

**АВТОГЕНЕЗ** - Autogenesis - ავტოგენეზი - თვითწარმოშობა, ეკოლოგია შინაგანი ფაქტორების მოქმედების შედეგად.

**АВТОТРОФ** - Autotroph - ავტოტროფი - ორგანიზმი, რომლის სინთეზირება ხდება არსებითად მზის ენერჯით არაორგანული შენაერთებიდან ორგანულ ნივთიერებად.

**АВТОТРОФЫ И ГЕТЕРОТРОФЫ** - Autotroph and heterotrophs - ავტოტროფები და ჰეტეროტროფები - კვების ხასიათის მიხედვით გამოყოფენ ორგანიზმების ძირითად ჯგუფებს: ავტოტროფებსა და ჰეტეროტროფებს. ავტოტროფები თვითონ ქმნიან აუცილებელ ორგანულ ნივთიერებებს გარემოდან შეთვისებული არაორგანული ნივთიერებების ხარჯზე. ჰეტეროტროფული ორგანიზმები, ავტოტროფებისაგან განსხვავებით მოკლებულნი არიან არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული ნივთიერებების სინთეზის უნარს. ორგანულ ნივთიერებათა სინთეზისა და ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი ენერჯის მისაღებად ისინი ისეთ საკვებს იყენებენ, რომელიც ცოცხალი ან მკვდარი ორგანიზმების მზა ორგანულ ნივთიერებებს წარმოადგენს.

**АВТОЭКОЛОГИЯ** - Autoecology - ავტო-ეკოლოგია - ეკოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების გარემო ფაქტორებზე რეაგირების თავისებურებებს და სახეობის ცხოვრების წესს. ავტოეკოლოგია მოიცავს ინდივიდებისა და პოპულაციის ეკოლოგიას. პოპულაციის ეკოლოგია შეისწავლის პოპულაციებს, ე.ი. ორგანიზმთა (ინდივიდთა) ბუნებრივ ერთობ-

ლიობებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია თვით ორგანიზაციის, თვითრეგულაციის სპონტანური მოქმედებისა და თვითაღწარმოების უნარი.

**АГЛОМЕРАТ** - Agglomerate - აბლომერატი - ფხვიერი, სხვადასხვა ზომის დაუხარისხებელი ქანის მინერალური ნაშხერევები.

**АГЛОМЕРАЦИЯ** - Agglomeration; Sintering - აბლომერაცია - ქალაქის, ტიპის დასახლების სივრცობრივი და ფუნქციონალური ერთიანი დაჯგუფება, რომელიც ქმნის საერთო სოციალ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სისტემას.

**АГРЕГАТЫ ПОЧВЕННЫЕ** - Soil aggregates - ნიადაგბუნების აბრეშატები - ნიადაგის კოშტები, რომელთა დიამეტრი მერყეობს 1-10 მმ-მდე, წარმოიქმნებიან ნიადაგების წყალში უხსნადი პატარა ნაწილაკების ცემენტაციით. ასეთი აგრეგატები ნიადაგს აძლევენ კოშტურ სტრუქტურას.

**АГРЕССИВНАЯ УГЛЕКИСЛОТА** - Aggressive carbon dioxide - აბრეშისილი ნახშირმჟავა - წყალში არსებული თავისუფალი ნახშირმჟავა, რომელიც დამანერეველად (გამხსნეველად) მოქმედებს მარმარილოზე, კირქვაზე, ბეტონზე და ა.შ.

**АГРЕССИВНОЕ ДЕЙСТВИЕ ВОДЫ НА БЕТОН** - Aggressive influence of water on concrete - წყლის აბრეშისილი მოქმედება ბეტონზე - წყლის უნარი დაშალოს ბეტონი, მოქმედებს რა მასში გახსნილი მარილებით და გახებით ან ბეტონის შემადგენელი ნაწილების გამოტუტის გზით. არსევენ აგრესიულობის შემდეგ სახეებს: 1. ნახშირმჟავურს; 2. გამოტუტვითს; 3. საერთო მჟავიანობითს; 4. სულფატურს; 5. მაგნეზიალურს. 1. ნახშირმჟავური აგრესიულობა ნიშნავს ბეტონის დაშლას  $CaCO_3$ -ის გახსნით აგრესიული ნახშირმჟავას მოქმედების შედეგად (როცა  $CO_2$  შედის  $CaCO_3$ -თან რეაქციაში); 2. გამოტუტვითი აგრესია ბეტონში  $CaCO_3$ -ის გახსნით და ბეტონიდან შეუკავშირებელი კირის  $Ca(OH)_2$  გამო-



რეცხვის შედეგად; 3. საერთო მჟავიანობითი აგრესია გამოწვეულია წყალბადის იონის მაღალი შემცველობით. წყალის ამჟღავნებს აგრესიულობას თუ pH 5-ზე ნაკლებია; 4. სულფატური აგრესია მჟღავნდება მაშინ, როცა  $SO_4$  შემცველობა მაღალია. სულფატმდგრადი ცემენტის დროს  $SO_4$ -ის რაოდენობა 4000მგ/ლ-ზე მეტია, სეკულუბროვი ცემენტის დროს კი - 250მგ/ლ-ზე მეტი; 5. მაგნიზიალური აგრესიულობა დამოკიდებულია ცემენტის ხარისხზე.

**АГРЕССИВНОСТЬ ВОДЫ** - Water aggressiveness - წყლის აბრუნებლობა - წყლის თვისებას გახსნას მინერალები ან ქანები, ასევე სხვადასხვა ხელოვნური საამშენებლო მასალა (ცემენტი, ბეტონი და სხვ) არსებულ სრულ და ნაწილობრივ ხსნადობას, რომელსაც გამოტუტვა ეწოდება და ასევე პირდაპირ და დიფუზიურ გამოტუტვას (გახსნას).

**АГРОВЫВЕТРИВАНИЕ ПОЧВ** - Agroaeriation of soil - ნიადაგის აბროზამოფიტიზაცია - ნიადაგის არასწორ სასოფლო-სამეურნეო სქიმაობის შედეგად ნიადაგის ნაყოფიერების დაცემა, ნიადაგების აბროზამოფიტიზაცია, როგორც წესი, თან ახლავს ფიზიკური დეგრადაცია და იწვევს ნიადაგის საყარის დაშლას.

**АГРОЛАНДШАФТ** - Agricultural landscape - აბროლანდშაფტი - 1. ანთროპოგენური ლანდშაფტი, რომლის ბუნებრივი მცენარეულობა ტერიტორიის დიდ ნაწილზე შეცვლილია აბროცენოზით; 2. სოფლის ადგილმდებარეობის პეიზაჟი.

**АГРОЛЕСОМЕЛИОРАЦИЯ** - Land-agrosilviculture, agricultural afforestation and forest reclamation - აბროსატყომელორაცია - სატყეო მეურნეობის ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართულია ნიადაგურ-ჰიდროლოგიური და კლიმატური პირობების გაუმჯობესებისაკენ.

**АГРОМЕТЕОРОЛОГИЯ** - Agrometeorology - აბრომეტეოროლოგია - მეტეოროლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს

მეტეოროლოგიურ პირობების (აბინდის) როლს მცენარეების განვითარებაში.

**АГРОНОМИЧЕСКОЕ ПОЧВОВЕДЕНИЕ** - Agronomic edaphology, Agronomic soil science - აბრონომიული ნიადაგმცოდნეობა - ნიადაგმცოდნეობის ნაწილი, რომელიც სწავლობს ნიადაგს, როგორც საფუძველს სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის, განიხილავს მის თვისებებს, მათში მიმდინარე პროცესებს და სწავლობს ნიადაგის ნაყოფიერებას მცენარეულობის ზრდა-განვითარებისათვის.

**АГРОЦЕНОЗ** - Agrocenosis - აბროცენოზი - ბიოტიკური გაერთიანება, შექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი მოსავლიანობის მიღების მიზნით.

**АГРОЭКОСИСТЕМА (АГРОБИОЦЕНОЗ)** - Agroecosystem (Agrobiocoenosis) - აბრო-ეკოსისტემა (აბრობიოცენოზი) - არამდგრადი, ხელოვნურად შექმნილი და ადამიანის მიერ რეგულარულად ხელშეწყობილი ეკოსისტემა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიზნით (საძოვრები, ბოსტანი, ბაღი, ვენახი და სხვა).

**АДАПТАЦИЯ** - Adaptation - ადაპტაცია - 1. ევოლუციის შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმების შეგუება გარემო პირობებთან, რაც გამოიხატება მათი შინაგანი და გარეგანი თვისებების ცვლილებით; 2. ორგანიზმის ყოველგვარი შეგუება ცვალებად გარემო პირობებთან.

**АДАПТИВНАЯ СИСТЕМА** - Adaptive system - ადაპტიური სისტემა - ტექნიკური სისტემის კლასი, რომელიც ფლობს უნარს შეეგუოს როგორც ცვალებად გარემო პირობებს, ასევე ამ პირობების ნორმიდან გადახრას.

**АДАПТИВНОЕ УПРАВЛЕНИЕ** - Adaptive management - ადაპტიური მართვა - პრაქტიკული მოღვაწეობა ეკოსისტემებისა და ბიოლოგიური სახეების მიმართ, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურ ფლექტაციას, არის შექცევადი და მოქნილი.

**АДВЕНТИВНЫЕ РАСТЕНИЯ** - Adventitious plants - ადვენტური მცენარეულობა - კულტურული ან სარეველა მცენარეულობა, რომელიც წინასწარი განზრახვით ან შემთხვევით არის შემოტანილი ადამიანის მიერ.

**АДИАБАТИЧЕСКИЕ ПРОЦЕССЫ** - Adiabatic processes - ადიაბატური პროცესები - აირის ან სითხის კუმშვაობა, ან გაფართოება სითხის დაკარგვის ან მიღების გარეშე. ადიაბატურ პროცესში შემკუმშვა იწვევს ტემპერატურის გაზრდას, ხოლო გაფართოება - შემცირებას.

**АДСОРБЕНТ** - Adsorbent - ადსორბენტი - მყარი ან თხევადი ნივთიერება, რომელთა ნაწილაკების ზედაპირზე ხდება ადსორბცია.

**АДСОРБЦИЯ** - Adsorption - ადსორბცია - ზედაპირული შთანთქმა.

**АЗОНАЛЬНОСТЬ** - Azonation - აზონალურიობა - გარემოს შემქმნელი კომპონენტების ლოკალური ურთიერთმოქმედება, ზოგჯერ ანთროპოგენური ფაქტორების, რომლებიც ფარავენ ზონალობის გამოქვადვების თვისებას. აზონალურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკოლოგიური კანონზომიერებაა, რომელიც განსაზღვრავს რეგიონალური ბუნებრივი კომპლექსების ფორმირებას, მათ შორის ეკოსისტემებს; აზონალურობა - რაიმე ბუნებრივი მოვლენის გავრცელება მოცემული ტერიტორიის ზონალური თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად.

**АЗОНАЛЬНАЯ РАСТИТЕЛЬНОСТЬ** - Azonal vegetation - აზონალური მცენარეულობა - მცენარეულობა, რომელიც არ ქმნის ერთგვაროვან ზონას და ჩანართების სახით გვხვდება სხვადასხვა მცენარეულ ზონებში.

**АЗОНАЛЬНЫЕ ВОДЫ** - Azonal waters - აზონალური წყლები - მიწისქვეშა წყლები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული პორიზონტალურსა და ვერტიკალურ ზონალურობასთან.

**АЗОНАЛЬНЫЕ ПОЧВЫ** - Azonal soils - აზონალური ნიადაგები - გარდამავალი წარმონაქმნები ქანებსა და საკუთრივ ნიადაგებს შორის. აზონალურ ნიადაგებში ქანები ჯერ კიდევ მთლიანად შეცვლილი არ არის ნიადაგწარმოქმნელი პროცესებით ან ეს უკანასკნელი წყდება გეოლოგიური გარემოებით, რაც განაპირობებს მათ აზონალურობას.

**АЗОТНЫЕ ВОДЫ** - Nitrogenous waters - აზოტინანი წყლები - ბუნებრივი წყლები, რომლებიც შეიცავენ ხსნარში აზოტს და მის თანამგზავურ იშვიათ ვაზებს: პელიუმს, ნეონს, არგონს, კრიპტონს, ქსენონს და სხვა.

**АКВАКОМПЛЕКС** - Aquatic complex - აკვაკომპლექსი - ოკეანის დაყოფის ბუნებრივი ერთეული, ლანდშაფტის ანალოგიური ხმელეთზე, - ოკეანის გარემოს სამგანზომილებიანი უბანი; ხასიათდება წყლის, აირის შემადგენლობის, ფსკერის რელიეფისა და ბიოტების სპეციფიკური თავისებურებებით. აკვაკომპლექსებს გამოყოფენ სანაპირო რაიონებში.

**АККЛИМАТИЗАЦИЯ** - Acclimatization - აკლიმატიზაცია - აკლიმატიზაციის საწყისი ეტაპი, რაც ნიშნავს მცენარის ან ცხოველის ახალი სახის შექმნას ადგილობრივ (ბიოცენოზი), ან აგროცენოზულ კომპლექსში.

**АКУМУЛЯЦИЯ /В ГЕОЛОГИИ/, ОСАДКОНАКОПЛЕНИЕ** - Accumulation, sedimentation - აკუმულაცია (ბელოზობიანი), ნალექების დაბროვება - ხმელეთზე ან წყლის აუზში ფსვიერი მინერალური, ან ორგანული პროდუქტების შექმნილი დაგროვების პროცესების საერთო სახელწოდება. არჩევენ ვულკანურ და დანალექ აკუმულაციას, რომელიც შეიძლება მოხდეს წყლის აუზების ფსკერზე (სუბაკვალური აკუმულაცია) და ხმელეთზეც (სუბაერალური აკუმულაცია). გამოიწვევი ფაქტორების მიხედვით არჩევენ აკუმულაციის შემდეგ ტიპებს: ზღვიურს, მდინარეულს, ეოლურს,

მიწნარეულს, ფლუვიოგლაციალურს და სხვა.

**АККРЕЦИЯ** - Accretion - აკრეცია - გეომორფოლოგიაში - ხმელეთის ზრდა წყალსატევებში, მდინარეების მიერ მოტანილი ნაფენების ხარჯზე.

**АКРОТЕРМЫ** - Acrotherms - აკროთერმები - ინდოფერენტული თერმი - თბილი და ცხელი სუსტად მინერალიზებული წყაროები (მყარი ნარჩენი სკლ-მდე), რომელთაც აქვთ ბალნეოლოგიური მნიშვნელობა, გამოიყენება თბოფიკაციაში.

**АКРОТОПЕГ** - Acrotopегe - აკროტოპები - სუსტად მინერალიზებული ცივი წყარო, მიეკუთვნება მინერალური წყლების ჯგუფს.

**АКТИВИЗАЦИЯ ГЕОЛОГИЧЕСКИХ ПРОЦЕССОВ И ЯВЛЕНИЙ** - Activation of Geological processes and phenomena - გეოლოგიური პროცესების და მოვლენების აქტივიზაცია - მოვლენებისა და პროცესების ინტენსიურობა დროსა და სივრცეში, რომელიც ფასდება განვითარების სიჩქარით, დაზიანებული ტერიტორიის ფართობის გაზრდით, ტერიტორიის ნაგებობების და ადამიანების სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებით.

**АКТИВИЗАЦИЯ ДЕФОРМАЦИИ** - Activation of deformation - დეფორმაციის აქტივიზაცია - გადაადგილების სიჩქარის ზრდა.

**АКТИВИЗАЦИЯ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ФАКТОРА** - Activation of human factor - ადამიანის ფაქტორის აქტივიზაცია - ადამიანის მოქმედების ისეთი სუბიექტური თვისებები, რომლებიც აძლიერებენ მათ მოქმედებას გარემოსა და საზოგადოებრივ პროცესებზე.

**АКТИВНАЯ ЗОНА** - Active zone - აქტიური ზონა - ქანების მდგომარეობისა და თისებების დროებითი ცვალებადობის ანომალური ინტერვალი.

**АКТИВНАЯ ЗОНА СООРУЖЕНИЙ** - Active base zone - ნაბეზონის აქტიური ზონა - 1. ქანებში ნაგებობის შედეგად

გამოწვეული დამატებითი დაძაბულობის გავრცელების ზონა; 2. სამთო დამუშავების შედეგად ქანების განტვირთვის და გამკვრივების გავრცელების ზონა; 3. ზონა, რომლის საზღვრებში შეიმჩნევა მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რეჟიმის ცვლილებები (მოძრაობის, მიმართულების სიჩქარის, დონეების, წნევის, მინერალიზაციის და სხვა) ნაგებობის ზემოქმედებით; 4. ზონა, რომლის საზღვრებში აღინიშნება მშენებლობითა და ექსპლოატაციით გამოწვეული ქანების დეფორმაცია და დაშლა; 5. ზონა, რომლის საზღვრებში მიმდინარეობს ნაგებობის ზემოქმედებით გამოწვეული გეოლოგიური პროცესების განვითარება (Ломтадзе).

**АКТИВНАЯ ПОРИСТОСТЬ** - Active porosity - აქტიური ფორიანობა - ფორებისა და სხვა სიცარიელების ერთობლიობა ქანებში, რომლებშიც ხდება მიწისქვეშა წყლების თავისუფალი გადაადგილება მიზიდულობისა და სახუნის გარეშე.

**АКТИВНОСТЬ ГЕОЛОГИЧЕСКИХ ЯВЛЕНИЙ** - Activity of geological phenomena - გეოლოგიური მოვლენების აქტიურობა - მოვლენების ინტენსიურობა ფართობზე და დროში, განისაზღვრება გავრცელების სისწრაფით; დაზიანებული ტერიტორიის ფართობის ზრდით, ნაგებობებისა და ადამიანთა სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებით (Ломтадзе).

**АКТИВНОСТЬ /ИНТЕНСИВНОСТЬ/ КАРСТА** - Karst intensity, activity of Karst - კარსტის აქტიურობა (ინტენსიურობა) - კარსტული პროცესის შედარებითი სისწრაფე. თანამედროვე კარსტული პროცესის აქტიურობის მაჩვენებელი (A) რომელიმე ტერიტორიაზე შეიძლება გამოისახოს ფორმულით:  $A = W/V100$ , სადაც - W გახსნილი ქანის ის მოცულობაა, რომელიც გამოაქვს მიწისქვეშა წყალს კარსტული მასივიდან, ხოლო V - დაკარსტული ქანების საერთო მოცულობა. კარსტის აქტიურობის პროცესის მაჩვენებელი გამოისახება პროცენტებში დროის

გარკვეულ მომენტში მაგ., 1000 წელიწადში (А.А.Макавцев).

**АКТИВНОСТЬ ПРОЯВЛЕНИЯ ОПОЛЗНЕЙ И СЕЛЕЙ** - Intensity of land-slide and mudflow manifestation - მიწაძვრებისა და ღვარცოფების განვითარებით გამოწვეული გეოლოგიური გარემოს შეცვლის სიდიდე დროის ვარკვეულ მონაკვეთში. პროცესების გააქტიურება გამოიხატება მათი რაოდენობრივი, ფართობული და მოცულობების გაზრდით.

**АКТИВНЫЕ ВОЗДЕЙСТВИЯ НА АТМОСФЕРУ** - Active influence on atmosphere - აქტიური ზემოქმედება ატმოსფეროში - ატმოსფეროს პროცესის მსვლელობაში ადამიანის ჩარევის სხვადასხვა მეთოდები: ღრუბლებისა და ნისლის გაფანტვა, თოვლისა და წვიმის გამოყოფა ღრუბლებიდან, სეტყვის თავიდან აცილება (ღრუბლებში სხვადასხვა რეაგენტების შეყვანის გზით), ყინვის შესუსტება ან ლიკვიდაცია მიწისპირა ჰაერში (გათბობით, ევამლითა და ვენტილაციის მეშვეობით).

**АКТИВНЫЙ (ДЕЯТЕЛЬНЫЙ) СЛОЙ ПОЧВЫ** - Active soil bed (layer, stratum) ნიადაგის აქტიური (მოქმედი) შრე - გამოფიტვის ქერქზე განვითარებული ნიადაგის ზედა ჰორიზონტი.

**АЛАСЫ** - Alassy (depressions in pergelisol) - ალასი - რამდენიმე კილომეტრი დიამეტრის მქონე ბრტყელძირიანი ქვაბული, წარმოშობილი მრავალწლიური მიწისქვეშა ყინულის გალხობით მუდმივ მზრადლობის რეჟიმებში. ალასი ხშირად დაფარულია მდელოებით, ჭაობებითა და ტბებით.

**АЛЕВРИТИЗАЦИЯ** - Aleuritization - ალემრიტიზაცია - ქანების ქიმიური და ფიზიკური გამოფიტვის შედეგად მტვრისებური ნაწილაკების (ალევრიტის) წარმოშობა.

**АЛЛИТИЗАЦИЯ** - Allitization - ალიტიზაცია - ქანის ღრმა გამოფიტვის პრო-

ცესი, რის შედეგადაც იშლება პირველადი მინერალები (გარდა კვარცისა და ზოგიერთი მდგრადი მინერალებისა) და ფორმირდება მძიმე მექანიკური შემაღუნლობის გამოფიტვის ქერქი, რომელიც შედგება ალუმინის ჟანციგან და კალიონის გუგუის თიხოვანი მინერალებისაგან. ალიტიზაცია დამახასიათებელია ნესტიანი ტროპიკული და სუბტროპიკული რაიონებისათვის.

**АЛЛОХТОННЫЙ** - Allochthonous - ალოქტონური - 1. ქანები და სასარგებლო ნამარხები, წარმოშობილი თავდაპირველი გადატანილი მასალისაგან; 2. ნაოჭა სტრუქტურის ნაწილი, რომელიც შეცოცებულია გადაუადვილებელ (ავტოქტონურ) სტრუქტურაზე და წარმოქმნის ტექტონიკურ განფენს.

**АЛЬКРЕТ** - Alcrete - ალკრეტი - ალუმინის ჟანგიტ გამდიდრებული გამოფიტვის მკერძი ქერქი.

**АЛЬПИЙСКАЯ РАСТИТЕЛЬНОСТЬ** - Alpine vegetation - ალპური მცენარეულობა - მაღალმთიანი მცენარეულობის ტიპი. ვეხედება ზომიერი სარტყლის ზონაში, ტყის საფარის, სუბალპური მდელოსა და ბუჩქნარის ზემოთ.

**АЛЬПИЙСКИЙ ТИП РЕЛЬЕФА** - Alpine relief - ალპური ტიპის რელიეფი (ალპური ტიპის მთები) - თოვლითა და ყინულით მუდმივად დაფარული მთები, რომლებიც ხასიათდებიან ციცაბო კლდოვანი ფერდობებით, დაკბილული თხემებით და პიკებით. მთების სიმაღლე დამოკიდებულია გეოგრაფიულ განედზე, კლიმატის კონტინენტურობასა და ფერდობების ექსპოზიციასზე დამახასიათებელია ალპების, კავკასიის, პამირის, ჰიმალაისა და მათი შავავის სისტემებისათვის.

**АЛЬТЕРАЦИЯ** - Alteration - ალტერაცია - ქანების მინერალოგიური შემადგენლობის შეცვლა, განსაკუთრებით პიდროთერმული პროცესების შედეგად (ქიმიური გამოფიტვა).

**АЛЬТЕРИТ** - Alterite - ალტერიტი - ქანების ქიმიური გარდაქმნის პროდუქტი.

**АМФОТЕРНОСТЬ** - Amphoteric capacity - ამფოტერულობა - ზოგიერთი ქიმიური შენაერთის უნარი გამოავლინოს როგორც მჟავე, ასევე ფუჟე თვისება. მაგალითად, ალუმინის ჰიდროჟანკს შეუძლია რეაქციაში შევიდეს მჟავეებთან, ასევე ტუტეებთან. ამფოტერული შენაერთის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს წყალი, რომელიც იშლება H-ისა და OH-ის იონებად.

**АНАБИОЗ** - Anabiosis - ანაბიოზი - არახელსაყრელ ტემპერატურულ პირობებში სასიცოცხლო პროცესების დროებით შეჩერება ან შეწყვეტა. გარე პირობების შეცვლასთან (ტემპერატურის დაწვეასთან, უწყლობასთან) დაკავშირებით.

**АНАЛИЗ ГРАНУЛОМЕТРИЧЕСКИЙ** - Granulometric analysis - ბრანულომეტრიული ანალიზი - ფხვიერი ქანების ნაწილაკების ზომათა განსაზღვრა და რაოდენობრივი თანაფარდობა. მსხვილი ნაწილაკების გრანულომეტრიული ანალიზის ყველაზე მარტივი ხერხია გაცრის მეთოდი (ქანის ნაწილაკების დანაწევრება ფრაქციებად), ხოლო თხიფიანი ქანებისათვის აერომეტრიული მეთოდი.

**АНАЛИЗ СИСТЕМНЫЙ** - System analysis - სისტემური ანალიზი - სისტემების საერთო თეორიის მეთოდი, რომელიც ბოლო ხანებში წარმატებით გამოიყენება ცოდნის ბევრ დარგში. სისტემური ანალიზის სპეციფიკა მდგომარეობს ობიექტების იმ ასპექტში გამოკვლევას, რომელშიც ისინი წარმოადგენენ სისტემებს. სისტემური კვლევის მეთოდი არ შეესაბამება არც თეორიულ და, არც ემპირიულ მეთოდებს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ერთ, ისე მეორე მიმართულებაში (Yesina, 1969) სისტემური ანალიზი შეიძლება დაყოფილ იქნეს: სისტემურ-სტრუქტურულ, სისტემურ-ფუნქციონალურ და სისტემურ-ისტორიულ ანალიზებად, რომლებიც აშუქებენ სამი ურთიერთდაკავშირებული სისტემის ასპექტს (რუჟერარო).

**АНАМОРФОИД** - Anamorphoid - ანამორფოიდი - რუკა, რომლის საფუძველი შინაარსობრივად დამახინჯებულია.

**АНАЭРОБНЫЕ ОРГАНИЗМЫ** - Anaerobic organisms - ანაერობული ორბანიზმები - ორგანიზმები, რომლებიც უუანგბადო გარემოში ბინადრობენ (ზოგიერთი ბაქტერიები, უმარტივესნი ლამში მცხოვრები სხვადასხვა უხერხემლოები, პარაზიტული ჭიები და სხვა).

**АНАЭРОБНЫЕ ПРОЦЕССЫ** - Anaerobic processes - ანაერობული პროცესები - მიკრობიოლოგიური, ბიოქიმიური და ქიმიური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ ჰაერში უანგბადის უქმარისობის ან საერთოდ არარსებობის პირობებში, გავრცელებულია დამდვარ წყალსატევებში (მრავალ ტბაში, შავი ზღვის ღრმა ფენებში), ჭაობებში, ჭარბტენიან ნიადაგსა და გრუნტებში.

**АНЕМОФИЛ/Ы/** - Anemophile - ანემოფილი - მცენარეულობა, რომელთა დამტვერვა ხდება ქარის საშუალებით.

**АНЕМОХОР/Ы/** - Anemochiore - ანემოქორი - მცენარეულობა და სოკოები, რომლებიც ვრცელდებიან ქარის საშუალებით.

**АНИЗОТРОПИЯ** - Anisotropy - ანიზოტროპია - 1. (ფიზიკაში) სხეულის ფიზიკურ თვისებათა არაერთგვაროვნება, მათი სხვადასხვა მიმართულებით. 2. (ბოტანიკაში) მცენარის სხვადასხვა ორგანოს თვისება, რომელსაც სხვადასხვა მდგომარეობა აქვს გარემო ფაქტორების ერთნაირი ზემოქმედების პირობებში (მაგალითად, სინათლის გავლენით ყლორტები ვითარდება ვერტიკალურად, ხოლო ფოთლები - პორიზონტალურად). 3. (საინჟინრო გეოლოგიაში) ერთნაირი სიდიდის დატვირთვის პირობებში ქანების სხვადასხვა მიმართულებაზე მათი ფიზიკურ-მექანიკური მდგომარეობა და მახასიათებლები იცვლება (არაერთგვაროვნა).

**АНИЗОТРОПНАЯ ПОРОДА** - Anisotropic rock - ანიზოტროპული ქანი - ქანი,

რომელსაც არაერთგვაროვანი თვისებები (წყალშედწევადობა, წინააღმდეგობა ძერისადმი, კუმშვისადმი, ოპტიკური და სხვა) აქვს სხვადასხვა მიმართულებით.

**АНТЕКЛИЗА** - Anticline - ანტიკლიზა - ბაქნების ძირითადი ტექტონიკური სტრუქტურა. მსხვილი ბაქნისებური აშაღლება, რომლის განივი კვეთი ასეული კლომეტრებით გაიზომება. გეგმაში მისი ფორმა იზომეტრიული ან წაგრძელებულია. შალითას ნალექები, რომლებიც აგებენ ანტიკლიზას, ხასიათდებიან პერიკლინური განლაგებით. დანალექი საფარის სიმძლავრე სინკლიზასთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია, ფართოდ არის განვითარებული კონტინენტური და სანაპირო ნალექები. დამახასიათებელია ხარვეზების არსებობა.

**АНТИБИОТИК** - Antibiotic - ანტიბიოტიკი - ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა ზოგიერთი ორგანიზმის (მაგ., ობიანი სოკოების, ბაქტერიების) მიერ და შესწვევს უნარი გამანადგურებლად იმოქმედოს სხვა ორგანიზმზე.

**АНТИСЕПТИК /И/** - Antiseptic - ანტისეპტიკი - ქიმიური ნივთიერება, რომელიც იწვევს მიკროორგანიზმების დაღუპვას მათთან შეხების დროს.

**АНТРОПОГЕНЕЗ** - Anthropogenesis - ანთროპოგენეზი - 1. ეკოლოგიაში - ბუნებრივი ობიექტების და მოვლენების თვითგანვითარების შეცვლა ადამიანის ზემოქმედებით; 2. ფიზიკურ გეოგრაფიაში - ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლა ანთროპოგენური მოვლენების ზეგავლენით, რომელსაც თან ახლავს ბიოგენურ და მინერალურ ნივთიერებათა აქტიური ზაცვა. ეს პრიცესი იწვევს ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლას ანთროპოგენურით; 3. ადამიანის წარმოშობა, მისი სახის ჩამოყალიბება, ე.ი. ადამიანის ფიზიკური სახის ისტორიულ-ევოლუციური ფორმირება (რასობრივი წარმოშობის გათვალისწინებით), მათი შრომითი საქმიანობის, მეტყველებისა და ასევე სა-

ზოგადობის სოციოგენეზის განვითარების მსვლელობაში.

**АНТРОПОГЕННЫЕ ПОЧВЫ** - Anthropogenic soils - ანთროპოგენური ნიადაგები - ადამიანის საქმიანობით წარმოქმნილი ნიადაგები, რომლებიც შევსებულად, მიზანდასახულად არის ფორმირებული სათბურებისა და „ბოტანიკური ნიადაგებისათვის“ ან სტიქიურადაა წარმოშობილი (ნიადაგები მიწაქვედაა და სამთო გამოჩენილებზე). საზღვარი ანთროპოგენურ ან გაკულტურებულ ნიადაგებს შორის არ არის მკაცრად გამოყვანილი. ზოგიერთი ავტორი ანთროპოგენურ ნიადაგებს მიაკუთვნებს სარწყავ და დაშრობილ ნიადაგებს.

**АНТРОПОГЕННЫЕ ФАКТОРЫ** - Anthropogenic factors - ანთროპოგენური ფაქტორები - ეკოლოგიური ფაქტორების ჯგუფი, რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ სხვადასხვაგვარი ფორმის ზემოქმედებას, ბომბრავალფეროვნებასა და საერთოდ გარემოზე. ანთროპოგენური ფაქტორი შეიძლება იყოს პირდაპირი (განადგურება, შემოტანა, აკლიმატიზაცია და დაცვა) და არაპირდაპირი (ლანდშაფტის და მათი ცალკეული კომპონენტების შეცვლა - ტყის გაჩეხვა, მოხვნა, გადაწვა, რელიეფის ტრანსფორმაცია და სხვა). არაპირდაპირი ანთროპოგენური ფაქტორები იწვევენ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს და მათ სახეებში დიდ ცვლილებებს.

**АНТРОПОГЕННЫЙ РЕЛЬЕФ** - Anthropogenic relief - ანთროპოგენური რელიეფი - რელიეფი, რომელთა ფორმები წარმოქმნილიან ადამიანის სამეურნეო-საინჟინრო საქმიანობის შედეგად.

**АНТРОПОГЕОЦЕНОЗ** - Anthropogenic geocenosis - ანთროპოგენური ცენოზი - რეგონალურად შეზღუდული სისტემური ურთიერთქმედება სამეურნეო კოლექტივისა და მათ მიერ ათვისებულ ტერიტორიას შორის (ტერმინი იხმარება ადამიანის ადრეული ეტაპის ისტორიის აღსანიშნავად).

**АНТРОПОЛОГИЯ** - Anthropology - ანთროპოლოგია - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის წარმოშობის ევოლუციას და მისი რასის ფიზიკური ცვლილებების კანონზომიერებას.

**АНТРОПОСИСТЕМА** - Anthropogenic system - ანთროპოსისტემა - ერთ მთლიანობაში განვითარებული კაცობრიობა, რომელიც მოიცავს ადამიანს როგორც ბიოლოგიურ სახეს, ასევე მის მატერიალურ და სულიერ კულტურას.

**АНТРОПОХОР /Ы/** - Anthropochore - ანთროპოქორი - მცენარეულობა და სოკოები, რომელთა ჩანასახი (თესლი, სპორები) შემთხვევით ვრცელდება ადამიანის მიერ (შრომის იარაღების და სხვა საშუალებების გამოყენების შედეგად).

**АНТРОПОЦЕНОЗ** - Anthropocenosis - ანთროპოცენოზი - ადამიანის მასობრივი ბინადრობის განსაზღვრული რაიონი, რომელშიც ის ახორციელებს სოციალურ-საწარმო საქმიანობას; წარმოადგენს ლოკალურ შეზღუდულ სისტემას.

**АНТРОПОЭКОЛОГИЯ** - Anthropoecology - ანთროპოეკოლოგია - ადამიანისა და მისი წინაპრების ევოლუციური ეკოლოგია. სინონიმი: ადამიანის ეკოლოგია.

**АПВЕЛЛИНГ** - Upwelling - აპველინგი - ოკეანის სიღრმისეული ცივი წყლის ამოწევა, რომელიც მდიდარია ბიოგენური (ბიოფილური) ქიმიური ელემენტებით; პროცესი მიმდინარეობს ზღვის ციცაბო მატერიკული ფერდობიდან ქარის მიერ გამოწვეული ზედაპირული წყლების მიქცევით. აპველინგის ზონა მდიდარი რეგიონია თევზის რეწვისათვის.

**АПОБИОСФЕРА** - Apobiosphere - აპობიოსფერო - ატმოსფეროს მაღალი ფენა (60-80 კმ-ს ზევით), რომელიც მოკლებულია ცოცხალ არსებებს, ხოლო ბიოგენური ნივთიერება ხედება მცირე რაოდენობით. აპობიოსფერო მეგაბიოსფეროს ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილია.

**АПОГЕЙ** - Apogee - აპომეა - დედამიწიდან ყველაზე მეტად დაშორებული მთვა-

რის ან დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის წერტილი.

**АППРОКСИМАЦИЯ** - Approximation - აპროქსიმაცია - რომელიმე ფუნქციის სიდიდის (პირველ რიგში მათემატიკურის) ან გამოთვლის სქემის შეცვლა სხვა მათდამი ეკვივალენტურით და უფრო მარტივით, რომლისთვისაც უკვე არსებობს ან შეიძლება უფრო იოლად იქნეს მიღებული განსაზღვრული გადაწყვეტილება (ამოხსნა).

**АРБОРИЦИД** - Arboricide - არბორიციდი - ქიმიური ნივთიერება, რომელსაც იყენებენ არასასურველი ხეების ან ბუჩქების გასანადგურებლად.

**АРЕАЛ** - Areal - არეალი - ფართობი, სივრცე, რომელზედაც გავრცელებულია ესა თუ ის მოვლენა: ქიმიური ელემენტების ხსნარი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაბინძურება და სხვა (Ломтаძე).

**АРЕАЛ МИРА** - World areal - მსოფლიო არეალი - სახეობის გავრცელების საზღვრები მთელ მსოფლიოში.

**АРЕАЛ ПОТЕНЦИАЛЬНЫЙ** - Potencial areal - პოტენციური არეალი - 1. რეგიონი, რომელიც დაუსახლებელია რომელიმე სახით, მისთვის არსებულ ხელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებში; 2. დასახლებული სახის ყოფილი ადგილი, სადაც შენარჩუნებულია მისი არსებობისათვის პირობები, მაგრამ ის განადგურებული იქნა (შესაძლებელია ადამიანის მიერ).

**АРЕАЛ РАСШИРЯЮЩИЯСЯ** - Expanding areal - ბაზარტომპაჰი არეალი - ადგილი, რომელიც ბიოლოგიური ან ანთროპოგენური მოვლენების განვითარების შედეგად ფართოვდება.

**АРЕАЛ ЭКОЛОГИЧЕСКИЙ** - Ecological areal - ეკოლოგიური არეალი - რეგიონი, სადაც სახეობას შეუძლია იცხოვროს მისთვის მისაღებ პირობებში იმისდა მიუხედავად, თუ სად მდებარეობს რეგიონი და განცალკევებულია თუ არა ის ამ სახისათვის გადაულახავი წინააღმდეგობებით.

**АРЕОМЕТР** - Arcometer, hydrometer - არეომეტრი - ხელსაწყო, რომლითაც იზომება სითხის სიმკვრივე.

**АРЕОМЕТРИЧЕСКИЙ МЕТОД** - Arcometric method - არეომეტრიული მეთოდი - ფხვიერი ქანების გრანულომეტრიული ანალიზის მეთოდი. ემყარება სუსხიის სიმკვრივის განსაზღვრას.

**АРИДНЫЕ ПОЧВЫ** - Arid soils - არიდული ნიადაგები - ნიადაგები, რომლებიც ფორმირდებიან იქ, სადაც აორთქლება მეტია ვიდრე სინოტივე და არ მიმდინარეობს ჩარეცხვის პროცესი სიღრმეში. ადგილი აქვს ნიადაგში და ნიადაგის ქვემო ფენებში კარბონატების, სულფატების, ქლორიდების დაგროვებას. ეს ნიადაგები ძირითადად განვითარებული არიან მშრალ ველებზე, ნახევრად უდაბნოებში და უდაბნოებში.

**АРИДНЫЙ КЛИМАТ** - Arid climate - არიდული კლიმატი - ზომიერად ცივი მკვეთრად კონტინენტური კლიმატი, რომლის დროსაც ატმოსფერული ნალექები არ არის საკმარისი მცენარეთა ვეგეტაციისათვის; მიწათმოქმედება შეიძლება მხოლოდ ხელოვნური მორწყვით.

**АРИДНЫЙ ЛАНДШАФТ** - Arid landscape - არიდული ლანდშაფტი - ლანდშაფტი, რომელიც ფორმირდება მშრალი, რბილი ანდა ცხელი კონტინენტური კლიმატის პირობებში.

**АРКТИЧЕСКИЕ (ПОЛЯРНЫЕ) ПУСТЫНИ** - Arctic Deserts - არქტიკული (პოლარული) უდაბნო - მიწის ზედაპირული ეკოსისტემები, რომლებიც ვითარდებიან ექსტრემალურ ეკოლოგიურ პირობებში, ხასიათდებიან სითბოს დეფიციტით, ზედაპირი მთლიანად დაფარულია მრავალწლოვანი ყინულებით და მიწის ზედა გამყინვარებებით, რომლებიც ხასიათდებიან სახეების გაერთიანების სიღარიბით, უჭირავთ აზიის, ამერიკის უკიდურესი ჩრდილო ნაწილი, კუნძულები: გრენლანდია, ფრანც იოსების მიწა, ასალი მიწის ჩრდილო კუნძული, ჩრდილოეთის მიწა, კანადის ჩრდილო ნაწი-

ლი და სხვა. აქ ქაერის ტემპერატურა ძალიან დაბალია და ქრის ძლიერი ქარები. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელია პოლარული დღე და ღამე.

**АРСАН** - Arsan - არსანი (არშანი) - ცივი ნახშირწყლების და აზოტოვანი თერმული წყლების სახელწოდება ციმბირსა და მიწოდლებულში.

**АРТЕЗИАНСКАЯ/ПОВЕРХНОСТЬ** - Artesian surface - არტეზიული (კიეზომეტრიული) ზედაპირი - წარმოსახვითი ზედაპირი, რომლის დონეზე ამოდის არტეზიული წყალი გაბურღული ჭით ან სხვა სამთო გამოწვევებით. რუკაზე გამოისახება იზოპიეზებით. არტეზიური ზედაპირი შეიძლება იყოს დადებითი, თუ ის მიწის ზედაპირის ზემოთ არის ან უარყოფითი, თუ ის მიწის ზედაპირის ქვემოთაა.

**АРТЕЗИАНСКИЕ ВОДЫ** - Artesian waters - არტეზიული წყლები - მიწისქვეშა წყლები, რომლებიც მოთავსებული არიან შედარებით ღრმად განლაგებულ წყალშემცველ შრეებში, წყალგაუმტარ შრეების შორის, ქმნიან აუზს და იმყოფებიან დაწნევის ქვეშ. ჭაბურღილით გახსნის შემთხვევაში მათი დონე იწევს წყალშემცავი ფენის სახურავის ზემოთ და დიდი დაწნევის შემთხვევაში აღწევს მიწის ზედაპირს და იძლევიან შადრევანს.

**АРТЕЗИАНСКИЙ БАССЕЙН ПОДЗЕМНЫХ ВОД** - Artesian basin of ground waters - მიწისქვეშა წყლების არტეზიული აუზი - წყალშემცველი შრეების კომპლექსი, რომელიც ქმნის სტრუქტურებს სინკლიზის ან სინკლინალური ჩაღრმავებების სახით. არტეზიულ აუზში არჩევენ კეების, წნევისა და განტვირთვის არეებს.

**АРТЕЗИАНСКИЙ ВОДОНОСНЫЙ ГОРИЗОНТ** - Artesian aquifer, artesian water bearing horizon - არტეზიული წყალშემცველი კორიზონტი - ქანის ფენა ანუ შრე, რომელიც შეიცავს არტეზიულ მიწისქვეშა წყალს.



**АРТЕЗИАНСКИЙ КОЛОДЕЦ** - Artesian well - არტეზიული ჰა - ჭაბურღილი, რომელიც ხსნის არტეზიულ წყალს.

**АРТЕЗИАНСКИЙ СКЛОН** - Artesian slope - არტეზიული შპარლოზი - არტეზიული მიწისქვეშა წყლის ასიმეტრიული აუზი, რომელიც შედგება მონოკლინურად განლაგებული ან გამოსოლილი წყალშემცველი ფენებისაგან (მთიანი რეგიონის განაპირას).

**АРЫК** - Arick - არიკი - არხის ადგილობრივი სახელწოდება შუა აზიაში. ეს სახელწოდება აერთიანებს დიდ და პატარა წყალმიყვან არხებს.

**АСЕКВЕНТНЫЕ ОПОЛЗНИ** - Asquential landslides - ასეკვენტური მშრბრბნი - მეწყვრები განვითარებული ერთგვაროვან არაშრრებრივ ქანებში, რომელთა გადაადგილება ხდება მრუდხაზოვან ზედაპირზე. ასეთ ზედაპირს დაცურების დინამიკურ ზედაპირს უწოდებენ.

**АССИМИЛЯЦИЯ** - Assimilation - ასიმილაცია - 1. ბიოლოგიაში - ნივთიერების გარდაქმნა, რომელიც შემოდის გარედან ორგანიზმში (პროტოპლაზმაში, მის უჯრედში ან მარაგად ილექება); 2. ხალხის შერწყმა, რომლის დროსაც ერთნი ლებულობენ ენას, კულტურას, ტრადიციებსა და ბუნებითარგებლობის მაგალითებს სხვა ხალხისაგან, ე.ი. ეროვნებათა ასიმილაცია. 3. აზოტის ასიმილაცია - მცენარეთა მიერ აზოტის შეთვისება.

**АССОЦИАЦИЯ РАСТИТЕЛЬНАЯ** - Plant association - მცენარეთა ასოციაცია - მცენარეული საფარის ძირითადი კლასიფიკაციური ერთეული. იგი ხასიათდება შედარებით მუდმივი ფლორის შემადგენლობით, სასებებს შორის რაოდენობრივი შეფარდებით /მათ შორის განსაკუთრებული დომინანტების არსებობით/, ადგილსამყოფელის ერთგვაროვანი პირობებით, განსაზღვრული სტრუქტურით, რომელიც გამოისახება ფიზიონომიურობაში და წლიური განვითარების რიტმში.

**АССОЦИАЦИЯ СКЛОНОВЫХ ПРОЦЕССОВ ПАРАГЕНЕТИЧЕСКАЯ** - Paragenetic association of slope processes - შპარლოზის პროცესების პარაგენეტიკული ასოციაცია - ერთი და იმავე ფერდობზე მიმდინარე პროცესების ერთობლიობა. განპირობებული ერთგვაროვანი მექანიკური შემადგენლობით და კოლექიონის კონსისტენციით; ქმნიან მდგრად საშუალომრავალწლიურ წარმონაქმნს.

**АССОЦИЯ** - Associon - ასოციაცია - სუცესიურად (სერიულად) განვითარებადი მცენარეულობის ქვედანაყოფი (მაგ. ტყის ბორეალური ჭაობი).

**АТМОСФЕРА** - Atmosphere - ატმოსფერო - გაზების გარსი, რომელიც გარს აკრავს დედამიწის ბირთვს.

**АТМОСФЕРНОЕ ДАВЛЕНИЕ** - Atmospheric pressure - ატმოსფერული წნევა - წნევა, რომელსაც ატმოსფერული ჰაერი აწარმოებს მასში მოთავსებულ საგნებზე და მიწის ზედაპირზე. სტატისტიკური წონასწორობის პირობებში ატმოსფერული წნევა ატმოსფეროს ყველა წერტილში ან დედამიწის ზედაპირზე გამოიხატება ზედნადები ჰაერის სეექის სიმალდის წონით. მისი საფუქველიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად ატმოსფერული წნევა კლებულობს ჰაერის ტემპერატურის ვერტიკალური განაწილების მიხედვით. პორიზონტალური მიმართულებით ატმოსფერული წნევა ნაწილდება არათანაბრად და იცვლება დროში. ატმოსფერული წნევის საშუალო („ნორმალური“) სიდიდე ზღვის დონეზე დაახლოებით 1013მმ-ის (ვერცხლის წყლის სეექის სიმაღლე 760მმ) ტოლია; 5კმ-ის სიმაღლეზე ის ნახევრად მცირდება.

**АТМОСФЕРНЫЕ АЭРОЗОЛИ** - Atmospheric aerosols - ატმოსფერული აეროზოლიზი - დისპერსიული სისტემები, რომლებიც შედგებიან მყარი და თხევადი ნაწილაკებისაგან და გაფანტული არიან ატმოსფეროში.

**АУТОЭКОЛОГИЯ** - Autecology - აუტოეკოლოგია - ეკოლოგია სიტყვის ეი-

წრო მნიშვნელობით. მეცნიერება, რომელიც შვისწყალის ურთიერთობას ცალკეულ ორგანიზმსა და გარემოს შორის.

**АФОТОБИОСФЕРА** - Aphotobiosphere - აფოტობიოსფერო - ბიოსფეროს ნაწილი, სადაც ვერ აღწევს მზის სხივი /მიდროსფეროსა და ლითოსფეროში/.

**АФОТОСФЕРА** - Photosphere - აფოტოსფერო - ზღვაში, ღრმა წყალსატეეში სიცოცხლის განვითარების არე მზის სხივების გარეშე (ოკეანეში იწოდება აფოტურ ზონად).

**АФТЕРШОК** - Aftershock - აფტერშოკი - ძლიერი მიწისძვრის შემდეგ მომყოლი სუსტი ბიძგები.

**АХРОНОЗ** - Achronizm - აქრონოზი - დიდ მანძილზე გადანაცვლებიას საათის სარტყლის მკვეთრი ცვალებადობით გამოწვეული ჯანმრთელობის დროებითი შერყევა.

**АЭРАЦИЯ ВОДЫ** - Water aeration - წყლის ამრავნი - წყლის ჟანგბადით გამდიდრების პროცესი, ბუნებრივი და ხელოვნური გზით (В.Д. Ломтадзе).

**АЭРАЦИЯ ПОТОКА** - Flow aeration - ნაპადის ამრავნი - წყლის გაჯერება ჰაერის ნაკადით, რომელიც ხდება წყლის დიდი სიჩქარით მოძრაობის დროს.

**АЭРОБИОЗ** - Aerobiosis - ამრობიოზი - სიცოცხლე თავისუფალი ჟანგბადის პირობებში.

**АЭРОБНЫЕ ОРГАНИЗМЫ** - Aerobic organisms - ამრობული ორგანიზმები - ორგანიზმები, რომელთა არსებობისთვის აუცილებელია თავისუფალი ჟანგბადი. ასეთია ორგანიზმთა უმრავლესობა. ორგანიზმები, რომლებიც უჟანგბადო

გარემოში ბინადრობენ მათ ანაერობები ეწოდებათ.

**АЭРОБНЫЕ ПРОЦЕССЫ** - Acrobic processes - ამრობული პროცესები - ორგანიზმის ნარჩენების გახრწნის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ თავისუფალი ჟანგბადის არსებობის პირობებში (В.Д. Ломтадзе).

**АЭРОЗОЛЬ** - Aerosol - ამროზოლი - მკვრივი ან თხევადი ნაწილაკები, რომლებიც იმყოფებიან ატივტივებულ მდგომარეობაში გახსიებული გარემოში. ატმოსფეროში აეროზოლი გვხვდება დიდი რაოდენობით როგორც ბუნებრივი (ველკანების ამონთხევა, ტყის ხანძარი), ასევე ანთროპოგენული წყაროებიდან. დადასტურებულია, რომ ატმოსფეროში მუდმივად არის არანაკლებ 250 მილიონი ტონისა ატივტივებული ნაწილაკები.

**АЭРОСФЕРА** - Acrosphere - ამროსფერო - მიწის გარსი, რომელიც შედგება ატმოსფეროსაგან, ნიადავისა და ნიადაგქვეშა ჰაერისაგან.

**АЭРОТАКСАЦИЯ** - Acrotaxation - ამროტაქსაცია - ბუნებრივი რესურსების ხარისხობრივი და თვისებრივი შეფასება /ძირითადად ტყის, მათი თვალთვალისა და საზღვრის ან აეროფოტოსურათების ანალიზის საფუძველზე.

**АЭРОФИТ** - Acrophyte - ამროფიტი - მცენარე, რომელიც ღებულობს ყველა ძირითად საკვებ ნივთიერებას მხოლოდ ატმოსფეროდან, წვიმის წყლის ან ნემის და მასში გახსნილი ნივთიერების შემწვობით. აეროფიტები ძირითადად ხის ტანზე, ტოტებზე და ხეთა ფოთლებზე ცხოვრობენ.

**Б**

**БАЗИС ВЫВЕТРИВАНИЯ** - Weathering base - ბამოფიტის ბაზისი - გამოფიტის ზონის ქვედა საზღვარი. ქანების სტრუქ-

ტურულ-ლითოლოგიური განსხვავებით და ნაპრაღიანობის ხარისხის მიხედვით გამოიყოფილი ბაზისი აღწევს სიღ-

დასხვა სიღრმეს. გამოფიტვის ქერქის გადარეცხვისას გამოფიტვის ბაზისი შიშვლდება და ქმნის მეტ-ნაკლებად მოსწორებულ ზედაპირს.

**БАЗИС ДЕНУДАЦИИ** - Denudation base - დენუდაციის ბაზისი - დონე, რომელიც შეეფარდება ფერდობის პროფილის გარდატეხას და ჰყოფს მას უფრო ციცაბო და დამრეცი დაქანების უბნებად (ამ უკანასკნელთან წყდება მასის მოძრაობა ფერდობზე). დენუდაციის ბაზისის მიმართ ხდება მასის სიბრტყითი დაშლა-გადაადგილება გრავიტაციული ძალებით, რომლის ინტენსიურობა განისაზღვრება ფერდობის დაქანებით, არჩევენ: 1. ადგილობრივი დენუდაციის ბაზისს, რომელიც ჰყოფს ფერდობის სხვადასხვა უბნებს, საიდანაც მასის ჩამოტანა დამოკიდებულია მათ სხვადასხვა დონეზე; 2. დენუდაციის საერთო ბაზისს, რომელიც დაკავშირებულია მდინარის ან წყლის აუზის დონესთან, ანუ იმ ადგილთან, სადაც წყდება გრავიტაციული გადაადგილება და შესატყვისად სიბრტყებრივი გარეცხვაც; 3. მოცემულ ადგილზე დენუდაციური პროცესების გამოვლინების შესაძლო ქვედა ზღვარს; მთის ძირი, ნაკადის ან წყალსატევის დონე სადამდეც შესაძლებელია ფერდობიდან გადარეცხილი, ან გამოფიტული მასალის გადაადგილება.

ქარის მოქმედებით ზღვის, ტბისა და  
მდინარის ქვიშიან სანაპიროზე. ქარს  
გადააქვს და მოძრაობაში მოაყვას ქვი-  
შის მარცვლები. დიუნის გასწვრივი  
პროფილი ასიმეტრიულია, მისი ქარ-  
ზურგის მხარის ფერდობის დაქანება 35°-  
ს აღწევს, ხოლო ქარპირის - 15°-მდე.  
დიუნი მოძრაობს ქარის გაბატონებუ-  
ლი მიმართულებით და ფორმირდება  
იმ ქვიშის მასალისგან, რომელიც მოაქვს  
წყალს ზღვის, ტბისა და მდინარის სან-  
აპიროზე. დიუნები წარმოიქმნება (სხვა-  
დასხვა განედზე კლიმატური პირობებ-  
ის დამოუკიდებლად, რითაც განსხვავდე-  
ბიან არიდული პირობებისათვის დამახა-  
სიათებელი ბარხანებისგან. დიუნებსა  
და ბარხანებს შორის მორფოლოგიური  
განსხვავება განისაზღვრება ბუნებრივი  
პირობებით.

**Е**

**ЕВРИТЕРМИЧЕСКИЕ ВИДЫ** - Euryther-  
mic species - მკრთომრებული სახეობები  
- ცხოველთა სახეობები, რომლებიც წყ-  
ლის ტემპერატურის დიდ დიაპაზონში

ცხოვრობენ. მაგ., მუცელფეხიანი მო-  
ლუსკები, რომლებიც უძლებენ ტემპერ-  
ატურას (-1)°C-დან (+10)°C-ს და ეკუთვნიან  
პოიკილოთერმულ ჯგუფს.

**ЕДИНИЦА ДАРСИ - Darcy unit** - ღარსის ერთეული - ქანებში წყალშედწვეადობის საზომი ერთეული. ღარსის ერთეულად მიღებულია ქანის ისეთი წყალშედწვეადობა, რომლის დროსაც 1 სმ განივეკეთში, 1 სმ სიგრძის და 1 ატმ. წნევისას 1 წამის განმავლობაში, ერთი სანტაუზის სობლანტის სითხის ხარჯი შეადგენს 1 სმ<sup>3</sup>-ს.

**ЕДИНИЧНЫЙ /УДЕЛЬНЫЙ/ РАСХОД ПОТОКА - Specific stream flow** - ნაკადის ერთეული (ხმდარიტი) ხარჯი - ნაკადის ხარჯის სიდიდე, მისი სივანის ერთეულზე.

**ЕМКОСТЬ ПОТОКА НАНОСОВ - Denitus stream capacity** - ნატანის ტმვალობა ნაკადში - ნატანის მასალის მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც შესწევს უნარი დროის ერთეულში არსებული ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებში გადაინაცულოს ნაპირის გასწვრივ ნაკადში. ნატანის ტევადობა ნაკადში დამოკიდებულია ფსკერის და პლაჟის დაქანებაზე, ტალღების პარამეტრებსა და კუთხეზე, რომლითაც ისინი ეკვირან ღია ზღვას, სისწრაფესა და დინების მიმართულებაზე, ასევე ზღვის სანაპირო ნატანის თვისებებზე.

**ЕКМОСТЬ РЕКРЕАЦИОННАЯ - Recreational capacity** - რეკრეაციული ტმვალობა - ტერიტორიის ან ზღვის აკვატორიის შესაძლებლობის უნარი მიიზიდოს დამსვენებლები, დააკმაყოფილოს მათი განსაზღვრული რაოდენობა ფსიქოფიზიოლოგიური კომფორტით და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებით, ბუნებრივი გარემოს ან ანთროპოკულტურის კომპლექსის დეგრადაციის და სპეციალური მოწყობილობის სწრაფი ცვეთის გარეშე. რეკრეაციული ტევადობა ისე, როგორც რეკრეაციული დასაშვები დატვირთვა, გამოიხატება ადამიანების რაოდენობაში ფართობის ერთეულზე.

**ЕМКОСТЬ СРЕДЫ - Medium capacity** - ბარემოს ტმვალობა - სახეობის და

გაერთიანების რაოდენობა, რომელთა მოთხოვნილობა შეიძლება დაკმაყოფილდეს მოცემული ადგილსამყოფელის რესურსებით ან უმნიშვნელო ზიანით შემდგომი კეთილდღეობისათვის. როცა პოპულაციის რიცხოზობივობა აღემატება გარემოს ტევადობას, ანდა ექსპლუატაცია აღემატება პროდუქციას, მაშინ რესურსები იღვევა და პოპულაცია იწყებს შემცირებას, ხოლო, როცა პროდუქციის სისწრაფე მატულობს, მაშინ გარემოს შეუქალა დააკმაყოფილოს მეტი მრავალრიცხოვანი პოპულაცია.

**ЕМКОСТЬ СРЕДЫ ХОЗЯЙСТВЕННАЯ - Economic capacity of environment** - ბარემოს სამეშურნო ტმვალობა - გარემოს ფიზიკურ-ქიმიური ტევადობის ზღვარი, რომლის გამოღვევას სამეურნო მოღვაწეობის შედეგად მიეყავართ არასასურველ ცვლილებებამდე (ეკოლოგიური წონასწორობის გადაადგილებამდე და სხე).

**ЕСТЕСТВЕННАЯ ВЛАЖНОСТЬ ПОРОДЫ - Natural humidity of rock** - ძანის ბუნებრივი ტენიანობა - წყლის რაოდენობა ქანის ბუნებრივი წოლის პირობებში. წყლის რაოდენობრივი შემცველობა ქანში გამოიხატება: 1. წონითი ტენიანობით - წყლის წონის შეფარდება ქანის ჩონჩხის წონასთან; 2. მოცულობითი ტენიანობით - წყლის მოცულობის შეფარდება ქანის მოცულობასთან; 3. დაყვანილი ტენიანობით - წყლის მოცულობის შეფარდება ჩონჩხის მოცულობასთან; 4. შეფარდებითი ტენიანობით - წყლის მოცულობის შეფარდება ქანში ფორების მოცულობასთან. ძანის ბუნებრივი ტენიანობა გრუნტის წყლების დონის ზემოთ იცვლება დროში. ამ დონის ქვემოთ ტენიანობა მაქსიმალურია ქანების ამ ფორიანობისათვის ან ახლოა მაქსიმალურ სიდიდესთან, ხოლო შეფარდებითი ტენიანობა ერთის ტოლია ან ახლოა მასთან.

**ЕСТЕСТВЕННАЯ ФИЛЬТРАЦИЯ - Natural filtration** - ბუნებრივი ფილტრაცია -

წყლის გაწმენდა გამაჭვავიანებელი ატიენარებული ნაწილაკებისაგან, ქანის მცირე სომის ფორებსა და სიცარიელეებში წყლის გადაადგილების შედეგად. **ЕСТЕСТВЕННОЕ ГИДРОХИМИЧЕСКОЕ ПОЛЕ** - Natural hydrochemical field - ბუნებრივი ჰიდროქიმიური ველი - ფაქტიური დაკვირვების შედეგად შემსწავლელი ნივთიერებათა განაწილება მიწისქვეშა წყლებში.

**ЕСТЕСТВЕННЫЕ ШАХТЫ** - Natural mine, natural pit - ბუნებრივი შახტები - კარსტული შახტები მნიშვნელოვანი სიღრმის ევრტიკალური კედლებით.

**ЕСТЕСТВЕННЫЙ КОЛОДЕЦ** - Natural well - ბუნებრივი ჰა - კარსტული არხი

ევრტიკალური კედლებით, რომლის სიღრმე მეტია მის განივკვეთზე.

**ЕСТЕСТВЕННЫЙ ОБЪЕМНЫЙ ВЕС** - Natural volume weight - ბუნებრივი მოცულობით წონად ან უბრალოდ მოცულობით წონად მიღებული ნაითვალის ქანის მოცულობითი ერთეულის წონა, ბუნებრივი ტენიანობით და წყობით, გამოიხატება გრ/სმ<sup>3</sup>-ში ან ტ/მ<sup>3</sup>-ში. რიცხობრივად ქანის ბუნებრივი მოცულობითი წონა ახასიათებს მის შედარებით სიმკვრივეს ბუნებრივი წონის პირობებში. რაც უფრო მეტია ქანის მოცულობითი წონა, მით უფრო მეორევი აგებულებისაა იგი.

## Ж

**ЖЕЛЕЗОБАКТЕРИЯ** - Iron bacteria - რკინის ბაქტერიები - ბაქტერიები, რომლებიც ჟანგავენ რკინის ქვეყანის მარილებს და წარმოქმნიან გაუხსნელი რკინის ჰიდრატების ჟანგს. რკინის ბაქტერიების მონაწილეობის შედეგად წარმოიშობა ჭაობების რკინის მადანი. ხშირად ამ ბაქტერიების მოქმედების შედეგად ადგილი აქვს გრუნტების ქიმიურ-მექანიკური თვისებების ცვლილებებს.

**ЖЕОД** - Geode, voog, vug - ჭიშკრი - სიცარიელე მაგმურ ქანებში (განსაკუთრებით ბაზალტებში), შეყვებული რომელიმე მინერალით (კვარციით, კალციტით, და სხვ.).

**ЖЕСТКИЕ СВЯЗИ В ПОРОДАХ** - Rigid bonding in rocks - ხისტი კავშირი ქანებში (მჭიდროდ შემავსირებული ქანები) - ქანების ისეთი შინაგანი კავშირი, რომელიც ექვემდებარება დეფორმაციას, მაგრამ არ უბრუნდება თავის პირვანდელ ფორმას მასზე მექანიკური ზეგავლენის შეწყვეტის შედეგად.

**ЖЕСТКОЕ ОСНОВАНИЕ** - Rigid base - ხისტი საფუძველი - საფუძველი, რომე-

ლიც დატვირთვის შედეგად დეფორმაციას არ ექვემდებარება.

**ЖЕСТКОСТЬ НЕКАРБОНАТНАЯ** - Non-carbonated hardness - არაკარბონატული სიხისტე - სხვაობა საერთო სიხისტესა და კარბონატულ სიხისტეს შორის.

**ЖИВОПИСНОСТЬ ЛАНДШАФТА** - Landscape picturesqueness - ლანდშაფტის სიმშვენიერე - ლანდშაფტის სუბიექტური, ესთეტიკური თვისებების შეფასება (კომფორტულობა და ინფორმირებულობა) ჩვეულებრივ გამოიხატება ბალებში.

**ЖИДКАЯ СОСТАВЛЯЮЩАЯ СЕЛЕЙ** - Mudflow liquid component - ლპარტოვის თხევადი შემადგენელი - წყალი, რომელიც იმყოფება ლვარცოვის ნაკადის შემადგენლობაში.

**ЖИЛЯЯ ЗОНА** - Residential zone - საცხოვრებელი ზონა - საცხოვრებელი რაიონების, სასოგადოებრივი ცენტრების (ადმინისტრაციული, მეცნიერული, სასწავლო, სამედიცინო, სპორტული და სხვ.) და ასევე საერთო დანიშნულების მწვანე ნარგავების (ბაღების, პარკების) განლაგების ზონა.

**ЖИЛЬНЫЕ ИСТОЧНИКИ** - Lode spring - ძარღვის წყაროები - წყარო, რომელიც გამოედინება ცალკეული ღია ნაპრალიდან.

**ЖИЗНЕПОДДЕРЖИВАЮЩИЕ ФУНКЦИИ ЭКОСИСТЕМ** - Life-support func-

tions of ecosystems - ეკოსისტემის ცხოვრების უზრუნველყოფის ფუნქცია - ცოცხალი ორგანიზმების ერთიერთდამოკიდებულება, მათ პოპულიაციაზე, გაერთიანებაზე და ფიზიკო-ქიმიურ პროცესებზე გარემო პირობებში.

### 3

**ЗАБОЙ** - Face, stop - სანბრძენი - სამთო გამონამუშევარის (შტოლნა, შურფი და სხვა) ან საბურღი ჭის ბოლო. სამთო სამუშაოების ან ბურღვის პროცესში სანგრევი გადაადგილება დანიშნული გამონამუშევრის მიმართულებით.

**ЗАБОЛАЧИВАНИЕ** - Bogging, swamping - დაბარბაზა - 1. ჭაობის წარმოშობის პროცესი მიწის ზედაპირის ძლიერ ტენიან ადგილებზე, რაც გამოწვეულია წყლის გაძნელებული მოძრაობით წყალგაუმტარი შრის მიწის ზედაპირთან ახლო განლაგებით ან აორთქლების რეჟიმის შეცვლით; 2. წყალსატევების დაფარვა ჭაობის მცენარეულობით, რომელიც განსაკუთრებულ ძალეოგეოგრაფიულ პირობებში წარმოშობენ ტორფს.

**ЗАБОЛОЧЕННОСТЬ /ТЕРРИТОРИИ/** - Swamping - ჭაობიანობა (ტერიტორიის) - მიწების დატენიანებული (ზოგჯერ დაჭაობებული ტბების გათვალისწინებით) ტერიტორიის საერთო ფართობის ნაწილი (ჩვეულებრივ გამოიხატება პროცენტებში).

**ЗАВАЛ** - Goaf - ჩამონადგმენი - ქანების ჩამოქცევა სამთო გამონამუშევრებში, რომელიც არღვევს კავშირს მათ ცალკეულ უბნებს შორის.

**ЗАГРЯЗНЕНИЕ** - Pollution, contamination - ბაზაზჰიანება - 1. გარემოში შემოტანილი ან ადგილზე შექმნილი ახალი, ამ გარემოსთვის არადაზიანებასთანმიმკვეთი ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტები, ანდა ამ დროისთვის ჩვეულებ-

რიეზე უფრო ჭარბი საშუალო ბუნებრივ მრავალწლიურზე მეტი დონის აგენტების კონცენტრაცია გარემოში; 2. ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტების როდენობის მომატება წინა პერიოდის ნორმასთან შედარებით (მაგ., მდინარის წყლის ამღვრევა წვიმის შემდეგ). გატუქყიანება შეიძლება მოხდეს ბუნებრივი მიზეზით (ბუნებრივი გატუქყიანება), ადამიანის ზემოქმედებით - ანთროპოგენური გატუქყიანება ან მრეწველობის ნარჩენების ნიადაგში მოხვედრის შედეგად - სამრეწველო გატუქყიანება.

**ЗАГРЯЗНЕНИЕ АТМОСФЕРНОГО ВОЗДУХА** - Air pollution - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება - ატმოსფერული ჰაერის შედგენილობის ცვლილება მასში დაბინძურებულ ნივთიერებათა არსებობის გამო.

**ЗАГРЯЗНЕНИЕ ПОДПОЧВЫ /ЛИТОСФЕРЫ/** - Lithosphere pollution, sybsoil contamination - ნიადაბქვეშა ბაზაზჰიანება (ლიტოსფეროსი) - ქანების წყებაში ანთროპოგენური გატუქყიანების შეჭრა. განსაკუთრებით საშიშია, როცა ქანებში მარხავენ ან ჩაქაჩავენ საწარმოო ნარჩენებს. ხშირად გატუქყიანებას იწვევს პესტიციდებისა და მინერალური სასუქების გამოყენება სეარგულებზე.

**ЗАГРЯЗНЕНИЕ ПРИРОДНЫХ ВОД** - Natural water pollution - ბუნებრივი წყლების ბაზაზჰიანება - ტოქსიკური და სხვა ნივთიერების აკუმულაციის პროცესი წყლებში, აგრეთვე მიკროორგანიზმებ-

ის გამრავლება ბუნებრივი და ტექნოგენური ფაქტორების ხარჯზე, რომელსაც საბოლოოდ მიუყვართ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და სახელმწიფო სტანდარტის ნორმატივების მომატებამდე, რაც წყალს ხდის უფარვის სასმელად და სხვა მიზნებისათვის.

**ЗАГРЯЗНЯЮЩЕЕ ВЕЩЕСТВО** - Soililng matter, polluting substance - ღამაზინძუმრეპალი ნივთიერება - ატმოსფეროს პაერში გაბნეული ნივთიერება, რომელიც არ შედის მის მუღმიე (ბუნებრიე) შემადვენლობაში.

**ЗАДЕРЖЕНИЕ ОТВАЛОВ** - Pile sodding - მიწაჭრილის ღაკორღინება - ნიადაგდამცეული ბალახეული ცენოზების შექმნა მოსწორებულ ნაყარის ზედაპირზე ან მის ფერდობზე.

**ЗАЖОР** - Ice-dam - შინულხპარბილი - ყინულის წერილი ფრაქციის და მცირე ზომის ნატეხების შეგროვება - თავმოყრა მდინარის კალაპოტში, რაც იწვევს წყლის დინების კვეთის შევიწროებას და მასთან დაკავშირებული წყლის დონის აწევას.

**ЗАКАЗНИК** - Reservation - აღკვეთილი (ნაქრძალი) - ბუნებრივი ტერიტორიის უბანი, რომელშიც ადამიანისათვის დროებით ან მუღმიეად აქრძალულია სამუერნეო მოქმედება, რათა დაცული იქნეს ერთი ან რამდენიმე იშეიათი ჯინის მნიშვნელოვანი ცოცხალი ბუნება, ან ლანდშაფტის სიმშენიერე. ამჟამად 3000-მდე ნაქრძალია ფართობით 40 მიღკა. ისინი სხედასხეა დანიშნულებიასა: კომპლექსური, ბოტანიკური, გეოლოგიური, პიდროგეოლოგიური, ზოოლოგიური და სხეა.

**ЗАКАРСТОВАННЫЕ ПОРОДЫ** - Karsted rock - ღაკარსტული ქანები - ქანები, რომლებშიც განეითარებულია კარსტული სიცარიელები.

**ЗАКОЛ** - Deep fracture in rocks - კიღული (ჩანატქაქი) - ღრმა ნაქრალი ქანებში, რომელიც წარმოიშობა მათი დაქერით.

**ЗАКОН ГУКА** - Hooke's law - გუკის კანონი - შედარებით დეფორმაცია - ჯ. პირდაპირი პროპორციულია ძაბვის:  $a = \lambda \cdot E$ . სადაც E დრეკადობის მოდულია. ეს არის დრეკადი სხეულის კანონი, როგორცაა მაგარი კლდეანი და ნაწილობრიე შედარებით მაგარი ნახეურად კლდეანი ქანები (B. Д. Ломтадзе. 1999).

**ЗАКОН ДАРСИ** - Darcy's law - ღარსის კანონი - სითხის ფილტრაციის კანონი ფორიან გარემოში; გამოხატავს ფილტრაციის სიქარის ხაზოვან დამოკიდებულებას გიდრაველიკური გრადიენტიდან (B. Д. Ломтадзе).

**ЗАКОН НЕРАВНЫХ СКЛОНОВ** - Law of unequal slopes - არათანაბარი შპრღობის კანონი - პრინციპი, რომლის თანახმადაც, თუ ქედის მოპირდაპირე ფერდობებს აქვთ სხედასხეა დაქანება, მაშინ ციცაბო ფერდობი ირეცხება უფრო იქარა, ვიდრე დამრეცი და წყალგამყოფი ხაზი ვადანიაცელებს დამრეცი ფერდობისაკენ. ამ კანონს ექვემდებარება საფეხებების უყუსელა და მადლობების ფერდობების განეითარება.

**ЗАКОН РАВНЫХ СКЛОНОВ** - Law of equal slopes - თანაბარი შპრღობის კანონი - პრინციპი, რომლის თანახმად, თუ ორი მეზობელი მდინარე ჩაჭრილია თანაბარ სიდრმეზე, აქვთ ერთნაირი დაქანება და წყლიანობა, მაშინ მათ ემყოფე შუამდინარეთის ფერდობებს განეითარე ერთნაირი დახრილობა და სიგრძე.

**ЗАКОН ТОЛЕРАНТНОСТИ** - Law of tolerance - ტოლერანტობის კანონი - ორგანიზმის (სახის) აყეაების მალიმიტირებელ ფაქტორად შეიძლება იყოს ეკოლოგიური ზემოქმედების როგორც მინიმუმი, ისე მაქსიმუმი. ამ უკანასკნელთა შორის დიაპაზონს განსაზღვრავს ორგანიზმის ატანობის სიდიდე (ტოლერანტობა).

**ЗАКОН ЭКОЛОГИЧЕСКОЙ КОРРЕЛЯЦИИ** - Law of ecological correlation - ეკოლოგიური კორელაციის კანონი - ეკო



სისტემაში, ისე როგორც სხვა რომელიმე მთლიან ბუნებრივ-სისტემურ წარმონაქმნებში (განსაკუთრებით ბიოტიკურ გაერთიანებაში) ყველა მასში შემავალი ცოცხალი სახე და აბიოტიკური ეკოლოგიური კომპონენტები ფუნქციონალურად შეესაბამებიან ერთმანეთს. სისტემის რომელიმე ნაწილის გამოვარდნას (მაგ., სახის განადგურებას) თან მოჰყვება ყველა ამ სისტემის ნაწილთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა მისი ნაწილების გამოვარდნა და ფუნქციონალური შინაგანი დინამიკური წონასწორობის შეცვლა.

**ЗАКРЕПЛЕНИЕ ГРУНТОВ** - Soil fastening - ბრუნტის ბამბარმბა - გრუნტის თვისებების ხელოვნური შეცვლა მშენებლობის ჩასატარებლად მათი წოლის ბუნებრივ პირობებში სპეციალური ფიზიკურ-ქიმიური დამუშავებით.

**ЗАКРЫТАЯ ПОРИСТОСТЬ (ТРЕЩИНОВАТОСТЬ)** - Closed porosity (jointing) - დახშული ფორიანობა (ნაპარალიანობა) - კლდოვან და ნახევრადკლდოვან ქანებში დახშული ფორების ან ნაპარალების არსებობა.

**ЗАКРЫТОСТЬ СИСТЕМЫ** - Closing of system - სისტემის ჩაკმტილობა - სისტემის გარემოსგან მთლიანად იზოლირება.

**ЗАЛЕЧИВАНИЕ ТРЕЩИН** - Fissure healing, welding - ნაპარალების შეშმაბა - ქანებში მინერალიზებული ნივთიერებებით ნაპარალების შევსების ბუნებრივი პროცესი. ნაპარალების შევსებას საინჟინრო გეოლოგიაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი საშუალებით მატულობს ქანის სიმტკიცე და მცირდება წყალგამტარიანობა, განსაკუთრებით ძლიერ დანაპარალიანებული ქანების შემთხვევაში. თუ ნაპარალები შევსებულია უბრალო ნივთიერებებით (კაჟმიწით) ისინი ქმნიან თავისებურ მესერს, რომელიც ქანებზე უფრო მტკიცეა.

**ЗАЛИВ** - Bay, gulf - შბა - ოკეანის (ზღვის) ნაწილი, რომელიც შეჭრილია სიღრმე-

ში ხმელეთისაკენ და სუსტად გამოიყოფა ძირითადი წყლის აუზიდან.

**ЗАЛУЖЕНИЕ ОТВАЛОВ** - Pile-swalling, pile lavning, grassing - ნახარის მოლქპპა (ბაბაღაზინანბა) - ღონისძიებათა კომპლექსი პროდუქტიული ბალახეულის საფარის შექმნისა და აღმოკუნებისათვის.

**ЗАМОРАЖИВАНИЕ ГРУНТОВ** - Soil freezing, glaciation - ბრუნტაბის ბაჟინმა - წყალშემცველი გრუნტების გამაგრება /მაგ., მცურაეების/ ხელოვნური გაყინვის მეთოდით სამთო და საამშენებლო სამუშაოების იოლად შესასრულებლად.

**ЗАНДРОВАЯ РАВНИНА** - Outwash plain, driftless plain, frontal apron - ზანდრული მპპა - დამრეცტალღოვანი ვაკე, რომელიც მდებარეობს უშუალოდ ბოლო მორენის წინ. მიეკუთვნება ყინულოვანი კომპლექსის გარე ზონას. აგებულია ყინულოვანი წყლების შრეებრივი ნალექებით: კენჭნარით, ხრეშით, ქვიშებით, რომლებიც მორენების გადარეცხვის პროდუქტებს წარმოადგენს.

**ЗАПАСЫ ВОДЫ ВЕКОВЫЕ** - Secular water resources - წყლის საშუაუნობრივი მარაბი - მიწისქვეშა წყლების მარაგი წყალშემცველ პორიზონტებში თავისუფალი ზედაპირით წყლის ზონის მერყეობის ქვემოთ და მარაგი, რომელსაც შეიცავს წნევიანი წყალშემცველი პორიზონტი. ბუნებრივ პირობებში წყლის საუკუნეობრივი მარაგი იცვლება მხოლოდ გეოლოგიური დროის ტრილში.

**ЗАПАСЫ ДИНАМИЧЕСКИЕ** - Dynamic reserves - დინამიკური მარაბი - მიწისქვეშა წყლების ნაკადის ბუნებრივი ხარჯი. დინამიკური წყლის მარაგი განისაზღვრება მიწისქვეშა ნაკადის ფორმულით ან არაპირდაპირი გზით, მიწისქვეშა წყლების კვების რაოდენობის მიხედვით.

**ЗАПАСЫ РЕГУЛИРОВОЧНЫЕ** - Controlled reserves - რმბულირმბაღი მარაბი - სტატიკური მარაგი თავისუფალი ზედაპირის მქონე მიწისქვეშა წყლების დონის მერყეობის ზონაში.

**ЗАПАСЫ СТАТИЧЕСКИЕ** - Static resources - სტატიკური მარაგები - გრავიტაციული წყლის მოცულობა, რომელიც იმყოფება წყალშემცველ ქორიზონტში ან აუზში. სტატიკური მარაგის სიდიდე განისაზღვრება გეომეტრიული ზომებით და წყალნაჯერი შრიდან წყალგაცემით.

**ЗАПАСЫ ЭКСПЛУАТАЦИОННЫЕ** - Exploitation resources - სამსახურშატაციო მარაგი - მიწისქვეშა წყლების რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ტექნიკურ-ეკონომიკურად გამართული რაციონალური კაპტაჟის საშუალებით, გაანგარიშებული საექსპლუატაციო დროის პერიოდში.

**ЗАСОЛЕНИЕ ПОЧВ** - Soil salinization, ground salting - ნიადაგების დამლაშება - ნიადაგებში იმ მარილების დაგროვება, რომლებიც მავნე სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისათვის. მარილიანად ითვლება ნიადაგები წყალში ხსნადი მარილების 0.25%-ზე მეტი შემცველობით. დამარილიანების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებია: გრუნტის წყლის დონის დაწვეა, დრენაჟი, გარეცხვა და სხვა.

**ЗАСУХА** - Drought - ბზალვა - ბუნებრივი მოვლენა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მიწის რესურსების საწარმოო სისტემაზე.

**ЗАСУШЛИВЫЕ, ПОЛУЗАСУШЛИВЫЕ И СУХИЕ СУБГУМИДНЫЕ РАЙОНЫ** - Arid, semi-arid and dry subhumid regions - არიდული, ნახევრად არიდული და შერაღი სუბნოტიო რაიონები - პოლარული და სუბპოლარული რეგიონებისგან განსხვავებული რაიონები, რომლებშიც წლიური ნალექების თანაფარდობა პოტენციურ აროთქლებასთან ცვალებადობს 0.05-დან - 0.65-მდე.

**ЗАТОПЛЕНИЕ** - Flooding - ღატბორვა - გარკვეული დროით ტერიტორიის წყლით დაფარვა, წყალდიდობის, წყალმეტობისა და წყალმოვარდის პერიოდში.

**ЗАЩИТА АТМОСФЕРНОГО ВОЗДУХА** - Air protection - ატმოსფერული ჰაერის

დაცვა - სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებებისგან დასაცავად.

**ЗАЩИТА ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ** - Environmental protection - გარემოს დაცვა - ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებულ ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას.

**ЗАЩИТНОЕ ЛЕСОРАЗВЕДЕНИЕ НА ОТВАЛАХ** - Protecting forest growing on piles - დამცველი ტყის ბანაშინიანება ნაშარვა - ქარისა და წყლის ეროზიისაგან ტექნოგენური რელიეფის ზედაპირის დაცვის და სოფლის მეურნეობის ნათესების პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით მასიურ-კულტურული ტყის განაშენიანება.

**ЗЕЛЕНЫЕ НАСАЖДЕНИЯ** - Green plantations - მწვანე ნარბაჰები - თანამედროვე დასახლებული პუნქტების მწვანე ნარგავების მთავარი ფუნქციაა სანიტარიულ-ჰიგიენური, რეკრეაციული, სტრუქტურულ-დაცემარებითი, დეკორატიული გარემოს შექმნა. გამწვანების სისტემის მთავარი მოთხოვნაა თანაფარდობა და უწყვეტობა. გამწვანების მთავარი ელემენტებია: პარკები, ბაღები, გამწვანებული საცხოვრებელი და საწარმოო რაიონები, სანაპიროები, ბუღევარები, სკვერები, დამცველი ზონები და სხვა.

**ЗЕМЕЛЬНЫЙ ОТВОД** - Allotment of a plot - მიწის ბამოჰოვა - მიწის კონკრეტული უბანი, რომელიც გადაეცემა სარკებლობისათვის ორგანიზაციას, წარმოებას, მეურნეობას ან პიროვნებას განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულებით (მათ შორის სამთო წარმოებას საკარიერო მეურნეობისთვის).

**ЗЕМЕЛЬНЫЙ ФОНД ПЛАНЕТЫ** - Land fund of the planet - პლანეტის მიწის ფონდი - ოОН-ის მიხედვით მსოფლიო მი-

წის ფონდი შეადგენს 13,17 მილიარდ ჰა-ს, ის იყოფა: მიწები, რომლებიც მუშაუდება შეადგენს დაახლოებით - 1,5 მილიარდ ჰა-ს (11%), საძოვრები-3,2 მილიარდ ჰა-ს (24%), ტყეები და ბუჩქნარი - 4,07 მილიარდ ჰა-ს (31%) და სხვა სივრცე (ქვიშინი, ქვიანი - 4,4 მილიარდ ჰა-ს (34%).

**ЗЕМЛЕВАНИЕ** - Grounding, soiling - ბამიწინანება (მიწით ბანოშირება) - ნიადაგის გაუმჯობესების კომპლექსი ნოყიერი მიწების, ასევე პოტენციურად ნოყიერი ნიადაგის მოჭრის, ტრანსპორტირებისა და ამ ნიადაგებით ნაკლებად ნოყიერი მიწების დაფარვა.

**ЗЕМЛЕТРЯСЕНИЕ** - Earthquake - მიწისძვრა - სეისმური მოვლენები ანუ მიწისქვეშა ბიძგები და მიწის ზედაპირის რყევა. გამოწვეული დედამიწის ქერქში ან მანტიის ზედა ნაწილში მოულოდნელი გადაადგილებისა და წყვეტის შედეგად, რომლებიც ურცევლდება დიდ მანძილზე დრეკადი ტალღების სახით. მიწისძვრის მიზეზი მეტწილად დაკავშირებულია დედამიწის წიაღში პოტენციური ენერგიის კინეტიკურ ენერგიაში მყისურ გადასვლასთან, აგრეთვე უულკანურ მოვლენებთან.

**ЗЕМЛЯ** - Land, ground - მიწა - ხმელეთის ბიოპროდუქტული სისტემა, რომელიც მოიცავს ნიადაგს, მცენარეულ საფარს, სხვა ბიომასებს და გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და გეოლოგიურ პროცესებს, რომლებიც მოქმედებენ ამ სისტემაში.

**ЗЕРКАЛО ГРУНТОВЫХ ВОД** - Underground water table - მიწისქვეშა წყლების საფარი - მიწისქვეშა წყლების თავისუფალი ზედაპირი.

**ЗЕРКАЛО СКОЛЬЖЕНИЯ** - Gliding surface - სრიალის სარკმ ნიბრტხმ/ - ქანებზე ხახუნით შექმნილი გლუვი სიბრტყე წარმოქმნილი მათ უძრავ ზედაპირზე პორიზონტალური გადაადგილების შედეგად. სრიალის სარკე უმეტესწილად წარმოიშობა ტექტონიკური გადაადგილებისას და მეწყრების ცოცვითი მოძრაობისას.

**ЗЕРНОВОЙ СОСТАВ ГОРНЫХ ПОРОД** - Granular composition of rocks - ქანის მარცვლოვანი შედგენილობა - იგივე, რაც ქანის გრანულომეტრული შემადგენლობა.

**ЗОЛА БУРОУГОЛЬНАЯ** - Browncoal ash - მურა ნახშირის ნაცარი - მტვრისებური პროდუქტი, მიღებული თბოელექტროსადგურებში მურა ნახშირის წვის შედეგად.

**ЗОЛЬ** - Sol colloidal solution - ზოლი - კოლოიდური ხსნარი - პეტეროგენული დისპერსიული სისტემები მეტად მაღალი დისპერსიულობით. გელებისაგან განსხვავებით, ზოლების დისპერსიული ფაზების ნაწილაკები /მიცვლები/ არ არიან დაკავშირებული სივრცობრივ სტრუქტურებთან.

**ЗОЛЛИ** - Kettle hole - ზოლლი - მცირე ზომის მრგვალი ფორმის ჩაღრმავებები, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდებიან ძველი მეოთხეული გამყინვარების მხარეებში ზანდრულ ვაკეებზე, უმეტესწილად შეესებული არიან მცირე ზომის ტბებით. ზოლების უმეტესობა წარმოიქმნება ცალკეული დამარხული ლოდების გაღსობით.

**ЗОЛОТВАЛ** - Ashdispasal arca, ash dump - ნაცარის საჭრელი აღბილი - სპეციალური ადგილი, გამოყოფილი ელექტროსადგურში გამოუმუშავებული ნაცარის დასაგროვებლად და შესანახად.

**ЗОНА** - Zone - ზონა - (ჰიდროგეოლოგიაში) ტერმინი, რომელიც ხშირად იხმარება ოლქის, ფართობისა და რაიონის ტოლფასად.

**ЗОНА АЭРАЦИИ** - Aeration zone - აერაციის ზონა - მიწის ქერქის ყველაზე ზედა ზონა, მოქცეული მიწის ზედაპირსა და გრუნტის წყლების სარკეს შორის. აერაციის ქანების ფორებში, ნაპრალებისა და სხვა სიცარიელებებში იმყოფება აფსკური და კაპილარული წყლები. იშვიათად მათში ჩაიყოფება გრავიტაციული წყლები. სიცარიელებების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია წყლის ორ-

თქლით და ჰაერით. წყლის ორთქლის ყოფნა სიცარიელებში ყველაზე უფრო დამახასიათებელია აერაციის ზონისათვის.

**ЗОНА БИОЛОГИЧЕСКОГО ЗАГРЯЗНЕНИЯ** - Zone of biological pollution - ბიოლოგიური ღაბინძურების ზონა - ტერიტორია ან აკვატორია, რომლის ფარგლებშიც გავრცელებულია ან შეტანილია სახიფათო ბიოლოგიური ნივთიერებები, ან პათოგენური მიკროორგანიზმები, რომლებიც ხიფათს უქმნიან ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, შინაურ ცხოველებსა და მცენარეებს, აერეთვე გარემოს.

**ЗОНА ВЕРОЯТНОЙ ПРИРОДНОЙ ЧРЕЗВЫЧАЙНОЙ СИТУАЦИИ** - Zone of expected (probable) natural emergency situation - მოსალოდნელი (სამარაპული) ბუნებრივი საგანგებო სიტუაციის წარმოშობის საშიშროება. **ЗОНА ВЛИЯНИЯ СКВАЖИНЫ (КОЛОДЦА)** - Zone of well effect - ჰაბშურლილის ბაშენის ზონა - შრის ნაწილი მოქმედი ჰაბურლილის გარშემო. განისაზღვრება პიდროდინამიკური ველით, რომელიც მოცემული ჰაბურლილისათვის, მისი სანგრევის ზონაში, წარმოადგენს დერევისიელ ძაბრის წნევის მნიშვნელოვანი დაწვეით.

**ЗОНА ВЫВЕТРИВАНИЯ** - Belt of weathering layer - ბამოჟიტის ზონა - მიწის ქერქის ზედა ნაწილი, რომელშიც მიმდინარეობს გამოფიტვის პროცესები. მის სიღრმეს ზოგიერთი მეცნიერი 0.5 კმ-მდე ითვალისწინებს. ინტენსიური გამოფიტვის პროცესები, ჩვეულებრივ, ვრცელდება მსოფლიო რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეზე.

**ЗОНА ВЫЩЕЛАЧИВАНИЯ** - Leached (out) zone - ბამოტშტის ზონა - მადნეული (სულფატური) ნამარხების ზედაპირული ზონა, რომელიც არ შეიცავს მადნის

მინერალებს გამოტუტვის პროცესის გამო. დამახასიათებელია მრავალი ნაწიწკლული ტიპის (პორფირული) სპილენძის მადნისათვის.

**ЗОНА ГОДОВЫХ И СЕЗОННЫХ КОЛЕБАНИЙ ТЕМПЕРАТУРЫ** - Zone of annual and seasonal temperature variation - ტამპერატურის წლიური და სემონური რყმის ზონა - მიწის ქერქის ზედა ნაწილი, სადაც ქანის ტემპერატურა წლის განმავლობაში იცვლება ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის ზეგავლენით.

**ЗОНА ЗАТОПЛЕНИЯ** - Zone of inundation - ღატპორვის ზონა - ტერიტორია, რომელიც იფარება წყლით, მდინარეებში წყალდიდობისა და წყალმოვარდნის პირობებში, როდესაც მათი კალაპოტები ვერ ატარებენ წყლის მაქსიმალურ ხარჯს, ანდა დახშულ ტბებში წყლის დონე აიწვეს მაქსიმალურ ზღურამდე.

**ЗОНА ЗЕЛЕНАЯ** - Green zone - მწმანმ ზონა - 1. ქალაქარეთ ტერიტორია დაკავებული ტყით ან ტყე-პარკებით, რომლებიც ასრულებენ დაცვით, სანიტარიულ-პიგიენურ ფუნქციებს და ჩვეულებრივ წარმოადგენენ მოსახლეობის დასახევენებელ ადგილს; 2. ფართო სარტყელი /50 კმ-მდე/ ქალაქების ან სხვა დასახელებული პუნქტების ირგვლივ, სადაც შემორჩენილია ხელუხლებელი მცენარეულობა, ბუჩქნარი, ბალახეული საფარი და ცხოველთა სამყარო, რომელთა მიზანია შექმნან გარემოს ვაწმენდის პირობები.

**ЗОНА ИЗБЫТОЧНОГО УВЛАЖНЕНИЯ** - Superfluous humidification zone: surplus wetting zone - ჰარბი ღატმნიანბის ზონა - დედამიწის ის ზონა, რომლის ფარგლებშიც მოსული ატმოსფერული ნალექები წლის განმავლობაში, მრავალწლიან პერიოდში, საშუალოდ აღემატება ორთქლების სიღრმეს.

**ЗОНА ИНФИЛЬТРАЦИИ** - Infiltration zone - ინფილტრაციის ზონა - ზონა, რომ-

ლის ფარგლებში ხდება წყლის ჩაჟონება /ინფილტრაცია/.

**ЗОНАЛЬНОСТЬ ГИДРОДИНАМИЧЕСКАЯ ПОДЗЕМНЫХ ВОД** - Underground water hydrodynamical zonation - მიწისქვეშა წყალბის ჰიდროდინამიკური ზონალობა - ვერტიკალურ ჭრილში სხვადასხვა ზონების გამოყოფა ქანების წყალგაცვლის აქტიურობის მიხედვით.

**ЗОНАЛЬНОСТЬ ГРУНТОВЫХ ВОД** - Ground water zonation - ბრუნტის წყალბის ზონალობა - მიწის ქერქში გრუნტის წყლების განაწილების კანონზომიერება ცალკეული ადგილებისათვის დამახასიათებელი თვისებებით.

**ЗОНА МНОГОЛЕТНЕМЕРЗЛЫХ ПОРОД /ОБЛАСТЬ ВЕЧНОЙ МЕРЗЛОТЫ, КРИОЛИТОЗОНА/** - Pergelisol zone, perpetually frozen zone - ძანნების მრავალწლიური ბაჟინფარების ზონა /მუდმივი მზრალობის ოლქი, კრიოლიტოზონა/ - ლითოსფეროს განსაკუთრებული ნაწილი ან ოლქი, რომელიც აგებულია მრავალწლიური მზრალი ნიადაგებისგან, გრუნტებისა და ქანებისგან.

**ЗОНА НАСЫЩЕНИЯ** - Zone of saturation - ბაჟინფარების ზონა - მიწის ქერქის ნაწილი, სადაც წყალგამტარი ქანები გაჯერებულია წყლით.

**ЗОНА НЕДОСТАТОЧНОГО УВЛАЖНЕНИЯ** - Zone of insufficient wetting, humidification - არასაკმარისად დატენიანებული ზონა - მიწის ზონა, სადაც აორთქლების სიდიდე წლის განმავლობაში აღემატება მოსულ ატმოსფერულ ნალექებს.

**ЗОНА НЕУСТОЙЧИВОГО УВЛАЖНЕНИЯ** - Zone of unstable humidification - არამდგრადი დატენიანების ზონა - გარდამავალი ზონა გაჯერებულიდან გაუჯერებელ მდგომარეობამდე.

**ЗОНА ОБРУШЕНИЯ** - Collapse zone - ჩამონგრევის ზონა - ქანების დაძვრის ის ნაწილი, რომელსაც თან სდევს ჩამონგრევა.

**ЗОНА ОКЕАНА /МОРЯ/ ЭКОЛОГИЧЕСКАЯ** - Ocean sea ecological zone - ოკეანის /ზღვის/ ეკოლოგიური ზონა - ოკეანის ან ზღვის ზონა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ბუნებრივი პირობებით მისი დანარჩენი ნაწილისგან. მათგან არჩევენ: სანაპირო, ღია ზღვის და ღრმა წყლის ზონებს.

**ЗОНА ОПОЛЗНЕВЫХ СМЕЩЕНИЙ** - Zone of landslide displacement - მუჟრების ბადანაცვლების ზონა - მეწყრის სხეულის ყველაზე მეტად დეფორმირებული ქვედა ნაწილი, რომელიც მდებარეობს გადაუნაცვლებელი ქანების საზღვარზე.

**ЗОНА ОСЛАБЛЕНИЯ ПОРОД** - Zone of rock weakness - ძანნების შესუსტების ზონა - ზონა, რომლის ფარგლებში ქანების სიმტკიცე დაქვეითებულია ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედებით.

**ЗОНА ОТДЫХА** - Recreation zone - მასვენების ზონა - ტრადიციულად გამოყენებული ბუნებრივი ან სპეციალურად ორგანიზებული ტერიტორია, რომელსაც დასახლებული პუნქტის მოსახლეობა იყენებს დასასვენებლად. ეს ზონა, ჩვეულებრივ, მდებარეობს მწვანე ზონაში, ასევე შეიძლება იყოს დასახლებულ პუნქტში (პარკი, სკვერი და სხვ.).

**ЗОНА ПИТАНИЯ СЕЛЕВОГО ПОТОКА** - Mudflow alimentation zone - მკარცოფის ნაკადის კვების ზონა - აუზის ნაწილში განლაგებული ღვარცოფების მყარი და თხევადი შემადგენლის ძირითადი კვების კერები, რომელთა ფორმირებით ხდება ღვარცოფული ნაკადების წარმოქმნა.

**ЗОНА ПЛАСТИЧНОСТИ ГОРНЫХ ПОРОД** - Zone of rock plasticity - ძანნების კლასტიკურობის ზონა - მიწის ქერქის ღრმა ზონა, სადაც სამთო წნევის მოქმედებით ქანებში იხურება ყველა სიციარიელი.

**ЗОНА ПОДПОРА ПОДЗЕМНЫХ ВОД** - Underground water zone - მიწისქვეშა წყლის შუბტოროვის ზონა - ზონა, სადაც

მიწისქვეშა წყლების დონის აწევა ხდება წყალსაცავების გავლენით.

**ЗОНА ПОСТОЯННОЙ ГОДОВОЙ ТЕМПЕРАТУРЫ ЗЕМНОЙ КОРЫ** - Zone of constant annual temperature of earth crust - დედამიწის ძირის მუდმივი წლიური ტემპერატურის ზონა - დედამიწის ქერქის ზონა, სადაც ქანებს მიწის ზედაპირიდან აქეთ მუდმივი ტემპერატურა და ახლოა ქაერის წლიურ საშუალო ტემპერატურასთან. ეს ტემპერატურა დამოკიდებულია ადგილის კლიმატურ, ლითოლოგიურ, გეოლოგიურ და რელიეფურ პირობებზე.

**ЗОНА ПРОМЕРЗАНИЯ** - Freezing zone - ბაყინვის ზონა - დედამიწის ქერქის ზედაპირული ნაწილი, სადაც, გრავიტაციული წყლები ზამთარში გარდაიქმნებიან ყინულად.

**ЗОНА ПРОСАДКИ, ПРОВАЛОВ** - Subsidence, caving sink zone - დაჭვრების, ჩაძვრის ზონა - ზედაპირის უბანი (ნაწილი), რომელიც მდებარეობს ჩამონგრევის ზონის თავზე ქანების მთლიანობის წყვეტით ან უწყვეტად.

**ЗОНА РАЗГРУЗКИ СЕЛЕВОГО ПОТОКА** - Mudflow relaxation zone - ლვარცოვის ნაკადის განტვირთვის ზონა - აუზის ნაწილი, სადაც ხდება ლვარცოვის მყარი ნაწილის მოძრაობის ჩაქრობა.

**ЗОНА САНИТАРНОЙ ЗАЩИТЫ** - Sanitary protection zone - სანიტარული დაცვის ზონა - მანძილი დასახლებული პუნქტებიდან იმ ობიექტამდე, რომელთა ტექნოლოგიური პროცესები წარმოადგენენ გარემოზე მავნე ფიზიკური და ბიოლოგიური ზემოქმედების წყაროს.

**ЗОНА СЕЗОННОМЕРЗЛЫХ ПОРОД/СЕЗОННАЯ МЕРЗЛОТА** - Zone of seasonally frozen ground - სეზონურად მზრალი ძანების ზონა (სეზონური მზრალობა) - ნიადაგებისა და ქანების გრუნტების ის ზონა, სადაც წლის განმავლობაში ადგილი აქვს მათ პერიოდულ გაყინვასა და გაღვობას.

**ЗОНА ТРАНЗИТА СЕЛЕВОГО ПОТОКА** - Mudflow transit zone - ლვარცოვის ნაკადის ტრანზიტის ზონა - აუზის ნაწილი, რომელშიც მიმდინარეობს უკვე ჩამოყალიბებული ლვარცოვის ნაკადის მოძრაობა, აქვე ხდება მისი შევსება მყარი მასალით გვერდითი და ხიდრბითი ეროზიის ხარჯზე.

**ЗОНА ТРЕЩИИ ЗАКОЛА** - Fracture spalling zone - ნაპრაღის ჩამოხმობის ზონა - ზონა, რომლის ფარგლებში დროის განმავლობაში მეწყრული პროცესების მოქმედებით მოწყდება ქანის მორიგი ბლოკი.

**ЗОНА ФОРМИРОВАНИЯ СЕЛЕЙ** - Mudflow formation zone - ლვარცოვის ჩამოყალიბების ზონა - აუზის ნაწილი, სადაც მდებარეობს ლვარცოვების ჩამოყალიბების ძირითადი კერები.

**ЗОНА ЦЕМЕНТАЦИИ** - Cementation zone - ცემენტაციის ზონა - ზონა, რომლის ფარგლებში ქანების ფორმებში იღვქება შემაცემენტებელი ნივთიერება.

**ЗОНЫ ГЕОГРАФИЧЕСКИЕ/ЛАНДШАФТНЫЕ, ПРИРОДНЫЕ** - Geographical/landscape, natural/ zone - გეოგრაფიული ზონები /ლანდშაფტური, სუნამარივი/ - დედამიწის ზედაპირის ლანდშაფტურ გეოგრაფიული დანაწილება, რომლებიც ხასიათდებიან მსგავსი ბუნებრივი პირობებით ვასწვრივი განვრცობით, თანდათანობითი შეცვლით განივი და პიფსომეტრიული სიმაღლეების მიხედვით. მათ არ ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული ვადასელის საზღვრები, თანდათანობით გადადიან ერთი მხორგში. არსევენ გეოგრაფიული ზონის ორ ტიპს: განედურს (პორიზონტალური) და ვერტიკალურს.

**ЗЫБУН/ТРЯСИНА** - Free-floating margin of mat /quagmire/ - ჭაობიანი ალპილი (ჭანპრობი) - ადგილი, რომელიც დაფარულია მცენარეული საფარით /სიმკლავრით 1-2 მ/, ადამიანის მოძრაობისას ადგილი აქვს გრუნტის აწეუ-დაწევას.

წარმოშობიან ტბებსა და სხვა ბუნებრივ წყალსატევებში მცენარეულობის ფესვებისა და ღეროების ურთიერთგადახლართვის შედეგად.

**ЗЫБЬ** - Swell, surge, ripple - ჰაველი /ლიტვინი/ - გრძელი, დამრეცი ტალღები

ოკეანის და ზღვის ზედაპირზე. წარმოშობიან ქარის ტალღებისგან მათი სრული შეწყვეტის ან ტალღების გამოსვლის შემდეგ, მათი წარმოშობის რაიონიდან აკვატორიის იმ ნაწილში, სადაც ქარი არ ქრის.

**И**

**ИЕРАРХИЯ ГЕОСИСТЕМ (КЛАССИФИКАЦИЯ ИЛИ ТАКСОНОМЕТРИЧЕСКИЙ РЯД ГЕОХОР)** - Hierarchy of geosystem/classification or taxonomic series of geochore/ - გეოსისტემის იერარქია /კლასიფიკაცია/

კაცია ან გეოქორის ტაქსონომეტრიული რიგი/ - გეოსისტემის თანდაქვემდებარება /გეოქორი/, დაფუძნებული მათი „სიერცობრივი მოზაიკის“ კარტოგრაფიულ გამოვლინებაზე /ვ.სენოვა/.

სიდიდის განზომილება	გეოქორის რიგი	
1	2	
პლანეტარული	პლანეტარული გეოსისტემა ფიზიკურ-გეოგრაფიული სარტყელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქების ჯგუფი სუბკონტინენტი და მისი შესატყვისი მდებარეობა	
რეგიონალური	ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქი	
	განედური ზონალებით ბუნებრივი ზონა ქვეზონა პროვინცია	ვერტიკალური სარტყლებით პროვინციების ჯგუფი პროვინცია
ტიპოლოგიური	მაკროგეოქორა /ოლქი, ღანდშაფტი/ ტოპოგეოქორა /რაიონი/ მეზოგეოქორა /ადგილი, ადგილთა ჯგუფი/ მიკროგეოქორა /ადგილი/ ელემენტარული პეტეოგენული არეალი ელემენტარული გეოქორა	

**ИЗБИРАТЕЛЬНАЯ ДЕНУДАЦИЯ** - Selective denudation - შერჩევითი დენუდაცია - დენუდაცია, რომლის ინტენსიურობა საგრძნობლად იცვლება გავრცელებული ქანების სიმტკიცისა და მდგრადობის მიხედვით.

**ИЗМЕНЕНИЕ ГЕОЛОГИЧЕСКОЙ СРЕДЫ ПРИ РАЗРАБОТКЕ МЕСТОРОЖДЕНИЙ ПОЛЕЗНЫХ ИСКОПАЕМЫХ** - Geological medium /environment/ change at mining - გეოლოგიური გარემოს შეცვლა სასარ-

გვლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისას - სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების შედეგად ხდება საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ცვლილება და გეოლოგიური გარემოს შესაბამისი გარდაქმნა საბადოს კონტურის გარეთ.  
**ИЗОБАРЫ** - Isobar - იზობარა - ატმოსფერული წნევის თანაბარი ხაზები.  
**ИЗОБАТЫ** - Isobath, depth contour - იზობათები - წყლის აუზის თანაბარი სიღრმის ხაზები /ტბა, ზღვა, ოკეანე/.

**ИЗОКЛИПЫ** - Isoclinal line - იზოკლინაპ-ბი - ხაზი, რომლის გასწვრივ სინქარის ეპექტორს აქვს ერთი და იგივე მიმართულება.

**ИЗОПЬЕЗЫ/ГИДРОИЗОПЬЕЗЫ** - Isopiestic line/hydroisopiestic line/ - იზოპიესპი-ბი /ჰიდროიზოპიესპიზმი/ - ხაზები გეომაზე ან რუკაზე, რომლებიც აერთებენ ერთნაირი, პიეზომეტრული დონეების მქონე წერტილებს.

**ИЗОСЕЙСТЫ** - Isoscismal line - იზოსეისტაპი - იმ წერტილების შემაერთებული ხაზები რუკაზე, რომლებშიც მიწისძვრა თანაბარი ძალით გამოვიდა.

**ИЗОТАХИ** - Isotach - იზოტაქი - სითხის მოძრაობის ერთნაირი სინქარის მქონე წერტილების შემაერთებული ხაზები.

**ИЗОТРОПИЯ** - Istrophy - იზოტროპია - აირების, სითხეების, ამორფული ნივთიერებების თვისებათა ერთგვარობა ყველა მიმართულებით (საპირისპირო ანიზოტროპია).

**ИЗОТЕРМИЧЕСКИЙ** - Isothermal - იზოთერმული - 1. რაც ერთნაირი, მუდმივი ტემპერატურის პირობებში ხდება. 2. რაც ერთნაირ, მუდმივ ტემპერატურას ინარჩუნებს.

**ИЗОТЕРМЫ** - Isotherms - იზოთერმები - 1. საშუალო ტემპერატურის ადგილთა შემაერთებული ხაზები რუკაზე.

2. ერთნაირი ტემპერატურის წერტილების შემაერთებული ხაზები, სითბური პროცესების გამომხატველ დიაგრამაზე.

**ИЗОТРОПНЫЕ ПОРОДЫ** - Isotropic rock - იზოტროპული ქანები - ქანები, რომლებიც ყველა მიმართულებით ერთნაირი საინჟინრო-გეოლოგიური თვისებებით ხასიათდებიან (В. Д. Ломтадзе).

**ИЛОВАЯ РАПА** - Silt brine - ლამიანი მარილ-კაშუ - ავსებს სიცარიელესა და ფორებს ტბისა და ზღვის ლამიან ნალექებში.

**ИНВАРИАНТ ЛАНДШАФТА** - Landscape invariant - ლანდშაფტის ინვარიანტი - (ლათინური სიტყვიდან შეუცვლელი) ინვარიანტად ითვლება ნებისმიერი რანგ-

ის გეოსისტემის თვისება, რომელიც ტრანსფორმაციის პროცესში გარე სეიზოქმედების შედეგად რჩება პრაქტიკულად უცვლელი. ყოველი ინვარიანტი ბოლოს და ბოლოს ექვემდებარება გარდაქმნას, მაგრამ არა დინამიკის სახით, არამედ ევოლუციური პროცესის ვანეთოარებით. ლანდშაფტის ინვარიანტად ითვლება მისი ევრტიკალური, პორიზონტალური და დროებითი სტრუქტურა. ინვარიანტული თვისებების საფუძველზე შეიძლება მოხდეს ლანდშაფტის იერარქიული, გენეტიკური კლასიფიკაცია (Сочини. 1978).

**ИНВЕНТАРИЗАЦИЯ НАРУШЕННЫХ ЗЕМЕЛЬ** - Inventory of disturbed land - უზარბისი მიწების ინვენტარიზაცია - მიწების აღრიცხვა და კარტოგრაფირება მათი ფართობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის განსაზღვრით.

**ИНВЕНТАРИЗАЦИЯ ПРИРОДНЫХ РЕСУРСОВ** - Inventory of mineral resources - ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაცია - რაოდენობის აღრიცხვა, თვისება, მარაგის დინამიკა და ექსპლუატაციის ხარისხი, ბუნებრივი რესურსების სხვადასხვა სტატისტიკური ანგარიშის შესაღვენად, დაცვის პროგრამის და რაციონალური გამოყენებისათვის.

დარღვეული მიწების ინვენტარიზაცია შეიცავს: აღრიცხვასა და კარტოგრაფირებას, მათი ფართობის განსაზღვრას და თვისებებს. ტყის რესურსების ინვენტარიზაცია შეიცავს: ტყის ფართობს, სტატისტიკურ აღრიცხვას, ვატიანების ხარისხს, ტყის შედგენილობის თვისებას, ტყის მარაგს, ყოველწლიური ზრდის რაოდენობას, ტყის ექსპლუატაციის რაოდენობას, ტყის მეურნეობის ორგანიზაციას.

**ИНГРЕССИЯ МОРЯ** - Sea ingression - ხლვის ინგრესია - ზღვის შემოჭრა ხმელეთზე, როცა ზღვის სანაპირო ზოლის ევსტატიკური დონის აწევის ან ხმელეთის ტექტონიკური დაწევის გამო იტბორება სანაპიროს დაბალი ადგილები



/მდინარის შესართავეები, დაბლობები და სხვ./

**ИНДЕКС /ПОКАЗАТЕЛЬ/** - Index - ინდექსი /მაჩვენებელი/ - ტერმინი ინდექსი გამოიყენება სხვადასხვა მოვლენების მაჩვენებლის აღსანიშნავად. ასე, მაგალითად: არიდულობის ინდექსი, ტენიანობის, გატუქვითანების, ჰუმიდურობის, მოსახლეობის სიმჭიდროვის ინდექსი და სხვ.

**ИНДИКАТОР** - Indicator - ინდიკატორი - ფიზიკური მოვლენა, ქიმიური ნივთიერება ან ორგანიზმი, რომელთა არსებობა, რაოდენობა ან მდგომარეობის შეცვლა (ინტენსიურობის, ფერის, მოქმედების და სხვა) მიუთითებს მათ თავისებურებებზე ან გარემოს თვისებების შეცვლაზე. არჩევენ: ბოტანიკურ, პიდროლოგიურ, ლანდშაფტურ და სხვა ინდიკატორებს.

**ИНДИКАТОР ЗАГРЯЗНЕНИЯ** - Pollution indicator - ბაზუზჰშიანბის ინდიკატორი - იძლევა სიგნალს გამატუქვითანებლის რაოდენობის ან ხარისხობრივი შემადგენლობის შეცვლაზე გარემო პირობებში. შეიძლება იყოს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ვარიანტებით. ბიოლოგიური გატუქვითანების ინდიკატორს ასევე უწოდებენ აპრობიონტებს.

**ИНДИКАТОР ЛАНДШАФТА** - Landscape indicator - ლანდშაფტის ინდიკატორი - ლანდშაფტწარმომშობი ელემენტები: (კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი, მცენარეულობა, გეოლოგიური აგებულება, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები, გეოლოგიური მოვლენები), რომლებიც ლებულობზე მონაწილეობას ერთგვაროვანი ხასიათის მქონე ტერიტორიის წარმოქმნაში (В. Д. Ломтадзе, 1999).

**ИНДИКАЦИОННОЕ ДЕШИФРИРОВАНИЕ** - Indicational deciphering, indication interpretation - ინდიკაციური დეშიფრირება - აეროკოსმიური ავგემის მასალის დეშიფრირება, რომელიც დაფუძნებულია ინდიკატორებისა და ინდიკატების კავშირის გამოყენების საფუძველზე.

**ИНЖЕНЕРНАЯ ГЕОДИНАМИКА** - Engineering geodynamics - საინჟინერო გეოლოგიის მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთი ნაწილია. სწავლობს გეოლოგიურ პროცესებს და მოვლენებს როგორც ბუნებრივად წარმოქმნილს, ასევე ტერიტორიის საინჟინერო-სამეურნეო გამოყენებასთან კავშირში. საინჟინერო გეოდინამიკის საბოლოო ამოცანას წარმოადგენს გეოლოგიური პროცესების მეცნიერული საფუძვლებისა და მართვის მეთოდების დამუშავება და გეოლოგიური გარემოს რაციონალური გამოყენება. საინჟინერო გეოდინამიკა სწავლობს და ამუშავებს: 1. ყველა სახის ეგზოგენური და ზოგიერთი ენდოგენური პროცესებისა და მოვლენების გავრცელების კანონზომიერებებს, რომლებშიც მიმდინარეობენ დედამიწის ზედაპირზე და მიწის ქერქის ზედა პერიზონტებში; 2. ადამიანის საინჟინერო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული გეოლოგიური პროცესების წარმოქმნის კანონზომიერებებს; 3. სხვადასხვა გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების განვითარების დინამიკასა და მექანიზმს, მათი გამოვლინების ფორმებს და სხვადასხვაგვარი ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორებით განპირობებას; 4. გეოლოგიური პროცესების შესაძლო გავლენას რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდებით შეფასებას ტერიტორიის და ნაგებობის სიმდგრადეზე და მათი ექსპლუატაციის პირობებზე; 5. გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების საშიშროების თეორიული საფუძვლების პროგნოზს, მათი განვითარების ლოკალიზაციას ან გაუვნებლობას და ტერიტორიის საინჟინერო დაცვით ღონისძიებებს.

**ИНЖЕНЕРНАЯ ГЕОЛОГИЯ** - Engineering geology - საინჟინერო გეოლოგია - გეოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ნაგებობების მშენებლობის საინჟინერო-გეოლოგიურ პირობებს, გეოლოგიური გარემოს რაციონალურ

გამოყენებასა და დაცვის საკითხებს, გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების განვითარებასთან კავშირში. მისი კვლევის პრობლემების სფეროში შედის: ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ფორმირების, გეოლოგიური გარემოს ზონაში მოქცეული ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, ბუნებრივი გეოლოგიური და საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული პროცესებისა და მოვლენების კანონზომიერების დადგენა. ეს არის პრობლემათა კრიტერიუმი, რომელიც ახასიათებს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების არაერთგვაროვნებისა და ცვალებადობის კანონზომიერ განაწილებას, გეოლოგიური სივრცის ორგანიზაციას, გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების პროგნოზირებას და მართვას ადამიანისთვის საჭირო მიმართულებით.

**ИНЖЕНЕРНАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ЧЕЛОВЕКА** - Human engineering activity - ადამიანის საინჟინრო საქმიანობა - ყოველგვარ ნაგებობათა აგება და მისი თანმსლები სამუშაოები.

**ИНЖЕНЕРНАЯ МЕЛИОРАЦИЯ ГРУНТОВ** - Ground engineering reclamation - ბრუნტაპის საინჟინრო მელორაცია - გრუნტების ბუნებრივი მდგომარეობის ხელოვნური გაუმჯობესება; ჩვეულებრივად დაკავშირებულია მიძივ საპასუხისმგებლო ნაგებობათა აშენებასთან არახელსაყრელ გეოლოგიურ პირობებში. ძირითადად გამოიხატება შემდეგში: 1. მექანიკური სიმტკიცისა და წყალმედულობის გაზრდაში; 2. წყალშელწვეადობის შემცირებაში; 3. გაუწყლოებაში. ეს შეთოდება: ცემენტაცია, გათიხვა, ბითუმიზაცია, გაყინვა, დაშრობა და სხვ.

**ИНЖЕНЕРНАЯ ПЕТРОЛОГИЯ** - Engineering petrology - საინჟინრო პეტროლოგია - საინჟინრო გეოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ქანებს საინჟინრო თვალსაზრისით.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКАЯ ГРУППА ПОРОД** - Engineering-geological group (complex) of rocks - ქანების საინჟინრო გეოლოგიური ჯგუფი - ი. კოპოვის მიხედვით. ეს არის ქანების ისეთი დაყოფა, რომელიც უნდა გამოიყოს საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე იმ შემთხვევაში, როცა მათი წილის ხასიათი და ერთმანეთზე განლაგებული ქანების განსხვავებები არ იძლევა საშუალებას აისახოს მოცემულ მასშტაბში რუკაზე და საანგარიშო საქმეებში. უფრო ხშირად საინჟინრო-გეოლოგიურ ჯგუფებად გამოყოფენ პორიზონტალურად განლაგებულ შრეობრივ მცირე სიმძლავრის ფენებს, რომლებიც თავისი თვისებებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ГОРНЫХ ПОРОД** (Ф. Саваренский) - Engineering-geological classification of rocks (F. Savarenski) - ქანების საინჟინრო-გეოლოგიური კლასიფიკაცია (ფ. სავარენსკი) - საინჟინრო გეოლოგიაში სხვადასხვაგვარი გენეტიკური და პეტროგრაფიული შედგენილობისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით ქანები ერთიანდებიან ხუთ ჯგუფად: 1. მაგარი კომპაქტური კლდოვანი ქანები - პრაქტიკულად არა კუმშვადი, მტკიცე. მას მიეკუთვნება მასიურ-კრისტალური, მაგმური, მუცამორფული და მტკიცედ შეცემენტებული დანალექი ქანები; 2. შედარებით მაგარი, კომპაქტური, სუსტად კუმშვადი, საკმარისად მტკიცე ნახევრად კლდოვანი ქანები. მასვე მიეკუთვნება წინა ჯგუფის გამოფიტული, ნაპრალოვანი, სუსტად შეცემენტებული, წყალში ხსნადი და ლბობადი დანალექი ქანები; 3. ფხვიერი, შეუკავშირებელი ქანები - კარგად წყალშელწვეადი ქვიშები, კენჭნარი და სრენი; 4. რბილი შეკავშირებული თიხოვანი ქანები - ბმული ძლასტიკური და მაღალი დეფორმირებადი თვისებებით, წყალშეუღწევადი. სიმტკიცე დამოკიდებულია ტვ. ახობის ხარისხზე; 5. რბილი,

ფხვიერი, განსაკუთრებული შედგენილობის, მდგომარეობისა და თვისებების მქონე სუსტი ქანები – ტორფი, მზრალი ლამი, ნაყარი გრუნტი და სხვ. ქანების სპეციალური კლასიფიკაციიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია: მზრალეობის მიხედვით, მზიდის უნარის მიხედვით; დამუშავების ხერხისა და სიძნელე-

ის მიხედვით; ქანის სიმაგრის მიხედვით; წყალშედწევადობის ან წყალშთან-თქმის ხარისხის მიხედვით. ქვემოთ მოყვანილია ქანების საინჟინრო-გეოლოგიური კლასიფიკაციის ცხრილები ფ. სავარენსკისა და ვ. ლომთაძის მიხედვით. ასევე ზოგადი კლასიფიკაცია - ვ. სერგეევის მიხედვით:

**ბოუნტის ზოგადი კლასიფიკაცია ე. სერგეევის მიხედვით:**

კლასები	ჯგუფები	ქვეჯგუფები
ხისტკაემორიანი ქანები	მაგმური	სიღრმული (ინტრუსიული) ამომყრქვეული (ეფუზიური)
	მეტამორფული	რეგიონალური-მეტამორფული კონტაქტური-მეტამორფული
	დანალექი შეცემენტებული	მსხვილმონატეხოვანი შეცემენტებული წერილმარცვლოვანი შეცემენტებული თიხოვანი და მტერისებური გამაგრებული
	ქიმიურად და ბიოლოგიურად დანალექი	კაჟიანი რკინოვანი კარბონატული სულფატური ქალოიდური
ქანები ხისტი კაემორის გარეშე	თიხოვანი და მტერისებური	თიხოვანი ლიოსიანი (ალევიტიული)
		მსხვილნატეხოვანი ქვიშიანი
ნიდაგები	ნიდაგები	ზონალური ინტრაზონალური
ხელოვნური გრუნტები	ხელოვნური გრუნტები	კულტურული ფენები ნატანი ნაყარი ხელოვნურად გაუმჯობესებული ხელოვნურად გაუარესებული

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКАЯ СРЕДА** - Engineering-geological medium (environment) - საინჟინრო-გეოლოგიური გარემო - ლითოსფეროს ის ნაწილი, რომელიც განიცდის სხვადასხვა ტიპის ნაგებობათა ზემოქმედებას, მათ შორის ღრმა მიწისქვეშა გამომუშავებებიდანაც. ამ მეცნიერული მიმართულების მთავარი ამოცანაა გამოუმუშავებულ იქნეს კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური პროგნოზირების მეთოდები რაციონალური საპროექტო დასკვნისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მეთოდის შესრულებისათვის, საინჟინრო ლონისიბების დასასაბუთებლად ბუნებრივ

გარემოზე წარმოების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ცნება საინჟინრო-გეოლოგიური გარემოს დაცვა უფრო ფართო გაგებაა, ვიდრე „საინჟინრო-გეოლოგიური გარემოს რაციონალური გამოყენება“, რადგან პირველში იგულისხმება არა მარტო ოპტიმალური საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, არამედ აუცილებელი ღონისძიებების დასახვა საინჟინრო-გეოლოგიური გარემოს აღდგენა-გაუმჯობესებისათვის (Голодков-скал, 1976).

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКАЯ СЪЕМКА** - Engineering-geological survey - საინ-

ჰინრო-გეოლოგიური ღაბებზვა - სამუშაოების კომპლექსი, რომლებიც მოიცავენ საველე, ლაბორატორიულ და კამერალურ კვლევებს, რათა შეფასებული იქნეს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ ИСЫС-КАНИЯ** - Engineering-geological research (examination) - საინჟინრო-გეოლოგიური ძიება - სამუშაოების კომპლექსი, რომლებიც მოიცავენ საველე, ლაბორატორიულ და კამერალურ კვლევებს, რათა შეფასებულ იქნეს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები კონკრეტული მშენებლობისათვის.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ ИС-СЛЕДОВАНИЯ ПОРОД** - Engineering geological investigation (study) of rocks - ქანების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა - ქანების თვისებათა ბუნების კვლევა, რომელიც გამოაღვდნს მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ფორმირების ხასიათს, სივრცობრივი ცვალებადობის კანონზომიერებას და პროგნოზირებისათვის, მათზე ადამიანის საინჟინრო საქმიანობის გავლენის შესახებ, ქანების საინჟინრო-გეოლოგიური თვისებების ცვლილებების დადგენის მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ხელგონური გაუმჯობესების მიზნით.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ СВОЙ-СТВА ПОРОД** - Engineering-geological property of rocks - ქანების საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები - ქანების თვისებები, რომლებიც განისაზღვრება მათზე ადამიანის საინჟინრო საქმიანობის გავლენით.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ УСЛО-ВΙΑ ТЕРРИТОРИИ** - Engineering-geological conditions of territory - ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები - ტერიტორიის თავისებურება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის საინჟინრო მოღვაწეობისათვის ზელსაყრელი პირობების ხარისხს.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ УЧАС-ТКИ** - Engineering-geological section (area) - საინჟინრო-გეოლოგიური უბნები - საინჟინრო-გეოლოგიური ქვერაიონის ნაწილი, რომელიც საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების ყველაზე უფრო წვრილ ქვედანაყოფს წარმოადგენს. დეტალურ რუკაზე გამოყოფენ ერთი რომელიმე ნიშან-თვისებით მაგ.: მდგრადობით, განვითარებული გეოლოგიური პროცესების ხასიათით, ქანების თვისებებით და სხვ.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ ЯВЛЕ-НИЯ** - Engineering-geological phenomena - საინჟინრო-გეოლოგიური მოვლენები - გეოლოგიური გარემოს მდგრადობის მკვეთრი ცვლილება, გამოწვეული ადამიანის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობით.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ ПРО-ЦЕССЫ** - Engineering-geological processes - საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები - გეოლოგიური პროცესები, რომლებიც წარმოიშობიან მშენებლობის ან საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შედეგად (ეს ტერმინი ლიტერატურაში იწოდება ტექნოგენურად).

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЙ КОМПЛЕКС** - Engineering-geological complex - საინჟინრო-გეოლოგიური კომპლექსი - სტრატეგრაფიული თანმიმდევრობით განლაგებული ქანების წყება, რომელიც ხასიათდება ურთიერთმსგავსებით ანდა საინჟინრო-გეოლოგიური მახასიათებლების კანონზომიერი ცვალებადობით.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЙ ПОД-РАЙОН** - Engineering-geological subregion - საინჟინრო-გეოლოგიური ძვირაიონი - რაიონის ნაწილი, რომელიც განსხვავდება გეოლოგიური ჭრილით, გეოლოგიური პირობებით, ფორმებით და თანამედროვე გეოლოგიური პროცესების განვითარების მასშტაბებით.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЙ ПО-ТЕНЦИАЛ ТЕРРИТОРИИ** - Engineering

geological potential of territory - ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პოტენციალი (გოლოვკოვსკაიას მიხედვით, 1989) - ტერმინი გამოიყენება გეოლოგიური გარემოს მდგომარეობის შეფასების მიზნით საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის ზემოქმედებასთან მიმართებაში. მის ქვეშ იგულისხმება გეოლოგიური გარემოს კომპლექსური თვისებები, განსაზღვრული მისი ყველა კომპონენტის შედგენილობით, სტრუქტურითა და მდგომარეობით: ქანებით, მიწისქვეშა წყლებით, გეოლოგიური პროცესებით. ყველა ცალკე აღებული კომპონენტის წვლილი ტერიტორიის საერთო მდგრადობის შეფასებაში დამოკიდებულია მისი სამეურნეო გამოყენების ხასიათზე და საინჟინრო-გეოლოგიური თვისებების პრიორიტეტზე. სისტემის მდგრადობის შეფასების ყველა კრიტერიუმი ჯამდება.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЙ РАЙОН** - Engineering-geological area - საინჟინრო-გეოლოგიური რაიონი - ქანების კომპლექსისაგან შემდგარი საინჟინრო-გეოლოგიური ოლქის დიდი ნაწილი, რომლებითაც ტერიტორიის ეს ნაწილი (რაიონი) განსხვავდება ოლქის დანარჩენი ტერიტორიული ნაწილის შემადგენელი ქანების კომპლექსებისაგან.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЙ РЕГИОН** - Engineering-geological region - საინჟინრო-გეოლოგიური რეგიონი - ყველაზე უფრო მსხვილი ტაქსონომეტრიული დანაყოფი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების დროს. მოიცავს რომელიმე გეოსტრუქტურულ ერთეულს. გამოიყოფა ძირითადი მახასიათებლების ერთობლიობით - ძირითადი ქანებისა და საფარის ნალექების ხასიათის, ჰიდროგეოლოგიური და გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური პროცესებით. ჩვეულებრივ, გამოიყოფა წერილმასშტაბიან სამომხილვო რუკებზე.

**ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКОЕ ОБСЛЕДОВАНИЕ** - Engineering-geological in-

vestigation (inspection) - საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა - სამეურნეო, რომლებიც მოიცავენ მარშრუტულ (საველე) და კამერალურ გამოკვლევას, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით.

**ИНСОЛЯЦИЯ** - Insolation - ინსოლაცია - მიწის ზედაპირის მზით განათება.

**ИНТЕНСИВНОСТЬ ЗЕМЛЕТРЯСЕНИЯ В БАЛЛАХ** - Earthquake intensity - მიწისძვრების ინტენსიურობა ბალაში - მიწისძვრების ინტენსიურობა არის მიწისძვრის კერის არეში გამოყოფილი ენერჯის რაოდენობა, რომელიც შემდეგ გარდაიქმნება სეისმური ტალღების ენერჯიაში და მიწის ზედაპირზე იწვევს სხვადასხვა ხარისხის ნგრევებსა და დეფორმაციას. უმრავლეს ქვეყანაში მიწისძვრების ინტენსიურობა გამოიხატება 12 ბალიანი შკალით (MSK-64), რომელიც დამუშავებულია მედედევის მიერ: 1. - შეუმჩნეველი მიწისძვრა, შეიმჩნევა მხოლოდ სეისმოგრაფებით, ადამიანი ვერ შეიგრძნობს (1 ბალი); 2. - ძლივს შესამჩნევი მიწისძვრა, შეიგრძნობა მხოლოდ ცალკეული პირების მიერ, თუ ისინი იმყოფებიან მოხვედრულ მდგომარეობაში, განსაკუთრებით ზედა სართულზე (2 ბალი); 3. - სუსტი რყევა, შეიგრძნობა მკირერიცხოვანი პირების მიერ შენობის შიგნით, ღია ცის ქვეშ - მხოლოდ ხელსაყრელ პირობებში. შეიმჩნევა ჩამოკიდებული საგნების რყევა (3 ბალი); 4. - შესამჩნევი რყევა, შეიმჩნევა შენობის შიგნით ადამიანთა უმრავლესობის მიერ. ზოგიერთი მძინარე იღვიძებს, იგი ჰგავს მძიმე სატიერთო მანქანისგან გამოწვეულ რყევას. ზანზარებს ფანჯრები, ჭურჭელი, ჭრიჭინებს იატაკი, კედელი, ღია ჭურჭელში წყალი ოდნავ იწყებს რყევას (4 ბალი); 5. - საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა - შეიგრძნობა შენობის შიგნით. მძინარეთა უმრავლესობა იღვიძებს, გარბის შენობიდან. ცხრველები წუხან, შენობები ირყევა, დაკიდებული საგნები ძლიერ ქანაობს, სურა-

თები ადგილიდან იხერის, ჩერდება საათის ქანქარა, ზოგიერთი საგანი იქცევა, კარები და ფანჯრები იხურება და იღება, ჭურჭლებიდან გადმოიღვრება წყალი, რყევა აჟავს მძიმე საგნების ვარდნას 'შენობის' შიგნით, ზოგჯერ იცვლება წყაროს დებიტი (5 ბალი); 6. - ძლიერი მიწისძვრა - 'შეიგრძნობა' უმრავლესობის მიერ როგორც 'შენობაში', ისე ღია ცის ქვეშ. ცხოველები გამორბიან ნაგებობებიდან, ზოგჯერ იმტერევა ჭურჭელი, ვარდება წიგნები, გადაადგილდება ავეჯი, ისმის რეკვა სამრეკლოდან, ხშირად ხდება 'შენობების' დაზიანება, მეწყერების წარმოშობა, იცვლება წყაროს დებიტი და ჭაში წყლის დონე (6 ბალი); 7. - ძალიან ძლიერი მიწისძვრა, ადამიანი შეშინებულია და ფეხზე ძლივს დგას, რყევა აღინიშნება იმ პირების მიერ, ვისაც მანქანა მიჰყავს, რეკავენ დიდი სამრეკლოები, როგორც წესი, ზიანდება 'შენობები', წარმოიშობა მეწყერები, მილგამტარებზე ჩნდება რღვევის ადგილები და ნაპრალები ქვის ღობეებში, წყლის ზედაპირზე წარმოიშობა ტალღები, წყალი ხდება მღვრიე, იცვლება წყლის დებიტი წყაროებში და დონე ჭებში, ზოგიერთი წყარო ქრება (7 ბალი); 8. - დამანგრეველი მიწისძვრა, იწყება 'შენობების' მძიმე დაზიანება, ადამიანის შიში და პანიკა, მათ შორის ვისაც მანქანა მიჰყავს, იმტერევა ხის ტოტები, გადაადგილდება ავეჯი, ხშირად დაკიდებული ფარები ზიანდება, ჩვეულებრივ, აკურის სახლები იღებს მეორე ან მესამე ხარისხის დაზიანებას, ზოგიერთ ქვის სახლს უჩნდება ნაპრალი, ძეგლები იძვრის ადგილიდან. მილგამტარები წყდება, ქვის ღობეები ინგრევა, იწყება მეწყერების მასიური წარმოქმნა, გრუნტებში ჩნდება ნაპრალები, გამშრალი ჭები ივსება წყლით, ზოგიერთ მთაგანში ქრება, იცვლება წყაროების დებიტი და ჭების დონეები (8 ბალი); 9. - გამანადგურებელი მიწისძვრა - 'შენობების' მასიური დაზიანება, ავეჯის დაზიანება, ცხო-

ველები ღმუიან, ძეგლები და დანადგარები იქცევა, 'შენობებში' შეიმჩნევა მესამე და მეოთხე ხარისხის დაზიანება, ხდება მილსადენების გაწყვეტა, წყალსაცავების სერიოზული დაზიანება, რკინიგზის გამრუდება და ვხატკეცილების დაფორმაცია, ვახსაკუთრებით მისი გამტარი ნაწილის გრუნტებში წარმოიშობა ნაპრალები, იწყება მეწყერების და კლდეზვავების ფართო წარმოშობა. წყლის ზედაპირზე ჩნდება დიდი ტალღები (9 ბალი); 10. - მომსპობი მიწისძვრა - 'შენობათა' მასიური ნგრევა, უძრავლესობა განიცდის მეოთხე და მეექვსე ხარისხის დაზიანებას, ზიანდება დამბები და კაშხალები, ხიდები, ხდება რკინიგზის გამრუდება, მიწისქვეშა მილსადენების წყვეტა, გზის საფარი და ასფალტი ხდება ტალღისებური, მდინარეების პარალელურ კალაპოტში წარმოიშობა განიერი წყვეტები, ციცაბო ფერდობებიდან ჩამოდის ფხვიერი ნაყარი, წარმოიშობა დიდი მეწყერები, კლდეზვავები; ჩნდება ახალი ტბები, მდინარეებიდან და არხებიდან ხდება წყლების ამოხეფვა (10 ბალი); 11. - კატასტროფული მიწისძვრა - იწყება კაპიტალური 'შენობების', ხიდების, დამბებისა და რკინიგზების სერიოზული დაზიანება, ვხატკეცილები მგზავრობისათვის 'უეარვისი' ხდება, ინგრევა მიწისქვეშა მილგამტარები, მიწის ზედაპირზე ჩნდება განიერი ნაპრალები და გადაადგილდება ვერტიკალური და პორიზონტალური მიმართულებით, ადგილი აქვს ფერდობების მასიურ ჩამონგრევა-ჩამოქცევას (11 ბალი); 12. - ძლიერი კატასტროფული მიწისძვრა - მიწის ზედაპირის რადიკალური შეცვლა, ყველა სახის მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობების ძლიერი დაზიანება ან ნგრევა (12 ბალი).

**ИНТЕНСИВНОСТЬ ПРОЯВЛЕНИЯ ОПОЛЗНЕЙ И СЕЛЕЙ** - Intensity of landslide and mudflow manifestation - მეწყერბინისა და ღვარცოფუბის ბამოვლენის ინტენსიურობა - მეწყერებით და ღვარ-

ცობებით დაზიანებული ტერიტორია. სასათადგო დაზიანების შესაბამისი კოეფიციენტით.

**ИНФАУНА** - Infauna - ინფაუნა - ორგანიზმთა ერთობლიობა, რომლებიც ცხოვრობენ გრუნტში ღრმად, ეფლობიან ფხვიერ ქანებში ან ჩაიბურღებიან მავარ სუბსტრატში.

**ИНФИЛЬТРАЦИЯ** - Infiltration - ინფილტრაცია - ფორებში წყლის ჩაჟონება. გრუნტში ჩაჟონილი ნალექების შეფარდებას მოსულ ნალექებთან ეწოდება ინფილტრაციის კოეფიციენტი, გამოისახება პროცენტებში.

**ИНФЛЮАЦИЯ** - Inflow - ინფლუაცია - ხედაპირული წყლების შეღწევა ვერტიკალური მიმართულებით მიწის ქერქში ნაპრალებით, კარსტული არხებით და ძაბრებით, რომლებშიც არ მოქმედებს კაპილარული ძალა (Щеко, 1980).

**ИНФОРМАТИКА** - Informatics - ინფორმატიკა - მოღვაწეობის დარგი, რომელიც აწარმოებს გამოკვლევებს ინფორმაციის მიღების პროცესებზე, გადაცემაზე, დამუშავებაზე, შენახვაზე, წარდგენაზე, შექმნის პროცესების გადაწყვეტაზე, დანერგვაზე და ინფორმაციული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებაზე საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში.

**ИНФРАСТРУКТУРА** - Infrastructure - ინფრასტრუქტურა - სამეურნეო და კულტურული ობიექტებისა და დარგის კომპლექსი, რომელიც ემსახურება წარმოებას, შეადგენს მათ საფუძველს (გზები, არხები, ხიდები, ტრანსპორტი, ენერგეტიკა და სხვ.).

**ИРРИГАЦИОННАЯ ЭРОЗИЯ** - Irrigational erosion - ირიგაციული ეროზია - ვითარდება მიწების არასწორი მორწყვის პირობებში; ხშირად თან სდევს სარწყავი არხების გვერდების გადარეცხვა, ნგრევა და დეფორმაცია.

**ИРРИГАЦИЯ** - Irrigation - ირიგაცია - 1. ჰიდროტექნიკის დარგი, რომელიც სწავლობს მიწების ხელოვნური მორწყვის

საკითხებს; 2. ხელოვნური მორწყვის პროცესი.

**ИСПЫТАНИЕ ГРУНТОВ НА НЕСУЩУЮ СПОСОБНОСТЬ (ПРОБНОЙ НАГРУЗКОЙ)** Bearing capacity of grounds (loading test) - ბრუნტის ბამოცლა მხინის უნარიანობაზე (სასინჯო ღატმირ-თმომ) - საველე და ლაბორატორიულ პირობებში ხდება გრუნტის მექანიკური სიმტკიცის განსაზღვრა გარე ძალების დატვირთვით.

**ИСПЫТАНИЕ ГРУНТОВ НА РАЗМОКАНИЕ** - Soil soaking test - ბრუნტის ბამოცლა ღალბობაზე - თიხოვანი ქანების საველე და ლაბორატორიული გამოცდა წყალმედვობაზე. წყალმედვობის სიმტკიცე განისაზღვრება წყალში ნაწილაკების დაშლის სიჩქარითა და ხასიათით გარკვეულ დროში.

**ИСПЫТАНИЕ ПОРОДЫ НА НАБУХАНИЕ** - Rock swelling test - ძანბის ბამოცლა ბაჯირჯმვაზე - რბილი შეკეპირებული ქანების გამოცდა გაჯირჯევაზე წყლის შთანთქმის შედეგად, რომლის დროსაც განისაზღვრება მისი მოცულობის ზრდა.

**ИСПЫТАНИЕ ПОРОДЫ НА РАСТЯЖЕНИЕ** - Rock stretching test - ძანის ბამოცლა ბაჰიმვაზე - ქანის ნიმუშების დეფორმაციის ლაბორატორიული განსაზღვრა გამჭიმავი ძალების ზემოქმედებით.

**ИСПЫТАНИЕ ПОРОДЫ НА СДВИГОВОМ ПРИБОРЕ** - Rock test on displacement instrument - ძანის ბამოცლა ძვრის ხმლსაწმომზე - ქანის წინააღმდეგობის განსაზღვრა ძვრაზე ლაბორატორიული მეთოდით, ასევე ქანების ნიმუშების ძვრის დეფორმაციის განსაზღვრა საცდელი ძვრის მეთოდით ფიქსირებულ სიბრტყეზე სხვადასხვა ნორმალური დაძაბულობის პირობებში.

**ИСПЫТАНИЕ ПОРОДЫ НА ТРЕХОСНОЕ СЖАТИЕ** - Triaxial compression test - ძანის ბამოცლა სამწმომძან კუმშვაზე - ქანის ნიმუშის წინააღმდეგობის ლაბორატორიული განსაზღვრა დაშლისადმი

გვერდითი და ღერძული წნევის სხვადასხვა თანაფარდობის დროს და ფორივანი წყლების სხვადასხვა დრენაჟის პირობებში.

**ИССЛЕДОВАНИЯ ГИДРОГЕОЛОГИЧЕСКИЕ** - Hydrogeological investigation - ჰიდროგეოლოგიური კვლევები - მიწისქვეშა წყლების განლაგების, გაერყელების, დაგროვების, განტვირთვისა და შედგენილობის ბუნებრივი პირობების შესწავლა, ასევე იმ პირობებისა და თვისებების განსაზღვრა, რომლებიც შეისწავლიან მიწისქვეშა წყლების გამოყენების ტექნიკურ ღონისძიებებს და რეგულირების საკითხებს.

**ИСТОЧНИК /РОДНИК, КЛЮЧ/** - Spring, well - წყარო - მიწისქვეშა წყლის კონცენტრირებული ბუნებრივი გამოსავალი უშუალოდ მიწის ზედაპირზე ან წყლის ქვეშ. წყაროები შეიძლება იყოს აღმავალი და დაღმავალი.

**ИСТОЧНИК ВЫДЕЛЕНИЯ ЗАГРЯЗНЯЮЩЕГО ВЕЩЕСТВА** - Contaminant release source - ღამაზინტაქრებულ ნივთიერებათა გამოყოფის წყარო - ობიექტი, რომლიდანაც ხდება დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფა (ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვ.).

**ИСТОЧНИК ГРУППОВОЙ** - Group spring - ჯგუფური წყარო - წყაროები, რომლებსაც გააჩნიათ მიწისქვეშა წყლები ერთმანეთისადმი ახლოს განლაგებულია.

**ИСТОЧНИК ИЗОТЕРМИЧЕСКИЙ** - Isothermal spring - იზოთერმული წყარო - წყარო, რომლის ტემპერატურა ადგილის საშუალო წლიური ტემპერატურის ტოლია.

**ИСТОЧНИК НИСХОДЯЩИЙ** - Gravity spring - ღამაზინტაქრული წყარო - იკვებება გრუნტისა და საერთოდ უწნეო წყლებით. წყალი მოძრაობს ზევიდან ქვევით. წყალშემცველი შრის კვების არიდან დრენაჟის ადგილისაკენ (წყლის გამოსავალი-საკენ).

**ИСТОЧНИК ПРИРОДНЫХ ЧЕРЕЗВЫЧАЙНЫХ СИТУАЦИЙ** - Source of natural emergency situation - ბუნებრივი საბაზიზო სიტუაციის წყარო - სახიფათო ბუნებრივი მოვლენა ან პროცესი, რომლის შედეგადაც გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაზე შეიქმნა, ან შესაძლოა შეიქმნას საფრთხეობა სიტუაცია.

**ИСТОЧНИК РАСПЫЛЕНИЯ ЗАГРЯЗНЯЮЩЕГО ВЕЩЕСТВА** - Contaminant dispersion source - ღამაზინტაქრებულ ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო - ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტი და სხვა).

**ИСТОЧНИКИ ВРЕМЕННЫЕ** - Intermittent spring - ღრობიტი წყაროები - მოქმედებენ მხოლოდ დროებით, ძლიერი, ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ან წლის გარკვეულ სეზონში (სეზონური წყაროები).

**ИСТОЧНИКИ ЖИЛЬНЫЕ** - Lode spring - ძარღვული წყაროები - ცალკეული ღია ნაპრალებიდან ნაკადის სახით გამომდინარე წყაროები.

**ИСТОЧНИКИ КАРСТОВЫЕ** - Tubular spring, solution Spring - ძარსტული წყაროები - კარსტული წყლების გამოსავალი მიწის ზედაპირზე.



К

**КАДАСТР - Cadastre - კადასტრი -** მონაცემების სისტემატიზებული კრებული, რომელიც ობიექტებისა და მოვლენების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღწერისაგან შედგება, რიგ შემთხვევებში მათი ეკონომიკური შეფასებით. მოიცავს მათ ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას, კლასიფიკაციას, მონაცემებს დინამიკაზე, შეისწავლის ხარისხობრივ და ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ შესახებ, რომელსაც თან ერთვის კარტოგრაფიული და სტატისტიკური მასალები.

**КАДАСТР ДЕТЕРИОРАЦИОННЫЙ - Deteriorative cadastre - დეტერიორაციონული** კადასტრი - გარემო პირობების გაუარესების მონაცემების კრებული - ქაერის, წყლის, ნიადაგების გატუქვიანების, მათი ეროზიის, მცენარეულის განადგურების და სხვ., შედგენილი რეგიონალურ ტერიტორიაში კარტოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით. ყველა გამატუქვიანებელი წყაროსა და ასევე სხვა დარღვევების გათვალისწინებით და მათი მონაწილეობის ხარისხით გარემოს გატუქვიანებაში.

**КАДАСТР ЭКОЛОГО-ЭКОНОМИЧЕСКИЙ - Ecological-economic cadastre - ეკოლოგიურ-ეკონომიკური** კადასტრი - ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების პოტენციალის მონაცემების სისტემატიზებული კრებული. მოიცავს აგრეთვე ყველა მონაცემს კონკრეტული რეგიონის ინტეგრალურ რესურსებზე.

**КАНАЛ СТОКА СНЕЖНОЙ ЛАВИНЫ - Snow avalanche drainage channel - ზვამის ჩამოსვლის ღარი -** თოვლის ზვავის გამოჩეხანი ღარი, სატრანზიტო მუდმივმოქმედი რელიეფის უარყოფითი მორფოლოგიური ფორმა, რომელიც განიცდის თანდათანობით გაღრმავებასა და გაფართოვებას.

**КАНЦЕРОГЕНЫ - Carcinogen - კანცეროგენები -** ფიზიკური აგენტები, რომელიც

ორგანიზმში იწვევს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას. კანცეროგენებს ჰყოფენ: ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ნივთიერებებად. ხშირად გვხვდება ისეთი კანცეროგენები, როგორცაა პოლიციკლური, არომატული ნახშირწყლები. ამ ჯგუფში შედის 200-მდე აგენტი. კანცეროგენური ნივთიერებებით ნიადაგების გატუქვიანება ხდება თვითმფრინავებისა და ავტომანქანებისაგან გამონაბოლქვი გაზების ზეგავლენით, ასევე საწარმოო დაწესებულებების, თბოელექტრო სადგურების ხარჩენებითა და გამოყოფილი გაზებით. ნიადაგში კანცეროგენები ხვდებიან ატმოსფეროდან მსხვილ და საშუალო დისპერსულ მტერის ნაწილაკებთან ერთად, ასევე ნათობის გაჟონვისა და მისი პროდუქტების გადატუქვიანების შედეგად.

**КАПЕЖ /КАПЕЛЬ/ - Water drip - წვეთა (წვეთი) -** მიწისქვეშა წყალი, რომელიც ჟონავს წვეთების სახით სამთო გამონამუშევრების სახურავიდან ან კედლებიდან.

**КАПЕЛЬНО-ЖИДКАЯ СВОБОДНАЯ ВОДА - Drop-liquid free water - წვეთოთხვამლი თავისუფალი წყალი -** წყალი, რომელშიც მოქმედებს ჰიდროდინამიკური წნევა და გადაადგილება სიმძიმის ძალით.

**КАПИЛЛЯРНАЯ ВЛАГОЕМКОСТЬ - Capillary moisture capacity -** კაპილარული ტენტივადობა - წყლის რაოდენობა, მოთავსებული ქანების კაპილარულ სიცარიელებში, მათი წყლით სრული შესვლისას, კაპილარული აწვევის ზონაში. გამოისახება წყლის წონის შეფარდებით მშრალ ქანთან პროცენტებში.

**КАПИЛЛЯРНАЯ ВОДА - Capillary water -** კაპილარული წყალი - წყალი კაპილარულ ფორებში, ნაპრალებსა და ქანის სხვა სიცარიელებში. კაპილარული წყალი ავსებს უმცირეს სივრცეებს ნიადაგის და გრუნტის ნაწილაკებს შორის

და იგი კაპილარული შეჭიდულობის ძალებითაა ნიადაგებში, ბმულ მდგომარეობაში. აორთქლების გავლენით კაპილარული წყალი შეიძლება გადაადგილდეს ზემოთ და შექმნას აღმავალი ჭაუკლი.

**КАПИЛЛЯРНАЯ КОНДЕНСАЦИЯ** - Capillary condensation - კაპილარული კონდენსაცია - ორთქლის კონდენსაცია კაპილარებში.

**КАПИЛЛЯРНОЕ ДАВЛЕНИЕ** - Capillary pressure - კაპილარული წნევა - წნევა, წყლის კაპილარული აწევის სიმაღლის შესაბამისი.

**КАПИЛЛЯРНОЕ ПОДНЯТИЕ** - Capillary rise (ascent) - კაპილარული აწევა - წყლის აწევა კაპილარულ სივარულიებში გრავეიტაციული წყლის თავისუფალი ზედაპირიდან ზედაპირული დაქიმულობის გავლენით, წყლისა და ატმოსფეროს გაყოფის ზედაპირზე.

**КАПИЛЛЯРНОСТЬ ГОРНЫХ ПОРОД** - Capillarity (attraction) of rocks - ქანების კაპილარობა - მოვლენების ერთობლიობა, განპირობებული სითხის მოლეკულებსა და მყარ სხეულს შორის ძალების ერთიერთმოქმედებით მათ საერთო საზღვარზე. ქანების კაპილარობა ხასიათდება სითხეების მიერ მყარი სხეულის დასველებით, ან არდასველებით, ზედაპირული დაქიმულობის გამო, სითხის აწევა-დაწევათი ძლიერ წერილ კაპილარებში სიბრტყეთა შორის მენისკის შექმნით. ბოლო გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ კაპილარული წყლის აწევა ხდება პიდრატაციის იონების და მოლეკულების ენერჯის შედეგად მყარი და თხევადი ფაზის მოსაზღვრე ზედაპირზე, რაც მის ელექტრო-ქიმიურ ბუნებაზე მიუთითებს.

**КАПИЛЛЯРНЫЕ ПОРЫ** - Capillary (filamentous) pore - კაპილარული ფორები - მცირე ზომის ნაპრალები, ფორები, ღრუები და სხვა სივარულიები ქანებში, სადაც წყალი და სხვა სითხეები გადაადგილდებიან კაპილარული ძალის მოქ-

მედებით. ფორების ზომა პირობითად მიღებულია 0,0002-1,0 მმ, ნაპრალების ზომა - 0,0001-0,25 მმ.

**КАПИТАЛОВЛОЖЕНИЯ НА РЕКУЛЬТИВАЦИЮ** - Investment on reclamation - კაპიტალდასაზღვრა რეკულტივაციაზე - ხარჯი მიწის რეკულტივაციაზე, რომელიც ვათვალისწინებულია მის ორგანიზაციაზე განუხრეველ მიწათმოქმედებლისა.

**КАПТАЖНЫЕ СООРУЖЕНИЯ** - Catchment structure - საკაპტაჟო ნაბნეობები - ნაგებობა მიწისქვეშა წყლების შესაკრებად (ტები, ვერტიკალური და პორიზონტალური ბურღილები, კალერეები და სხვ.).

**КАР** - Corrie; circus - ქარი - ბუნებრივი სავარძლისებური ჩაღრმავება მთის მწვერვალის ზონაში, რომელიც წარმოიშობა ნივაცური პროცესების შედეგად. ზოგიერთი კარი ამოუსებულია მცხვარებით ან ფირნით, ზოგან - სესონური თოვლის დაკროვილი მასით ან წყლით (მაღალმთიანეთის ტბები).

**КАРРЫ** - Swallow hole; sink hole - კარმანი - შეერილებისა და სავარცხლების სისტემა გაყოფილი სესტად დაკლანჩილი ღარებით - ევლებით, რომლებიც წარმოიშობიან ხსნადი ქანების ზედაპირზე გამდინარე წყლის ჭავლის მოქმედებით (ატმოსფერული, მდინარეული, ზოგჯერ ზღვისა და ტბის ტალიების მოქმედების ზონაში). ზაიცევის მიხედვით, ეს პროცესი ახასიათებს კარსტის საწყის სტადიას. კარები წარმოადგენს შიშველი კარსტრისთვის დამახასიათებელ უარყოფით მიკრო (ზოგჯერ მეზო-) ფორმებს, რომელთა სიღრმე რამდენიმე სანტიმეტრიდან რამდენიმე მეტრამდე აღწევს, ჩნდება დაბზარულ და დანაპრალიანებულ კარსტვად ქანების ზედაპირზე წვიმების, ლანქერის, იშვიათად ზღვისა და მდინარის წყლის ქიმიური მოქმედებით. განასხვავებენ კარების მორფოლოგიურ ტიპებს: ნაპრაღურ, ღარაკულ, თხროლისებურ, ბრტყელ, მილისებურ, მენ-

დრულ და სხვა. ზოგჯერ კარები ქმნის რთულ დატოტვილ ქსელს და დიდ ფართობებს მოიცავს, მათ კარულ ველებს უწოდებენ.

**KAPCT - Karst - ქარსტი** - ქანების გამოტუტვასა და გახსნასთან დაკავშირებული მოვლენა, რომელსაც თან სდევს სხვადასხვა სახის მიწისქვეშა სიცარიელებებისა და რელიეფის უარყოფითი ზედაპირული ფორმების წარმოქმნა. კარსტული ფორმები შეიქმნევა როგორც ხსნად ქანებში, ასევე მათზე განლაგებულ უხსნად ქანებში, მათი ჩაქცევის შედეგად. არჩევენ კარსტის ზედაპირულ და მიწისქვეშა ფორმებს. პირველს მიეკუთვნება კარები, ძაბრები და სხვა, ხოლო მეორეს – მღვიმეები, შახტები და ა.შ.

**KAPCTOBAЯ ИHTENSИBHOCTЬ - Karst intensity** - კარსტული ინტენსივობა - კარსტული პროცესების ინტენსივობის საზომს წარმოადგენს მისი ციკლის ან ფაზის ხანგრძლივობა, კიმიური დენუდაციის სიდიდე, ჩაქცევის წარმოშობის საშუალო პერიოდულობა, ზედაპირული ან მიწისქვეშა ფორმების სიმჭიდროვე (ცალი/კმ<sup>2</sup> ან ცალი/1000კმ<sup>2</sup>), მათ ხაზობრივი (ცალი/100მ) და მოცულობითი (ცალი/10<sup>6</sup> მ<sup>3</sup>) სიმჭიდროვე, დაკარსტების ფართობლივი და მოცულობითი კოეფიციენტები (%), მღვიმეთა სავალების სიხშირე (მ/კმ<sup>2</sup>).

**KAPCTOBAЯ KOPPOЗИЯ - Karst corrosion, karst rust** - კარსტული კოროზია - დენუდაციის სპეციფიკური სახეობა, რომელიც მიმდინარეობს წყალში ხსნად ქანებში ფიზიკურ-ქიმიური და ბიო-ქიმიური პროცესების ზემოქმედებით.

**KAPCTOBOME YЩEЛЬE - Karst gorge, karst ravine** - კარსტული ხეობა - მდინარეული ხეობა კარსტულ მხარეში რელიეფის სპეციფიკური ფორმებით და მოვლენებით.

**KAPCTOBЫE BOДЫ - Karst water** - კარსტული წყალბაზი - მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ავსებენ კარსტულ სიცა-

რიელებს ქანებში. კარსტული წყლები - მიწისქვეშა წყლების განსაკუთრებული კლასია, რომელიც გამოირჩევა თავისებური რეჟიმით და დიდი წარმატობით (В. Д. Ломтадзе. 1999).

**KAPCTOBЫE BOPOHKИ - Karst cone** - კარსტული ძაბრები - მიწის ზედაპირზე წარმოშობილი ჩაღრმავებები, რომელთაც აქეთ ჯამისებური, თევზისებური, ფინჯნისებური, ფიალისებური ან ცილინდრისებური ფორმები; წარმოიშობიან წყალში ხსნად ქანებში. ძაბრების ჯგუფს უწოდებენ კარსტულ ველებს.

**KAPCTOBЫE KOTЛOBIHЫ - Karst kettlehole** - კარსტული ძვაპულაზი - დახშული კარსტული ჩავარდნილი ადგილი, ხშირად რთული ფორმებით; სიგანით 100-200 მ-ზე მეტი, სიღრმე კი 5-10 მ-ზე მეტი.

**KAPCTOBЫE ПPOЦECCЫ - Karst process** - კარსტული პროცესები - მიმდინარეობენ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოქმედებით ხსნად ქანებში და წარმოქმნიან სხვადასხვა სახის ფორმებს და სიცარიელებებს. მათ თან ახლავთ ჩავარდნები, სახურავის ჩაჯდომა, ძაბრების წარმოშობა და სხვა მიწის ზედაპირის დეფორმაციები. ხსნადობის მიხედვით ქანებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი: 1. ძნელად ხსნადი კარბონატული ქანები (კირქვა, დოლომიტი, კარცი, კლასტური ქანები კარბონატული ცემენტით); 2. ადვილად ხსნადი ქანები: სულფატური (თაბაშირი), სულფატურ-კარბონატული, ქვამარილი.

**KAPCTOBЫE CУФOЗИИ - Karst suffosion** - კარსტული სუფოზიები - მოვლენები, რომლებიც ვითარდებიან კარსტვად ქანებში უხსნადი ნაწილაკების შემცვემენტბელი მასის გახსნის ხარჯზე და ამის შემდეგ ჩამოშლილი მასალის მექანიკური გატანით. ქვიშაქვებსა და კონგლომერატებში ხსნადი მასალის არსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება მღვიმეები, რომლებსაც მეტწილად გეორაბის ფორმა აქვთ. კარსტული სუფო-

ზეები თავს იჩენს აგრეთვე თიხიანი კარსტის პირობებში, ეს მოვლენები კარგად არის გამოხატული დასავლეთ საქართველოში.

**КАРТИРОВАНИЕ ОТВАЛОВ** - Spoil mapping - ნაჰარის რუკის შეღებვა - რუკის შედგენის პროცესი, რომელზეც ასახულია კარიერული ნაყარი და სხვა ტექნოგენური ბიოგეოცენოტიური კომპლექსების სხვადასხვაგვარი მორფოლოგიური და პეტროგრაფიული პარამეტრებით.

**КАРЬЕРНОЕ ПОЛЕ** - Quarry field - კარიერის ველი - საბადო ან მისი მასივის ნაწილი, რომელიც მოიცავს საფარის და სასარგებლო წიაღისეულის შემცველ ქანებს და განკუთვნილია ღია კარიერული დამუშავებისათვის.

**КАТАСТРОФА** - Catastrophe - კატასტროფა (უბაღურება) - ყოველგვარი ცვალებადობა მომხდარი გარემოპირობებში, რომელიც დაღუპვის საშიშროების ქვეშ აყენებს ყოველგვარ ცოცხალს.

კატასტროფა ნიშნავს გარემოს სტაბილური სისტემის მდგომარეობის დარღვევას განსაზღვრულ ადგილზე და განსაზღვრულ დროს. ამიტომ სტიქიური უბედურების მთავარი მიზანი უნდა გამოიხატებოდეს სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის პირობების შესწავლასა და მცდელობაში - დაეადგიონოთ მიზეზი.

კატასტროფა არა მარტო მოულოდნელი უბედურებით გამოიხატება (მიწისძვრა, ვულკანური ამონანთხევეები, გეოლოგიური პროცესები და სხვ.), არამედ ხანგრძლივი საკუთნობრივი მოვლენებითაც, მაგალითად, ქ. ვენეციის მსგავსი ნელი დაძირვა და სხვ.

კატასტროფა ძირითადად სამი სახეობისაა: ბუნებრივი, ტექნოგენური, ბიოლოგიურ-სოციალური. აღნიშნულ კატასტროფებს თავისი შემადგენელი მახასიათებლების მიხედვით ყოფენ. 1. ბუნებრივი: გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური; 2. ტექნოგენური: რა-

დიაკოელი, ქიმიური, ბიოლოგიური, ჰიდროლოგიური, ხანძრები და აფეთქებები, სატრანსპორტო - მავისტრალური; 3. ბიოლოგიური-სოციალური.

**КАТАСТРОФА В ПОДЗЕМНОМ СООРУЖЕНИИ** - Underground construction accident - კატასტროფა მიწისძვრა ნაგებობებში - სახიფათო შემთხვევა მაღაროში, მიწისქვეშა საწყობში ან საცავში, სატრანსპორტო გვირაბში, რომელიც დაკავშირებულია ობიექტების მოულოდნელ ნგრევასთან, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის მსხვერპლი და მატერიალური ზარალი.

**КАТАСТРОФА ЭКОЛОГИЧЕСКАЯ** - Ecological catastrophe, ecological disaster - ეკოლოგიური კატასტროფა - 1. ბუნებრივი ანომალია (ხანგრძლივი გვალვა, საქონლის მასიური გაწყვეტა და ა.შ.), ხშირად წარმოიქმნება ბუნებრივ პროცესებზე ადამიანის საქმიანობის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედებით, რომელსაც მიეყვართ ძლიერ არახელსაყრელ ეკონომიკურ შედეგებამდე ან გარკვეული რეგიონის მოსახლეობის მასიური დაღუპვამდე; 2. ტექნიკური მოწყობილობის ავარია (ატომური ელექტროსადგურის, ტანკერის და ა.შ.), რომელიც იწვევს გარემოს ძლიერ არახელსაყრელ ცვლილებებს და ეკონომიკურ ზარალს.

**КАТУНЫ** - Mud roll, gravel fillet - ღამრბაზაშული თიხის ქოშტატი - ნაგორი თიხის კოშტები, რომლებიც წარმოშობიან ზეირთცემის ზონაში და წყალქვეშა კანიონებში, კლივებზე, ბენჩზე, ან წყალქვეშა ფერდობებზე თიხიანი ქანების გარეცხვის შედეგად. დამრგვალებული ნაგორი თიხის კოშტების ზომები მერყეობენ 10-15 სმ-მდე ჩვეულებრივ, მეკრივია, ქვიშიან პლაჟზე თევობით ინარჩუნებენ ფორმას. შტორმების დროს იშლებიან.

**КВОТА ИСПОЛЬЗОВАНИЯ ПРИРОДНЫХ РЕСУРСОВ** - Quota of natural resources utilization - ბუნებრივი რესურსების

სარგებლოების კვლავ - კანონით დამტკიცებული, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნორმა, რომელიც გამოიყენება დადგენილი წესების მიხედვით, ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვითარებისა და საზოგადოების სხვა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ეკოტა წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების ნორმირებულ, მოსაპოვებელ რაოდენობას (ნაწილს), რომლის ამოღება არ ახდენს არსებით ზეგავლენას ამა თუ იმ სახეობის აღწარმოების დინამიკაზე (დებულება პროექტი ვარ. დატ. სამინისტრო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ეკოტების შესახებ).

**КИНЕМАТИКА** - Kinematics - კინემატიკა - თეორიულ მექანიკაში - მექანიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს მოძრაობას მისი გამომწვევი მიზეზებისგან დამოუკიდებლად.

**КИСЛОРОДНЫЕ ВОДЫ** - Oxygenous water - ჰანბაზადიანი წყლები - შეიცავენ თავისუფალ ჟანგბადს. ჟანგბადიანი წყლები დამახასიათებელია მხოლოდ შრის ზედა ფენისათვის, სადაც მიმდინარეობს ჟანგვითი პროცესები.

**КИСЛОТНОСТЬ ПОРОД** - Rock acidity (acidity) - მანუბის მჟავიანობა - ქანების შემადგენელი ელემენტები, მჟავე რეაქციით, ტოქსიკურია მცენარეულობისათვის. ნიადაგში და ქანებში არსევენ აქტიურ, გაცვლით და ჰიდროლიტურ მუქიანობას.

**КЛАССИФИКАЦИЯ БИОМОВ** - Biome classification - ბიომების კლასიფიკაცია - ბიომი რეგიონალური, ან უფრო მსხვილი გეოგრაფიული ერთეულის ბიოსისტემაა, რომელიც ხასიათდება რომელიმე ძირითადი მცენარეულობის ტიპით და ფაუნით (მაგ., ზომიერი სარტყლის ტყეების ბიომი). ეკოსისტემების ბიომურ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მაკროსტრუქტურული ნიშნები. ხმელეთის ბიომებს გამოყოფენ მცენარეულობის

ბუნებრივი ნიშნებით, ხოლო წყლის ეკოსისტემებს - ფიზიკური და გეოლოგიური თავისებურებებით.

**КЛАССИФИКАЦИЯ ЛАВИН** - Avalanche classification - თოვლის სკამპის კლასიფიკაცია (ბ. ტუშინსკის მიხედვით) - არსევენ ზეგების სამი სახის კლასიფიკაცია: I. თოვლის ტიპის და მდგომარეობის მიხედვით: 1. ქარბუქის მშრალი თოვლი, თოვლის ფიცრები; 2. ქველი ქარბუქის ტენიანი თოვლი; 3. ფირნის სველი თოვლი. II. მორფოლოგიის მიხედვით: 1. საფუქველი - თოვლის მასის მოწყვეტა და დასრიალება სწორი ფერდობის მთელ ზედაპირზე; 2. ღარული ზეგა - თოვლის მასის ჩამოსვლა და აგორება მკაცრად ფიქსირებულ კალაპოტში; 3. მსტომარე ზეგა - თოვლის მასის თავისუფალი ვარდნა - გადაადგილება ციკაბო ფერდობებზე. III. ზეგემქმერები მორფოლოგიის მიხედვით: 1. ეროზიული ჩაჭრა; 2. დენუდაციური ძაბრი; დეფორმირებული „კარი“. ზეგის ტიპებში მოძრაობის მიხედვით გამოიყოფა: 1. მშრალი „ოსოვი“; 2. ღარული ტენიანი ზეგა ეროზიული ჩაღრმავებიდან; 3. მსტომარე სველი ზეგა დეფორმირებული „კარი“-დან.

**КЛАССИФИКАЦИЯ ОБВАЛОВ** - Collapse classification - კლდე ნაწკაპის კლასიფიკაცია - 1. ვ. ლომთაძის მიხედვით: 1.1 გამოვარდნა - ციკაბო ფერდობებიდან და ფლატეებიდან ცალკეული ლოდებისა და ქვების სახით, რომლებიც გზის დიდ ნაწილს გაივლიან ჰაერში. 1.2 ჩამონაკცევი - ქანების მასის ჩამოქცევა როგორც მათი ცალკეული ლოდების, ასევე მისი დიდი შვერილების, რომლებიც გზადაგზა გორავენ. ყირადგებიან და იმსხვრევიან. 2. მ. როინიშვილის მიხედვით: 2.1 კლდოვანი ანუ ქვიანი: ა) მსხვილი (რამდენიმე 100 მ<sup>3</sup> ან 1000 მ<sup>3</sup>); ბ) მცირე (150-200 მ<sup>3</sup>); გ) ცალკეული ქანების ნამტვრევების ვარდნა და გორება (ქვათა ცვენა). 2.2 მიწის ჩამონაკცევები - წარმოიქმნებიან თიხ-

იან, ქვიშიან, ხრეშიან, ღორღიან და იოლად გამოსაფიტავ და ნახევრადკლდოვან ან სუსტად შეცემენტებულ ქანებში. 2.3 შერეული ჩამონაკცევეები - წარმოიქმნებიან კლდოვან ქანებზე განლაგებულ ფხვიერ ან სუსტად შეცემენტებულ გრუნტებში.

**КЛАССИФИКАЦИЯ ОБЛОМОЧНЫХ И ГЛИНИСТЫХ ПОРОД ПО РАЗМЕРАМ / ПО Г.И. ЕРШОВОЙ / - Size classification of detrital and clay rocks - ნამტვრეპი და ოიხოვანი ქანების კლასიფიკაცია (ბ. ი. ერშოვას მიხედვით):**

ნამტვრე- ვების ზომა მმ-ში	ნამტვრე- ვების ხასიათი	ქანების ჯგუფი	ფხვიერი ქანები		შეცემენტებული ქანები	
			შეღება დამრგვა- ლებული ნამტვრე- ვისაგან	შეღება დაკუთხული, დაუმუშავე- ბული ნამტვრე- ვისაგან	შეღება დამრგვალე- ბული ნამტვრე- ვისაგან	შეღება დაკუთხული, დაუმუშა- ვებული ნამტვრე- ვისაგან
1	2	3	4	5	6	7
> 100			ლოდები		ლოდების ბრეჩიები	
1000-500 500-250 250-100	კაჭარი მინატე- ხები	მსხვილ- ნამტვრე- ვიანი (ფსეუი- ტები)	კაჭარი: მსხვილი საშუალო წერილი	მონამსხვრევი: მსხვილი საშუალო წერილი	კაჭრებიანი: კონგლომერატი მსხვილ- კაჭარიანი საშუალო- კაჭარიანი წერილ- კაჭარიანი	ბრეჩიები: მსხვილნამ- ტვრეებიანი საშუალო- ნამტვრე- ვებისანი წერილნამტვ- რეებისანი
100-50 50-25 25-10	კენტი ლორღი		კენტი: მსხვილი საშუალო წერილი	ლორღი: მსხვილი საშუალო წერილი	კონგლომერა- ტები: მსხვილკენტო- ვანი საშუალოკენ- ტოვანი წერილკენ- ტოვანი	ბრეჩიები: მსხვილლორ- ღიანი საშუალო- ლორღიანი წერილ ლორღიანი
10-5 5-2.5 2.5-1	ხრეში, ხეინტა		ხრეში: მსხვილი საშუალო წერილი	ხეინტა: მსხვილი საშუალო წერილი	გრაველიტები: შეინტი საშუალოხრე- შიანი წერილხრე- შიანი	ხეინტარი: მსხვილხეინ- ტიანი საშუალო- ხეინტიანი წერილ- ხეინტიანი
1-0.5 0.5-0.25 0.25-0.1	ქვიშა	წერილ- ნამტვრე- ვებიანი ქვიშა (ფსა- მიტები)	მსხვილი ქვიშა საშუალო წერილი		ქვიშაქვა: მსხვილმარცლოვანი საშუალომარცლოვანი წერილმარცლოვანი	
0.1-0.05 0.005-0.01	ალევიტი	ალევიტი	ალევიტები: მსხვილი წერილი		ალევილიტები: მსხვილალევილიტური წერილალევილიტური	
0.01-0.001 <0.001	პელიტი	თიხოვანი ქანები	თიხები მსხვილპელიტური (მსხვილ-დისპერსიული) წმინდა პელიტური (წმინდა დისპერსიული)		გამკერიეპელიტი არგილიტები	

**КЛАССИФИКАЦИЯ ОПОЛЗНЕВЫХ ТРЕЩИН** - Landslide fracture classification - მღვჳრჳლი ნაპარალმბის კლასიფიკაცია - (ტერ-სტრუჳანინის მიხედვით) - ნაპარალები გამოიყოფა ორი ნიშნის მიხედვით: 1. მიზეზი, რომელიც იწვევს მათ დაძაბულობას: ა) გაჭიმვა; ბ) გაჭიმვა და ძვრა; ვ) დაძვრა; დ) შეკუმშვა და ძვრა; ე) შეკუმშვა. 2. სრული დეფორმაციის ექტორის მიმართულებით ნაპარალის სიბრტყის მიმართ: ა) დაწვეული; ბ) პორიზონტალური; გ) აწვეული.

**КЛАССИФИКАЦИЯ ОПОЛЗНЕВЫХ ФАКТОРОВ** - Classification landslides factors - მღვჳრჳლი ფაქტორების კლასიფიკაცია - I. კეილის, 6. მასლოვის და სხვათა მიხედვით: 1. ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ გადაადგილების ძალის სიდიდეზე; 2. ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ გადაადგილების ძალის სიდიდის საწინააღმდეგოდ. II. ე. ემელიანოვის მიხედვით: 1. პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ მდგრადობის კოეფიციენტის სიდიდეს არსებულ მომენტში; 2. პროცესები, რომლებიც ცვლიან მდგრადობის კოეფიციენტებს დროში: ა) რომლებიც იწვევენ დროებითი მდგრადობის კოეფიციენტის შექცევად ცვლას, განსაზღვრავს მის პერიოდულ და არაპერიოდულ მერყეობას; ბ) იწვევენ მდგრადობის კოეფიციენტის შეუქცევადობის ცვლას, განაპირობებენ მის ცალმხრივ ცვლილებას (რომელზეც მუდამ ზედ ედება პერიოდული რყევა).

**КЛАССИФИКАЦИЯ ОПОЛЗНЕЙ** - Classification of landslides - მღვჳრების კლასიფიკაცია - საინჳინრო-გეოდინამიკაში მეწყრების მრავალი კლასიფიკაცია არსებობს, რომლებიც დამყარებულია ზოგად რეგიონალურ და კერძო კლასიფიკაციებზე, მათ გეოლოგიურ თავისებურებებზე, წარმოშობის პირობებზე, ასაკზე, ქანების დეფორმაციაზე და სხვ. ყურღა მათგანი იმსახურებს გარკვეულ ინტერესს, რომელთა ჩამოთვლა და დახასიათება ავტორთა მიერ ჩატარებული

კლასიფიკაციის გათვალისწინებით პრაქტიკულად ძნელად შესაძლებელი და გამოსაყენებელია, აქედან გამომდინარე, წინამდებარე ლექსიკონში განვიხილავთ მხოლოდ არსებითს.

მეწყრების კლასიფიკაციაში გამოიყოფა სამი მთავარი ჯგუფი: პირველი ჯგუფის მეწყრების საერთო კლასიფიკაცია გამოიყენება ყველა რაიონისათვის და დაფუძნებულია ნიშნებზე, რომლებიც ახასიათებენ მეწყრული პროცესების თავისებურებას; გამოიყენებიან აკვემის დროს სხვადასხვა მეთოდით ფერდობის მდგომარეობის გამოანგარიშებისათვის; მეწყრების პროგნოზირებისათვის და სხვადასხვა მეწყრსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განსაზღვრისათვის.

მეორე ჯგუფის მეწყრების კერძო კლასიფიკაციებიც ასევე გამოიყენება ყველა რაიონისათვის, დაფუძნებულია ნიშნებზე, რომლებიც არსებითია მეწყრების ცალკეული ფაქტორების განვითარების შეფასებისათვის; გამოიყენება მეწყრსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შერჩევისა და შეფასებისათვის.

მესამე ჯგუფში შემავალი მეწყრების რეგიონალური კლასიფიკაციები გამოიყენებიან მხოლოდ მეწყრების გავრცელების ცალკეული რაიონებისათვის, დაფუძნებულია ნიშნებზე, რომლებიც ახასიათებენ მათი წარმოშობის რეგიონალურ განსხვავებებს; გამოიყენება მეწყრების მონაცემების სისტემატიზაციისათვის მათი ფართოდ გავრცელების რაიონებში და ამ გავრცელების ზოგიერთი კანონზომიერების გამოვლენისათვის. პირველი ჯგუფის მეწყრების კლასიფიკაცია (მეწყრების საერთო კლასიფიკაცია)

1. მეწყრების კლასიფიკაცია ქანების წატაცების მიხედვით (К. И. Богданович, 1911).
2. მეწყრების კლასიფიკაცია დამეწყრილი ფერდობის სტრუქტურის და მათი ზედაპირული გადაადგილების მიხედვით (Ф. П. Саваренский, 1934).

3. მეწყურების კლასიფიკაცია ქანების დეფორმაციის და გადაადგილების მექანიზმის მიხედვით (Вернсс, 1958).

4. მეწყურების კლასიფიკაცია მათი ასაკისა და ფაზების განვითარების მიხედვით (Попов, 1946).

5. მეწყურების კლასიფიკაცია გეოლოგიური წარმოშობის პირობების მიხედვით (Е.П.Емсльянова, 1968).

6. მეწყურების კლასიფიკაცია მათი მორფოლოგიის მიხედვით, საინჟინრო-გეოლოგიური ავეგმვის დროს (Е.П.Емсльянова, 1961).

6.1 მეწყურების კლასიფიკაცია დამეწყურინი რაონის მორფოლოგიის მიხედვით;

6.2 მეწყურების კლასიფიკაცია მათი მორფოლოგიის მიხედვით, როგორც კომპლექსური ნიშნებით, რომლებიც გამოხატავენ მათი წარმოშობის პირობებს, ფერდობის მიტაცების სიღრმესა და გადაადგილების მექანიზმს.

6.3 მეწყურების მორფოლოგიის ელემენტების კლასიფიკაცია

მეორე ჯგუფის მეწყურების კლასიფიკაცია (განსაკუთრებული კერძი)

1. მეწყურების კლასიფიკაცია ფერდოს სიღრმის მიტაცების მიხედვით (А.Каллеи, 1846).

2. მეწყურების კლასიფიკაცია მათ წარმოშობაში მიწისქვეშა წყლების როლის მიხედვით (Е.П.Емсльянова, 1959).

მესამე ჯგუფის მეწყურების კლასიფიკაცია (რეგიონალური კლასიფიკაცია)

1. მეწყურების მოძრაობის დაკავშირება გარკვეულ სტრატეგრაფიულ პორიზონტთან და ქანების გენეზისთან, რომლებიც მონაწილეობენ გადაადგილებაში (Драников, 1949).

2. მეწყურების მიკუთვნება სხვადასხვა გენეზისის ფერდობთან ან მეწყურების წარმოშობის ძირითად მიზეზთან (მაგალითად: აბრაზიული მეწყერი, ეროზიული და ხელოვნური (И.Б.Корженовский, 1960).

ქვემოთ მოყვანილია საქართველოში გავრცელებული მეწყურების ძირითადი

კლასიფიკაცია (ე. დ. წერეთლის მიხედვით) წარმოშობის, სახეებისა და გადაადგილების მიხედვით. ამ კრიტერიუმებით გამოიყოფა:

1. დასრიალების მეწყურები - როცა გადაადგილების მასა თითქმის ისარჩევებს პირველყოფილ სტრუქტურას ან განიცდის მცირე დეფორმაციას. ამ სახის მეწყურები ძლიერ გავრცელებულია ბუნებაში. მათში გამოიყოფა, ე.წ. „სველი“ მეწყურები, რომელთა გადაადგილება ხდება ფიზიკური დეფორმადებადი პორიზონტის კონსტანციების ცვალებადობით და მშრალი მეწყურები. როცა ადგილი აქვს ბლოკის ან ქანების წყების გადაადგილებას ქვემოთ ფერდობზე დაშრეების მიმართულებით, რაც ხდება გრავიტაციული დამაბულობის პიკის მიღწევის შედეგად (თრიალეთის ჩრდილო ქედზე და სხვა მონოკლინალურ ქედებზე, თბილისის დიდ ტეროტორიაზე).

2. ძვრის მეწყურები, როცა ხდება ქანების მოწყვეტა და მასივის შემდეგი გადაადგილება. ისინი ძირითადად დამახასიათებელია სანაპიროს და ხელოვნურად მოკვეთილი ფერდოსათვის.

3. მცოცავი მეწყურები - ახასიათებთ ქანების ნელი და ხანგრძლივი გადაადგილება ან ფერდობზე დაფარული დეფორმადებადი ნალექების უწყვეტი მთლიანობა, რომელიც მოძრაობს სიმძიმის ძალით და თანმხლები ვარე ფაქტორებით (Григоренко, Кюнтцель და სხვ., 1992).

4. პლასტიკური მეწყურები, რომლებიც იძვრიან ქაოსური გადაადგილების დროს, წარმოადგენენ ცალკეული უბნების მთლიან მეწყურულ სხეულს ბლანტი პლასტიკური ძვრის სახით და უწყვეტი დეფორმაციით. ისინი წარმოიქმნებიან ნამტვრევებთან თიხის განფენებაში ან სუსტად ლიტოფიცირებულ თიხიან ქანებში, გადაამტვრინებული ატმოსფერული და გრუნტის წყლების გავლენით პლასტიკურ კონსისტენციის



მდგომარეობამდე. საქართველოში ასეთი მეწყერები ხშირია მთის წინა რაიონებში.

5. ნაკადი მეწყერები, ჩვეულებრივად ფორმირდებიან ნამეტრევიანი თიხის წარმონაქმნებში არამდგრადი სტრუქტურით, სიმკვრივის დაქვეითების მაღალი თვისებებით და ტენიანობით, გამოწვეულია გაჯირჯევება-შეკლებით. ისინი მოიტაცებენ ქანების მასივს, რომლებშიც ტენიანობა, ხოლო შესატყვისად სიბლანტე და მოძრაობის სიჩქარე ფართოდ მერყეობს სიღრმეზე და დროზე დამოკიდებულებით. მათთვის დამახასიათებელია გარკვეული მორფოლოგიური ფორმა (წაგრძელებული, მყინვარისებური, მსხლისებური), დიდი სიჩქარე (10-150 სმ-დან 10-100 მ დღე-ღამეში) და მცირე სიღრმე (1-5 მ). ნაკადი მეწყერის სახესხვაობას წარმოადგენს, ჩამონაცური და ჩამოცოცებადი, რომლებიც წარმოიქმნიან ციცაბო ფერდობებზე, გამოფიტული აქტიური ქერქის ყველაზე ზედა პორიზონტებში და მთლიანად დაკავშირებულია ატმოსფერულ ნალექებთან.

6. ჩამოქცევის (ჩამონგრევის) მეწყერები - აერთიანებენ გრავიტაციული მოვლენებით გამოწვეულ მეწყერებს: ჩამონახევას და ზეამეწყერებს. პირველი ჯგუფი იწყება დასრიალების ან ძვრის პროცესებით და ეითარდებიან ჩამონგრევისაკენ (მადნეულის - კავთისხევის, კელასურის, ლასკადურის, მარელისის, ზედა დიშის, მეორე სვირის და სხვა მეწყერები). მეორე ჯგუფი წარმოიშობა როგორც ტიპური ზეავი, და შემდეგ მიცოცავენ ფერდობზე, როგორც დასრიალების ან პლასტიკური გადადგილების მეწყერი (ბერტაეანის, ტეიშის, უბისის, ხევის, ნაქერალის და სხვ.). მათი გადაადგილება ხდება ციცაბო ფერდობზე, ცალკეული გამოფიტვის ზონის უბნებზე, ნაპრალებსა და წყვეტებზე, რომლებშიც ხდება წყლის აქტიური ცვლა.

7. გათხევადებული მეწყერი (პიდროდინამიკური დაშლის - по Тихонову, 1968) -

საქართველოს ფარგლებში განვითარებულია, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზე, სადაც წარმოიშობიან მაღალმგრძობიარე ძლიერ გაჯერებულ დინებამდე ქვიშა ლამიან გრუნტებში, რომლებიც ხასიათდებიან ტიქსოტროპიული თვისებებით. ისინი წარმოიქმნიან უფრო მეტად ირივაციული არხებისა და ნაპრალების ბორცვებზე, სადაც პიდროდინამიკური ძალის შედეგად გადატენიანებული გრუნტები გადადიან დენად მდგომარეობაში.

ქანების პორიზონტალური წოლის პირობებში, დანაწევრებული ღრმა ეროზიულ ჩაჭრებში, ხშირად ვლინდება კომპესირებული ცოცვა. ასეთი პროცესების გათვლით მდინარე ვერეს ტალევეში (ქ. თბილისი) მოხდა მეკრივი ტბიური ნალექების გამოწერა და მდინარის კალაპოტის გადაადგილება მარცხენა კლდოვანი ნაპირისაკენ.

წარმოშობის ძირითადი ფაქტორების მიხედვით, რომლებიც შეესაბამებიან გეოდინამიკური მდგომარეობის გარკვეულ რანგებს, გამოიყოფა შემდეგი ჯგუფის მეწყერები: ა) სანაპირო (ანუ ბახისური) მეწყერები, ბ) ტექტოსესისმოვებული, გ) კონსისტენური (პიდროტენური ანუ კლიმატოგენური), დ) კარსტულ-სუფოზიური, ე) კრიოგენული, ვ) ტექნოგენური (ანთროპოგენური).

**КЛАССИФИКАЦИЯ ОСЫПЕЙ ПО СОСТАВУ МАТЕРИАЛА** - Talus classification of according to material composition - შვაშმინის კლასიფიკაცია მასალის შემადგენლობის მიხედვით - პ. ი. შუშკინის მიხედვით გამოიყოფა შვაშმინის შემდეგი ტიპები:

ა) მსხვილნატეხოვანი ლოდები, წარმოდგენილი მასიური კრისტალური ქანებით. ნამსხვრევეების ზომა > 100 მმ-ზე მეტია. ნაყარის დაქანების საშუალო კუთხე 37°-ია.  
 ბ) საშუალონატეხოვანი ლორღი, დაკუთხული, ძირითადი პეტროგრაფიული შედგენილობა წარმოდგენილია ამონთხეული და მტკიცე დანალექი ქანებით,

ნამსხვრევების ზომა მერყეობს 200-100 მმ-ის ფარგლებში, ნაყარის დაქანების საშუალო კუთხეა 35°-ია.

გ) წერილნატეხოვანი ხეინკა, დაკუთხული. ძირითადი პეტროგრაფიული შედგენილობა - ძლიერ გამოფიტული მტკიცე ქანები, ნამსხვრევების ძირითადი ზომა 2-20 მმ, დაქანების საშუალო კუთხე - 32°.

დ) სხვადასხვა სახის ნატეხები ფილისხეობური და ფირფიტისებურა გლუვი ზედაპირით, ძირითადი პეტროგრაფიული შედგენილობა - ფიქლები და დანალექი ქანები, ნაყარის დაქანების საშუალო კუთხე - 30°.

**КЛАССИФИКАЦИЯ ОСЫПЕЙ ПО СТЕПЕНИ ПОДВИЖНОСТИ** - Mobility degree classification of taluses - შვეშაბის კლასიფიკაცია მათი მოძრაობის მიხედვით - არჩევენ შემდეგ ტიპებს:

1. მოძრავი „ცოცხალი“ მოძრაობის კოეფიციენტი 1.0

2. საკმარისად მოძრავი, ჩაქრობის ნიშნები, როგორც წესი, არ შეიმჩნევა, მოძრაობის კოეფიციენტი 0.7-1.0.

3. ნელა მოძრავი, ჩაქრობადი - აქვს სუსტი კვება, მოძრაობის კოეფიციენტი 0,5-0,7.

4. შედარებით უძრავი, შემჭიდროებული, ახალი მასალის მატება არ იგრძნობა, მოძრაობის კოეფიციენტი >0.5.

ჩამონაშალის მოძრაობის კოეფიციენტი ტოლია  $K=a/\phi$ . სადაც a - ჩამონაშალი ზედაპირის კუთხე;

$\phi$  - ფერდის ბუნებრივი დაქანების კუთხე, რომელიც შედგება ნაშალი მასალიდან.

**КЛАССИФИКАЦИЯ ПОРОД ПО КОЭФФИЦИЕНТУ КРЕПОСТИ (ПО М.М. ПРОТОДИАКОНОВУ)** - Hardness coefficient rocks classification - ძანაბის კლასიფიკაცია სიმაგრის კოეფიციენტის ბათვალისწინებით (მ. მ. პროტოდიაკონოვის მიხედვით):

1	2	3	4
ქანების კატეგორია	ქანების ხარისხი	ქანების სახელწოდება	ქანების სიმაგრის კოეფიციენტი
I	უმადლესი სიმაგრის	ყველაზე მაგარი, მკერივი კვარციტები, ბაზალტები და სიმაგროთ გამოჩეული ქანები	20
II	ძალიან მაგარი	ძალიან მაგარი გრანიტისებური ქანები, კვარციანი პორფირი, ძალიან მაგარი გრანიტი, კაჟინი ფიქალი, ზემოთ ჩამოთვლილებზე ნაკლები სიმაგრის კვარციტები, ყველაზე მაგარი ქვიშები და კირქვები	15
III	მაგარი	გრანიტი (მკერივი) და გრანიტული ქანები, ძალიან მაგარი ქვიშები და კირქვები, კვარციანი მადნეული ძარღვები, მაგარი კონგლომერატი, ძალიან მაგარი რკინის მადანი	10
III-ა	იგივე	კირქვები (მაგარი), არამტკიცე გრანიტი, მაგარი ქვიშაქვები, მაგარი მარმარილო, დოლომიტი, კოლჩედანები	8
IV	საკმაოდ მაგარი	ჩვეულებრივი ქვიშაქვა, რკინის მადნები	6
IV-ა	იგივე	მაგარი ფიქლები, ფიქლისებური ქვიშაქვები	5
V	საშუალო სიმაგრის	მაგარი თიხა, ფიქალი, არამტკიცე ქვიშაქვა და კირქვა; რბილი კონგლომერატი	4

1	2	3	4
V-ა	იგივე	სხედასხეაგვარი ფიქლები (არამტკიცე), მკერიეი მერგელი	3
VI	საკმაოდ რბილი	რბილი ფიქალი, რბილი კირქვა, ცარცი, ქვაშარილი, თაბაშირი, მზრალი გრუნტი, ანტრაციტი, ჩვეულებრივი მერგელი. დაშლილი ქვიშაქვა, შეცემენტებული კენჭები და ხეიწა, ქვიანი გრუნტები	2
VI-ა	იგივე	ღორღიანი გრუნტი, დაშლილი ფიქალი, შემკერიეებული კენჭები და ღორღი, მაგარი ქვანახშირი, გამაგრებული თიხა	1.5
VII	რბილი	თიხა (მკერიეი), საშუალო, ქვანახშირი, მაგარი თიხოვანი გრუნტი	0.9
VII- ა	იგივე	მსუბუქი ქვიშიანი თიხა, ლიოსი, მსუბუქი, ხრეში, რბილი ნახშირი	0.8
VIII	მიწისებური	მცენარეული მიწა, ტროფი, მსუბუქი თიხნარი, სველი ქვიშა	0.6
IX	ფხვიერი	ჩამონაშალის ქვიშა, წერილი ხრეში, ნაყარი მიწა, მოპოებული ნახშირი	0.5
X	მცურაეი	ჭანკრობი (მცურაეი ქანი), ჭაობიანი გრუნტი, გათხევადებული ლიოსი და სხვა გათხევადებული გრუნტები	0.3

**КЛАССИФИКАЦИЯ ПРОТИВООПЛЗНЕВЫХ МЕРОПРИЯТИЙ - Classification of antilandslide measures -**

მეწარმის რეკონსტრუქციის ღონისძიებების კლასიფიკაცია - I. ბუნებრივ პირობებში ინტენსიურად ჩარევა: 1) პასიური ან პროფილაქტიკური ღონისძიება - ყველა შესაძლებელი აკრძალვა (მიწის მოჭრა, მცენარეულობის განადგურება, გადახენა, მორწყვა, აფეთქებითი სამუშაოები და ა.შ) და შეზღუდვა (ტრანსპორტის მოძრაობის სინქრონი, აფეთქების ძალა და სხვ.); 2) აქტიური (ანუ საინჟინრო) - საეკოლოგიური მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობანი და ღონისძიებანი. II. ფერდობის მდგრადობის აუცილებელი მარაგის შექმნის პირობების მიხედვით ღონისძიება, რომელიც შეწყვეტს ან შეანელებს ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტს.

მეწარმის რეკონსტრუქციის ღონისძიებების კლასიფიკაცია - განივი პროფილის ფორმის მიხედვით: ა) ვიწრობი, ხერგლი - ვიწრო და ღრმა ხეობა, კლდოვანი დაკიდებული ფერდობებით, ფსკერი თითქმის მთლიანად დაკავებულია მდინარის კალაპოტით; ბ) კანიონი - ღრმა ხეობა ძალიან ციცაბო, ხშირად სუსტად დანაწევრებული, საფეხურიანი ფერდობებით და ვიწრო ფსკერით, რომელიც მთლიანად დაკავებულია მდინარის კალაპოტით; გ) „V“ - მაგარი (სამკუთხედისებური) ხეობა-ციცაბო ან საშუალოდ დახრილი პირდაპირი, ან ამობურცული ფერდობებით, რომელიც ეშვება მდინარის კალაპოტში, უკავია მთელი ფსკერი ან მისი დიდი ნაწილი; დ) ვარცლისებური - შედარებით ციცაბო შეზენილი ფერდობებით და განიერი ჩახენილი დაქანებული ფსკერით; მთიან რაიონებში მყინვარების მოქმედების შედეგად წარმოქმნილ ასეთ ხეობებს ეწოდება ტროგები, რომელთა ფერდობებზე ხშირად შეინიშნება დამრეცი მოედნები (ტროგის საბეჭურები); ე) ჭაღის (ყუთის მსგავსი, ტრაპეციისებური) ხეობა - განიერი, ბრტყელი ფსკერით, რომლის ნაწილი უჭირავს კალაპოტს, უფრო დამრეცი ფერდობებით; ვ) არამკუთხედისებური ფერდობებით, ფსკერი

თითქმის მთლიანად დაკავებულია მდინარის კალაპოტით; ბ) კანიონი - ღრმა ხეობა ძალიან ციცაბო, ხშირად სუსტად დანაწევრებული, საფეხურიანი ფერდობებით და ვიწრო ფსკერით, რომელიც მთლიანად დაკავებულია მდინარის კალაპოტით; გ) „V“ - მაგარი (სამკუთხედისებური) ხეობა-ციცაბო ან საშუალოდ დახრილი პირდაპირი, ან ამობურცული ფერდობებით, რომელიც ეშვება მდინარის კალაპოტში, უკავია მთელი ფსკერი ან მისი დიდი ნაწილი; დ) ვარცლისებური - შედარებით ციცაბო შეზენილი ფერდობებით და განიერი ჩახენილი დაქანებული ფსკერით; მთიან რაიონებში მყინვარების მოქმედების შედეგად წარმოქმნილ ასეთ ხეობებს ეწოდება ტროგები, რომელთა ფერდობებზე ხშირად შეინიშნება დამრეცი მოედნები (ტროგის საბეჭურები); ე) ჭაღის (ყუთის მსგავსი, ტრაპეციისებური) ხეობა - განიერი, ბრტყელი ფსკერით, რომლის ნაწილი უჭირავს კალაპოტს, უფრო დამრეცი ფერდობებით; ვ) არამკუთხედისებური ფერდობებით, ფსკერი

მოსწორებული, შერბილებული ფერდობების წარეცხილი ფორმებით. II. განივი პროფილის ხასიათის მიხედვით არჩევენ სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ხეობებს. სიმეტრიულს მიეკუთვნება - ვიწრობი, კანიონები, ზოგიერთი V-ი მაგვარი და ვარცლისებური ხეობები. ასიმეტრიულს მიეკუთვნება ხეობების დიდი ნაწილი, რომელთა ფერდობის მორფომეტრიული მანყენებლები (სივრძე და დახრილობის კუთხეები) არაერთგვაროვანია. III. გასწორივი პროფილის მიხედვით არჩევენ: ა) გამჭოლ ხეობებს, რომლებიც კვეთენ წყალგამყოფ ქედს განივი მიმართულებით; ბ) დაკიდებულ ხეობებს, რომელთა შესართავი წყდება საფეხური-სებურად ადგილობრივ ეროზიულ ბაზისთან. გ) ბრმა ხეობებს - კარსტულ მხარეებში განვითარებულ ხეობებს, სადაც წყალი შთაინთქმება კარსტულ ძაბრებში.

**КЛАССИФИКАЦИЯ СЕЛЕВЫХ БАС-СЕЙНОВ** - Classification of mudflow basins - ღვარცოფების აუზების კლასიფიკაცია - საინჟინრო გეოლოგიაში მიღებული ღვარცოფების აუზების კლასიფიკაცია მათი წარმოშობის (გენეზისი) და საშიშროების კომპლექსური შეფასების (ღვარცოფების განმეორების სიხშირე, გამოტანილი მასალა და მიყენებული ზარალი) მიხედვით. 6. კოლოტილინი ღვარცოფსაშიშროების მიხედვით გამოყოფენ და აუზის სხვადასხვა ხარისხის 5 კატეგორიას: 1. აუზი, რომელიც გამოირჩევა აქტიური ღვარცოფმოქმედებით და წარმოქმნის კატასტროფული ხასიათის ღვარცოფს; 2. აუზი, რომელშიც ღვარცოფმოქმედება მიმართულია ჩაქრობისაკენ; 3. აუზი, რომელშიც თითქმის მთლიანად შეწყვეტილია ღვარცოფების მოქმედება; 4. აუზი, რომელიც იძლევა ხრამის ტიპის გამონატანს; 5. აუზი, რომელშიც ზოგჯერ წარმოიქმნება დიდი დამანგრეველი ძალის „სეისმური“ ჩამონაცური.

**КЛАССИФИКАЦИЯ СЕЛЕВЫХ МАСС** - Classification of mudflow mass - ღვარცოფის მასის კლასიფიკაცია - ღვარცოფის მასის შედგენილობის მიხედვით არჩევენ ტალახ-ქვიანს, ტალახიან და წყალ-ქვიან ღვარცოფს. შემადგენელი წყლის გენეზისის მიხედვით გამოყოფენ: თავსებური წვიმების, თოვლის დნობის, შერეული გენეზისის და გლაციალურს. აღნიშნულია შემთხვევები ღვარცოფული ნაკადის წარმოშობისა მიწისქვეშა წყლის განტვირთვის შედეგად. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ღვარცოფები წარმოშობილი დაკუბებული წყალსაცავების გარღვევისას და უელკანური ამოფრქვევის შედეგად, რომლებსაც თან სდევთ თოვლისა და მყინვარის კატასტროფული დნობა. ასეთ ღვარცოფულ ნაკადებს ეწოდება ლახარი.

**КЛАССИФИКАЦИЯ СЕЛЕВЫХ ОЧАГОВ** - Classification of mudflow hearths - ღვარცოფის კერების კლასიფიკაცია - საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ღვარცოფების კერების კლასიფიკაციას და მეტად მნიშვნელოვანია მათი წარმოშობის მიხედვით. ა. შეკო გამოყოფს კერების ოთხ ჯგუფს: 1. კერებს, რომლებიც დაკუბებულია ფხვიერი მასალის დაგროვებასთან დროებითი მდინარეების კალაპოტებში; 2. კერებს, რომლებიც დაკუბებულია მდინარეების შეგუბებასთან, მათ ჩამოქონებთ: თანამედროვე და ძველი ნიშნობაქცევი, ასევე ხელოვნური კაშხლები; 3. კერებს, რომლებიც დაკუბებულია თანამედროვე მყინვარების მოქმედებასთან; 4. უელკანის მოქმედებასთან დაკუბებულ კერებს.

**КЛАССИФИКАЦИЯ СЕЛЕВЫХ ПОТОКОВ** /по С.М. Флейшману/ - Classification of mudflow - ღვარცოფული ნაკადების კლასიფიკაცია (ს. მ. ფლეიშმანის მიხედვით) - ღვარცოფული ნაკადის მყარი მინერალური და ფრაქციული შემადგენლობა რაოდენობის მიხედვით, რომე-

ლიც განსაზღვრავს მის სტრუქტურულ-რეოლოგიურ ბუნებას, გამოიყოფა ორი ტიპის ნაკადით: 1. სტრუქტურულ-შეკავშირებული, სადაც წერილდისპერსიული თიხოვანი და მტერიანი ნაწილაკები ერთმანეთთან დაკავშირებულია წყალკოლოიდური კავშირით და რის გამოც ნაკადის მოძრაობა ხორციელდება ერთიანი ვრავიტაცეული პროცესით; 2. უსტრუქტურულ-შეკავშირებელი, რომელიც მოძრაობის პროცესში ან ილექტვა კალაპოტის ფსკერზე, ან ალწვეს გამოტანის კონუსამდე.

**КЛАССИФИКАЦИЯ ТЕХНОГЕННЫХ ЛАНДШАФТОВ** - Classification of technogenic landscapes - ტექნოგენური ლანდშაფტის კლასიფიკაცია - სისტემატიკა, რომელიც დამყარებულია მათი ჯგუფებად გაერთიანებაზე, გენეზისისა და სტრუქტურის მსგავსებიდან გამომდინარე.

**КЛАССИФИКАЦИЯ ФАКТОРОВ ЭКОЛОГИИ** - Classification of ecological factors - ეკოლოგიის ფაქტორთა კლასიფიკაცია - თანამედროვე ეკოლოგიაში კლასიკურად ითვლება ეკოლოგიურ ფაქტორთა დაყოფა აბიოტურ და ბიოტურ ფაქტორებად. პირველი ჯგუფი აერთიანებს კლიმატურ ფაქტორებს, ნიადაგის თვისებებს, წყლის ქიმიურ თვისებებებს და სხვ. მეორე ჯგუფი კი - ორგანიზმის ურთიერთობის ფორმებს - კონკურენციას, მტაცებლობას, პარაზიტისმს, სიმბიოზს და სხვ. ზოგჯერ გაძნელებულია ესა თუ ის ფაქტორი მიაკუთვნო პირველ ან მეორე ჯგუფს.

**КЛАСТАЦИЯ** - Clastation - კლასტაცია - 1. ქანების დანაწევრება-დამსხვრევა, გამოფიტვა; 2. ნამტვრევი ნალექების წარმოშობის პროცესი.

**КЛАСТОКАРСТ** - Clastokarst - კლასტოკარსტი - მიწისქვეშა წყლების ქიმიური და მექანიკური ზემოქმედება ნამტვრეუდანალექ ქანებზე (ლიონები, ლიოსური თიხნარები, თიხები), რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვანი რაოდენობით ხსნად მინერალებს, ანდა ხსნადი ცემენ-

ტით შეცემენტებულ ქანებს (ქვიშაქევი, კონგლომერატები).

**КЛИМАТ** - Climate - კლიმატი - ამა თუ იმ ადგილის, მეტეოროლოგიურ პირობათა ერთობლიობა, ამინდის რეჟიმი, ჰავა.

**КЛИМАТОГРАФИЯ** - Climatography - კლიმატოგრაფია - კლიმატოლოგიის ნაწილი, რომელიც აღწერს დედამიწის სხვადასხვა ნაწილის ჰავის და მისი გეოგრაფიული განაწილების კანონზომიერებას.

**КЛИНТ** - Clint - კლინტი - 1. ციცაბო კლიფი სანაპიროზე; 2. მაგარი ქანის შრის გამოსავალი მთის ფერდობზე, მდინარის ნაპირზე ან მის კალაპოტში; 3. შიშველი ღია პლატო, აგებული კირქვებისგან და გადაკეთილი ღია ნაპრაღით; 4. კირქვების ზედაპირზე წყლით გახსნის შედეგად წარმოქმნილი ნაპრაღები.

**КЛИПП** - Remnant, klippe - კლიპი - 1. ძველი ქანების და ტექტონიკური საფარის ნარჩენი; 2. ფრიალო კლდე.

**КЛИФ** - Cliff - კლიფი - 1. ძირითადი ქანების ფლატე ან ციცაბო საფეხური ზღვის ან ტბის სანაპიროზე, რომელიც წარმოშობილია აბრაზის შედეგად. ტერმინი იხმარება აგრეთვე მაღალი, ციცაბო კლდოვანი მთისა და ხეობის ფერდობების აღსანიშნავად; 2. უბანი, რომლის ზედაპირი 40°-ზე მეტი დახრილობისაა; მაღალი და ძლიერი ციცაბო კლდოვანი საფეხური მთიან მხარეში ან ზღვის სანაპიროზე.

**КЛЮЧЕВЫЕ БОЛОТА** - Spring bog - წყაროს ჭაობი - წარმოიშობა და იკვებება ატმოსფერული და წყაროს წყლებით.

**КОАГУЛЯЦИЯ** - Coagulation - კოაგულაცია - კოლოიდური და ზოგიერთი უფრო უხეში დისპერსიული სისტემის შეცვლის პროცესი, გამოწვეული მისი მდგრადობის დარღვევით. კოაგულაციის პროცესში კოლოიდური ნაწილაკები ერთმანეთს ეწყებებიან, ზომაში დიდებიან

იმ დონემდე, რომ კარგავენ კოლოიდურ თვისებებს და გამოიყოფიან ნალექის სახით.

**КОЛЕБАНИЯ УРОВНЯ МОРЯ (ОКЕАНА)** - Sea (ocean) level variation - ზღვის (ოკეანის) დონის რყევა - ხმელეთისა და ზღვის ზედაპირის ურთიერთმდებარეობის ვერტიკალური შეცვლა.

**КОЛЕБАТЕЛЬНЫЕ ДВИЖЕНИЯ ЗЕМНОЙ КОРЫ** - Fluctuation of crustal movement - მიწის ქერქის რყევა მიწ-რაობა - მიწის ქერქის დიდი სეგმენტების ნელი-დაღმავალი და აღმავალი, ცვალებადი მოძრაობები დროში. მიწის ქერქის მოძრაობის სიჩქარე აღწევს მილიმეტრის მესამედი ნაწილიდან რამდენიმე სანტიმეტრამდე წელიწადში. ასეთი მოძრაობები გეხვდება თითქმის ყველგან.

**КОЛИ-ТИТР** - Coli-titre - კოლი-ტიტრი - წყლის ბაქტერიული გაჯუჭვიანების მანკენიშელი.

**КОЛИЧЕСТВО И СЖАТОСТЬ ПОПУЛЯЦИИ** - Population amount and density - კოპულაციის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე - კოპულაციის რიცხოვნობა - ესაა ინდივიდის საერთო რაოდენობა მოცემულ ტერიტორიაზე. რიცხოვნობა უფრო კონკრეტულ ხასიათს ღებულობს, როდესაც იგი სივრცის ერთეულშია გამოხატული. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ კოპულაციის სიმჭიდროვის შესახებ. სიმჭიდროვეს გამოხატავენ ორგანიზმთა რაოდენობით (ან ბიომასით) ფართის (ან მოცულობის) ერთეულზე.

**КОЛЛЮВИЙ** - Colluvium - კოლუვიონი - დაგროვება, ტერმინი გამოიყენება ფხვიერი ნამტვრევი მასალისათვის, რომელიც გროვდება გრავიტაციის ხარჯზე ფერდობის ან კლიფის ძირში შლიფების, ჩამონაშალი კონუსებისა და მეწყერული ნალექების სახით. თანამედროვე კოლუვიის ტიპური ნალექებია მთის ფერდობზე განვითარებული ლოდნაროვანი და ლორღ-ლოდნაროვანი ნალექები.

**ОБЛАСТЬ ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКАЯ** - Engineering-geological area - საინჟინერო-გეოლოგიური ოლქი - რეგიონის დიდი ნაწილი, რომელიც საინჟინერო-გეოლოგიური პირობებით ერთანეთის მსგავსია.

**ОБЛАСТЬ ИНФИЛЬТРАЦИИ** - Infiltration area - ინფილტრაციის არამტვრეული - წყალშეცველი ქანების გაერცვლების ფართობის ნაწილი, სადაც ხდება ზედაპირული და ატმოსფერული ნალექების ინფილტრაცია წყალგამტარ ქანებში.

**ОБЛАСТЬ ОСЕДАНИЯ ОПОЛЗНЯ** - Landslide subsidence area - მეწყურის ჩაჯდომის (ჩაწვივის) არამტვრეული - ტერიტორია მეწყურის ზედა ნაწილში, რომელშიც ვლინდება მასის დეფექტი, დარბილვითი თიხების გამოწვევისა და სუფოზური ლამების გამოდინების შედეგად. ხასიათდება მეწყურული ნასხლეტის, მოწყვეტის, ფლატის, საფეხურის, ტერასის დაჯდომისა და დეგრესიული ცირკის წარმოშობით (Нифантов, 1935).

**ОБЛАСТЬ ОТДЕЛЕНИЯ ОБВАЛА** - Landslide calving area - ნაზვავის მოწყვეტის არამტვრეული - ჩამოზვავების დროს ქანების მასის მოწყვეტის ზედა ზონა.

**ОБЛАСТЬ ПИТАНИЯ ВОДОНОСНОГО ПЛАСТА** - Water-bearing bed alimentation area, aquifer alimentation area - წყალშემცველი შპნის კვების არე - მიწის ზედაპირის ის ნაწილი, საიდანაც ატმოსფერულ ნალექები და ზედაპირული წყლები მიედინებიან მათი შთანთქმის არისაკენ და წაეფონებიან ქანებში. თანამედროვე კვების არე წარმოადგენს პიდროსტატიკური წნევის გადაცემის არეს მთელ აუქსზე.

**ОБЛЕССОВАНИЕ ПОРОД** - Rock loessing - ძანების ბალიოსება - ბუნებრივ პირობებში არალაიხისებურ ქანებში ლიონისებური ქანების თვისებების შექმნა.

**ОБРЫВ** - Scarp, cliff - ფლატე - ვერტიკალური ან მასთან ახლო ( $>60^\circ$ ) ფერდობის გაშიშვლებული უბანი, მკენარეული და ნიდაგის საფარის გარეშე.

**ОБСЛЕДОВАНИЕ ПЛОЩАДИ ОТВАЛОВ** - Investigation of pile (dump) area - ნაყარის შართობის ბამოკვლევა - ნაყარის რელიეფისა და სტრუქტურის, პიდროგეოლოგიური რეჟიმის, შედეგნილობის, რეკულტივაციური ფენის მინერალური სუბსტრატის თვისების, ბალახეულობით დაფარვისა და ხარისხის, ასევე ცხოველური დასახლების ხასიათის შესწავლა.

**ОБХОДНАЯ ФИЛЬТРАЦИЯ** - By pass filtration - შამოვლთი შილტრაცია - ფილტრაცია, რომელიც ხდება წყალსაცავებიდან ქვედა ბიფში კაშხლის შემოვლით.

**ОБЩАЯ ВЛАЖНОСТЬ** - Total humidity - საერთო ტენიანება - ქანის წონის სხეობა გამოშრობამდე და მის შემდეგ შეფარდებული ქანის აბსოლუტურ მშრალ წონასთან და გამრავლებული ასზე, შეადგენს ტენიანობას პროცენტებში.

**ОБЩАЯ ЖЕСТКОСТЬ ВОДЫ** - General water hardness - წყლის საერთო სიხისტე - წყლის თვისება განპირობებული კალციუმისა და მაგნიუმის შემცველობით, გამოიხატება მილიგრამ ეკვივალენტებ-

ში ერთ ლიტრ წყალზე. 1 მგ - ეკვივალენტი წყლის საერთო სიხისტე პასუხობს 20.04 მგ/ლიტრ კალციუმის ან 12.16 მგ/ლიტრ მაგნიუმის შემცველობას. წინათ საერთო სიხისტეს გამოხატავენ გრადუსებში.

**ОБЪЕМНАЯ ВЛАЖНОСТЬ ГОРНОЙ ПОРОДЫ** - Volumetric humidity of rocks - ძანის მოცულობითი ტენიანობა - ფორებში, ნაპრალეხსა და სხვა სივრცელებში არსებული წყლის მოცულობის შეფარდება ძანის მთელ მოცულობასთან, გამოხატული პროცენტებში.

**ОБЪЕМНАЯ ДЕФОРМАЦИЯ ПОРОДЫ** - Volumetric deformation of rock - ძანის მოცულობითი დეფორმაცია - ძანის დეფორმაციის შედეგად მოცულობის ცვლილების ფარდობა საწყის მოცულობასთან.

**ОБЪЕМНЫЙ ВЕС ВЛАЖНОГО ГРУНТА** - Volumetric weight of humid ground - ტენიანი ბრუნტის მოცულობითი წონა - მოცემული გრუნტის მოცულობის წონის შეფარდება  $4^\circ \text{C}$  ტემპერატურიან წყლის წონასთან, აღებული მთლიანი გრუნტის მოცულობიდან.

**ОБЪЕМНЫЙ ВЕС ПОРОДЫ** - Volumetric weight of rock - ძანის მოცულობითი წონა - ძანის ბუნებრივი აღნაგობის და ტენიანობის პირობებში ერთეული მოცულობის წონას გრამობით კუბურ სანტიმეტრზე ეწოდება ძანის მოცულობითი წონა. რიცხობრივად ის ტოლია ძანის წონის ფარდობისა მის მოცულობასთან.

**ОБЪЕМНЫЙ ВЕС ПОРОДЫ ПОД ВОДОЙ** - Volumetric weight of rock under the water - ძანის მოცულობითი წონა წყალქვეშ წარმოადგენს ერთეულის მოცულობის წონას, გრუნტის წყლის დონის ქვემოთ. არქიმედეს კანონის თანახმად, ეველა ძანის წონა წყალში ჩაძირულ პირობებში მცირდება წონის იმ სიდიდით, რომელსაც გამოდევნის ძანის მყარი ნაწილაკები წყლიდან, ე.ი.



ქანის მოცულობითი წონა წყალში იქნება ნაკლები, ვიდრე ჰაერზე, ნათელია, რომ წონას კარგავს ქანის მყარი ნაწილი.

**ОБЪЕМНЫЙ ВЕС СКЕЛЕТА ПОРОДЫ - Volumetric weight of rock skeleton** - ქანის ჩონჩხის მოცულობითი წონა - მიღებულია ეწოდოს აბსოლუტურად მშრალი ქანის მოცულობის ერთეულის წონას, ანდა ბუნებრივი ფორიანობის ქანის მოცულობის ერთეულის წონას წყლის გამოკლებით. მოცემული მშრალი ქანის მოცულობითი წონა ყოველთვის ნაკლებია მის ხვედრით წონაზე და იმავე ქანის მოცულობით წონაზე ტენიან მდგომარეობაში. ჩონჩხის მოცულობითი წონა დამოკიდებულია მის მინერალურ შემადგენლობასა და ფორიანობაზე. რაც უფრო მცირეა ფორიანობა და მეტია მძიმე მინერალები ქანში, მით მეტია ჩონჩხის მოცულობითი წონა (Е. Чаповский).

**ОБЪЕМНЫЙ ВЕС ТВЕРДОЙ ФАЗЫ (СКЕЛЕТА) ГРУНТА - Volumetric weight of ground hard phase (skeleton)** - ბრუნტიის მყარი ფაზის (ჩონჩხის) მოცულობითი წონა - მყარი ნაწილაკებს ან აბსოლუტურად მშრალი ქანის წონის შეფარდება წყლის წონასთან 4°C დროს, აღებული იმ მოცულობით, რომელიც ტოლია მთელი ქანის მოცულობისა (მარცვლების მოცულობას + ფორების მოცულობა) მოცემული ფორიანობის პირობებში. რიცხობრივად გრუნტის მყარი ფაზის მოცულობითი წონა ტოლია გრუნტის მოცულობის ერთეული წონისა ფორებში არსებული წყლის წონის გამოკლებით (გრუნტის ბუნებრივი ფორიანობისას).

**ОВРАГ - Gulch, gullg, ravine** - ხრამი - რელიეფის ეროზიული ფორმა, რომელიც წარმოიქმნება ფერდობზე ან წყალგამყოფზე, წარმოადგენს შედარებით ღრმა, წაგრძელებულ, დაქალაქიან ან დატოტილ ჩაღრმავებას, ქმნის V - ფორმის მქონე დროებითი ნაკადის ხეობებს,

რომლებიც წარმოიქმნებიან წყალდიდობის დროს, ან პატარა ლეღებისაგან და გვალვების დროს შრებიან.

ხრამი ეროზიის განვითარების პერიოდში განიცდის რიგ კანონზომიერ ურთიერთშემცველ სტადიებს: მცირე სიღრმისა და სიგრძის ნალვარევიდან (პირველი სტადია); ღრმა და განტოტვილი ხრამამდე (მეორე სტადია), რომელიც ჩამოყალიბდება ხევად, რომლის გრძივი პროფილი და ფერდობები აღწევენ განვითარების განსახლდერულ წონასწორობას; იფარება ბუჩქნარებით, ხოლო მათი განივი კვეთი უახლოვდება ტრამეციის ფორმას, ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ფსკერით (მესამე სტადია) (В. Д. Ломтадзе, 1999).

**ОДНОЖИДКОСТНЫЙ ПОТОК - Monofluid flow** - მართხითხიანი ნაკადი - მუდმივი სიბლანტის მქონე სითხის ერთგვაროვანი ნაკადი.

**ОДНООСНОЕ СЖАТИЕ - Uniaxial compression** - მართხითხიანი შეკუმშვა - ლაბორატორიული გამოცდის მეთოდი ქანის სიმტკიცესა და დეფორმაციულობაზე, ქანის ნიმუშზე ღერძული კუმშვადი ძალის მიყენებით და ერთდროულად დეფორმაციაზე დაკვირვებით.

**ОДНОЯРУСНЫЕ ОПОЛЗНИ - Onecycle landsllide** - ერთიარუსიანი მუჰყრბი - ვითარდებიან ერთი პორიზონტის არსებობის პირობებში. ასეთი მეწყრები, ჩვეულებრივ, გეხვდება მდინარის ხეობებში, ზღვისა და ტბის სანაპიროებზე და სხვ. ერთიარუსიანი მეწყრების დატურების ზედაპირი კვეთს ხეობის ფერდობს სულ ზედა ნაწილიდან წყლის დონემდე.

**ОДОМЕТР - Odometer** - ოლომეტრი - ცილინდრი ფხეიერი ქანების გამოცდისათვის კუმშვაზე, გვერდითი გაფართოების გარეშე (კომპრესულ გამოცდაზე).

**ОЗЕЛЕНЕНИЕ ОТКОСОВ ОТВАЛОВ - Afforestation of pile slopes (dump slopes)** - ნაჭარის შმარლობის ბამშვნაბა - ეროზიის საწინააღმდეგო ხე-ბუჩქნარის გაშენება ან ნაყარის დაკორდება სხვადასხვა

მრავალწლიანი ბალახით. გამწვანებას იწყებენ ნაყარის ფერდობების მდგრადობის მიღწევის შემდეგ. სამუშაოების დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ ნაყარის სიგრძეს, დაქანებას, ექსპოზიციას, ქანების ტენიანობას, ნაყარის თაყინვას და მათ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს. გამწვანებისთვის გამოიყენება ადგილობრივი უბრალო მდგრადი მცენარეული ჯიშები. დასათესი ან დასარგავი ფართობები, ან რიგები უნდა განლაგდეს პორიზონტალურად, თუ ფერდობის დაქანება 20°-ზე მეტია, უმჯობესია მოხდეს მათი დატერასება. ნარგავების სიხშირე ისაზღვრება გამოანგარიშებით იმისდა შესაბამისად, თუ ტენიანობის რა მარაგა ნაყარ ქანებში, ნიადაგ-გრუნტებში და წყლის რა რაოდენობა იქნება საჭირო ნარგავებისთვის ვეგეტაციის პერიოდში.

**ОЗЕЛЕНЕНИЕ ПОВЕРХНОСТИ ОТВАЛОВ** - Greening of dump surface (pile surface) - ნაყარის მიწის ზემოპირის გამწვანება - საინჟინრო-ტექნიკური და აგროტექნიკური ტექნოლოგიის კომბლექსი ნაყარზე დამკვედი და მელორაციული ნათესების შექმნისთვის, რომელიც იმავე დროს ასრულებს სანიტარიულ-ჰიგიენურ და რეკრეაციულ ფუნქციებს. მწვანე ნარგავებსა და ბალახეულ კულტურებს ნაყარზე შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე სამეურნეო მნიშვნელობა.

**ОКНО ГИДРОГЕОЛОГИЧЕСКОЕ** - Hydrogeological window (inlier) - პირფორაციული პირი შანჯარა - მცირე ზომის ფართობი (ფანჯრები) წნევიანი წყალ-შემცველი ქანების გაერცელების უბანზე, რომელიც სასათადგო წყალგამტარი თავისუფალი ზედაპირით. წყალგაუმტარი სახურავი არ არის და ადგილობრივი მიწისქვეშა წყლები გადაიქცევიან გრუნტის წყლებად.

**ОКРУЖАЮЩАЯ СРЕДА** - Environment - ბარემო - ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც

მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს.

**ОКРУЖАЮЩАЯ СРЕДА, ВИДИЗМЕНЕННАЯ ЧЕЛОВЕКОМ (КУЛЬТУРНАЯ)** - Environment (cultured) changed by human activity - ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) ბარემო - მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენურ ლანდშაფტებს.

**ОЛИСТОСТРОМЫ, ОЛИСТОЛИТЫ** - Olistostrome, olistolith - ოლისტრომ(ოლისტი)ები, ოლისტოლიტები - წყალქვეშა მეწყრული მოვლენებით წარმოქმნილი ნალექები (დანალექი მელანჯი), წარმოადგენენ მძლავრ ქაოტურად დაგროვილ დაუხარისხებულ მასალას, მოთავსებულს წერილმარცვლოვან ფრაქციებში. დანალექი ქანების ნორმალურ ფენებში ოლისტოსტრომები გვხვდება ცალკეული ლინზების, შრეებისა და მძლავრი პორიზონტების სახით. მათი ლინზებისა და პორიზონტების სიმძლავრე მერყეობს ერთეული მეტრიდან კილომეტრამდე. ცალკეულ შემთხვევაში ოლისტოსტრომები გავრცელებულია ათეულ და ასეულ კილომეტრზე, ოლისტოსტრომები მთლიანობაში წარმოადგენილი არიან ბრექჩიებით, რომლებიც შეიცავენ უცხო ნატეხებს სანტიმეტრებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დიამეტრის სიდიდით, მათ ცალკეულ ლოდებს უწოდებენ ოლისტოლიტებს (Зайка-Новацки).

**ОПАСНОЕ ВЕЩЕСТВО** - Hazardous substance - საშიში ნივთიერება - ეფლანაირი ნივთიერება ან ენერგორესურსი, ტოქსიკურების ჩართვით, მდგრადი და ბიოაკუმულირებადი ნივთიერება და მავნე მიკროორგანიზმები, მათ შორის ვენტე-

კურად შეცვლილი ორგანიზმები, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან რისკს ადამიანის ცხოვრებისათვის და ჯანმრთელობისათვის და ასევე წყლის ეკოსისტემებისათვის. როგორც წესი, ცნებაში „საშიში ნივთიერება“ არ შედის რადიაქტიული ნივთიერებები, რომლებიც განიხილებიან როგორც საშიში ნივთიერების ცალკეული სახესხვაობა.

**ОПАСНОЕ ГЕОЛОГИЧЕСКОЕ ЯВЛЕНИЕ** - Dangerous geological phenomena (geological disaster) - სახიშნაო გეოლოგიური მოვლენა (გეოლოგიური კატასტროფა) - გეოლოგიური წარმოშობის მოვლენა ან იმ პროცესების მოქმედების შედეგი, რომლებიც წარმოიშობიან მიწის ქერქში, გარეკეულ ბუნებრივი და ჰიდროდინამიკური ფაქტორების ან მათი ერთობლივი ზემოქმედების შედეგად და ახდენენ ან შეიძლება მოახდინონ დამახიანებელი ზემოქმედება ადამიანზე, შენობა ნაგებობაზე, შინაურ ცხოველებზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე, სამრეწველო ობიექტებზე, გარემოზე (გარემოს დაცვის ინსტიტუტი).

**ОПАСНОЕ ГИДРОЛОГИЧЕСКОЕ ЯВЛЕНИЕ (ГИДРОЛОГИЧЕСКАЯ КАТАСТРОФА)** - Dangerous hydrological occurrences (hydrological disaster) - სახიშნაო ჰიდროლოგიური მოვლენა (ჰიდროლოგიური წარმოშობის შემთხვევა (მოვლენა) ან ჰიდროლოგიური პროცესების შედეგი, რომელიც ახდენს დამახიანებელ ზემოქმედებას ადამიანზე, შინაურ ცხოველებზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე, სამრეწველო ობიექტებსა და გარემოზე (გარემოს დაცვის ინსტიტუტი - 2002 წ.).

**ОПАСНОЕ ПРИРОДНОЕ ЯВЛЕНИЕ** - Dangerous natural phenomenon - სახიშნაო ბუნებრივი მოვლენა - ბუნებრივი წარმოშობის მოვლენა ან ბუნებრივი პროცესების ზემოქმედების შედეგი, რომელსაც თავის ინტენსივობით, გავრცელებ-

ის მასშტაბით და ხანგრძლივობით შეუძლია შეუქმნას საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს, მის საქმიანობას, დაზიანოს საწარმოო ობიექტები და გარემო.

**ОПАСНОЕ ВЕЩЕСТВО** - Hazardous substance - საშიში ნივთიერება - ყველანაირი ნივთიერება ან ენერგორესურსი, ტოქსიკურების ჩართვით, მდგრადი და ბიოაკუმულირებადი ნივთიერება და მანვე მიკროორგანიზმები, მათ შორის გენეტიურად შეცვლილი ორგანიზმები, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან რისკს ადამიანის ცხოვრებისათვის, ჯანმრთელობისათვის და ასევე წყლის ეკოსისტემებისათვის. როგორც წესი, ცნებაში „საშიში ნივთიერება“ არ შედის რადიაქტიული ნივთიერებები, რომლებიც განიხილებიან როგორც საშიში ნივთიერების ცალკეული სახესხვაობა.

**ОПЛЫВАНИЕ** - Slipping - ჩამოცურება - ნალექების ზედაპირული ჩამოშრება, რომელიც ხდება მათი გათხევადებით და დენად მდგომარეობაში გადასვლით. სინონიმი: გრუნტის დინება.

**ОПЛЫВАНИЕ СКРЫТОЕ** - Hidden slipping - შარული ჩამოცურება - მცენარეული საფარის ქვეშ წერილმიწოვანი თიხიანი გრუნტის გათხევადების შედეგად გამოწვეული მოძრაობა, მათი მთლიანობის დარღვევის გარეშე (Тимофеев, 1978).

**ОПЛЫВАНИЕ ТИКСОТРОПНОЕ** - Hixotropic slipping - ტიქსოტროპული ჩამოცურება - ფერდობზე ტიქსოტროპული ღორღიანი ქვიშარის და თიხნარის ნელი პლასტიკური გადანაცვლება. ნიათდება ნალექების ცრუფენოვანი ტექსტურით.

**ОПЛЫВИНА** - Mud-stream, mud-flow - ჩამონაცხარი - მცირე სიმაღლის შრის გადაადგილება ფერდობზე (1 მ სიღრმემდე) მათი დენად მდგომარეობაში გადასვლით. სინონიმი: ზედაპირული მიწყურით.

**ОПЛЫЗНАНИЕ** - Sliding, slipping - ჩამოშრება - გეოლოგიური მოვლენა, რომელიც შეიქმნება ფერდობზე, ნაყარის ფერ-

დობზე, კარიერის ბორტებზე და სხვ. ხასიათდება ქანების მასივის გადაადგილებით. 1. დენუდაციის ფორმა, რომელიც შოიციავს სამ ელემენტარულ პროცესს: ბლოკური ტიპის მეწყრების გადაცვლებას; მეწყრული-ნაკადების მოძრაობასა და ჩამოცურებას (Шаниძე, 1966); 2. გრუნტის სრიალით მოძრაობის პროცესი, ქანების მასის გადაყრავების გარეშე (Трифонов, 1966); 3. გრუნტის მასის დასრიალება ფერდობზე მასივის ბლოკებად დანაწილების შედეგად, რაც გამოწვეულია დატენიანებით და სიმტკიცის დაქვეითებით ყინულისა და გრუნტის კონტაქტზე (Жигарев, 1975); 4. სხვადასხვა ტიპის მეწყრების მოძრაობა. სინონიმი: კრიპი.

**ОПОЛЗНИЕ ПЛАСТИЧНОЕ** - Plastic sliding - პლასტიკური ჩამომავყვრება - პლასტიკური გრუნტების ნელი გადაადგილება ფერდობზე; ხასიათდება წვრილი ნაოჭისებური ტექსტურით.

**ОПОЛЗНИЕ ПЛОСКОСТНОЕ** - Plane sliding - სინარტყითი ჩამომავყვრება - ფერდობის გრძელ, ბრტყელ ზედაპირზე მის პარალელურად დახრილ ან ტექტონიკურად დანაწევრებულ შრეებში განვითარებული მეწყერო, ხშირად წარმოიქმნება ფხვიერი შალითის ძირითად ქანებთან კონტაქტში. სიბრტყით მეწყრების ტრაექტორია სწორსაზოვანია და ფერდობის პარალელური (Тер-Степанян, 1970).

**ОПОЛЗНИЕ ПОКРОВЫ** - Cover slipping - საფარის ჩამომავყვრება - მცირე სიმძლავრის ფხვიერი ქანის, საფარის ნელი ჩამოსრიალება მზრალი წყების დახრილ ზედაპირზე. მოიცავს ფერდობს მთლიანად ან მის მნიშვნელოვან უბანს. მეწყრის შედეგად ჩნდება ნაპარალები და მცირე საფეხურები.

**ОПОЛЗНИЕ ПОЧВЫ** - Soil slipping (sliding) - ნიადაგბანის ჩამომავყვრება - ზედაპირული მეწყერი, რომელიც ჩაითრევს ნიადაგს ან მის ზედა პორიზონტს.

**ОПОЛЗЕНЬ** - Landslide - მწუხარი - 1. შრეებრივი ქანის ან მასის მოწყვეტა და

გადაადგილება ფერდობზე, სიმძიმის ძალის გავლენით, წარმოადგენს გრავიტაციული ტიპის გადაადგილების ერთ-ერთ სახეს. ჩამოწოლილ მასას უწოდებენ მეწყრულ სხეულს, ხოლო ქანებს - ხშირად დელიაპსს. ზედაპირს, რომელზეც მეწყერი მოწყდება და გადაადგილდება ქვემოთ ეწოდება დაცურების ან გადაადგილების ზედაპირი, რომლის დაქანების მიხედვით არჩევენ: ძლიერ დამრეცი მეწყერი 5°-მდე, დამრეცი (5°-15°); ციცაბო (15°-45°); ძლიერ ციცაბო (>45°); დაცურების ზედაპირის წოდის სიღრმის მიხედვით არჩევენ შემდეგ მეწყრებს: ზედაპირულს (1 მ სიღრმემდე ჩამონაცური), მცირეს (5 მ-მდე), ღრმას (20 მ-მდე), ძალიან ღრმას (20 მ-ზე მეტი). დაცურების მიზეზებია: ქანების ფერდობზე წონასწორობის დაკარგვა, რაც გამოწვეულია ფერდობის ძირიდან ქანების საყრდენის გამოცლით, ფიზიკური მდგომარეობის შეცვლით, ქანის სიმტკიცის შესუსტებით (ტენიანობისა და გამოფიტვის შედეგად), მიწისქვეშა წყლების პიდროდინამიკური და პიდროსტატიკური წნევების მოქმედების ან სეფოზიის განვითარების შედეგად, ხელოვნურ ნაგებობათა დატვირთვით (აეოლ. ლექსიკონი, 1978). 2. სიმძიმის ძალის მოქმედებით ქანების მასის მოძრაობა ფერდობის დახრის მიმართულებით, რომელიც მრავალ შემთხვევაში დაკავშირებულია ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებთან. 3. მეწყრული პროცესის (ჩამომეწყვრის) ქვეშ იგულისხმება ქანების ნაწილის გადაადგილება ფერდობზე, უფრო დაბალი პიუსომეტრიულ დონეზე, უძრავ საგნებთან კონტაქტის დაკარგვის გარეშე (Шекто, 1969). 4. მეწყერი ეწოდება ფერდობის სწრაფ დარღვევას. ამ შემთხვევაში ჩამომეწყვრა წარმოებს 15 წუთზე ნაკლებ დროში. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოვლენა უნდა იქნეს განხილული, როგორც ფხვიერი ან მასივის ცოცვალობა (Шейдער).

**ОПОЛЗЕНЬ АДАПТИВНЫЙ** - Adaptive landslide - ალპატური მღვწერი - დახურული მეწყერი, რომელსაც სხვადასხვა ნაწილში აქვს სხვადასხვა კინეტიკური ენერჯია. ჩამომეწყერა არ წყდება უცურად მთელ მასაზე, როცა მეწყერის ერთი უბანი წყვეტს მოძრაობას, მეორე განაგრძობს; სრული შეჩერება ხდება მოგვიანებით (Урбанск, 1968).

**ОПОЛЗЕНЬ АКТИВНЫЙ** - Active landslide - აატიური მღვწერი - ამჟამად მოქმედი მეწყერი.

**ОПОЛЗЕНЬ БАТУМСКОГО ТИПА** - Batumi type landslide - ბატუმის ტიპის მღვწერი - მეწყერი-ჩამონაკეცი მთებში მავარ ძირითად ქანებში (Буцько, 1951).

**ОПОЛЗЕНЬ БЕРЕГОВОЙ** - Coastal landslide - სანაპირო მღვწერი - ვითარდება ზღვის, მდინარის, ტბის სანაპირო ფერდობზე.

**ОПОЛЗЕНЬ-БЛОК** - Blockglide-landslide - მღვწერი-ბლოკი - ცალკეული, სუსტად გამოფიტული ქანების ბლოკების გადაადგილება, შრეობრიობის ან სტრუქტურის შენარჩუნებით (Золтарев, 1956).

**ОПОЛЗЕНЬ БЛОКОВЫЙ** - Block landslide - ბლოკური მღვწერი - მეწყერი, წარმოშობილი საკმაოდ მეკრივი და მონოლითური ქანების წყებაში, რომელიც ვითარდება დიდი ბლოკების სრიალის სახით დახრილ ჩახნეკილ მოწყვეტის ზედაპირზე და კვეთს ფერდობის ძირითად მასივს დიდ სიღრმეზე (Шанцер, 1966).

**ОПОЛЗЕНЬ БОЛОТНЫЙ** - Swamp landslide - ჭაობის მღვწერი - ტორფნარის გაჯირჯეული მასის გამოდინება, ჭაობის გამოხედიქვა (Софьяно, 1957).

**ОПОЛЗЕНЬ ВЕЕРООБРАЗНЫЙ** - Fan-like landslide - მარაოსებური მღვწერი - თითქმის იზომეტრიული, ზედა ნაწილში მომრევალებული მეწყერი, რომელიც ფერდობის ძირისაკენ სიგანეში კლებულობს (Емсельянова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ВНЕЗАПНОГО РАЗЖИЖЕНИЯ** - Landslide of sudden liquescency - უა-

ცარი ბათხმვალვის მღვწერი - წარმოშობა მისი ზედაპირის ამგებელი ქანების წყლის გაჯერებით და უცარი გათხევალებით (Бойко, 1963).

**ОПОЛЗЕНЬ ВНУТРИОВРАЖНЫЙ** - Intragorge landslide - ხრამისშიბა მღვწერი - გამოწვეულია ხრამის ეროზიით და არ სცილდება მის ფარგლებს. ზედა საზღვარი ხრამისშიბა მეწყერისა თან ხედება ხრამის კედეს ან განლაგებულია მის ქვემოთ; ქვედა საზღვარი აღწევს ტალღევს და დინამიკურია. ხრამისშიბა მეწყერი შეიძლება იყოს ფრონტალური, ცირკისებური ან ულტრეტრეული (Львадник, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ВТОРОГО ПОРЯДКА** - Secondary landslide - მეორე რიგის მღვწერი - წარმოშობა ადრე არსებული მეწყერის სხეულში; მეორადი მეწყერი (Борзанович, 1911).

**ОПОЛЗЕНЬ ВЫДАВЛИВАНИЯ** - Squeeze out landslide - ამოწმხმის მღვწერი - 1. ფრონტალური მეწყერი, რომელიც გამოიხატება გადამფარავე ქანების დიდი ბლოკების გადაადგილებაში. წარმოშობის მიზეზია ცოცხადობის ვამომწვევი პროცესების არსებობა, რომელსაც თან ახლავს ფერდობზე არსებულ ქანებში ან მათ ძირში შედარებით სუსტი ფენების ამოწმხმვა, ბლანტ-პლასტიკური დინების სახით, დაბალი წნევის უბანზე. სინონიმ: ბლოკური მეწყერი, გაჭყლეტის მეწყერი, სტრუქტურულ-პლასტიკური მეწყერი (Гулакян, Кюнтцель, 1970); 2. მეწყერის მოძრაობის პროცესში მეწყერული მასის დიდი დატვირთვის შედეგად ბაზისის ზონაში ცოცხითი სიბრტყის ქვეშ განლაგებული დეფორმაციისადმი დამყოლი შრეების მიწის ზედაპირზე ამოწმვა. იგი მორფოლოგიურად წარმოადგენს მეწყერის მოძრაობის პერპენდიკულარულად წარმოქმნილ შედარებით წავრმელებული რელიეფის ფორმას (ე.წ. რეთელი, ბ. ვიპრკელია).

**ОПОЛЗЕНЬ ВЫПИРАНИЯ** - Bulging up landslide - ამოზურცვის მღვწერი - მეწყ-

რული სხეული (უმეტესად მკოცავ-პლასტიკური), რომელიც თავის მოძრაობის გზასე წინააღმდეგობის შეხვედრისას ახდენს ენის ზონაში არსებული მასის შეკუმშვას და მისივე მოძრაობის პერპენდიკულარულად წარმოიქმნება ამობურცვის ზეიწეულები (ე. წერეთელი).

**ОПОЛЗЕНЬ ВЫПЛЫВАНИЯ** - Swimming up landslide - ამოზურცვის მთაში - გადაშურავი ბლოკური ქანების გადაადგილება ფერდობზე ან მის ფუძეში ფხვიერი საგები ქანების ამოცურების შედეგად მაღალი ჰიდრაულიკური გრადიენტის დროს. მორფოლოგიურად გამოსახულია ცირკისებური მეწყრის სახით (Гулакян, Кюнтсел, 1970).

**ОПОЛЗЕНЬ ГЛЕТЧЕРООБРАЗНЫЙ** - Gletchier-shaped landslide - ბლატჩარისებური მთაში - წაგრძელებულია ფერდობის დაქანების მიმართ. მისი სიგრძე საგრძობლად ჭარბობს სიგანეს. სინონიმი: მეწყერნაკადი (Емсельнова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ДЕТРУЗИВНЫЙ** - Detrusion landslide - დეტრუზიული მთაში - 1. მოძრაობა იწყება ზემოდან და თანდათან გადაეცემა ქვემოთ. მოწყვეტილი ფერდობის ზედა ნაწილი ახდენს დაწოლას ქვემოთ მდებარე მასაზე. თელავს მას, წყვეტს ფერდობიდან და მასთან ერთად მიცოცავს ქვემოთ. წარმოიშობა იმ შრეების პლასტიკური გამოწურვით, რომლებიც დაწეულია ფერდობის ძირის ქვემოთ. რელიეფში გამოხატულია ბორცვოვანი ფერდობებით (Шукин, Емсельнова, 1972); 2. მეწყრის ტიპი, რომელიც წარმოიშობა შეღუნული ზედაპირის გასწვრივ და ტოვებს ფერდობის რელიეფზე ამფითეატრის მსგავს საფეხურს, გრუნტი მოძრაობს მთლიანი მასით, შეუძლია ბიძგი მისცეს მათ წინ განლაგებულ ქანებს და წარმოქმნას სერების მქორივი (Colton, 1949).

**ОПОЛЗЕНЬ ДРЕВНИЙ** - Ancient rock-slide - ძველი მთაში - წარმოიშვა ადრინდელი დროის ეროზიის ბაზაზე და აბრაზიის დონეზე. მეწყერი, რომელიც მოქმედება გეოლოგიურ წარსულში განსხვავებულ გეოლოგიურ პირობებში, იყოფა: ღია, დახურულ და მკვდარ მეწყერებად (Попов, Емсельнова, Ницаигов, 1946, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ЗАКРЫТЫЙ** - Closed landslide - დახურული მთაში - მოქმედებს, როგორც დახურული სისტემა. კიბეტიკური ენერჯია ეცემა ნულამდე, მეწყერული პროცესის ხანგრძლივობა მცირეა და არ შეორდება. იყოფა: ადაპტურ და დეკენერირებულ (ვადაკვარებულ) მეწყერებად (Urbanek, 1968).

**ОПОЛЗЕНЬ ИНСЕКВЕНТНЫЙ** - Insequent landslide - ინსეკვენტური მთაში - დასრიალების ზედაპირი კეფის სხვადასხვაგვარ ლითოლოგიურ ქანებს (Савапенский, 1934).

**ОПОЛЗЕНЬ КОНСЕКВЕНТНЫЙ** - Consequent landslide - კონსეკვენტური მთაში - დასრიალების ზედაპირი გეოლოგიური შრეებრიობის გამყოფი ზედაპირის თანხვედნილია (Емсельнова, Маккавцев, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ КОНСИСТЕНТНЫЙ** - Consistence landslide - კონსისტენტური მთაში - გამოწვეულია ფერდობზე ქანების არამდგრადი კონსისტენციით.

**ОПОЛЗЕНЬ КОНТАКТНЫЙ** - Contact landslide - კონტაქტური მთაში - მეწყერი, ფიქსირებული, ბრტყელი, დასრიალი დასრიალების ზედაპირით, წარმოქმნილი და შრეების კონტაქტზე. წარმოიშობა შრეებრივ ქანებში, განვითარებას იწყებს ფერდობის ძირში და თანდათან ვრცელდება ზევით ფერდობზე (Дранников, 1956).

**ОПОЛЗЕНЬ МЕЛКИЙ** - Shallow landslide - მცირე მთაში - სიმძლავრე ვრცელდება არ აღემატება 5 მ.

**ОПОЛЗЕНЬ МНОГОЯРУСНЫЙ** - Multicycle landslide - მრავალბინარული მთაში - განვითარებულია ფერდობზე რამდენიმე ცოცვის სიბრტყით სხვადასხვა აგებულების შრეებში, მეწყრის ძირისადმი განსხვავებული მანევენებლებით.

**ОПОЛЗЕНЬ НАДВОДНЫЙ** - Overwater landslide - წყალზედა მთწვერი - იმყოფება წყალსატევის ან წყალსადინარის დონის ზემოთ.

**ОПОЛЗЕНЬ-ОБВАЛ** - Landslide-collapse - მთწვერი-ზმაპი - მეწყერი, რომლის დაძვრის დროსაც მისი სხეულის ნაწილი გამოეყოფა დასრიალების ზედაპირს და განიცდის თავისუფალ ვარდნას.

**ОПОЛЗЕНЬ ОВРАЖНЫЙ** - Gorge landslide - ხრამი მთწვერი - წარმოიქმნება ხრამის ან ხევის ფერდობზე, გრუნტის წყლები და წყალგაუმტარი თიხების გამოსასვლელების ზონაში, რომელთა ზედაპირზე ხდება მოწყვეტილი ქანების მასის დაცურება (Кссь, Семснова-Тянь-Шанская, 1951).

**ОПОЛЗЕНЬ-ОПЛЫВИНА** - Landslide-mudflow - ჩამონაცური მთწვერი - წარმოშობილია ძირითადად თიხნარებისა და თიხების გადაადგილების შედეგად, რომლებიც ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაჯერებით კარგავენ მდგრადობას და ჩამომიწყვრებიან ძლიერ აშლილი, გათხევადებული მასის სახით (Спиридонов, 1970).

**ОПОЛЗЕНЬ ОРОГЕНИЧЕСКИЙ** - Orogenic landslide - ოროგენული მთწვერი - ქანების დიდი მასის გადაადგილება მიწის ზედაპირზე ოროგენული აზვეების შედეგად.

**ОПОЛЗЕНЬ ОСОБЕННЫЙ** - Particular landslide - განსაკუთრებული მთწვერი - წარმოიშობა დიდი სიცარიელის ქანებში, ფილტრაციის დარღვევის, ქანების სიმკვრივისა და მოცულობის შეცვლის შედეგად (Емельянова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ОТКРЫТЫЙ** - Open landslide - ღია მთწვერი - მოქმედებს როგორც ღია ენერგეტიკული სისტემა, იცვლის სტრუქტურას და ურთიერთკავშირს გარემოსთან. მიმართულია კინეტიკური ენერჯის გაზრდისაკენ და კინეტიკურად არასტაბილიზებული მზარდი მეწყერია (Urbanek, 1968).

**ОПОЛЗЕНЬ ОЧЕНЬ ГЛУБОКИЙ** - Very deep landslide - ძლიერ ღრმა მთწვერი - ცოცვის ზედაპირის სიღრმე 20 მ-ზე მეტია.

**ОПОЛЗЕНЬ ПАРАЛЛЕЛЬНО СТУПЕНЧАТЫЙ** - Parallel steplike landslide - პარალელურ საფეხურებიანი მთწვერი - ვანიერი უკუდახრილი საფეხურების ზედაპირებით. მეწყერის ძირში განვითარებულია ბორცვები და ზვინულები, რომლებიც წარმოიშობა მეწყერის პასიური უბნის ამობურცვის შედეგად ზემოდან დაწოლილი, ადგილმომცველი მასის ზეგაფლენით; დეტრუიციული მეწყერის სახესხვაობა (Никфантов, 1935).

**ОПОЛЗЕНЬ ПЕРВОГО ПОРЯДКА** - Primary landslide - პირველი რიბის მთწვერი - ვითარდება ადრე გადაუნაცვლებელ ქანებში. პირველადი მეწყერი (Богданович, 1971; Емельянова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ПЛАСТИЧЕСКИЙ** - Plastic landslide - პლასტიკური მთწვერი (Савренский, 1934). - ყოველთვის კონსეკუენტური. ქანების მასის დინება მიმდინარეობს დასრიალების დახრილ ზედაპირზე, ბლანტი სითხის მსგავსად, პლასტიკურ მეწყერებს მიეკუთვნება: საკუთრივ მეწყერები, ნაკადი-მეწყერები, ჩამოცოცვის მეწყერები და სოლიფლუქციური ბიძგები (Ломтадзе, 1976). წარმოიშობა ფერდობის წონასწორობის დარღვევის შედეგად მის ძირში, თიხოვანი ქანების დარბილებით (Маккавсв, 1971).

**ОПОЛЗЕНЬ ПОВЕРХНОСТНЫЙ** - Surficial landslide - ზედაპირული მთწვერი - 1. მეწყერი, რომელიც დაკავშირებულია ფერდობზე საფარის წარმონაქმნების წონასწორობის კონკრეტულ დარღვევასთან (Емельянова, 1972); 2. მეწყერი, რომელიც მოიცავს გრუნტის ზედაპირულ სიზრქეს 1 მეტრამდე (Маккавсв, 1971).

**ОПОЛЗЕНЬ ПОГРЕБЕННЫЙ** - Buried landslide - დამარხული მთწვერი - დაფარულია ახალგაზრდა ნალექებით.

**ОПОЛЗЕНЬ-ПОТОК** - Land-flow - ნაკადი მთწვერი - 1. წარმოიქმნება ფხვიერ-

თხოვანი ქანების ზედმეტი დატენიანების პირობებში; (Милаповский, Золотарев, 1956); 2. გამოფიტვის პროდუქტების ნახევრად თხევადი ან პლასტიკური მასის ენა, ტალახიან ნაკადისაკენ გარდამავადი ტიპი, აქვს კარგად გამოსახული დაცურების ზედაპირი და ჩამომეწყვრების გზა, რომლის სიგრძე რამდენჯერმე აღემატება მის სიგანეს; მეწყვის სხეული გადაკვეთილია განივი ნაპრალებით და საფეხურებით (Николаев, 1954); 3. დიდი ჩამონაცური მოძრაობა ხდება ვარცლისებურ კალაპოტში. ნათლად გამოიკვეთება მეწყვის ზედა საფეხური და მეწყვის სხეული, იყოფა მარტივ და რთულ-ნაკადურ მეწყვრებად (Дранников, 1956). სინონიმი: ცირკისებური.

**ОПОЛЗЕНЬ-ПОТОК ПРОСТОЙ** - Simple land-flow - მარტივი ნაკადი-მეწყვრი - ერთჯერადი მოძრაობის ნაკადი-მეწყვრი (Дранников, 1956).

**ОПОЛЗЕНЬ-ПОТОК СЛОЖНЫЙ** - Multiple landslide-flow - რთული ნაკადი-მეწყვრი - წარმოიქმნება მრავალჯერადი მოძრაობის შედეგად (Дранников, 1956).

**ОПОЛЗЕНЬ ПРОГИБА (ДЕПРЕССИВНЫЙ)** - Depression landslide - ჩაღუნვის მეწყვრი (დეპრესიული) - ცირკისებური სეისმური მეწყვრი, რომელიც წარმოიქმნება გრუნტის მნიშვნელოვანი მასის მკვეთრი დაწევიით და ფერდობის დიდი ან მცირე ნაწილის მოწყვეტით. სეისმური დარტყმის შედეგად, გრუნტი გადაადის დენად მდგომარეობაში და დარღვეული უბნის ადგილზე წარმოიქმნება ღრმა დეპრესიული ცირკი (Колотилин, 1961).

**ОПОЛЗЕНЬ ПРОСАДОЧНЫЙ** - Subsidence landslide - დაჯდომარეობის მეწყვრი - დაკავშირებულია გრუნტების დაჯდომასთან, გვეხედება ლიოსურ ქანებში.

**ОПОЛЗЕНЬ РАЗДАВЛИВАНИЯ** - Diluted landslide - ბაზალტის მეწყვრი - დაკავშირებულია პორიზონტალურად განლაგებული ქანების შრებისაგან აგებული მაღალი პლატოს ან ტერასის ფერდობის საერთო მდგრადობის დარღვევასთან.

გამოწვეულია სუჯტი თიხიანი პორიზონტების გაქცელებით ან ამოწნეხვით (Емельянова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ РАЗЖИЖЕНИЯ** - Diluted landslide - ბათხმამაშული მეწყვრი - მაღალი „მგრძნობიარე“ ქანების გათხევადება და გადაადგილება. მათი მდგრადობის უეცარი დაკარგვით, გამოტუტვის პროცესების შედეგად, რომელიც გამოიხატება ტალახის ნაკადებში. მორფოლოგიურად მეწყვისთვის დამახასიათებელია შევიწროებული ყელი (Гулякин, Кюнтцел, 1970).

**ОПОЛЗЕНЬ РЕГРЕССИВНЫЙ** - Regressive landslide - რეგრესიული მეწყვრი - იზრდება მისი მოძრაობის საწინააღმდეგოდ (Емельянова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ „СВЕЖИЙ“** - „Fresh“ landslide - „ახალი“ მეწყვრი - მორფოლოგიური სახე, შემდგომი პროცესების მიუხედავად, თითქმის უცვლელი რჩება (Емельянова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ-СДВИГ** - Shift landslide - ძირის მეწყვრი - გამოწვეულია ტექტონიკური ძვრებით მთიან რაიონში (Нифантов, 1935).

**ОПОЛЗЕНЬ СЕЙСМИЧЕСКИЙ** - Seismic landslide - სეისმური მეწყვრი - წარმოიშობა მიწისძვრის შედეგად (Колотилин, 1961).

**ОПОЛЗЕНЬ СЕЙСМОГРАВИТАЦИОННЫЙ** - Seismogravitational landslide - სეისმოგრავიტაციული მეწყვრი - მეწყვრი ძირითად ქანებში, რომლის მოძრაობა გამოწვეულია მიწისძვრის შედეგად (Храмовских, 1965).

**ОПОЛЗЕНЬ СКАЛЬНЫХ ПОРОД** - Rockslide - კლდეებიანი ქანების მეწყვრი - 1. ძირითადი ქანების უბნებიდან მოწყვეტილი მასის ჩქარი მოძრაობა შრების დაქანების სიბრტყეზე, ნაპრალის ან ნახსლევის ზედაპირზე (შარპი); 2. კლდეოვანი ქანების გადაადგილება, რომელიც მოიცავს დიდ ფართობს და გამოირჩევიან ნელი მოძრაობით, წელიწადში 2-10 მმ (Мещеряков, 1972).



**ОПОЛЗЕНЬ СКАНДИНАВСКОГО ТИПА**

- Skandinavian landslide - სკანდინავშიური ტიპის მთწვერი - კატასტროფული მეწყერი, წარმოიქმნება ახალგაზრდა ტექტონოპლასტიკური და ტბიური თიხიდან ნალექებში, რომლებსაც თითქმის არ განუვადობია დიაგენეტიური გამკვირვება (Шанишв. 1966).

**ОПОЛЗЕНЬ СКОЛЖЕНИЯ** - Sliding landslide - მასრიკალის მთწვერი - მსხვილი ბლოკების ან ფხვიერი მასის დასრიალება მდგრადობის უეცარი დაკარგვის ან დაცოცების განვითარების პროცესის გამო, რომელიც გადადის ტრიაში, მორფოლოგიურად გამოისახება ცირკისებური, გლტნიერისებური, დაკუთხული მონახულობის მეწყერებით (Гулакян. Кюнтш. 1970).

**ОПОЛЗЕНЬ СРЕЗАЮЩИЙ** - Shearing landslide - წამკვეთი მთწვერი - მეწყერი შრეებრივ ქანებში, რომლის დასრიალების ზედაპირი კვეთს სხვადასხვა ასაკის და შემადგენლობის ქანებს. ასეთი მეწყერების წარმოშობა ხდება ძირითადად ქანების დაქანების მიმართულებით, რომლებიც იკვეთებიან მდინარის ხეობებით. სინონიმები: ინსექვენტური, გამკვეთი მეწყერები (Тимофеев. 1978).

**ОПОЛЗЕНЬ-СРЫВ** - Stripping landslide - მთწვერი-მოწყვეტა - ვითარდება მხოლოდ ნამტვრევი მასალის საფარში და სრიალებს კლდოვანი მაგარი ქანების ზედაპირზე (Воскресенский. 1971). სინონიმი: სოკი-ტუაფის ტიპის მეწყერი (Бышко. 1951).

**ОПОЛЗЕНЬ СТАРЫЙ** - Old landslide - ძველი მთწვერი - შეჩერებული, გაჩერებული ან დამთავრებული მეწყერი, რომლის მორფოლოგიური სახე მოგლუვებული და მოსწორებულია სხვა ზედაპირული პროცესების მოქმედებით (Емельянова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ СТРУКТУРНО-ПЛАСТИЧЕСКИЙ** - Structural-plastic landslide - სტრუქტურული პლასტიკური მთწვერი - ქანების ბლოკის ან ბლოკების დას-

რიალება, რომლებიც მოძრაობის დროს იწლებიან, ქვეცადლებიან და გადაიქცევიან ისეთ მასად, რომელიც ბლანტი სიბრტყის მსგავსად ცოცავს დასრიალების ზედაპირზე (Ломтадзе. 1976).

**ОПОЛЗЕНЬ СТРУКТУРНЫЙ** - Structural landslide - სტრუქტურული მთწვერი - 1. წარმოიშობა ცალკეული ბლოკების ან ბლოკების სისტემის მოძრაობით ფერდობებზე, როცა ყველა ბლოკი ინარჩუნებს თავის ბუნებრივ აკუმულაციას; 2. მეწყერი, რომლის დასრიალების ზედაპირს წარმოადგენს ქანების შრეობრიობის სიბრტყე. ნაპრალების სისტემა ან ტექტონიკური რღვევა დახრილი ფერდობის მიმართულებით (Маклаев. 1961).

**ОПОЛЗЕНЬ СТУПЕНЧАТЫЙ** - Step-like landslide - საფეხურიანი მთწვერი - ვერცხლდება ქანების წყების სესონური ცვლილებების ზონაზე და უფრო ღრმად. იგი შედგება რამდენიმე მეწყერული საფეხურისგან, მოიცავს ფერდობის დიდ უბანს. ფერდობის ზედა ნაწილში ხდება ვერტიკალური გადაადგილება, მეწყერული მონაწილეების განვითარებით, ფერდობის შუა ნაწილში გამოიკვეთება პორიზონტალური გადაადგილებები, ქვედაში - დასაწყისში პორიზონტალური, ხოლო შემდგომ - ვერტიკალური. ჩამომეწყერა ხორციელდება მრავალჯერ, დაბორცვილ დაცურების ზედაპირზე (Дранников. 1956).

**ОПОЛЗЕНЬ СУФОЗИОННЫЙ** - Suffosion landslide - სუფოზიონური მთწვერი - წარმოიშობა სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშების ქვედა პორიზონტებში წონასწორობის დარღვევით, მიწისქვეშა წყლებით წერილმარცვლოვანი ნაწილაკების გამორცხვის შედეგად, რაც იწვევს ზემოთ განლაგებული ქანების მდგრადობის შესუსტებას (Поднинов).

**ОПОЛЗЕНЬ СУХОИ** - Dry landslide - მშრალი მთწვერი - წარმოიშობა ზედაპირული და გრუნტის წყლების უმნიშვნელო მონაწილეობით.

**ОПОЛЗЕНЬ ТЕЧЕНИЯ** - Flow landslide - ღინაჲი მჰჰჰარი - მიწის მასის ნაკადობური დინება, ზოგჯერ უხეშონატეხოვანი მასალის მნიშვნელოვანი მინარევით, რაც გამოწვეულია ნალექების სიმბტიცის შემცირებით მათი დატენიანების გამო. მორფოლოგიურად გამოხატულია გლეტნირისებური, კოეზისებური ან არაკოეზური საზღვრებით გამოხატული მეწყრებით (Гулакян, Кюнтцел, 1970).

**ОПОЛЗЕНЬ ФИКСИРОВАННЫЙ** - Fixed landslide - შიშინიშული მჰჰჰარი - მეწყერი, რომელმაც დაამთავრა მოძრაობა, განერდა, ხასიათდება ბორცვიან ფოსტურული მიკრორელიეფით და გამოკვეთილი ბოლოთი.

**ОПОЛЗЕНЬ ФРОНТАЛЬНЫЙ** - Frontal landslide - შრონტალური მჰჰჰარი - წაგრძელებულია ფერდობის ძირის გასწვრივ. მისი სიგანე მნიშვნელოვნად აღემატება სიგრძეს და დიდდება ქვემოთ (Емсельнова, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ЦИРКОБРАЗНЫЙ** - Cirque landslide - ცირკისმჰჰარი მჰჰჰარი - მეწყერი, რომლის შედეგად წარმოიშობა ღრმად შეტრილი ამფითეატრი (ამაღლებაში). ჩამოცურებელი შრეები წარმოშობს ანტიკლინურ ნაოჭს, რომლის ღერძი მდინარის პერპენდიკულარულია და მის ძირში გამოედინება მრავალი წყარი (Павлов, 1972).

**ОПОЛЗЕНЬ ЭЛЕМЕНТАРНЫЙ** - Elementary landslide - ელემენტარული მჰჰჰარი - განვითარება ხდება დაცურების ზედაპირის წარმოშობით, წინათ დაურღვეველ და შესუსტებულ ქანებში. ჩვეულებრივ ფორმირდება ერთგვაროვან დაუშლელ თიხოვან-ქვიშიან, ზოგჯერ პორიზონტალურად განლაგებულ შრეებრივი ქანების მძლავრ წყებებში (Славянов, 1964).

**ОПОЛЗЕНЬ ЭРОЗИОННЫЙ** - Erosional landslide - ეროზიული მჰჰჰარი - მეწყერი, რომელიც წარმოიშობა, ფერდობის ძირის გამორეცხვით წყლის დროებითი ან მუდმივი ნაკადით (Корженевский, 1962).

**ОПОЛЗЕНЬ ЯРУСНЫЙ** - Stage landslide - იარუსული მჰჰჰარი - ფერდობზე ერთი მეორეზე ვანლაგებული რამდენიმე მეწყერი (Саваренский, 1939).

**ОПОЛЗНЕВАЯ ЗОНА ИЛИ ЗОНА ФОРМИРОВАНИЯ ОПОЛЗЕНИЯ** - Landslide zone or landslide forming zone - მჰჰჰარული ზონა ანუ მჰჰჰარების ფორმირების ზონა - გეოლოგიური გარემოს ნაწილი, რომელშიც ვლინდება მეწყრული დეფორმაციები.

**ОПОЛЗНЕВАЯ СТУПЕНЬ** - Landslide step - მჰჰჰარული საფეხური - ფერდობის ნაწილი, რომელიც შედგება პორიზონტალური ან სუსტად დახრილი მოედნისგან და მისდამი ქვემოდან მომიჯნავე უფრო ციცაბო ფერდობისაგან.

**ОПОЛЗНЕВАЯ СЪЕМКА** - Landslide survey - მჰჰჰარული აბშეშა - სამეშაოები, რომლებიც მოიცავს გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეობოტანიკური კომპლექსური პირობების შესწავლას, მეწყრული დეფორმაციის ხასიათს ფერდობის მდგრადობის შეფასებას, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავების მიზნით.

**ОПОЛЗНЕВАЯ ТЕРРАСА** - Landslide terrace - მჰჰჰარული ტარასა - მეწყრული ფერდობის დატერასებული საფეხური.

**ОПОЛЗНЕВЕДЕНИЕ** - Landslide science - მჰჰჰართმცოდნეობა - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მეწყრულ მოვლენებს.

**ОПОЛЗНЕВОЕ ТЕЛО** - Landslide body - მჰჰჰარული სხეული - ფერდობის ნაწილი, რომელიც გამოიყოფა მისი უძრავი ნაწილისგან და მოდის მოძრაობაში დაცურების სობრტყეზე (Маккавцев, 1971).

**ОПОЛЗНЕВОЙ БЛОК** - Landslide block - მჰჰჰარული ბლოკი - მეწყრული სხეულის ნაწილი, რომელიც მოძრაობისას ინარჩუნებს შედარებით მთლიანობას.

**ОПОЛЗНЕВОЙ ПОТОК** - Landslide flow (stream) - მჰჰჰარული ნაჰაღი - მეწყერი, რომლის წინააღობა ხდება ხაზობრივ

ტალევეში უწყვეტად, დროის ხანგრძლივ პერიოდში. მეწყრული დინება აღრმავებს და ასწორებს კალაპოტის უსწორმასწორობას მანამ, სანამ მიაღწევს წონასწორობის მრუდს (Пчельнищев).

**ОПОЛЗНЕВОЙ СКЛОН** - Landslide slope - მიწისძვრის მრუდი - ბუნებრივი ფერდობი ან ხელოვნური ფერდობი, რომელზედაც ვითარდება მეწყრული დეფორმაციები.

**ОПОЛЗНЕВОЙ УЧАСТОК** - Landslide plot (area) - მიწისძვრის უბანი - ტერიტორია, რომლის ფარგლებში ხორციელდება მეწყრული პროცესების შესწავლა.

**ОПОЛЗНЕВЫЕ ДИСЛОКАЦИИ** - Landslide dislocation - მიწისძვრის დისლოკაცია - მეწყრული მოვლენებით გამოწვეული ქანების დისლოკაცია, რომლებიც გამოიხატება წყვეტებში ან დანაოჭებაში. ასეთი მოვლენები შეიძლება განვითარდეს ნალექების ფორმირების დროს და უკვე ჩამოყალიბებულ ქანებშიც.

**ОПОЛЗНЕВЫЕ НАКОПЛЕНИЯ (ОПОЛЗНЕВОЙ ДЕЛЮВИЙ)** - Landslide accumulation (talus) - მიწისძვრის მანაბროში (მიწისძვრის დელუვიონი) - ფერდობიდან ან ფერდობიდან ჩამოცურებული ქანების დანაბრო.

**ОПОЛЗНЕВЫЙ ЯЗЫК** - Landslide tongue - მიწისძვრის ენა - მეწყრული სხეულის ქვედა ნაწილი.

**ОПОЛЗНЕОПАСНЫЙ И СЕЛЕОПАСНЫЙ СЕЗОНЫ** - Seasons of landslide and mudflow danger - მიწისძვრის და ლმარცროვანი სანონების - წლის განმავლობაში მეწყრის ან ლმარცროვის წარმოშობის ყველაზე უფრო საშიში პერიოდი (ერთი ან ორი თვე).

**ОПТИМАЛИЗАЦИЯ ЛАНДШАФТА** - Optimization of landscape - ლანდშაფტის ოპტიმიზაცია - ღონისძიებების კომპლექსი მიმართული ლანდშაფტის მაქსიმალურად შესაძლო პროდუქტიულობაზე.

**ОПТИМИЗМ ЭКОЛОГИЧЕСКИЙ** - Ecological optimism - ეკოლოგიური ოპტიმიზმი - ეკოლოგიური ფაქტორების შემზღუ-

დავი ზემოქმედების შეუმჩნეელობაა, როგორც ბუნებასარგებლობაში, ასევე მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში. ეკოლოგიური ოპტიმიზმი ასევე ეკოლოგიურ ვოლუნტარიზმთან. ეკოლოგიური ოპტიმიზმი განსაკუთრებით საშიშია საცხოვრებელ გარემოზე გლობალური ომის შეფასების საკითხში (Реймерс, 1990).

**ОПТИМУМ** - Optimum - ოპტიმუმი - ყველაზე უფრო ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობების ერთობლიობა.

**ОПУСТЫНИВАНИЕ** - Deserting - ბაუზაზნობა - მიწის დეგრადაცია არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ რაიონებში, გამოწვეული სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის კლიმატური ცვლილებებით და ადამიანის საქმიანობით.

**ОРГАНИЧЕСКИЕ СОЕДИНЕНИЯ В ПОРОДАХ** - Organic compounds in rocks - ორბანული შინაარსი ქანებში - ფხვიერ ქანებში, განსაკუთრებით თიხებში, სშირად გვხვდება მცენარეებისა და ცხოველების მოქმედების შედეგად დაგროვილი (ტორფი, საპროფელი, ქვანახშირი და ა.შ.) ორგანული ნივთიერება. ის როგორც წესი, ცვლის ქანების თვისებებს, განსაზღვრავს მალაქ ტენენტადობასა და პლასტიკურობას, დაბალ წყალშედევადობას, მალაქ კუმშვადობას დატვირთვის ქვეშ და დაბალ წინააღმდეგობას ძერაზე.

**ОРОГРАФИЯ** - Orography - ოროგრაფია - გეომორფოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ქედების, მაღლობების, ქვაბულების ურთიერთგანლაგებას, მათ ზომებს, სიმაღლეებს, მიმართულებებს და სხვა. ახდენს მათ კლასიფიკაციას გარეგანი ნიშნების მიხედვით. სინონიმი: მორფოგრაფია, ოროლოგია.

**ОСАДКА** - Subsidence - დაჯდომა - გეოლოგიური მოვლენა, წარმოიშობა შენობის (ნაგებობის) ზემოქმედებით საძირკველზე.

**ОСАДКА ОСТАТОЧНАЯ** - Residual subsidence - დაჯდომის ნარჩენი - ქანების ჯდო-

მის (დეფორმაციის) ნაწილია, რომელიც რჩება მათზე მოქმედი დატვირთვის მოხსნის შედეგად.

**ОСАДКА ПРИ ПРОТАИВАНИИ** - Settlement on melting - ღაჯღომა ბალხობის პროცესში - ნიადაგის, გრუნტების ან ქანების ვერტიკალური დაჯდომა, გამოწვეული მათი გალხობის დროს მოცულობის შემცირებით.

**ОСАДКА СООРУЖЕНИЯ** - Construction subsidence - ნაბეზობის ღაჯღომა - ნაგებობის ვერტიკალური გადაადგილება, მიმართული ქვემოთ, რომელიც გამოწვეულია ქანების შემჭიდროებით, დეფორმაციით ან საძირკეის ქანების დაშლით (В.Д. Ломтадзе, 1999).

**ОСАДЧНЫЕ ШВЫ** - Subsidental seam - ჯღომის ღრეჩომა - შენობა ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც ნაგებობას ყოფს ვერტიკალურ ნაწილებად (კედლებს შორის), რათა შეამციროს ნაგებობის მგრძობიარობა ადგილობრივი არათანაბარი ჯდომისაღმი და უზრუნველყოფილი იქნეს შენობა-ნაგებობის ცალკეული ნაწილების მდგრადობა და მათი გათანაბრება (В.Д. Ломтадзе, 1999).

**ОСВОЕНИЕ ЛАНДШАФТОВ** - Development of landscape - ღანღშაფტის ათვისება - აუთვისებელი, წინათ გამოუყენებელი ღანღშაფტის სახალხო მეურნეობაში ჩართვა.

**ОСЕДЕНИЕ** - Subsidence, Settlement, sag - ღაჯღომა - ვერტიკალური დაწევა (ჩანეკვა), ზედაპირის დაჯდომა სხვადასხვა პროცესის ზემოქმედებით (სუფოზია, დამეწყერა და სხვ.).

**ОСНОВАНИЕ ОПОЛЗНЯ** - Base of landslide - მუჭრის შუამი (ძირი) - ზედაპირის ნაწილი, რომლის ქვემოთ მეწყრის გადაადგილების არავითარი ნიშანი არ არის. მეწყრის ფუძე შეიძლება დაფარული იყოს გადაადგილებული მასის დანაგროვით ან წნევისაგან დეფორმირებული დაბორცვილი და დაზინული (Нифантов, 1935).

**ОСНОВАНИЕ СООРУЖЕНИЯ** - Basement of structure - ნაბეზობის საშუაპედი - ნაგებობის წნევის გადაცემის ზედაპირი ან ზონა ქანზე.

**ОСНОВНЫЕ ВИДЫ СПЕЦИАЛЬНЫХ ПРОТИВООПЛЗНЕВЫХ СООРУЖЕНИЙ И МЕРОПРИЯТИЙ** - Main modes of special antilandslide constructions and arrangements - სპეციალური მეჭყრსაწინააღმდეგო ნაბეზობათა და ღონისძიებათა ძირითადი სახეები: 1. ბრძოლა ფერდობის ძირის გამორეცხვასთან; 2. ფერდობისა და ფერდობების სახეშეცვლა; 3. ჩამომეწყრული მასის მექანიკური შეკავება; 4. მიწისქვეშა წყლების სადრენაჟო ღონისძიებები; 5. ზედაპირული ჩამონადენის რეგულირება; 6. ფერდობების და ფერდობის დამაგრება მათზე მცენარეულობის განაშენებით; 7. ფერდობის დაფარვა სხვადასხვა საფარით; 8. გრუნტების თვისებების შეცვლა (საინჟინრო-გეოლოგიური ცნობარი).

**ОСНОВНЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ СЕЛЕВЫХ ПОТОКОВ** - Main mud-stream characteristics - ღვარცოფების ძირითადი მახასიათებლები - 1. ღვარცოფის მოძრაობის სიჩქარე; 2. ნაკადის სიმკვრივე (მისი კონსისტენცია); 3. მაქსიმალური ხარჯი და ღვარცოფული მასის მოცულობა; 4. ღვარცოფის სტრუქტურულ-რეოლოგიური ტიპი; 5. ღვარცოფის გამონატანის გრანულომეტრიული შედგენილობა; 6. ღვარცოფის მიერ ტრანსპორტირებული ნამტერევეების მაქსიმალური ზომები; 7. ნაკადის სიღრმე განხილულ კვეთში.

**ОСОВЫ** - Glissement - ოსოვი - ფიზიკური გამოფიტვის პროდუქტების უცარი გადაადგილება ფერდობზე და გადაადგილებული მასალის ნამტერევეებად ქცევა. ასეთი ჩამონგრევა-ჩამოშლა შეიძლება მოხდეს როგორც ჩამონაშალის დასაკლებით, ატმოსფერული ნალექებით, ასევე მის მშრალ მდგომარეობაში.

**ОСТАНЦЫ** - Outlier, relic, remnant - შთიწილები - სხვადასხვა წარმოშობის, იზო-

ლირებულები მაკლობები და ბორცვები, ოდესღაც უფრო მაღლა მდებარე ზედაპირების ნაშთები, რომლებიც გადაურჩნენ ეროზიასა და დენუდაციას (Ломтаძე, 1999).

**ОСТРОВНЫЕ ГОРЫ** - Island mountain - კუნძულა მთები - ფართო ვაკეზე ეწეულად ან ჯგუფურად განლაგებული მთენილი მთები, რომლებიც წარმოიქმნენ ოდესღაც მთიანი სისტემის დენუდაციით. კუნძულა მთები არიდული ქვისა და საფანური ზონის, ტექტონიკურად სტაბილური ოლქების, რელიეფის დამახასიათებელი ელემენტია, სადაც გეხვდება, აგრეთვე, ბრტყელმწვერვალიანი (მაგიდა) მთები დაჯაეშნული ლატერიტული ქერქით.

**ОСЫПЬ** - Talus - შვავი (ჩამონაშალი) - რელიეფის ფორმა, წარმოქმნილი ჩამონაშალის შედეგად. დაუხარისხებელი დაკუთხული ნამსხვრევები მასალის დაგროვება ციკაბო ფერდობის ქვედა ნაწილში ან ძირში. წარმოიქმნება გამოფიტული ქანების დაგროვებით ფერდობზე. ჩამონაშალის ზედაპირი წარმოადგენს ქანობს 30-40° დაქანებით. ჩამონაშალი კლასიფიცირდება მასალის შედგენილობის მიხედვით: მსხვილნამტვრევებიანი (ნამსხვრევის სიდიდე >100 მმ); საშუალო ნამტვრევებიანი - (20-100 მმ ფარგლებში); წერილნამტვრევებიანი (2-20 მმ) და სხვადასხვა სიდიდის.

**ОСЫПАНИЕ** - Wasting - ჩამოშლა - 1. გამოფიტვის შედეგად მეტნაკლებად მცირე ზომის ნამტვრევების ჩამოცვენა ფერდობიდან, 2. ციკაბო ფერდობზე ნატეხების გრავიტაციული გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია თანდათანობითი დაგროვებით, ჩამოსრიანებით ან ჩამოზავებით ფიზიკური გამოფიტვის შედეგად.

**ОСЫПЬ ЖИВАЯ** - Live talus - ცოცხალი ჩამონაშალი - ჩამონაშალი, რომელიც დაფარული არ არის მცენარეულობით. მისი ზედაპირის დახრილობა, მოცემუ-

ლი ფორმისა და ზომის ნამტვრევებისთვის, ბუნებრივი კუთხის ტოლია.

**ОСЫПЬ МЕРТВАЯ** - Dead talus - მკვლარი ჩამონაშალი - მცენარეულობით დაფარული უმოძრაო ჩამონაშალი.

**ОСЫПЬ СЛОИСТАЯ** - Bedded talus, stratified talus - შრეშრივი ჩამონაშალი - შედგენილია დაემუშავებული მსხვილი ნამტვრევებისა და წვირილი ალუვიონლიტულის მასალის შორივებით. შრეებრიობა, ჩვეულებრივ, ჩამონაშალის ფერდობის ზედაპირის პარალელურია (35-35°).

**ОТВАЛ** - Pile, heap, dump - ნაქარი - წარმოიშობა სამთო ნამუშევრებიდან გადასხნილი და გამოტანილი ქანების დაგროვებით სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე. ნაყარი შეიძლება დაგროვილი იქნეს რელიეფის უარყოფით (ჩადაბლებებში, ხევებში და სხვ.) ფორმებში.

**ОТВАЛ ВНЕШНИЙ** - External pile - ბარმ ნაქარი - ნაყარი, რომელიც იყრება კარიერის კონტურის გარეთ.

**ОТВАЛ ВНУТРЕННИЙ** - Internal pile - შიდა ნაქარი - რელიეფის დენუდაციურ-აკუმულაციური ტექნოგენური ფორმა, რომელიც წარმოიშობა ქანების დაყრის ხარჯზე სასარგებლო წიაღისეულის ღია დამუშავების დროს. განსხვავებით გარე ნაყარისა ისინი კარიერის შიგნითაა დაგროვილი.

**ОТВАЛ ГОРЯЩИЙ** - Burning pile - წვაბი ნაქარი - ნაყარი, რომელიც ამჟღავნებს თერმულ აქტივობას სასარგებლო ნამარბეში ან სახურავ ქანებში თვითწვადი ნარჩენების არსებობით.

**ОТВАЛ СПЛАНИРОВАННЫЙ** - Levelled dump (pile) - მონორეზული ნაქარი - ნაყარი, ხელოვნურად მოსწორებული ზედაპირით.

**ОТВАЛ ШАХТНЫЙ** - Mine dump - შახტის ნაქარი - ტექნოგენური რელიეფის აკუმულაციური ფორმა, რომელიც წარმოიშობა სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების დროს, ფუჭი ქანების გამოტანის ხარჯზე, ვადანაყარის

ტექნოლოგიიდან გამომდინარე შეიძლება შეგვეხედეს სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის წარმონაქმნები: პლატოსებური, თხემისებური და სხვა.

**ОТВАЛ ШЛАМОВЫЙ** - Sludge pile, slime pile - შლამისმპური ნაქარი - წყრილად დამტვრეული ნაყარის ნარჩენები, მიღებული სასარგებლო ნამარხების სეფლი გამდიდრების ან მეტალურგიული წარმოების შედეგად.

**ОТКОС ОТВАЛА** - Pile scarp - ნაქარის შპრღო - ვერტიკალური ან დახრილი ფრონტალური ზედაპირი, რომელიც შემოსაზღვრავს საფეხურს გამონამუშევარი სივრცის მხრიდან.

**ОТКРЫТАЯ ГОРНАЯ ВЫРАБОТКА** - Opencast workings, open pit - ღია სამთო ბამონამუშეპარი - გამონამუშევარი მიწის ზედაპირზე, წარმოქმნილი სასარგებლო ნამარხის ამოღების ან ქანების გამოტნის შედეგად.

**ОТКРЫТЫЕ ГОРНЫЕ РАБОТЫ** - Open-pit mining - ღია სამთო სამუშაოები - სამთო სამუშაოების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება უშუალოდ ზედაპირიდან სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად.

**ОТКРЫТОЕ МОРЕ** - Open sea - ღია ზღვა - ზღვა სანაპირო ზონის იქით.

**ОТЛОВ ВЫБОРОЧНЫЙ** - Selective catching - შერჩევითი ჰპრა - ცხოველების შერჩევითი ჰერა განსაზღვრული დანიშნულების (ნადირობა, რეწვა) მიხედვით.

**ОТЛОЖЕНИЯ ГРАВИТАЦИОННЫЕ** - Gravitational sediment - ბრავიტაციული ნალექები - 1. ფერდობის ნალექები, რომლებიც წარმოიშობა მასივების და ნამტვრეუების გრავიტაციული გადაადგილების შედეგად. არჩევენ : ჩამონაკცევისა და ჩამონაშალის გროვას, მეწყერილსა (დელიაპსი) და სოლიფლუქციურ ნალექებს; 2. ნალექები, რომლებიც წარმოიშობა ძირითადი ქანების ან ფერდობების ფხვიერი საფარის გადაადგილებით მათი მდგრადობის დარღვევის შედეგად.

**ОТЛОЖЕНИЯ ДЕЛИОБИАЛЬНО-СО-ЛИФЛЮКЦИОННЫЕ** - Talussolifluction sediment - ლალუპიპრ-სოლიფლუქციული ნალექები - წარმოიშობიას შედარებით დამრეც; ფერდობზე, დელუვიური ჩამორეცხვისა და სოლიფლუქციის პროცესების ერთობლივი მოქმედების შედეგად. გეხვდება მრავალწლოვანი მზრალი ქანების გაერეკლების არეში და შედარებით ტენიანი კლიმატის პირობებში.

**ОТЛОЖЕНИЯ СКЛОНОВЫЕ** - Slope sediment - შპრღოების ნალექები - კონტინენტური ნალექების პარაგენეტიული რიგი, რომელიც წარმოიშობა ფერდობზე სხვადასხვა დენედაციური პროცესების მიმდინარეობით, ქანების დაშლის პროდუქტების ტრანსპორტირებისა და აკუმულაციის შედეგად. მათ მიეკუთვნებათ დელუვიური და გრავიტაციული ნალექები.

**ОТНОСИТЕЛЬНОЕ ВЕРТИКАЛЬНОЕ ДВИЖЕНИЕ БЕРЕГА** - Relative vertical movement of coast - ნაპირის შედარებითი შპრტიპალური მოძრაობა - მატერიკის კიდეზე საპანირო ზოლის გადაადგილება ზემოთ ან ქვემოთ. მათი მიზეზი შეიძლება იყოს ზღვის დონის შეცვლა ან ხმელეთის ტექტონიკური მოძრაობა.

**ОТСТРЕЛ ВЫБОРОЧНЫЙ** - Selective shooting - შერჩევითი ჰპლა - ცხოველთა შერჩევითი კვლა, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნილებებს (მაგ., მხოლოდ ხსიერი მამრობითი ნადირის გამოსშირვა).

**ОТСТУПАНИЕ СКЛОНА** - Retreat of slope - შპრღობის შპან მახეპა - ფერდობების უკუსვლა მათი ამგებელი ქანების ფიზიკური გამოფიტვის, დენუდაციის სხვადასხვა აგენტის მიერ გამოფიტული მასალის ფერდობების ძირიდან გადაადგილების შედეგად. ეს პროცესი განსაკუთრებით ენერგულად მიმდინარეობს არიდულ და სემიარიდულ ჰავის ოლქებში (სტაბილური ტექტონიკური რეჟიმის პირობებში), სადაც ფერდობე-

ბი უკან იხევენ ერთმანეთის პარალელურად; უკან დახეული ფერდობების ძირის გასწვრივ ყალიბდება მთისწინეთის ვაკე-პედიმენტი და პედიპლენი. სინონიმი: ფერდობის უკესვლა.

**ОХРАНА ЛАНДШАФТА** - Landscape protection - ლანდშაფტის დაცვა - ღონისძიებათა სისტემა, მიმართული ლანდშაფტის ბუნებრივი, სამეურნეო და ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნებისათვის.

**ОХРАНА ПРИРОДЫ ПРАВОВАЯ** - Legal nature protection - ბუნების სამართლებრივი დაცვა - 1. იურიდიული ნორმების შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია ბუნების დაცვასთან; 2. სახელმწიფო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც განმტკიცებულია სამართლებრივად და მიმართულია ადამიანის ბუნებრივი პირობების დაცვის, აღდგენისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

**ОХРАНА ПРИРОДЫ** - Nature protection - ბუნების დაცვა - 1. ღონისძიებათა სისტემა, მიმართული ადამიანის საქმიანობის და ბუნებრივ გარემოსთან რაციონალური ურთიერთქმედების დასამყარებლად; ბუნებრივი რესურსების დაცვა-აღდგენის უზრუნველსაყოფად. იგი ითვალისწინებს საზოგადოების უარყოფით ზემოქმედებას ბუნებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; 2. კომპლექსური დისციპლინა, რომელიც შიშისუშავებს ბუნებრივი რესურსების შენახვისა და აღდგენის საერთო პრინციპებსა და მეთოდებს. მოიცავს მიწის, წყლის, ატმოსფეროს, მცენარეულობის, ცხოველთა სამყაროს და სხვა ბუნებრივი კომპლექსების დაცვის საკითხებს.

**ОХРАНА РАСТИТЕЛЬНОСТИ** - Vegetation protection - მცენარეულობის დაცვა - ღონისძიებათა ერთობლიობა ფიტოცენოზის დაცვის მიზნით.

**ОХРАНЯЕМАЯ ТЕРРИТОРИЯ** - Protected territory - დაცული ტერიტორია - ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომე-

ნების შენარჩუნების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორია იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არელების დასაცავად და აღსადგენად; მათი სამეურნეო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოვავი მუდგონების განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად (კანონი გდშ).

**ОХРАНА ЭКОСИСТЕМ** - Ecosystem protection - ეკოსისტემების დაცვა - ეკოსისტემის მთლიანობის დაცვის ღონისძიებათა კომპლექსი. უზრუნველყოფს ეკოლოგიური კომპონენტების მკვეთრი შეცვლის თავიდან აცილებას, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას და გამორიცხავს ეკოსისტემის ცალკეული ელემენტების გაქრობას ეკოსისტემის მთელ იერარქიულ დონეზე - ბიოგეოცენოზიდან ბიოსფერომდე.

**ОЦЕНКА РИСКА ЭКОЛОГИЧЕСКОГО УЩЕРБА** - Environmental damage risk assessment - ეკოლოგიური ზარალის რისკის შეფასება - ეკოლოგიური დარღვევის ხარჯის გამოანგარიშების დროს, ძირითად პრინციპად ითვლება ეკოდარღვევის რისკის შეფასება და არარეალური დარღვევა. ადამიანის ცხოვრების და ჯანმრთელობის შეფასებისათვის არ არის საკმარისი სამედიცინო დახმარებაზე გაწეული ხარჯების შეფასება.

**ОЦЕНКА ЭКОЛОГИЧЕСКАЯ** - Ecological estimation (evaluation) - ეკოლოგიური შეფასება - ცხოვრების გარემო პირობების მდგომარეობა ან მასზე ზემოქმედების ფაქტორების ხარისხის განსაზღვრა.

**ОЧАГ** - Hearth, centre, focus - კმრა - 1. რომელიმე გეოლოგიური პროცესის ან მოვ-

ლენის წარმოშობის ადგილი - ცენტრი; მანებლების მასიური გამრავლებისა და გატყუყიანების კერა და სხვა; 2. ფართობის შეზღუდული ნაწილი, რომელზედაც შეიმჩნევა ესა თუ ის პროცესი.

**ОЧАГ ЗЕМЛЕТРЯСЕНИЯ** - Focus of earthquake - მიწისძვრის კერა - დედამიწის ქერქის წიაღში (სიღრმეში) ან ზედა მანტიაში მიწისქვეშა ბიძგების (დარტყმების) წარმოშობის არე, რომლებიც შემდგომ მიწისძვრის მიზეზი ხდება.

**ОЧЕРЕДНОСТЬ РЕКУЛЬТИВАЦИИ** - Recultivation priority - რეკულტივაციის რიბიტობა - ცალკეული რეგიონის ფარგლებში მიწების უვარჯისი უბნების რე-

კულტივაციის თანმიმდევრობითი ჩატარება.

**ОЧИСТКА СТОЧНЫХ ВОД** - Sewage treatment - ჩამდინარე წყლის ბაწმწმწა - ჩამდინარე წყლებიდან ორგანიზმების, ატივინარებელი და გასხნილი ნივთიერებების მოცილება, რომელსაც შეუძლია არასასურველი ზემოქმედება გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ბუნებაზე.

**ОЧИСТКА ХИМИЧЕСКАЯ** - Chemical cleaning - ქიმიური ბაწმწმწა - მაცხენივითიერებების შეკავშირება ქიმიური რეაგენტებით და ამ მეთოდით ქიმიური გაწმენდა.

## П

**ПАГОН** - Pagon - პაბონი - ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც არსებობენ ყინულის ფენაში, წყალსაცავების ზედაპირზე და იყოფებიან ანაბიოზურ მდგომარეობაში. ამ დროს საგრძობლად დაბლა ეცემა მათში ნივთიერებათა ცვლა და არ შეინიშნება რაიმე შესამჩნევი ცხოველყოფელი გამოვლინებები, რაც საშუალებას აძლევს ზოგიერთ სახეს გადაიტანოს მათთვის უკიდურესად არასასურველი ცხოვრების პერიოდი ზამთარში, ექსტრემალური გვალებების დროს და სხვა.

**ПАДЕНИЕ ПЛАСТА** - Seam pitch - შრის დაქანება - ქანების წოდის ფორმის ერთ-ერთი ელემენტი მიწის ქერქში, რომელიც გამოხატავს მათ მდგომარეობას სივრცეში, ე.წ. დაქანების აზიმუტს. განისაზღვრება დაქანების ხაზის მიმართულებით, რომელიც დევს შრის სიბრტყეზე და გაერტყელების ხაზის (მიმართულების) პერპენდიკულარულია. შრის დაქანების აზიმუტის განსაზღვრის დროს დგინდება, აგრეთვე, დაქანების კუთხე (В.Д. Ломтадзе, 1999).

**ПАДЕНИЕ СКЛОНА ПРЕДЕЛЬНОЕ** - Maximum slope dip - შმარობის ზღვრული დაქანება - უმცირესი მნიშვნელობის ძლიერ ცვლადი სიდიდე, რომელსაც შესაძლებელია ფერდობის დაქანების კუთხეებმა მიაღწიონ მოცემულ ქანებში განსაზღვრულ კლიმატურ პირობებში.

**ПАЛ** - Pal - ბაღამწმწარი ალბილი - 1. ბაღახეული და ბუქნარი მცენარეულობის გადაწვა, არასასურველი მცენარეულობის შევიწროებისა და განადგურების მიზნით, საძოვრებზე ბაღახეული მცენარეულობის ზრდის გაეზღობესისათვის; 2. ანთროპოგენური ან ბუნებრივი წარმოშობის ტყის ხანძარი ზოგჯერ წინასწარ გამოიწველია, რათა ტყის უბანი გადააქციონ საძოვრად ან სათეს ფართობად.

**ПАЛЕОГЕОГРАФИЯ ПОБЕРЕЖИЙ** - Seashore paleogeography - სანაპიროების პალეოგეოგრაფია - პალეოგეოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის თანამედროვე ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროების განვითარების ისტორიას.



**ПАМЯТНИК ПРИРОДЫ - Natural monuments** - ბუნების ძეგლები - ცალკეული ბუნების ობიექტები (ჩანჩქერი, გამოქვაბული, გეიზერი, უნიკალური ხეობები, ასწლოვანი ხეები), რომლებსაც აქვთ მეცნიერული, ისტორიული და კულტურულ-ესთეტიკური მემკვიდრეობა. მათ შეიძლება მიეკუთვნოს: უნიკალური გეოლოგიური გაშიშვლება, ფლორისა და ფაუნის იშვიათი ეგზემპლარები, ცალკეული წყალსატევები, ტბები, ნაძვნარი, ისტორიული მოვლენების ადგილები და სხვა.

**ПАНЦИРЬ - Shell - ჰაშშანი** - გამოფიტვის ქერქის მკვირი ზედაპირული პორიზონტი ან მსხვილნამტვრევებიანი მასალა, რომელიც ქანებს იცავს შემდგომი დაშლისგან.

**ПАРАГЕНЕТИЧЕСКИЙ КОМПЛЕКС ПРОЦЕССОВ - Paragenetic complex of processes** - პროცესების პარაგენეტიკური კომპლექსი - ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული პროცესების ჯგუფი, რომელიც ვითარდება ბუნებრივი ასოციაციის სახით.

**ПАРАЗИТ - Parasit - პარაზიტი** - მცირე ზომის ცხოველი, იკვებება მასპინძლის ხარჯზე, იყენებს მას, როგორც ადგილსამყოფს, ამუხრუჭებს მის ზრდა-განვითარებას, აფერხებს მის ცხოველმოქმედებას და ზოგჯერ ღუპავს კიდევ.

**ПАРАМЕТР - Parameter - პარამეტრი** - რომელიმე პროცესის, მოვლენის ან ფიზიკური საგნისთვის დამახასიათებელი სიდიდე.

**ПАССИВНОЕ ДАВЛЕНИЕ ГРУНТА - Passive pressure of ground** - ბრუნტის პასიური წნევა - ქანების მასივის ზღვრული წინააღმდეგობა საინჟინრო კონსტრუქციის პორიზონტალური წნევისადმი.

**ПЕЛИТИЗАЦИЯ - Pelitization - პელიტიზაცია** - თიხოვანი ქერქის შექმნა ქიმიური გამოფიტვის შედეგად.

**ПЕЛИТОВЫЕ ФРАКЦИИ - Pelitic fraction - პელიტური ფრაქციები** - ფხვიერი ქანები

ის ფრაქცია სიდიდით 0,002 მმ. დანალექი ქანების საერთო სახელწოდება, რომელიც შედგება <0,001 ან <0,002 მმ ნაწილაკებისაგან (სხვადასხვა ავტორები). **ПЕПТИЗАЦИЯ - Peptization** პეპტიზაცია - აგრეგატის დაშლის პროცესი ან მისი დაქუცმაცება - დისპერგირება. ეს პროცესი გვეხდება კოაგულაციის საწინააღმდეგო პირობებში. პეპტიზაცია შეიძლება გამოიწვიოს ხელოვნურად - სხნარიდან ელექტროლიტური მარილების მოშორებით და მის მაგივრად სხნარში მადისპერგირებელი ნივთიერებების შეყვანით (მწვანე ტუტე, ამიაკი, და სხვ.)

**ПЕРВИЧНАЯ РАВНИНА - Primary plain - პირველადი ვაკე** - წარმოადგენს ზღვის სიღრმიდან ამოწულ ფსკერს. შედგება პორიზონტალურად განლაგებული ზღვიური ნალექებისგან, რომლის სწორი ზედაპირი სშირად შემდგომი დენუდაციური პროცესებით იცვლება.

**ПЕРВИЧНАЯ РАСТИТЕЛЬНАЯ ГРУППИРОВКА - Primary grouping of vegetation - პირველადი მცენარეული ღაჯბუფობა** - მცენარეთა ერთობლივი დაჯგუფების სახეები, რომლებიც ყველაზე ადრე სახლდებიან ტექნოგენურ მიწებზე და გარემოს ზეგავლენით ქმნიან განსაზღვრული კავშირის გამავრთიანებელ თანასაზოგადოებას.

**ПЕРВИЧНЫЕ ПУСТОТЫ В ПОРОДАХ - Primary (original) interstice in rocks** - პირველადი სიტარიშლი ქანებში - სიტარიშელი ქანებში, რომლებიც წარმოიქმნება ქანის ფორმირებასთან ერთად.

**ПЕРЕВАЛ - Mountain pass - უღელტეხილი** - ქედის ან მთის მასივის გადასასვლელად მოხერხებული, ყველაზე დაბალი ადგილი. წარმოშობის მიხედვით არჩევენ: ეროზიულ, ტექტონიკურ, მყინვარულ, შედარებით ბრტყელიძირიან და ღრმად დაწულ უღელტეხილებს აქვთ მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დანიშნულება.

**ПЕРЕВАЛ-СЕДЛОВИНА - Saddle pass - ბადასაპალი უნაბირა** - უნაბირის მს-

გავსი ადგილი, მთის ქედზე, წყალგამყოფზე ან მასივზე, რომელიც, როგორც წესი, ფხვით მოსიარულეთათვის გადასახელელად მისაწვდომია.

**ПЕРЕРАБОТКА БЕРЕГОВ - Coast reworking** - ნაპირების ბაღამშმამშა - ზღვის, ტბების, მდინარეებისა და წყალსაცავების სანაპიროების წონასწორობის ახალი პროფილის გამოიმუშავება ზედაპირული წყლების გავლენით. ძირითადი ღონისძიება ამ პროცესების წინააღმდეგ ბრძოლისთვის დაკავშირებულია ნაპირების გამაგრებისა და ტალღების ენერჯის ჩაქრობასთან. ასეთ შემთხვევაში, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მოიცავს ნაპირების მორფოლოგიის, მათი ლითოლოგიის შედგენილობის შესწავლას, ქანების რეცხვადობის შეფასებას მათი ანალოგების მოქებით, რათა გაადვილდეს ნაპირების სვრევის პროგნოზირება და სხვა.

**ПЕРЕУПЛОТНЕННОЕ СОСТОЯНИЕ ПОРОД - Overconsolidated state of rocks** - ძანების ბაღამშმამშაში მდგომარეობა - ქანების ისეთი თანამედროვე მდგომარეობა, რომლის დროსაც მათი ბუნებრივი ფორიანობა უფრო მცირეა, ვიდრე უნდა იყოს თანამედროვე გარეგანი დატვირთვისა და შიგა კავშირების ჯამური ზემოქმედების შედეგად.

**ПЕРЛЮВИЙ СКЛОНОВЫЙ - Slope perluvium** - შპარტის პარლუმია - 1. კურემების გროვა; 2. უხეშმატერეებიანი ნალექები ფერდობზე, წარმოქმნილი წერილმარცვლოვანი მასალის ჩამორეცხვისა და გამორეცხვის შედეგად. დელუვიური ფაცოესი.

**ПЕСОК - Sand** - შირა - დანალექი წერილნამტერეებიანი სხვადასხვა პეტროგრაფიული შედგენილობის ფხვიერი ქანი. წარმოიშობა სხვადასხვა ქანის მექანიკური დაშლის შედეგად. მისი მარცვლები სიდიდე სხვადასხვა ავტორის მიხედვით სხვადასხვანაირია. მარცვლების სიდიდის მიხედვით არჩევენ: უხეში - 2-1 მმ; მსხვილი - 1-0.5 მმ; საშუალო - 0.5-

0.25 მმ; წერილი - 0.25-0.1 მმ; წმინდა - 0.1-0.05 მმ (საინჟინრო-გეოლოგიური ცნობარი, 1974 წ.).

**ПЕСТИЦИДЫ - Pesticides** - პესტიციდები - ქიმიური საწამლაგების ზოგადი სახელწოდება, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. პესტიციდები უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანსრთელობაზე. პესტიციდები იყოფიან: პერტიციდებად (სარეველების გასანადგურებად), ინსექტიციდებად (მაგნი მწერების წინააღმდეგ), ზოოციდებად (მღრნელთა წინააღმდეგ), ფუნგიციდი (სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ), დეფოლიანტი (ფოთლების მოსაშორებლად), დეფლორანტი (ზედმეტი ყვავილების მოსაშორებლად).

**ПИОНЕРНЫЕ ПОРОДЫ (ЛЕСНЫЕ) - Pioneer silvan breed** - პირნარული ჯირის ტყე (მცნარუმია) - ტყის ჯიშები, რომლებიც თავისი ბიოეკოლოგიური თვისებების გამო ადვილად იზრდებიან ქანების ნაყარზე. მათი დასახლება ნაყარზე აჩქარებს ტყის წარმოშობის პროცესს, აქმლარებს ზრდის პრობებს. ყველაზე უფრო ვარჯკლებულ წარმომადგენლად ითვლება წერილფოთლოვანი ჯიშები (ვერხვი, არყის ხე), ნაყარზე იზრდებიან აგრეთვე, შერეული ან სუფთა ჯიშის ნარკაეები. ისინი ხშირად გამოიყენებიან ბიოლოგიური ათვისების პირუელტაზე ხელოვნური მოთვისებათის, ნაყარის ზედპირის გასამკვრელად.

**ПИОНЕРНЫЕ РАСТЕНИЯ НА ОТВАЛАХ (ТРАВЯНИСТЫЕ) - Pioneer herbaceous plants on dump** - პირნარული ბალახმუმი მცნარუმია ნაყარზე - მცნარეულობა, რომლებიც ყველაზე ადრე დასახლდა ნაყარზე. შედეგებობა დამოკიდებულია ირგვლივ მყოფ მცნარეულობაზე, დიასპორის ვადატანის საშუალებაზე, მათ რაოდენობასა და ნაყარის თავისებურებებზე.

**ПЛАГИОТРОПИЧЕСКИЕ РАСТЕНИЯ - Plagiotropic plant** - პლაგიოტროპული მცნარუმია - მცნარეულობა, რო-

მელთა ზრდა მიმდინარეობს ნიადაგზე ჰორიზონტალურად გართხმულ პირობებში.

**ПЛАН ОРГАНИЗАЦИИ ТЕРРИТОРИИ - Territory arrangement plan** - ტერიტორიის ორბანინზაციის გეგმა - ტერიტორიის გეგმა, რომელიც ასახავს მიწის მიხნობრივ დანიშნულებების საზღვრებს კარტოგრაფული გამოსახებით.

**ПЛАН РАБОТ ПО ГОРНОТЕХНИЧЕСКОЙ РЕКУЛЬТИВАЦИИ - Mining technical recultivation work plan** - სამთოტექნიკური რეკულტივაციის სამუშაო გეგმა - სამთო სამუშაოების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ტექნიკური რეკულტივაციის სახეებს, სამუშაოთა მოცულობებს და მათი შესრულების დროს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით და სამუშაო ძალით უზრუნველყოფას.

**ПЛАНИРОВАНИЕ РЕКУЛЬТИВАЦИЙ - Recultivation design** - რეკულტივაციის დაგეგმვა - საგეგმო ორგანიზაციების მიერ მიწის რეკულტივაციისთვის საჭირო სახეების, მოცულობისა და სამუშაოს ღირებულების დადგენა.

**ПЛАНИРОВКА ЗЕМЕЛЬ СПЛОШНАЯ (ОРГАНИЗАЦИЯ ЗЕМЕЛЬ) - Total levelling of ground (ground arrangement)** - მიწის მთლიანი მოსწორება (მიწის ორბანინზაცია) - დახრილი მიწის ზედაპირის მთლიანი მოსწორება, უვარგისი მიწების მექანიზებული წესით ასათვისებლად სოფლის ან სატყეო მეურნეობის მიზნებისათვის.

**ПЛАНИРОВКА ЗЕМЕЛЬ ЧАСТИЧНАЯ - Partial leveling of ground** - მიწის ნაწილობრივი მოსწორება - ზედაპირის შერჩევითი მოსწორება, რომელიც უზრუნველყოფს უვარგისი მიწების მიხნობრივ ათვისებას. გამოიყენება სატყეო მეურნეობისა და რეკრეაციული მიმართულების რეკულტივაციის დროს.

**ПЛАСТИЧЕСКАЯ ДЕФОРМАЦИЯ - Plastic deformation** - პლასტიკური დეფორმაცია - ქანის ფორმის შეცვლა გარე

ძალების ზემოქმედებით, მთლიანობის გაწყვეტის გარეშე. ამ ძალის მოხსნის შემდეგ ქანი ინარჩუნებს მიღებულ ფორმას. პლასტიკური დეფორმაცია დამოკიდებულია ტენიანობაზე, წნევაზე და ტემპერატურაზე. კლდოვან ქანებში პლასტიკური დეფორმაცია ტენიანობაზე არ არის დამოკიდებული და შეიძლება მოხდეს 10-20 ტ/სმ<sup>2</sup> წნევის შემდეგ. უფრო მაღალი პლასტიკური თვისებებით ხასიათდება თიხები და ქვამარილი. თიხები პლასტიკურ დეფორმაციას განიცდიან მასში წყლის განსაზღვრული რაოდენობის შემცველობის შედეგად. ამასთან მასზე მოქმედი ძალა შეიძლება მცირე იყოს.

**ПЛАСТИЧНОСТЬ ГОРНЫХ ПОРОД - Rock plasticity** - ქანების პლასტიკურობა - ქანის თვისება გაუძლოს ნარჩენ დეფორმაციას ისე, რომ არ დაირღვეს ქანის შინაგანი შეკიდულობა. უწყვეტი კაეშირის აღდგენა გადაადგილებულ ნაწილაკებს შორის დამოკიდებულია მასალის თვისებებზე. მაღალი წნევა და ტემპერატურა ხელს უწყობს ქანებისა და მინერალების პლასტიკურობის ზრდას. აქედან გამომდინარე, მეცნიერები თვლიან, რომ დიდ სიღრმეზე (15-20 კმ და უფრო ღრმად) ისინი ინარჩუნებენ სიმაგრეს, მაგრამ იძენენ მაღალ პლასტიკურობას და ხდებიან დენადები.

**ПЛАСТИЧНОСТЬ ЛИНИСТЫХ ПОРОД - Cley rock plasticity** - თიხოვანი ქანების პლასტიკურობა - თიხოვანი ქანების თვისება გარე ძალების მოქმედების შედეგად შეიცვალოს თავისი ფორმა (ვანაცადლოს დეფორმაცია) გაწყვეტის გარეშე და შეინარჩუნოს მიღებული ფორმა ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგაც. პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით არჩევენ: თიხა >17; თიხნარი - 17-7; ქვიშნარი - 0-7; ქვიშები - 0.

**ПЛАСТИЧНОСТЬ И ЕЕ ПРЕДЕЛЫ (НИЖНИЙ И ВЕРХНИЙ) - Plasticity and its limits (upper and lower) Atterberg limits** - პლასტიკურობა და მისი საზღვრები

(ჰმეზა ღა ზმეა) - პლასტიკურობის ზედა ზღვარი ანუ დენადობის ზღვარი, რაშიც იგულისხმება ტენიანობის ისეთი მნიშვნელობა, როდესაც ქანი გადადის პლასტიკურიდან დენად მდგომარეობაში; პლასტიკურობის ქვედა ზღვარი ანუ გაგლინვის ზღვარი ეწოდება სინოტივის იმ ზღვარს, როდესაც ქანი პლასტიკური მდგომარეობიდან გადადის მყარში.

**ПЛАСТОВЫЕ (МЕЖПЛАСТОВЫЕ) ВОДЫ** - Stratal water (middle water) - შრატ-ბრივი წყალი (შრატაშორისი წყალი) - წყალი, რომელიც იმყოფება წყალგაუმტარ სახურავსა და საგებ ქანებს შორის მოთავსებულ შრეებში.

**ПЛАТО** - Plateau, upland - პლატო - 1. ხმელეთზე: მაღალი, ბრტყელი ან ტალღოვანი ვაკე, რომელიც განლაგებულია თითქმის ერთ დონეზე და მკაფიოდ გამოხატული კალთებით გამოყოფილი მიმდებარე სივრცისგან; 2. ზღვის ფსკერის ამაღლობები მოსწორებული ზედაპირით, რომლებიც შემოსაზღვრულია ციცაბო კალთებით; ხშირად გვხვდება შუა ოკეანური ქედების არეალებში.

**ПЛОДОРДИЕ (ПОЧВЫ) ЕСТЕСТВЕННОЕ** - Natural fertility (of soil) - ნიადაგის ბუნებრივი ნოყიერება - ნიადაგში მინერალური და ორგანული მკვებავი ნივთიერების მარაგი და კიდროთერმული რეჟიმის ხასიათი.

**ПЛОДОРДИЕ (ПОЧВЫ) ИСКУССТВЕННОЕ** - Artificial fertility (of soil) - ნიადაგის ხელოვნური ნოყიერება - ნიადაგში სასუქების შეტანა და აგროტექნიკური თესვბრუნვის, მელიორაციისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება.

**ПЛОСКОГОРЬЕ** - Highland, upland - ზემანი - ხმელეთის ზედაპირის ვრცელი უბანი, რომელიც ირგვლივ მდებარე ტერიტორიიდან მაღლაა აზიდული და ხასიათდება მნიშვნელოვანი ეროზიული დანაწევრებით; გეოლოგიური სტრუქტურის მიხედვით კი ზოგი მკვლევარი თვლის,

რომ ზეგანი აგებულია პირიზონტალურად განლაგებული ქანებისაგან და არსებითად იოიკეა, რაც პლატო დანაწევრებული რელიეფით; სხვა მკვლევრები კი ზეგანს ბაქსურ პირობებში წარმოქმნილ ძველ მოიან მხარეს მიაკუთვნებენ.

**ПЛОСКОСТЬ СДВИГА** - Displacement (shift) plane - ძმრის სიბრტყე - სიბრტყე, რომელზედაც ხდება სხეულის ნაწილის გადაადგილება, გამოწვეული შემხები დაძაბულობით.

**ПЛОСКОСТЬ СКОЛЬЖЕНИЯ** - Slip plane, glide plane - სრიალის სიბრტყე - ზედაპირი, რომელზეც ხდება მეწყრული მასივის გამოყოფა და გადაადგილება.

**ПЛОТИНА** - Dam - ქაშხალი - წყალამწვევი პიდროტექნიკური ნაგებობა, რომლებსაც აშენებენ მდინარეებზე, მათი ენერჯის გამოყენების მიზნით.

**ПЛОТИНА АРОЧНАЯ** - Arch dam - თაღური ქაშხალი - როგორც წესი, აშენებენ ბეტონისაგან ან რკინაბეტონისაგან თაღისებურად, რომლის ქუსლი ებჯინება მდინარის კალაპოტის ბორცვს, ან მდინარის ნაპირის საფეხურს, ხოლო მისი კამარა (თაღი) მიმართულია ზემო ბიუფისაკენ.

**ПЛОТИНА ЗЕМЛЯНАЯ** - Earth dam - მიწის ქაშხალი - ქაშხალი, რომელიც აგებულია ერთგვაროვან ან არაერთგვაროვან ქვიშიან ან თიხიან ქსნებზე, ყრით, დატკეპნით, ან მორიყვით (მოსიღვით). ასეთ ქაშხალებს, როგორც წესი, უკეთებენ ფილტრაციის საწინააღმდეგო მოწყობილობას.

**ПЛОТНОСТЬ** - Density, compactness - სიმკვრივე - ქანის მასის მყარი ნაწილაკების შეფარდება მის მოცულობასთან. ქანის სიმკვრივე დამოკიდებულია არა მის ფორიანობასა და ტენიანობაზე, არამედ მხოლოდ შემადგენელი მინერალების სიმკვრივისა და ორგანული ნივთიერების შემცველობაზე.

**ПЛОТНОСТЬ ВОДЫ** - Water density - წყლის სიმკვრივე - წყლის მასა, რომელ-

იც იმყოფება მისი ერთეულის მოცულობაში; მაგალითად, 1 მ<sup>3</sup>-ში 4°C ტემპურატურის დროს იქმნება 1 ტ. წყალი. სიმკვრივე განირჩევა კუთრი წონისაგან იმით, რომ სიმკვრივეს აქვს წონის ზომა, ხოლო კუთრი წონა - განზოგადობუელი სიდიდეა.

**ПЛОТНОСТЬ ГОРНЫХ ПОРОД** - Rock density - ძანის სიმკვრივე - ქანის ერთეულის მოცულობის მასა (გ/სმ<sup>3</sup>) მის ფორმებში არსებული სითხითა და გაზებით.

**ПЛОТНОСТЬ СНЕГА** - Snow density - თოვლის სიმკვრივე - თოვლის ფენიდან აღებული სინჯის წონის შეფარდება მოცულობასთან (გ/სმ<sup>3</sup>).

**ПЛОТНЫЙ ОСТАТОК** - Dense remnant - მყარი ნაშთი - წყალში გახსნილი ნივთიერებები, რომლებიც რჩებიან წყლის 105° - 110°-ზე აორთქლების შემდეგ. ჩვეულებრივად, წყლის ანალიზს საზღვრავენ გრამებში ან მილიგრამებში 1 ლიტრზე, ან ერთ კილოგრამ წყალზე.

**ПЛОЩАДЬ ЖИВОГО СЕЧЕНИЯ ПОТОКА** - Live section area of flow - ცოცხალი კვეთის ფართობი - გეომეტრიული ფიგურის (სხეულის) ფართობი, წარმოქმნილი წყლის ნაკადის პერიმეტრით, მისი ვერტიკალური სიბრტყით გადაკვეთისას.

**ПЛЫВУН** - Quicksand - მცურავი ძანი - ფხვიერი ქვიშიანი ქანები, რომლებიც განიცდიან დიდ მოძრაობას (ცურავლობას) გარკვეულ პირობებში (ცურავლობაში) გარკვეულ პირობებში. არსებობს ნამდვილი მცურავ ქვიშებს, რომლებიც შეიცავენ პირობითად უფილურ კოლოიდებს და ცრუ მცურავ ქვიშებს, კოლოიდური ნაწილაკების გარეშე პირველები გადადიან მცურავ მდგომარეობაში მცირე დაწვეით გრადიენტის დროს და აქვთ მდგრადი მცურავი თვისებები; მეორენი კი - დიდი დაწვევითი გრადიენტის შედეგად იოლად ვასცემენ წყალს და კარგავენ მცურავ თვისებებს. სამთო გამოწამყმერების გავლის დროს

(ვეირაბები, შახტები და სხვ.) მცურავ ქანებში იყენებენ დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს (გაყინვას, საეციალურ ფარებს, კესონებს და სხვ.).

**ПЛЮВИАЛЬНАЯ ОБЛАСТЬ** - Pluvial area - პლუვიალური (ოქაი) - ტერიტორია, სადაც დიდი რაოდენობით მოდის ატმოსფერული ნალექები. აქ მეკვთრადია გამოხატული ქიმიური გამოფიტვა, რომელსაც თან ახლავს გამოფიტვის პროდუქტების გამოტუტვა (მაგალითად, თანამედროვე სუბტროპიკების ზონა).

**ПЛЯЖ** - Beach - პლაჟი - (ზღვის, მდინარის, ტბის გაშლილი ნაპირი) - ზღვის, მდინარის, ტბის თანამედროვე სანაპირო ზონის წყალზედა ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ზვირთკემის ზონაში. მორფოლოგიურად გამოხატულია ზღვისაკენ დამრეცი ნაფენებით აგებული სანაპირო ზვიხულის სახით. მასალის შედეგნილობის მიხედვით განასხვავებენ კენკიან, ხრეშიან, ქვიშიან, ნიჟარიან, მარჯნოვან და სხვა პლაჟებს; რეკრუაციული მიზნებისათვის მეტწილად გამოყენებულია ქვიშიანი და კენტიანი პლაჟები.

**ПЛЯЖЕВЫЙ КАРЬЕР** - Beach quarry - პლაჟის ქარიშხრი - პლაჟის უბანი, საიდანაც ნატანი სისტემატურად და დიდი რაოდენობით ამოიღება, როგორც სამუნი მასალა.

**ПОБЕРЕЖЬЕ** - Coast, shore - სანაპირო - ზოლი ხმელეთსა და ზღვას შორის, რომელიც ხასიათდება რელიეფის თანამედროვე და ძველი სანაპირო ფორმების გაერცვლებით. სანაპირო მთლიანად მოიცავს ზღვისპირეთს (ტერიტორიას ძველი ზღვიური ტერასებით) და სანაპირო ზონას (წარმოდგენილია თანამედროვე სანაპირო ფორმებით და წალეკილი ძველი ფორმებით).

**ПОВЕРХНОСТНОЕ НАТЯЖЕНИЕ** - Surface tension - ზედაპირული დაჭიკუშობა - წნევა, რომელიც ახასიათებს სითხის ზედაპირის ფენას თოელ სითხეზე, გამოწვეულია შიგა მოლეკულათაშორის ძალების მიზიდულობით (В. Д. ЛОМАЧЕВ).

**ПОВЕРХНОСТНОЕ ТРЕНИЕ** - Surface friction - ზედაპირული ხახუნნი - ხახუნი, რომელიც ვითარდება ორი სხეულის შეხების ზედაპირზე, როდესაც ერთი მოძრაობს მეორის მიმართ, რაც განპირობებულია ნაპირის ან ნაგებობის დაშლით წყლის მიერ საძირკვლის ქანების გამოტანის შედეგად.

**ПОВЕРХНОСТНЫЙ СТОК** - Surface runoff (drainage) - ზედაპირული ჩამონადენი - წყლის ნაკადი, რომელიც ჩაედინება მდინარის კალაპოტში ზედაპირული ვხით, ვრუნტებში ჩაყონის გარეშე. ზოგჯერ მას უწოდებენ ფერდობის ჩამონადენს.

**ПОВЕРХНОСТЬ АРТЕЗИАНСКАЯ ИЛИ ПОВЕРХНОСТЬ НАПОРНАЯ** - Artesian surface or pressure surface - ლანდშაფტის ზედაპირი ანუ არტეზიული ზედაპირი - სიმაღლე, სადამდეც შეიძლება აიწიოს მიწისქვეშა დაწნევიანმა წყალმა. სინონიმები: პიეზომეტრული ზედაპირი ან არტეზიული ზედაპირი.

**ПОВЕРХНОСТЬ ОТДЕЛЕНИЯ ОПОЛЗНЯ** - Landslide separation surface - მიწისძვრის გამაცალკავებელი ზედაპირი - ზედაპირი, რომელზედაც მეწყრის წარმოშობისას ხდება ქანების მთლიანობის დარღვევა.

**ПОВЕРХНОСТЬ СКОЛЬЖЕНИЯ** - Sliding surface, slipping surface - სრიალის ზედაპირი - ზედაპირი, რომელზედაც ხდება ქლასტიკური რღვევა და მოწყვეტილი მასის გადაადგილება (В. Д. Ломтадзе, 1999) სინონიმი: სრიალის სარკე, სრიალის სიბრტყე.

**ПОВРЕЖДЕНИЕ ПОЧВ** - Soil damage - ნიადაგის დაზიანება - წარმოადგენს ნიადაგური საფარის მექანიკურ დაშლას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით გამოწვეული აუცილებლობით და ექვემდებარება წიაღით სარგებლობის დასრულების შემდგომ სარეკულტივაციო სამუშაოებით აღდგენას, სამშენებლო-გეოლოგიური სამუშაოების, სტიქიური მოვლენებისა და ეროზიული პროცესების

ზემოქმედების შედეგად. დაზიანებულ ნიადაგს მიეკუთვნება ნიადაგი, რომელზეც მოხსნილი ან დაფარული აქვს მემუსოვანი ქორიზონტი, ან დაბინძურებულია ისე, რომ მოითხოვს კონსერვაციას, რადგან გამოუსადეგარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის, ან წინასწარი ნაყოფიერების აღდგენის გარეშე მათი გამოყენება შეუძლებელია. ე.ი. მიწები, რომლებსაც დაკარგული აქვთ თავისი პირვანდელი ღირებულება.

**ПОГАШЕНИЕ КАРЬЕРА** - Quarry extinction - ქარიერის ჩაქრება - სამუშაოები, რომლებიც საჭიროა კარიერის ლიკვიდაციისათვის სასარგებლო ნაძარხის ექსპლუატაციის დამთავრების შემდეგ. მათი მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხოება გამონამუშევარი სივრცის შექცევილი გამოყენების პროცესში.

**ПОГЛОТИТЕЛЬНАЯ СПОСОБНОСТЬ ЛЕСА** - Absorbing capacity of forest - ტყის შთანთქმითი უნარი - ტყის ფორმაციის უნარი შთანთქოს ანთროპოგენური ატმოსფეროს გამაჰუტკიანებლები როგორც ვაზისებური (ნახშირჟანგი, ოქსიდი, აზოტი, გოგირდის დიოქსიდი, ოზონი და სხვა), ასევე მავარი გამონაყოფი (მტვერი, მავარი მეტალები და სხვა). დედამიწის ზედაპირის ეკოსისტემებში, ატმოსფეროს გამაჰუტკიანებლების მთავარი დამცველი არის ტყის საფარის ვორიანია.

**ПОГЛОЩАЮЩИЙ (ДРЕНАЖНЫЙ) КОЛОДЕЦ** - Absorption (drainage) well - შთანთქმელი (საღრმანაჰი) ზა - სამთო გამონამუშევარი (ჯა, შერფი, ბურღილი და სხვ), რომლებიც გამოიყენება დედამიწის ზედაპირიდან ატმოსფერული, ზედაპირული ან კანალიზაციური წყლების არინებისათვის როგორც უწყლო, ასევე ნაწილობრივ წყლით ვაჯერებულ ქანებში ჩანასმებზე. წყლის ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიწოდებულ იქნეს შთანთქმელი ჭით წყალშელწვეად ქანებში იწოდება ჭის შთანთქმის უნარად;

ეს უკანასკნელი განისაზღვრება შთან-  
თქმული წყლის რაოდენობით დროის  
ერთეულში (მ/საათი, ლიტ/წმ).

**ПОГРЕБЕННЫЕ ВОДЫ** - Connate water -  
ბანამარხნაშული წყლები - ზღვების,  
ტბების, წყალსატევების წყლები, რომ-  
ლებიც აჯერებენ ნალექებს მათი დაღეჭ-  
ვის პროცესში და შემდგომ განამარხდე-  
ბიან ღრმად დახურულ ფენებში ხან-  
გრძლივი გეოლოგიური დროით.

**ПОДВЕШЕННЫЕ ВОДЫ** - Perched water -  
დაკიდებული წყლები - კაპილარული  
წყლები, რომლებიც შეკავებული არი-  
ან ქანების ნაპრალებში, ფორებში და  
სხვა სიცარიელებში კაპილარული ძა-  
ლების მეშვეობით და არა აქვთ კავში-  
რი გრუნტის წყლებთან.

**ПОДВодно-ОПОЛЗНЕВЫЕ ДИСЛО-  
КАЦИИ** - Underwater landslide dislocation -  
წყალქვეშა მიწისძვრა - დანალექი შრეების დანაოჭება  
წყალქვეშა მეწყრული პროცესებით.  
წყალქვეშა მეწყრული ნაოჭების მორფო-  
ლოგია მრავალმხრივია - სიმეტრიული,  
ასიმეტრიული და რთული ფორმების  
ნაოჭები. ამ ტიპის ნაოჭები შეიძლება  
იყოს ლოკალიზებული მრავალმხრივ  
ფენის ზედა ნაწილში; ფენები შეიძლე-  
ბა იყოს დისლოცირებული მთლიანად  
და შემოფარგლული მომიჯნავე შრეებ-  
ის კონტაქტით (მნიშვნელოვნად გადა-  
ადგილებული ნალექები); ნალექების  
დანაოჭებაში შეიძლება მიტაცებული  
იყოს რამდენიმე ფენა. წყალქვეშა მეწყ-  
რული ნაოჭების წარმოქმნის მთავარი  
მიზეზია: მიწისძვრა აუზის ფსკერის  
შეზღვევით. ასეთ პირობებში საკმარის-  
ია ფსკერის დახრა 1-3° ფარგლებში;  
ინტენსიური ნალექდაგროვების შედე-  
გად ნალექებით მდგრადობის მაქსი-  
მალური კუთხეების გადამეტება; ამ შემ-  
თხვევაში ნალექდაგროვების დახრის  
კუთხეები 5-10° აღემატება (Зайка-  
Новацки).

**ПОДГОТОВИТЕЛЬНЫЕ ЛЕСНЫЕ  
КУЛЬТУРЫ** - Preparatory silvan crop - მო-

სამზადებელი ტყის კულტურები - ტყის  
კულტურები, რომლებიც გამოყავთ და  
ამრავლებენ ნაყარზე ქანების ნაყოფი-  
ერების გაზრდის მიზნით.

**ПОДГОТОВИТЕЛЬНЫЕ СЕЛЬСКОХО-  
ЗЯЙСТВЕННЫЕ КУЛЬТУРЫ** - Preparatory  
agricultural crop - მოსამზადებელი სა-  
სოფლო-სამეურნეო კულტურები - კულ-  
ტურები, რომლებსაც თესვენ მეღიო-  
რაციული მიზნებისათვის რეკულ-  
ტივირებულ მიწებზე მათში ორგანუ-  
ლი ნივთიერების ამადლების მიზნით  
და აგროფიზიკური თვისებების გასაუმ-  
ჯობესებლად.

**ПОДЗЕМНАЯ РАЗРАБОТКА** - Under-  
ground mining - მიწისქვეშა დამუშავება  
- სამუშაოთა ერთობლიობა საბადოს გახ-  
სნისათვის, მომზადებისა და სასარგებ-  
ლო წიაღისეულის ამოღებისათვის მი-  
წისქვეშა დამუშავების მეთოდებით.

**ПОДЗЕМНЫЕ ВОДЫ ТЕХНОГЕННЫЕ** -  
Technogenous subterranean water - ტექნო-  
გენური მიწისქვეშა წყლები - წყლები,  
რომელთა ჩამოყალიბება, გავრცელებ-  
ა, წოდის პირობებში რეჟიმი, შემად-  
გენლობა და თვისებები დაკავშირებუ-  
ლია ადამიანის სამეურნეო და საინჟინ-  
რო მოქმედებასთან (В. Д. Ломтадзе).

**ПОДЗЕМНЫЕ ЛЬДЫ (ИСКОПАЕМЫЕ  
ЛЬДЫ, КАМЕННЫЙ ЛЕД)** - Subsurface ice  
(fossil ice, iceformed rock) - მიწისქვეშა  
ყინული (ნამარხი ყინულბი, ძვის ყი-  
ნული) - ყინული, რომელიც იმყოფება  
მიწის ზედაპირის ქვეშ შრეებს შორის  
ან ქანების სიცარიელებში.

**ПОДЗЕМНЫЙ БАССЕЙН ПРИРОДНЫХ  
ВОД** - Underground basin of natural water -  
ბუნებრივი წყლების მიწისქვეშა აუზი  
- გეოლოგიური სტრუქტურა, რომელიც  
მოიცავს წყალშემცველი ქანების კო-  
მპლექსს და ერთმანეთთან დაკავშირე-  
ბული არიან ჰიდრაულიკურად, გაანჩი-  
ათ ნათლად გამოსახული კვებისა და  
განტვირთვის არეები.

**ПОДЗЕМНЫЙ ПОТОК** - Subterranean  
stream - მიწისქვეშა ნაკადი - მიწისქვე

შა წყლები, რომლებიც უწყვეტად გადაადგილდება წყალშემცველ შრეებში.

**ПОДОШВА СКЛОНА** - Base (toc) of slope - შარდობის ძირი - ფერდობის ქვედა გადაღუნვის ხაზი, რომლის ქვემოთ ფერდობი იღებს უფრო დამრეც ფორმას.

**ПОДПОР ПОДЗЕМНЫХ ВОД** - Underground water retain - მიწისძვრვა წყლებს შიშვრება - წყლის დონის აწევა კალაპოტის შევიწროებით ან მისი კაშხალით, ხიდის ბურჯებით გადაღობით და ა.შ.

**ПОДПОРНАЯ СТЕНКА** - Retaining wall - სახრდანი კედელი - ხელოვნური ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა გაამაგროს ბუნებრივ პირობებში არამდგრადი მიწის ფერდო ან ფერდობი.

**ПОДСЕЧКА СКЛОНА** - Slope undercutting - შარდობის ძირის ჩამოჭრა - ფერდობის ქვედა ნაწილის ბუნებრივი ან ხელოვნური ჩამოჭრა, რომელიც იწვევს მის ზედა ნაწილში ქანების მდგრადობის შესუსტებას.

**ПОДТОПЛЕНИЕ** - Imbuv - წყლით დაზარება - გრუნტის წყლის დონის აწევა, გამოწვეული ჰიდროტექნიკური ნაგებობებით (წყალსაცავით, კაშხლით, არხებით და სხვა) და ზედაპირული წყლების ნატბორით, ასევე სოფლის მეურნეობის მიწების არასწორი მორწყვით.

**ПОДУШКА ГЛИНЯНАЯ, ЦЕМЕНТНАЯ** - Clay, cement cushion - თიხის ცემენტის ბლანკეტი - თიხის ან ცემენტის ფენა, რომელსაც განალაგებენ სამირკვლის საგებზე ნაგებობის დაწოლის წინების თანაბრად განაწილების უზრუნველსაყოფად.

**ПОЗЕМКА** - Ground wind - მიწისძვრა - თოვლიანი ძარი - ნამქერის გადატანა ქარის მიერ უშუალოდ თოვლის საფარზე.

**ПОЙКИЛОГИДРИДНАЯ РАСТИТЕЛЬНОСТЬ** - Poikilohydride vegetation - პოიკილოჰიდრიდიანი მცენარეულობა - მცენარეები, რომლებსაც წყლის შთან-

თქმა-გაცემის რეგულაციის უნარი არ გააჩნიათ ან სუსტად აქვთ გამოხატული.

**ПОЙМА** - Floodplain - ზალა - სიმწიფის სტადიაში მყოფი ხეობის ძირის მორფოლოგიური ნაწილი - მდინარის კალაპოტის მომიჯნავე ვაკე ზედაპირის მქონე ადგილი, რომელიც დიდი წყალდიდობისას ან წყალმოვარდნისას იტბორება; დაფარულია მცენარეულობით და აგებულია ალუვიონით.

**ПОЙМЕННЫЕ БОЛОТА** - Back-water swamp - ზალბის ზაბზაბი - წარმოიშობა მდინარის ჭალების სწორი ან მინიმალური დაქანების მქონე ზედაპირზე.

**ПОКАЗАТЕЛЬ КОЛЛОИДНОЙ АКТИВНОСТИ ГРУНТА** - Ground colloidal activity index - ბრუნტის კოლოიდიური აქტიურობის მაჩვენებელი - მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით  $Kp = Mp/Mc$ ; სადაც  $Mc$  არის გრუნტის თიხური ფრაქციის მაჩვენებელი %-ში  $Mp$  - პლასტიკურობის რიცხვი %-ში; ამ მაჩვენებლის მიხედვით თიხოვანი ქანები ნაწილდება (სკემპტონის მიხედვით) 3 ჯგუფად:  $Kp > 1.25$  - მაღალი აქტიურობის (ჭარბობს მონთმორილინობით);  $0.75 < Kp < 1.25$  - საშუალო აქტიურობის და  $Kp < 0.75$  - დაბალი აქტიურობის (ჭარბობს კაოლინით).

**ПОКАЗАТЕЛЬ КОНСИСТЕНЦИИ ГРУНТА** - Index of soil consistency - ბრუნტის კონსისტენციური მაჩვენებელი - მაჩვენებელი, რომლითაც ხასიათდება გრუნტის ბუნებრივი კონსისტენცია. იხაზვრება ფორმულით:  $B = (W - Wp) / Mp$ . სადაც  $W$  - ბუნებრივი ტენიანობა;  $Wp$  - ტენიანობის პლასტიკურობის ქვედა საზღვარზე;  $Mp$  - პლასტიკურობის რიცხვი. როცა  $W < 1.2 Wp$  გრუნტი იმყოფება მყარ კონსისტენციაში, როცა  $W > 1.2 Wp$  - გრუნტი პლასტიკურ მდგომარეობაშია.

**ПОКАЗАТЕЛЬ РАЗМОКАНИЯ ГРУНТА** - Soil soaking number - ბრუნტის დაღბობის მაჩვენებელი - ქანების უნარს შეინარჩუნონ ფიზიკური მდგომარეობა და



სიმტკიცე გატენიანებისას ან ტენიანობის რეჟიმის ცვალებადობის დროს. თიხოვანი ქანებისთვის წყალმდეგობის ერთ-ერთ მანევრებელს წარმოადგენს ქანების წყალში დაღობის სიჩქარე და ხასიათი.

**ПОКАЗАТЕЛЬ ФИЗИКО-ХИМИЧЕСКОЙ ЧУВСТВИТЕЛЬНОСТИ ГЛИНИСТЫХ ГРУНТОВ** - Index of physico-chemical susceptibility of clay soil - თიხოვანი ბრუნტების შიზიკურ-ქიმიური მგრძობიანობის მანევრებელი - მანევრებელი, რომელიც ახასიათებს წყლის მინერალიზაციის გაელენას ჰიდროფილურობაზე.

**ПОКРОВ ОБЛОМОЧНЫЙ** - Detrital sheet - ნაბტრეპეპიანი საშარი - სხვადასხვა გენეზისის ფხვიერი ნალექების კომპლექსი, რომელიც ფარავს დედამიწის ზედაპირზე რელიეფის შემადგენელ ელემენტებს.

**ПОЛЕЗНАЯ НАГРУЗКА** - Useful load - სასარგებლო დატვირთვა - ნაგებობებით გამოწვეული დატვირთვა, რომელიც დაკავშირებულია თავის დანიშნულებების შესრულებასთან.

**ПОЛЗУЧЕСТЬ ГРУНТА** - Ground creep - ბრუნტის ცოცვადობა - ქანის უნარი შენელებული და განუწყვეტელი დეფორმაციისადმი, როცა მასზე მოქმედებს ხანგრძლივი გარეგანი დატვირთვა. ეს დეფორმაციები შეიძლება იყოს შექცევადი (დრეკადი) და შეუქცევადი (ნარჩენი). პირველი ზოგჯერ აღინიშნება ტერმინი „კრიპ“-ით, მეორე - „გრუნტის დინებით“.

**ПОЛЗУЧЕСТЬ ПОВЕРХНОСТНАЯ** - Surface creep - ზედაპირული ცოცვადობა - ფხვიერი ნალექების საფარის ნელი მოძრაობა ფერდობის ძირისკენ, გამოწვეული სიმძიმის ძალით და მისი თანხლები ფაქტორებით (Тер-Степанян).

**ПОЛЗУЧЕСТЬ СКЛОНОВ ГЛУБИНАЯ** - Depth creep of slope - შირდობების სიღრმითი ცოცვადობა - თიხოვანი და კლდოვანი ქანებით აგებული ფერდობების ნელი დეფორმაცია, რომელიც გამოწვეულია მათი დაძაბულობის წარმოქმნის შედეგად.

ბების ნელი დეფორმაცია, რომელიც გამოწვეულია მათი დაძაბული მდგომარეობით. დაძაბულობა წარმოიქმნება ქანებში საკუთარი წონის ძალის ზემოქმედებით თუ ქანების მასივი განლაგებულია დახრილ სიბრტყეზე. გრუნტის მასის გადაადგილება ხდება მისი მთლიანობის შენარჩუნებით (Тер-Степанян, 1969, 1970).

**ПОЛНЫЙ ОПОЛЗНЕВОЙ ЦИКЛ** - Uninterrupted landslide cycle - მთქარის სრული ციკლი - მეწყრული პროცესების თანამიმდევრობით გამოვლინების სტადიები და ფაზები.

**ПОЛУНАПОРНЫЕ /СУБАРТЕЗИАНСКИЕ/ ВОДЫ** - Half head water/subartesian water/ - ნახემრად დაწნეპიანი (სუბარტეპიული) წყლები - ფ. საფარენსის მიხედვით, წყლები, რომლებსაც განსაზღვრულ ფართობზე მუდმივი დაწნევა არ აქვთ და შეიძლება იცვლებოდეს მცირე მანძილზე (სინონიმი - „დაწნეპიანი გრუნტის წყლები“, „ადგილობრივი - დაწნეპიანი წყლები“).

**ПОЛУСКАЛЬНЫЕ ПОРОДЫ /ГРУНТЫ/** - Half hard rocks - ნახემრად კლდოვანი ძანები - ქანები, რომლებსაც ახასიათებთ დრეკადი კრისტალური ან ამორფული და პლასტიკური კოლოიდური კავშირი. ნახეერადკლდოვანი ქანები კემშვის განსაზღვრულ ზღვრამდე, სანამ არ დარღვეულია დრეკადი კავშირი, განიცდიან დეფორმაციის დატვირთვის პროპორციულად და პირკეყ. ამ ზღვრის ზემოთ დეფორმაცია მიმდინარეობს ისე, როგორც ფხვიერ ქანებში. მათ მიეკუთვნება: მერგელები, არვილიტები, თიხაფიქლები და სხვა.

**ПОНЯТИЕ О „ПРОЦЕССЕ“ И „ЯВЛЕНИИ“** - Concept of „process“ and „phenomenon“ - ცნება პროცესში და მოვლენაში - ყველა მოვლენა შეპირისპირებულია წინამორბედ და მისი გამოწვევი პროცესით, ბუნებრივ (ფიზიკო-გეოლოგიურ) მოვლენებს მიაკუთვნებენ, მაგალითად, ლიოსების ეპიგენტურ გამეკრივე

ბას, „მდელოს ფინჯნისებური“ ჩაღრმავების წარმოშობით, მაგრამ გამკერძებულ წარმოშობილი დატვირთვის შედეგად - ეს არ არის მოვლენა - ეს პროცესია. რაც შეეხება მდელოს, ბუნებრივ ფინჯნისებურ ჩაღრმავებას - ეს მოვლენაა გამოსწვეული გამკერძების პროცესის დამთავრებით.

ამრიგად „მოვლენა“ და „პროცესი“ განსხვავებული მნიშვნელობისაა, ამ ცნებების ურთიერთ არევა არა მარტო ტერმინოლოგიური, არამედ უხეში მეთოდოლოგიური შეცდომაა, რომელიც ამახინჯებს წარმოდგენას მიზეზსა და შედეგს შორის.

ცნებას „პროცესსა“ და „მოვლენის“ არასწორ განსაზღვრას მიეყვართ იქამდე, რომ არსებულ კლასიფიკაციაში ისეთი ტიპური ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები, როგორიც გაყინვითი დეფორმაცია და ნაბურცვებია, ასევე დეფორმაციები ხელოვნური ფერდოსგან მიეკუთვნება საინჟინრო-გეოლოგიურ „პროცესებს“, ხოლო ტიპური გეოლოგიური პროცესი, როგორცაა ქანების გამკერძება დატვირთვის ქვეშ (მყინვარის გეოლოგიური შემოტევის შედეგად) ან აბრაზია მიეკუთვნებიან ფიზიკურ-გეოლოგიურ მოვლენებს (Л.Д.Белый, В.В.Попов).

**ПОПУЛЯЦИОННАЯ ЭКОЛОГИЯ** - Population ecology - პოპულაციური ეკოლოგია - გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ცალკეულ ინდივიდზე გარემო ფაქტორების უშუალო ზემოქმედების მიუხედავად, შეგუება ამ ინდივიდთა ერთობლიობის - პოპულაციების დონეზე ხორციელდება. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა და განვითარდა ეკოლოგიის მეორე მიმართულება - პოპულაციური ეკოლოგია, რომელიც სახეობრივი პოპულაციების ზოგად თავისებურებებსა და გარემოსთან მათი შეგუების მექანიზმებს შეისწავლის. სწავლება პოპულაციების შესახებ მიუთითებს, რომ ბიოსფეროს ნებისმიერი მონაკვეთი უნდა განვიხილოთ, როგორც სხვადასხვა სახეობის

მცენარის, ცხოველისა და მიკროორგანიზმის პოპულაციებისა და არაკოცხალი ფაქტორების რთული სისტემა, რომელშიც ხორციელდება ბიოგენური ნივთიერებებისა და ელემენტების ცვლა. **ПОПУЛЯЦИЯ** - Population - პოპულაცია - გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებული ერთი სახეობის ან უფრო მცირე ტაქსონომიური ერთეულის ინდივიდთა ერთობლიობა.

**ПОРАЖЕННОСТЬ ТЕРРИТОРИИ ЭКЗОГЕННЫМ ГЕОЛОГИЧЕСКИМИ ПРОЦЕССАМИ** - Damage of territory by exogenous geological processes - ტერიტორიის ეგზოგენური გეოლოგიური პროცესებით ზაზიანება - მოცემული პროცესის ფორმის გამოვლინების შეფარდება მთელი უბნის ფართობთან ხასიათდება დაზიანების კოეფიციენტით.

**ПОРИСТОСТЬ** - Porosity - შორიანობა - ქანში ყველა სიცარიელის მთლიანი მოცულობა, რაოდენობრივი ფორიანობა გამოიხატება პროცენტებში, რომელიც წარმოადგენს სიცარიელის მოცულობის შეფარდებას გრუნტის საერთო მოცულობასთან.

**ПОРИСТОСТЬ АКТИВНАЯ** - Active porosity - აქტიური შორიანობა - ქანის მსხვილი ფორების ურთიერთშეერთება, რომლებშიდაც თავისუფლად ხდება წყლის ფილტრაცია.

**ПОРОВО-ТРЕЩИННЫЕ И ТРЕЩИННО-ПОРОВЫЕ ВОДЫ** - Pore-fracture and fracture-pore water - შორიან-ნარკალური და ნარკალ-შორიანური წყლები - ქანებში არსებული, ბუნებრივი მიწისქვეშა წყლები, რომლებიც გადაადგილდებიან სიცარიელეებსა და ნარკალებში.

**ПОРОДЫ ЗАКАРСТОВАННЫЕ** - Carsted rock - ლაპარსტული ქანები - ქანები, რომლებშიც განვითარებულია კარსტური სიცარიელები.

**ПОРОДЫ МАЛОПРИГОДНЫЕ** - Less useful ground (soil) - ნაკლებად ვარგისი ქანები - ქანები, რომლებიც მცენარეულობის წარდისთვის არაადაქმნადი

ბელი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ხასიათდებიან. ასეთ მიწებზე საჭიროა ჩატარდეს ქიმიური ან აგროფიზიკური მელიორაცია, რათა შემდგომში უზრუნველყოფილი იქნეს ბიოლოგიური რეკულტივაციის ჩატარება.

**ПОРОДЫ НЕПРИГОДНЫЕ** - Useless ground (soil) - უშარბისი ძანძბი - ქანები, რომლებიც შეიცავენ იოლად ხსნად მარილებს ან სულფიდების ქანგვის პროდუქტებს ისეთი რაოდენობით, რომ ტოქსიკური ხდება მცენარეულობისა და ცხოველებისათვის.

**ПОРОДЫ ПОТЕНЦИАЛЬНО-ПЛОДОРОДНЫЕ** - Potentially fertile soil - პოტენციურად ნოყიერი ძანძბი - ქანები, რომლებიც მცენარეულობის ზრდისათვის ხასიათდებიან კარგი ფიზიკური, ქიმიური და აგროქიმიური თვისებებით.

**ПОРОДЫ ПРИГОДНЫЕ** - Useful ground (soil) - შარბისი ძანძბი - ქანების წყების ნაწილი, რომლებიც მოიცავენ ნიადაგების ფენას და პოტენციურად ნაყოფიერ ქანებს, ხასიათდებიან კარგი თვისებებით მცენარეულობის ზრდისა და განვითარებისათვის.

**ПОРОДЫ ФИТОТОКСИЧНЫЕ** - Phytotoxic grounds (rocks) - ფიტოტოქსიკური ძანძბი - ქანები ისეთი ნივთიერებების შემცველობით, რომლებიც ასუსტებენ მცენარის ზრდა და განვითარებას. ასეთი ქანების გამოტანა ნაყარის ზედაპირზე დაუშვებელია. ისინი ათეული წლობით რჩებიან მცენარეული საფარის გარეშე, განიცდიან წყლისა და ქარის ინტენსიურ ეროზიას, ამიტომ საშიში წყაროა გარემოს დანაგვიანებისათვის.

**ПОСТ ВОДОМЕРНЫЙ** - Water rating (gauge) station - შხალსაზომი პოსტი - წყალსატეესა ან წყალსადინარში წყლის დონის გამზომი მოწყობილობა.

**ПОСТОЯННАЯ НАГРУЗКА** - Permanent load - მუდმივი დატვირთვა - დროში უცვლელი დატვირთვა.

**ПОСТОЯННЫЙ УРОВЕНЬ ПОДЗЕМНЫХ ВОД** - Permanent level of subterranean

water - მიწისქვეშა წყლების მუდმივი დონე - დონე, რომელიც არ იცვლება დროში. დონის უცვლელობა განპირობებულია წყალშემცველი ქანების ღრმა განლაგებით.

**ПОТЕРЯ НАПОРА** - Loss of head - დაწმკის დაკარგვა - მიწისქვეშა წყლების დაწმკის შემცირება წნევის წყლის მოძრაობის მიმართულებით. ეს ხდება გამფილტრავი ქანების წინააღმდეგობით და წყლის სიბლანტით.

**ПОТОК ПЛОСКОСТНОЙ** - Plane stream - სიბრტყითი ნაკადი - ზედაპირული, ერთ მთლიან კალაპოტად არაკონცენტრებული ჩამონადენი.

**ПОТРЕБНОСТИ ЧЕЛОВЕКА** - Human requirements - ადამიანის მოთხოვნები - საჭიროება ან არასაკმარისობა რამეში, რაც საჭიროა ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებისათვის, ადამიანისათვის, სოციალური ჯგუფისა და საზოგადოებისათვის; ინდივიდის მდგომარეობისათვის, რომელიც აუცილებელია მათი არსებობისათვისა და განვითარებისათვის.

**ПОЧВА** - Soil - ნიადაგი - დედამიწის ზედა, ფხვიერი და ნაყოფიერი ფენა, რომელიც ნიადაგწარმოქმნელი ფაქტორთა ხანგრძლივი ურთიერთმოქმედების შედეგია.

**ПОЧВА НАМЫВАНИЯ** - Alluvial soil, washed-in soil - მონალში ნიადაგი - ივიეა, რაც ნაყარი ნიადაგი, მაგრამ მათი ფორმირება ხდება ქანებისა და ნიადაგების პიდროტრანსპორტირების დროს.

**ПОЧВА НАСЫПНАЯ** - Earth-spread soil - ნაქარი ნიადაგი - ნიადაგი, რომელიც ხელოვნურად არის შექმნილი უვარგისი მიწების რეკულტივაციის დროს, სელექტიურად მოხსნილი ჰუმუსიანი ზონალური ნიადაგების ფენების გამოყენებით. „ნაყარი ნიადაგების“ პროფილისი მორფოლოგიას, ბუნებრივი ტიპის ნიადაგებისაგან განსხვავებით, არ ახასიათებთ ვერტიკალური პროფილის კა-

ნონზომიერი ჩამოყალიბებული წყობა.  
**ПОЧВЕННЫЕ ВОДЫ** - Soil water - ნიადაგის წყლები - მიწისქვეშა წყლები, რომლებიც იმყოფებიან ნიადაგის ფენაში. ზოგჯერ ეძახიან „ფესვების წყალს“.

**ПОЧВЕННЫЙ РАСТВОР** - Soil solution - ნიადაგის ხსნარი - ნიადაგის თხევადი ნაწილი, რომელიც შედგება წყლისა და მასში გახსნილი სხვადასხვა ნივთიერებისაგან.

**ПОЧВООБРАЗОВАТЕЛЬ** - Soil former - ნიადაგმომქმნელი - ორგანიზმები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ნიადაგის წარმოქმნაში.

**ПРАВИЛА ПРЕДПОЧТЕНИЯ** - Preference law - შპირატმსობის წესები - ორი უბნის ფაქტორების ერთობლიობის შეფასება, რომელიც საშუალებას იძლევა მათი ურთიერთ შედარებისას განესაზღვროთ ამ ფართობზე მოცემული ეგზოგენური გეოლოგიური პროცესებით გამოწვეული დაზიანების ხარისხი.

**ПРЕДГОРЬЕ** - Foothills, piedmont - მთის-წინა ნაწილი - ქედის ან მთიანი ქეფის დადაბლებული განაპირა ნაწილი, რომელიც ხასიათდება გორაკ-ბორცვიანი, დაბალი რელიეფით. ჩვეულებრივ აგებულია უფრო ახალგაზრდა ნალექებით, ვიდრე მთები, ანდა მათი გადარეცხვის პროდუქტებით.

**ПРЕДЕЛЫ ПЛАСТИЧНОСТИ** - Plastic limit - ქლასტიკურობის ზღვარები - თხოვანი ქანების ტენიანობის ზღვრები ანდა დენადობასა და პლასტიკურობის ზღვრები, რომელთა შორის ისინი იმყოფებიან პლასტიკურ მდგომარეობაში (Ломтадзе, 1999).

**ПРЕДЕЛ ПРОЧНОСТИ** - Ultimate resistance, ultimate strength - სიმტკიცის ზღვარი - მაქსიმალური დატვირთვა ქანებზე (კუმშვაზე, ჩამოხეთქვაზე, ძვრაზე, წყვეტაზე), რომლის დროსაც ხდება მათი ნგრევა ან გადამეტება შეუქცევადი დეფორმაციებით დასაშვებ ზღვრამდე (Ломтадзе, 1999).

**ПРЕДЕЛ ПРОЧНОСТИ НА РАСТЯЖЕНИЕ** - Tensile strength - ბაჰიმშლობის სიმტკიცის ზღვარი - მინიმალური გამჭიმვი დაძაბულობა, რომელიც იწვევს მასალის გახლეჩვას.

**ПРЕДЕЛ ПРОЧНОСТИ ПОРОДЫ НА СЖАТИЕ (ВРЕМЕННОЕ СОПРОТИВЛЕНИЕ ПОРОДЫ СЖАТИЮ)** - Compression strength of rock - ქანის სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე (ქანის დროებითი წინააღმდეგობა კუმშვაზე) - დაძაბულობის სიდიდე, რომელიც იწვევს ქანის ნიმუშის დაშლას ან დეფორმაციის დაუშვებელი სიდიდე ერთდროიან კუმშვაზე, წარმოადგენს დატვირთვის შეფარდებას (რომლის დროსაც ხდება დაშლა-დამსხვრევა) გამოსაცდელი ნიმუშის განივი კვეთის ფართობთან, გამოისახება კგ/სმ<sup>2</sup>.

**ПРЕДЕЛ ТЕКУЧЕСТИ** - Liquid limit - დენადობის ზღვარი - თხიურ ქანში წყლის პროცენტული რაოდენობა, რომლის დროსაც იწყება ქანის პლასტიკური დინება (Ломтадзе, 1999).

**ПРЕДЕЛ УСАДКИ** - Ultimate shrinkage, contraction limit - შპკლმსობის ზღვარი - თხოვანი ქანების ისეთი ტენიანობა, რომლის დროსაც, ჰაერზე გამოშრობის შედეგად, წყდება მოცულობის შემცირება და ხდება გადასვლა ნახევრად მყარი მდგომარეობიდან მყარში (Ломтадзе, 1999).

**ПРЕДЕЛЬНАЯ НАГРУЗКА** - Ultimate load - ზღვრული დატვირთვა -

**ПРЕДЕЛЬНО ДОПУСКАЕМАЯ КОНЦЕНТРАЦИЯ ЗАГРЯЗНЯЮЩЕГО ВЕЩЕСТВА В АТМОСФЕРНОМ ВОЗДУХЕ** - Ultimate contaminant concentration in air - ატმოსფერულ კაიარში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეულ გასაშუალოებულ პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე

და საერთოდ გარემოზე მანვე ზემოქმედებას.

**ПРЕДЕЛЬНО ДОПУСТИМОЕ РАСПЫЛЕНИЕ ЗАГРЯЗНЯЮЩЕГО ВЕЩЕСТВА В ВОЗДУХЕ АТМОСФЕРЫ** - Ultimate dispersion of contaminants in air - ატმოსფერულ ჰაერში ღამაბინძურებაზე ნივთიერებათა ზღვრულად მაქსიმუმი გაფრქვევა (ბაზანტვა) - მეცნიერულ-ტექნიკური ნორმატივი, დადგენილი იმ პირობით, რომ დაბინძურების წყაროდან ან წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებათა შემცველობა ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმატივებს დასახლებული პუნქტებისთვის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსთვის.

**ПРЕДЕЛЬНОЕ СОПРОТИВЛЕНИЕ** - Ultimate resistance - ზღვრული წინააღმდეგობა - გრუნტის ზღვრული ზიდვის უნარი მოცემული დატვირთვის პირობებში.

**ПРЕОБРАЗОВАНИЕ ЛАНДШАФТОВ** - Transformation of landscape, reconstruction of landscape - ლანდშაფტების ბარდაქმნა - ღონისძიებათა სისტემა, მიმართული ლანდშაფტების გადასაყვანად ისეთ მდგომარეობაში, როცა ისინი შექმნილი შესარულონ ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია ან მათი ამოღების არსებითი ეფექტურობა. გარდაქმნის ძირითად საშუალებას წარმოადგენს მელორიაჟი. ლანდშაფტის გარდაქმნა უნდა მოხდეს ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს მისი სტრუქტურა (ინვარიანტის ჩარჩოში) და რესურსების და გარემო პირობების აღწარმოების უნარი.

**ПРИБОЙНАЯ ЗОНА** - Surf zone, swash zone - ზვირთცემის ზონა - ზვირთცემის ნაკადის ზონა, რომელიც მოთავსებულია ტალღის დაშლის ბოლო ხაზსა და შხევის ხაზს შორის. ზვირთცემის ზონის განივ ცილებით დიდია ღრმა ნაპრალებთან, ვიდრე თავთხელთან.

**ПРИВЕДЕННАЯ ВЛАЖНОСТЬ ПОРОДЫ** - Reduced humidity of rock, reduced moisture content of rock - ქანის დაჰუმანილი ტენიანობა - ქანის ფორებში, ნაპრალებსა და სხვა სიცარიელებში არსებული წყლის მოცულობის შეფარდება ქანის ჩონჩხის მოცულობასთან, გამოხატული პროცენტებში.

**ПРИНЦИПЫ ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКОГО РАЙОНИРОВАНИЯ ТЕРРИТОРИЙ** - Principles of engineering-geological zonation of territory - ტერიტორიის საინჟინერო-გეოლოგიური ღარიონება - საინჟინერო-გეოლოგიური დარაიონება გამოხატება ტერიტორიის სივრცობრივი დანაწილებით საინჟინერო-გეოლოგიური პირობების ერთგვაროვნებისა და ცვალებადობის პრინციპებზე დაყრდნობით (Сепреев). საინჟინერო-გეოლოგიური დარაიონებისა და მისი პრინციპების გარეშე შეუქმლებელი იქნებოდა შედარება და შეფასება იმ საინჟინერო-გეოლოგიური პირობების სხვადასხვაობისა, რომელიც ცალკეულ ტერიტორიაზე გვხვდება. საინჟინერო-გეოლოგიური დარაიონების შედარებით სრული პრინციპი შემომავა ი. პოპოვა, რომელმაც რანგისა და რიგის მიხედვით გამოყო ტაქსონომეტრიული ერთეულები: რეგიონი, ოლქი, რაიონი, ქვერაიონი. რეგიონები იყოფიან სტრუქტურულ-ტექტონიკური, ხოლო ოლქი - გეომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. ოლქში გამოიყოფა რაიონები, რომელთა ტერიტორიაზე აღინიშნება გეოლოგიური აგებულებების ერთგვაროვნება, გამოხატული ქანების ერთნაირ თანმიმდევრულ განლაგებაში, წყობაში, სიმძლავრესა და პეტროგრაფიულ შემადგენლობაში. ასეთი საინჟინერო-გეოლოგიური რაიონის ტერიტორიაზე გამოიყოფა ქვერაიონები, რომლებიც განსაზღვრავენ გეოლოგიური პროცესების განვითარების კანონზომიერებას, მასშტაბებსა და ცვლილებების ტენდენციებს. მსხვილმასშტაბიანი საინჟინერო-გეოლო-

გიური კვლევის დროს ქვერეაინებებში გამოიყოფა საინჟინრო-გეოლოგიური უბანი, მათში კი - საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები.

**ПРИНЦИПЫ ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКОЙ ТИПИЗАЦИИ ТЕРРИТОРИИ** - Principles of engineering-geological type design of territory - ტერიტორიის ტიპიზაციის პრინციპები - ივლისისხმება ტერიტორიაზე ცალკეული ნაწილების გამოყოფა, რომელიც შეესაბამება წინასწარ დადგენილ განსაზღვრული რეგიონის ტიპებს და ხასიათდება საინჟინრო-გეოლოგიური პირობების საერთო და მნიშვნელოვანი ნიშნებით. ასეთი მიდგომა საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის დროს იწოდება ტიპოლოგიურად. საინჟინრო-გეოლოგიური ტიპიზაციას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან მასზე ბევრად არის დამოკიდებული რიგი პრაქტიკული საკითხების რაციონალური გადაწყვეტა, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ოპტიმალურად ჩატარება სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტის დროს და სხვა.

**ПРИРОДНАЯ СТИХИЯ** - Element - ბუნებრივი სტიქია - ბუნების მძლავრი მოვლენა, დამანგრეველი ძალა (ქარიშხალი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ღვარცოფი და სხვა).

**ПРИРОДНО-ТЕРРИТОРИАЛЬНЫЙ КОМПЛЕКС** - Nature and territory complex - ბუნებრივი-ტერიტორიული კომპლექსი - ცნება, რომელიც აღნიშნავს ბუნებრივი ან ადამიანის მიერ ბუნების ნებისმიერი მასშტაბის ძირითადი კომპონენტების ნაწილობრივ შეცვლილ სისტემას.

**ПРИРОДНО-ТЕХНОГЕННАЯ КАТАСТРОФА** - Natural technogenic calamity - ბუნებრივი-ტექნოგენური კატასტროფა - ტექნოლოგიურ ობიექტებსა და გარემოს კომპონენტებს შორის ნორმალური ურთიერთქმედების დარღვევის შედეგად გამოწვეული დამანგრეველი პროცესი, რომელსაც მოჰყვება ადამიანთა მსხვერ-

ვლი, ნგრევა, ზიანდება სამრეწველო ობიექტები და გარემოს კომპონენტები. **ПРИРОДНЫЕ ЧРЕЗВЫЧАЙНЫЕ СИТУАЦИИ** - Natural emergency situations - ბუნებრივი საბუნებრივი სიტუაციები - კატასტროფის შედეგად შექმნილი ვითარება გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაზე, რომელიც ჩამოყალიბდა საგანგებო სიტუაციის წყაროს წარმოშობის შედეგად, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ან უკვე მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, მნიშვნელოვანი მატერიალური დაზარალებები და ძლიერი დაზიანება.

**ПРИРОДНЫЙ КОМПЛЕКС (ПРИРОДНАЯ СРЕДА)** - Natural complex - ბუნებრივი კომპლექსი (ბუნებრივი ბარამი) - ბუნებრივი გარემოს უბანი, რომელიც წარმოდგენილია გენეტიურად ერთგვაროვანი ტერიტორიით (აკვატორიით), რომელზედაც მისთვის დამახასიათებელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების გავლენით იქმნება კომპონენტების ინდივიდუალური კანონზომიერი სტრუქტურა - გეოლოგიური წყობის, რელიეფის, მავის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების, ნიადაგებისა და ბიოცენოზების (В. Д. Ломтадзе).

**ПРИРОДОПОЛЬЗОВАНИЕ** - Rational use of nature - ბუნების ბამომყვანება - ადამიანის მიერ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების თეორია და პრაქტიკა. ბუნების რაციონალური გამოყენება არის მოღვაწეობის სისტემა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსების ეკონომიური გამოყენება და მათი კვლავწარმოება პრაქტიკული ინტერესების ვათვალისწინებით, განვითარებადი სახალხო მეურნეობის და ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

**ПРОБА БАРАБАНАЯ** - Drum sample, drum test - სინჯის ბამომცდა ფოლზე - ქანის მექანიკური სიმტკიცის გამოცდის მეთოდი.

**ПРОБА БОРОЗДОВАЯ** - Trench sample - ნალარის სინჯი - სინჯის მასალა აღებუ-

ლი მასივის ღარიდან საცდელ-ლაბორატორიული კვლევებისათვის.

**ПРОБА ОБЪЕМНАЯ (ВАЛОВАЯ) - Gross sample -** მოცულობითი სინჯი (მთლიანი) - დიდი მოცულობის ნიმუში, რომელიც საინჟინრო-გეოლოგიაში ჩვეულებრივ გამოიყენება ფხვიერი ნალექების გრანულომეტრიული შედგენილობის ფრაქციულობის დასადგენად.

**ПРОБЛЕМА РАЦИОНАЛЬНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ И ОХРАНЫ ГЕОЛОГИЧЕСКОЙ СРЕДЫ ПРИ ГИДРОТЕХНИЧЕСКОМ СТРОИТЕЛЬСТВЕ - Problem of rational utilization and protection of geological environment in case of hydrotechnical construction -** გეოლოგიური გარემოს რაციონალური გამოყენებისა და დაცვის პრობლემა ჰიდროტექნიკური მშენებლობის დროს - ჰიდროტექნიკური ნაგებობები - დამბა, წყალსაცავი, არხი და სხვა, გეოლოგიურ გარემოზე ახდენენ განსაკუთრებულ გავლენას. ეს ობიექტები სხვადასხვა ზომის არიან, ხასიათდებიან განსხვავებული თვისებებით და ახდენენ განსხვავებულ ზემოქმედებას გეოლოგიურ გარემოზე. ნაგებობათა ზემოქმედება დამოკიდებულია: გარემოს გეოლოგიურ სირთულეზე, მოედნის ზომასა და ჰიდროტექნიკის წინაშე დასმულ ამოცანაზე.

**ПРОБЛЕМЫ ЗАГРЯЗНЕНИЯ - Pollution problems -** ბაჭუნჯიანების პრობლემა - გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემა საწარმოო ობიექტებით.

**ЦУНАМИ** - Tsunami - **ცუნამი** - ვეებერთელა ზღვის ტალღა, რომელიც წარმოქმნილია მიწისძვრის ან ვულკანის ამოფრქვევის შედეგად. ტალღის მოძრაობის სიჩქარე 50 კმ-დან 100 კმ-მდე და უფრო მეტიც.

Ч

**ЧАСТИЧНО СВЯЗАННЫЕ /МОЛЕКУЛЯРНЫЕ АДГЕРЕНТНЫЕ/ ВОДЫ - Partially bound (molecular, adhesive) waters - ნაწილ(ობრივი) გეშული (მოლეკულარული, ალბერენტული) წყლები - მიწისქვეშა წყლები, რომლებიც მოლეკულარულად შეიძროდაა დაკავშირებული ქანთან და არ შეიძლება ამოღებული იქნეს ჩვეულებრივი კაბტაური ნაგებობითა და ხელსაწყოებით.**

**ЧАТМАГИ - Chatmagis - ძმპრილი - ქეუბისგან შემდგარი გამოტანის კონუსი.**

**ЧЕРТЫ РАСПРЕДЕЛЕНИЯ ОРГАНИЗМОВ В ПОПУЛЯЦИИ - Organism distribution features in population - ორგანიზმთა განაწილების ხასიათი პოპულაციაში - პოპულაციის ნორმალური არსებობა დაკავშირებულია იმ ტერიტორიასთან, რომელშიც იგი ბინადრობს. როგორი ვრცელიც არ უნდა იყოს ეს ტერიტორია, მისი სასიცოცხლო რესურსები მაინც შეზღუდულია; აქ შეიძლება იარსებოს ორგანიზმთა მხოლოდ განსაზღვრულმა რაოდენობამ. ვასაგებია, რომ არსებული რესურსების გამოყენების სისრულე დამოკიდებულია არა მხოლოდ პოპულაციის რიცხოვნობაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ არიან განაწილებული ორგანიზმები ტერიტორიის ფარგლებში. სასეობის სპეციფიკისა და ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურების შესაბამისად არჩევენ ორგა-**

ნიზმთა სიერკობრივი განაწილების ასე შევა პოპულაციური დისპერსიის სამ ძირითად ტიპს - შემთხვევითს, თანაბარსა და ჯგუფურს.

**ЧИПК - Chink - ჩიჩპი - ფლატე, საფეხური, ცოკაბი ფერდობი, რომელიც შესიფარვლავს (შესისაზღვრავს) პლატოს ან მცირე ზომის მაგდისებურ მთენილს. პლატოს სიღრმეში ქანები ხასიათდებიან სუსტი დაქანებით, რაც აფერხებს მის დაშლას.**

**ЧИСЛЕННОСТЬ ПОПУЛЯЦИИ - Population quantity - პოპულაციის რიცხვობა - პოპულაციისა და ზრდასრულ ინდივიდთა რაოდენობა.**

**ЧИСЛО ПЛАСТИЧНОСТИ - Plasticity number - პლასტიკურობის რიცხვი - ტენიანობის ინტერვალი, რომლის საზღვრებს შორის თიხნარი ქანი იმყოფება პლასტიკურ მდგომარეობაში; რიცხოვრივად ტოლია პლასტიკურობის ზღვრების სხვაობისა და გამოიხატება პროცენტებში. რაც მეტია პლასტიკურობის რიცხვი, მით მეტია ქანის პლასტიკურობა. პლასტიკურობის რიცხვი გრუნტების მიხედვით მერყეობს შემდეგ ფარგლებში: თიხა >17, თიხნარი 17-7, ქვიშნარი 7-0. ქვიშა - 0.**

**„ЧУВСТВИТЕЛЬНАЯ“ ГЛИНА - „Sensitive“ clay - „მგრძობიარე ტიხა“ - თიხა, რომელიც დეფორმირდება, კარგავს სიმტკიცეს დისლოკაციებისა და ვიბრაციის დროს.**

Ш

**ШАПКА ГАЗОВАЯ - Gas cap - ბაზის ქაში - ნავთობის გაუხსნელი ფენის თავისუფალი გაზის დავროვება პიპსომეტრიულად ყველაზე ამოწეულ ნაწილში, ერთიანი ნავთობბუდობის გაზიანი ნაწილი.**

**ШАХТА - Mine, pit - შახტი - სამთო მრეწველობის საწარმოო ერთეული, რომლის საშუალებითაც ხდება სასარგებლო ნამარხების მოპოვება სამთო მიწისქვეშა საშუალებით.**

**ШАХТНЫЕ (РУДНИЧЬЕ) ВОДЫ** - Pit waters, mine waters - შახტის (მაღაროს) წყლები - მიწისქვეშა (ზოგჯერ ზედაპირული) წყლები, რომლებიც ჟონავენ სამთო გამონამუშევრებში და ახდენენ გავლენას საბადოს გასხნასა და ექსპლუატაციაზე.

**ШАХТЫ ЕСТЕСТВЕННЫЕ** - Deep karst channel - ბუნებრივი შახტები - მნიშვნელოვანი სიღრმის კარსტული არხები ვერტიკალური კედლებით, ცვალებადი განივკვეთებით და დარბაზისებური გაფართოებებით.

**ШЕЛЬФ** - Shelf - შელფი - გეოლოგიური თვალსაზრისით, მატერიკის ზღვით დაფარული ნაწილი, რომელიც გარს არტყია სანაპირო ხაზიდან 300 მ სიღრმემდე - მატერიკის კონტინენტალური კიდემდე (В. Д. Ломтадзе). გლობალურ მასშტაბში შელფის განივ იცვლება 0-1500 კმ-მდე. საშუალოდ შეადგენს 78 კმს. შელფს უჭირავს 28 მილ. კმ<sup>3</sup> ანუ მსოფლიოს ოკეანეების ფართობის 8%. იყოფა: გარე და შიგა ზონებად. გარე ზონა წარმოადგენს სწორ ან ტალღისებურ, ზოგჯერ ძლიერ დანაწევრებულ, სუსტად დახრილ აბრაზიულ-აკუმულაციურ ზედაპირს (სანაპირო თავთხელი ზღვის ან ოკეანის ნაწილი). სივანით რამდენიმე ათეული მეტრიდან ასეულ კმ-მდე და მეტი, რომელიც ღია ზღვის მხრიდან შემოფარგლულია გადაღუნებული ფსკერით - შელფის კიდი. შელფის კიდის სიღრმე იცვლება 20-550 მ-მდე, ჩვეულებრივ 200 მ-მდე, საშუალოდ შეადგენს 133 მს. თუ შელფის კიდე ძლიერ დანაწევრებულია და ხასიათდება ისეთი სიღრმეებით, რომლებიც განსხვავდება ტიპური შელფისგან, ასეთ ზონების სოფის მიღებულია ტერმინი - ბორდერლენდი. შელფის შიგა ზონა ეკერის სანაპირო ხაზს და წარმოადგენილია რთული, არასწორი ზედაპირით და აბრაზიით სუსტად გადაშუშავებული სუბაერალური (დენუდაციური, ეროზიული, მყინვარული) ან ზოგჯერ ტექტონიკური (ქვა-

ბურები, მადლობები, ციკაბო საფეხურები და სხვ.) წარმოშობის რელიეფით, რომელიც ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დაპირულია მნიშვნელოვან სიღრმეზე. **ШКАЛА СЕЙСМИЧЕСКОЙ БАЛЛЬНОСТИ** - Scale of seismic (earthquake) intensity, magnitude scale - სმისმური პალინოზის შკალა - მიწისძვრის ინტენსიურობა გამოიხატება ბალებში, რომელიც მიუთითებს მიწისძვრის ძალას მიწის ზედაპირზე. ინტენსიურობის შკალა შედგენილია 1953-1954 წლებში ს. მედევევის (სსრკ), ვ. პონხოვის (გერმანია) და ვ. კარნიკოვის (ჩეხოსლოვაკია) მიერ. მიწისძვრის მოძრაობის ძალის ინტენსიურობის განსაზღვრისთვის გამოიყენება შენობის და გრუნტის მდგომარეობა მიწისძვრის მომენტის დროს, ასევე ადამიანების შეგრძნება და სხვა. იხ. „მიწისძვრის ინტენსიურობა ბალებში“.

**ШНЕКОВОЕ БУРЕНИЕ** - Auger drilling - შნეკური ბურღვა - კაბურღილის ბურღვა მბრუნავი დაზვით, აღკურვილი ჩვეულებრივი საბურღი შტანგების ნაცვლად, შნეკით (ვინტისებური შტანგებით), რომელიც ახდენს საგრეზე გაბურღული ქანის (კერნის) ტრანსპორტირებას ზედაპირზე გამოიყენება მიწისქვეშა წყლების არაღრმა განლაგების (50 მეტრამდე) დროს, სადაზვერვო ჭის ბურღვისთვის, როცა გეოლოგიური ჭრილი წარმოდგენილია ფხვიერი კვიშა-თიხიანი ქანებით.

**ШОВ КОНСТРУКТИВНЫЙ - РАЗРЕЗ (ДЕФОРМАЦИОННЫЙ, ОСАДЧИЙ И ДР.)** - Constructive suture - კონსტრუქტიული ნაკერი - ჭრილი (დეფორმაციული, დაჯდომის და სხვ.) ნაგებობებში, რომელიც საშუალებას იძლევა მისი ცალკეული ნაწილების (ბლოკების) შესატყვისად გადაადგილებას მოლიანობისა და მდგრადობის დარღვევის ვარგშე (В. Д. Ломтадзе).

**ШОВ ТЕКТОНИЧЕСКИЙ** - Tectonic suture - ტექტონიკური ნაკერი - ხაზობრივად გაკომული ზონა, რომელიც წარმოადგენს ღრმა რღვევების წყვეტითი

დაშლის ზედაპირულ გამოხატულებას (В. Д. Лощагин).

**ШОР (СОР) - Shor. salina. salt lake - შორი -** მარილიანი ნიადაგები არიდულ უდაბნო ზონაში, ჩვეულებრივად, წარმოდგენილია თიხოვანი ნიადაგებით, რომლის ზედა ფენა გამდიდრებულია ქლორიდებით და სულფატებით, წარმოიშობიან რელიეფის დადაბლებულ ადგილებში, როცა მინერალიზებული გრუნტის წყლები ზედაპირთან ახლოა.

**ШТОЛЬНЯ - Adit - შტოლნა -** კორიზონტალური მიწისქვეშა სამთო გამოხამუშევარი, რომელსაც აქვს უშუალო გამოსავალი მიწის ზედაპირზე, დანიშნულებ-

ის მიხედვით შტოლნა შეიძლება იყოს საძიებო, საექსპლუატაციო, საეცესტილაციო და სხვა.

**ШУРФ - Borc pit. dug hole - შურფი -** ვერტიკალური ან დახრილი მიწისქვეშა გამოხამუშევარი, რომელსაც აქვს უშუალო გამოსავალი მიწის ზედაპირზე. მისი დანიშნულებაა სასარგებლო წიაღისეულის დაძიება, მიწისქვეშა წყლების გახსნა, მოსისჯვა და სხვა.

**ШТОРМ - Storm - შტორმი -** ხანგრძლივ, ძალიან ძლიერი ქარი, 20-25 მ/წმ (72-90 კმ/სთ) სისქარით, იწვევს ძლიერ ღელვას ზღვაზე (ოკეანე), სასაპირო ზოდის გამორეცხვას და ნგრევას ხმელეთზე.

## Щ

**ЩЕБЕНЬ - Rock debris. rock waste - ლორღი -** ფხვიერი, მსხვილნატეხოვანი (ფსეფიტური), დაკუთხული თითქმის დაუმუშავებელი ქანი. ზომების მიხედვით გამოპყოფენ: მსხვილს - 50-100 მმ, საშუალოს - 25-50 მმ და წვრილს - 10-25 მმ. ღორღი, ძირითადად, წარმოიშობა ქანების გამოფიტვის შედეგად. გამოიყენება მშენებლობაში როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნურად დამსხვრეული ღორღი.

**ЩЕКИ - High and steep slope - შლატიშ ნაპირი -** მდინარის მაღალი, ციცაბო ნაპირი ხეობის შევიწროების ადგილზე.

სადაც წარმოიქმნება კანიონი და სხვა სახის ხეობები. ასეთ ადგილებში ხშირად ვითარდება ჩქერი ან ზღურბლი, ამიტომ ნაოსნობა გართულებულია.

**ЩЕЛОЧНОСТЬ ВОДЫ - Water alkalinity -** წყლის ტუშტიანობა - წყლის თვისება განპირობებულია მასში სუსტი მჟავების ანიონების არსებობით.

**ЩЕЛОЧНЫЕ ФУМАРОЛЫ - Alkaline fumarole - ტუშტი ფუმაროლანი -** ფუმაროლები 200-400°C ტემპერატურით, რომლებიც გამოყოფენ წყლის ორთქლს, ამიაკის მარილების გაზებს, ამონიუმის სულფატებს, ფტორიდებს და სხვა.

## Э

**ЭВОРЗИЯ (РАЗМЫВАНИЕ, РАЗЪЕДАНИЕ) - Evorsion (washing out) - ევორზია (წარმცხვა, გამონარა) -** სწრაფად გამდინარე ზედაპირული თუ მიწისქვეშა ნაკადის კალაპოტში ლოკალური ერო-

ზია, რაც ხდება ევრტიკალურად მსროლი ნაკადის ტრიალით ქვებთან ერთად. სწორედ ამ დროს კლდოვან კალაპოტში წარმოიქმნება ორმოები და ქვაბები - ე.წ. „გოლიათური ქვაბები“.



**ЭВРИБИОНТНЫЕ ОРГАНИЗМЫ** - Eurybiontic organism - მვრიბიონტური (ორბანიზმები) - ორგანიზმები, რომელთა არსებობა შესაძლებელია განსხვავებული მნიშვნელობის სხვადასხვა ფაქტორების გარემოში (ტემპერატურა, სინათლე, ტენიანობა და ა.შ.) ევრიბიონტურ ორგანიზმებს ეკუთვნის ორგანიზმები ფართო ეკოლოგიური ვალენტობით.

**ЭВРИТЕРМНЫЕ ОРГАНИЗМЫ** - Eurythermic organism - მვრიტერმული (ორბანიზმები) - ორგანიზმები, რომლებიც შეეუბნულია ცხოვრებას გარემოს ტემპერატურის ცვალებადობის პირობებში. მათ ეკუთვნიან ყველა მიწისზედა საშუალო და მაღალი ვანედის მცენარეულობა და ასევე ცხოველები, რომლებიც ზამთარში არ ინაცვლებენ უფრო თბილ რეგიონებში, არ იკეთებენ სოროებს და არ ვარდებიან ზამთრის ძილში. ევრიტერმული ორგანიზმები თავისი ყოფის პირობებით უპირისპირდებიან სტენოტერმულ ორგანიზმებს.

**ЭВРИФАГИ** - Euryphagous - მვრიფაგები - ყოვლისმკამელი ცხოველები, რომლებიც იკვებებიან მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სხვადასხვა საკვებით (მწვანე ბალახით, მწერებით, პატარა მღრღნელებით და სხვ.).

**ЭВТРОФИРОВАНИЕ (ЭВТРОФИКАЦИЯ, ЭВТРОФИЯ) ВОД** - Water eutrophication - წყლის მვტროფიკაცია (მვტროფიკაცია, მვტროფია) - 1. ბუნებრივი ან ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენით წყლის ობიექტების ბიოლოგიური პროდუქტიულობის აწევა მასში ბიოგენური ელემენტების დაგროვების შედეგად; 2. წყლის ეკოსისტემების ბიოლოგიური პროდუქტიულობის ანთროპოგენური აწევა მკვებავი ნივთიერებებით გაძლიერების ხარჯზე, რომელიც წყალში ხვდება ადამიანის მოღვაწეობის შედეგად.

**ЭВТРОФНОЕ ОЗЕРО** - Eutrophic lake - მვტროფული ტბა - შედარებით თხელი ტბა, სადაც ტემპერატურა მაღალია

და პროდუქტიულობა დიდი. სრწნის პროცესი ნქარი ტემპით მიმდინარეობს, წყლის ფერი მომწვანოა; თუეხები კსაყოფილდებიან ჟანგბადის შედარებით მცირე რაოდენობით, სშირია „წყლის ყვავილობა“ (მაკროფიტთა, კუქისის ტბა). **ЭВТРОФНЫЕ РАСТЕНИЯ** - Eutrophic plant - მვტროფული მცენარეულობა - მცენარეულობა, რომელთა წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი ნიადაგი, რომელიც მდიდარია მკვებავი ნივთიერებებით. ევტროფულს ეკუთვნის მდელის და ტყის მცენარეულობა. **ЭДАФИЧЕСКИЕ ФАКТОРЫ** - Edaphic factors - ედაფიური ფაქტორი - ნიადაგების ფიზიკური და ქიმიური თვისებების ერთობლიობა, რომელსაც შესწევს უნარი მოახდინოს ეკოლოგიური გავლენა ცოცხალ არსებებზე.

**ЭДАФОН** - Edaphon - ედაფონი - ცოცხალი არსებების ერთობლიობა, რომელიც ცხოვრობს ნიადაგში. ედაფონის გაუვლენა ნიადაგზე გამოიხატება ორგანული ნივთიერებების გახრწნით, ფიზიკური თვისებების შეცვლაში, აზოტის ფიქსირებაში და სხვა.

**ЭКЗАЛЬНАЯ СРЕДА** - Exal medium (environment) - ექსალური გარემო - სხვა ორგანიზმების სხეულზე მცხოვრებ ორგანიზმთა გარემო.

**ЭКЗАРАЦИЯ (ЛЕДНИЧКОВАЯ ЭРОЗИЯ)** - Exaration (glacial crosion) - ექსარაცია - მოძრავი მყინვარის ეროზიული მოქმედება კლდოვან ზედაპირზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება რელიეფის მყინვარული ფორმები (ტროვები, ვერძის შებლები და სხვ.). სინონიმი: მყინვარული ეროზია.

**ЭКЗОГЕННЫЕ ПРОЦЕССЫ** - Exogenic process - ექსოგენური პროცესები - რელიეფწარმოქმნელი პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს დედამიწის ზედაპირზე ან დედამიწის ქერქის ყველაზე მაღალ ნაწილებში (ჰიპერგენეზის ზონაში) მზის ენერგიით გამოწვეული პროცესებით, სიმძიმის ძალით, ორგანიზმ-

ბის ცხოველმოქმედებით. ევზოვენურ პროცესებს მიეკუთვნება გამოფიტვა, ფლუვიალური, მყინვარული, ეოლური, აბრაზიული, მზრალობითი და სხვ. პროცესები. ევზოვენურ პროცესებთან დაკავშირებულია მორფოსკულპტურების ჩამოყალიბება. სინონიმი: ევზოდი-ნამიკური პროცესები, გარედინამიკური პროცესები, ნეპტუნური პროცესები.

**ЭКЗОСФЕРА - Exosphere - მზ(ოს)შპრო -** დედამიწის ატმოსფეროს გარე ნაწილი განლაგებული იონოსფეროზე. დაწყებული 800 კმ სიმაღლიდან დაახლოებით 1000 კმ სიმაღლეზე გადადის მიწის გვირგვინში. პაერის სიმკვრივე ევზოსფეროში იმდენად მცირეა, რომ მსუბუქი ვაზის ატომების ნაწილაკები შეიძლება მისგან გაფრინდნენ კოსმოსურ სივრცეში.

**ЭКОГЕНЕЗ - Ecogenesis - მკ(ბ)მნპზი -** (ბერძნული სიტყვა - საცხოვრებელი და წარმოშობა) ორგანიზმების ეკოლოგიური თვისებების შექცვლის ისტორიული პროცესი. ეკოლოგია ევოლუციის ერთ-ერთი ისტორიული უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა და ელინდება როგორც ახალ სახეობათა ფორმირების პროცესში, ისე ორგანიზმთა ყველა დიდი ჯგუფის, ე.ი. მთელი ორგანული სამყაროს ისტორიულ განვითარებაში. ეკოგენეზი გამოიხატება მრავალრიცხოვანი ახლად შეგუებითი თავისებურებების შექმნით, რაც განაპირობებს ორგანიზაციის საერთო აღნაგობას, იძლევა ახალი ეკოლოგიური პირობებისადმი შეგუებისა და ახალი საარსებო ტერიტორიების დაუფლებას, ე.წ. ეკოგენეზური ექსპანსიის საშუალებას.

**ЭКОЛОГИЗАЦИЯ - Ecologization - მკ(ლ)-ობიზაცია -** განუხრელი და თანმიმდევრობითი დანერგვა ტექნოლოგიური სისტემების, მმართველობითი და სხვა გადაწყვეტილებების, რომლებიც საშუალებას იძლევა გაძლიერდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტურობა და პირობები ბუნებრივი გარემოს ან საერთოდ ცხოვრების გარემოს გაუმჯო-

ბესების, ან მისი ხარისხის შენარჩუნების მიზნით როგორც ლოკალურ, რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე (კალკული წარმოებებიდან ტექნოსფერომდე). ეკოლოგიზაციას თვლიან თანამედროვეობის მნიშვნელოვან მოთხოვნად.

**შენიშვნა:** ტერმინმა მიიღო მრავალი განმარტება - ცოდნის, მეცნიერების ეკოლოგიზაცია და ა.შ. საერთოდ ეკოლოგიზაცია ნიშნავს მრავალმხრივ (უფრო სისტემურ, ვიდრე წინათ), მიდგომას ობიექტური სამყაროსადმი და ბუნების როლის მეტ აღქმას ადამიანის ცხოვრებაში, რაც ნიშნავს კულტურის ახალ ეტაპს („ეკოლოგიურს“). სოციალურ-ეკონომიკურ მიმართებით ეკოლოგიზაცია მოითხოვს ბუნების განთავისებობის ან დახარჯვის პრინციპიდან მისი დაზოგვით გამოყენების მეთოდზე გადასვლას, უარყოფას ბუნების რესურსების ექსტენსიურ გაფართოებით გამოყენებაზე, მაქსიმალური სარგებლობის მიღება მინიმალური ნედლეულის ხარჯვით და ცხოვრების გარემოს უმნიშვნელო დარღვევით.

**ЭКОЛОГИЧЕСКАЯ ВАЛЕНТНОСТЬ - Ecological valence - მკ(ოლ)ბი(პ)რი ვალენტ(ობა) -** ქიმიის ანალიზით, ეკოლოგიაში დამკვიდრდა ვალენტობის ცნება. ცოცხალი არსების სახის უნარის დახასიათება იარსებოს გარემოს სხვადასხვა პირობებში. ეკოლოგიური ვალენტობა ნიშნავს ეკოლოგიურ კლასტიკურობას, გარემოსადმი ორგანიზმის შეგუებულობის ხარისხს.

**ЭКОЛОГИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ - Ecological geography - მკ(ოლ)ბი(პ)რი გეოგრაფია -** ბიოგეოგრაფიის დარგი (შესატყვიად ბოტანიკური გეოგრაფიის და ზოოგეოგრაფიის), რომელიც შეისწავლის თანამედროვე გარემოს ზემოქმედებას ორგანიზმების გეოგრაფიულ გავრცელებაზე. ეკოლოგიური გეოგრაფია განიხილავს ცალკეული ფაქტორების გავლენას ორგანიზმების გეოგრაფიულ გავრცელებაზე.

**ЭКОЛОГИЧЕСКАЯ КАРТА - Ecological map** - მკოლოგიური რუკა - იძლევა ეკოლოგიური მოვლერების დახასიათებას და ანთროპოგენური ხარისხის ზემოქმედების დახასიათებას სხვადასხვა ბუნებრივ ლანდშაფტზე და ეკოსისტემაზე.

**ЭКОЛОГИЧЕСКАЯ НИША - Ecological niche (recess)** - მკოლოგიური „ნიში“ - სახეობის მიერ ეკოსისტემაში (ბიოგეოცენოზში) ფუნქციურად დაკავებული ადგილის აღსანიშნავად ეკოლოგიაში შემოღებულია ცნება „ნიში“. ეკოლოგიური „ნიში“-ს ცნება მოიცავს არა იმდენად ფიზიკურ სივრცეს, რომელსაც ორგანიზმები იკავებენ, არამედ იმ ფუნქციურ როლს აღნიშნავს, რომელსაც ეს ეხს თუ ის ორგანიზმი ასრულებს თანასაზოგადოებაში.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ОБЛАСТИ МИРОВОГО ОКЕАНА - World ocean ecological areas** - მსოფლიო ოკეანის მკოლოგიური ოლქები - ოკეანეების ოლქების (ზონების) გამოყოფა ზღვის ორგანიზმების ყოფის პირობების მიხედვით. ოკეანის წყლის მასის ფიზიკური და ქიმიური თვისებების და ფსიკერის რელიეფის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ვერტიკალურ ოლქებს: სუბრალიტორალურს, ლიტორალურს, სუბლიტორალურს, ბათიალურსა და აბისალურს.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЕ РЯДЫ (В БОТАНИКЕ) - Ecological series** - მკოლოგიური რიგები (პოტანისკაში) - მცენარეულობათა გაერთიანების ერთობლიობა, რომელიც გარკვეული მიმართულებით ცვლის ერთმანეთს რომელიმე ფაქტორის ან ფაქტორების გარემოს (ტენიანობა, ნიადაგის დამარილიანება და სხვ) შეცვლის მიხედვით.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ФАКТОРЫ - Ecological factor** - მკოლოგიური ფაქტორები - ეკოლოგიურ ფაქტორებად იწოდებიან გარემოს ელემენტები, რომლებიც ახდენენ არსებით ზღვარებს ცხოველებისა და მცენარეების ორგანიზმზე. ისინი თავისი თავისებურებებით სხვადასხვანაირად

აქვთ სხვადასხვა ბუნება და მოქმედების სპეციფიკა. ეკოლოგიური ფაქტორები იყოფა სამ დიდ ჯგუფად: აბიოტიკური (არაცოცხალი გარემოს ფაქტორები), ბიოტიკური (დაკავშირებულია ცოცხალი არსების მოქმედებასთან) და ანთროპოგენური (დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან).

**ЭКОЛОГИЧЕСКИЕ УСЛУГИ - Ecological service** - მკოლოგიური მომსახურება - ეკოლოგიური ფუნქციები, რომლებიც ხელს უწყობენ და იკავებენ ადამიანის საქმიანობას წარმოებაში და (ვანსაკუთრებული ხარისხით ზემოქმედებენ საერთო კეთილდღეობისათვის) ზეგავლენას ახდენენ ცხოვრების საერთო მდგომარეობასა და ხარისხზე.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ФОНДЫ - Ecological funds** - მკოლოგიური ფონდები - ისეთი ღონისძიებები, რომლის დანიშნულებაცაა მიზნობრივად მიმართოს ფულადი შემოსავალი (მოგება) გარემოს გაუმჯობესებისათვის. ზოგიერთმა ქვეყანამ (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა) შექმნა ეკოლოგიური ფონდი, რათა ჯარიმიდან შემოსული თანხა გამოიყენონ ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЙ ВЗРЫВ - Ecological explosion** - მკოლოგიური აფეთქება - ცოცხალი ორგანიზმების მასიური გამრავლება ოლქში, რომელშიდაც ისინი შეყვანილი იყვნენ შემთხვევით და არ დახვდნენ მათი გამრავლების შემაფერხებელი ბუნებრივი ფაქტორები.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЙ ДЕФИЦИТ - Ecological deficit** - მკოლოგიური დეფიციტი - ბუნებრივი გარემოს და ეკოსისტემის მდგომარეობის გაუარესებისას ირღვევა მათგან მიღებული ძირითადი ეკოლოგიური რესურსები და მომსახურება, რომელთა ფასეულობა ადამიანის მიერ წარმოებულ მატერიალურ ფასეულობასთან შედარებით იზრდება. ხანგრძლივად ეკოლოგიურ რმა დეფიციტმა შეიძლება მიგვიყვანოს ძირითადი ცხოვრე

ბის დამკვეთი ფუნქციის დაკარგვამდე და ეკოსისტემის დრეკადობის სრულ რღვევამდე, რასაც მოჰყვება ეკოლოგიური კოლოფსამი და კატასტროფები.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЙ ПАСПОРТ - Ecological passport** - მკოლოგიური პასპორტი - ნორმატიული ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც ასახავს ბუნებრივი რესურსების გამოყენების დონეს ადამიანის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობით და მათ ზემოქმედებას გარემო პირობებზე.

**ЭКОЛОГИЧЕСКИЙ ПЕССИМИЗМ - Ecological pessimism** - მკოლოგიური პესიმიზმი - მსოფლმხედველური პოზიცია, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი გარემოს ცივილიზაციის გარდაუვალ დაღუპვას ტექნიკით გამოწვეული კატასტროფებით.

**ЭКОЛОГИЧЕСКОЕ ВОСПИТАНИЕ - Ecological education, ecological training** - მკოლოგიური აღზრდა - აღზრდებლობითი ზემოქმედების სისტემა, რომელიც მიმართულია გამოუმუშავოს საზოგადოების წევრებს ეკოლოგიური კულტურა, უმანურობა, მეცნიერულად გამართული დამოკიდებულება და მოქმედება ბუნებისადმი, როგორც უზენაესი ეროვნული, საერთო საკაცობრიო ფასეულობისადმი.

**ЭКОЛОГИЯ - Ecology** - მკოლოგია - ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას. ტერმინი „ეკოლოგია“ შემოთავაზებულ იქნა გერმანელი მეკლეერის პეკელის მიერ. ეკოლოგიური გეომორფოლოგია - მეცნიერული მიმართულება, რომელიც სწავლობს ნებისმიერი რანგის გეომორფოლოგიური სისტემების ურთიერთკავშირებს და ურთიერთზემოქმედების შედეგებს ადამიანის ეკოლოგიის სისტემასთან., ე.ი. ადამიანის ცხოვრების პირობებთან და საქმიანობასთან. სინონიმი: რაციონალური ბუნებათსარგებლობის გეომორფოლოგია. 5. რეიმერსის მიხედვით ეკოლოგია წარმოადგენს: 1. ბიოლოგიის ნაწილს (ბიოეკოლოგია) - შეისწავლის ორგანიზ-

მებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას; 2. დისციპლინას, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა იერარქიული დონის ეკოსისტემების ფუნქციონირების საერთო კანონებს; 3. ცოცხალ ორგანიზმთა ბინადრობის (ადამიანის ჩათვლით) გარემოს ვატიკულაციის კომპლექსურ მკონერებას; 4. ცოდნის დარგს, რომელიც განიხილავს საცნებისა და მოვლენების ერთობლიობას ობიექტის ან სუბიექტის თვალსაზრისით; 5. პლანეტის ეკოსფეროში ადამიანის მდგომარეობის სახის და საზოგადოების ვატიკულევას, მათ კავშირებს ეკოლოგიურ სისტემებთან და მათზე ზემოქმედების ზომებს. დღევანათვის ეკოლოგია ვაიგება როგორც დარგთაშორისი მეცნიერება, თუმცა მისი თანამედროვე მიმართულების საფუძველად მაინც რჩება ბიოეკოლოგიის ფუნდამენტური იდეა. ეკოლოგიის თანამედროვე მიმართულებებიდან ვახსაკუთრებით აღსანიშნავია: ბიოეკოლოგია, ატმოსფეროს ეკოლოგია, ცოცხალეკოლოგია, სოციალური ეკოლოგია, ეკოცხოვლავას მიხედვით ეკოლოგია ზოგადი მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ცოცხალი არსების გარემოსთან ურთიერთობას და მათთან დაკავშირებულ ბიოლოგიურ, საინჟინრო-ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ პრობლემებს. მას აშკარად გამოეყოფილი საზღვრები არ გააჩნია და იგი ბიოლოგიასთან ერთად ეყრდნობა ზოოლოგიას, ეკოლოგიას, ნიადაგმცოდნეობას, გეოგრაფიას, ჰიდროლოგიას, ეკონომიკას, პოლიტიკას და მეცნიერების სხვა დარგებს.

**ЭКОЛОГИЯ ГОРОДА - City ecology** - ქალაქის მკოლოგია - მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ადამიანის ზემოქმედებას ქალაქის გარემოზე.

**ЭКОЛОГИЯ ДИНАМИЧЕСКАЯ (ЭВОЛЮЦИОННО-ДИНАМИЧЕСКАЯ) - Dynamic ecology (evolutional-dynamic)** - 8 ნაშიკური მკოლოგია (მკოლოგიაში მდინამიკური) - დისციპლინა, რომელიც

შეისწავლის ორგანიზმებისა და მათი ჯგუფების (პოპულაციის) დამოკიდებულებას ბინადრის გარემოსთან დინამიკურ-ეკოლოგიურ კრილში (დინეკოლოგია).

**ЭКОЛОГИЯ ОБЩАЯ - General ecology** - ზოგადი ეკოლოგია - მეცნიერების დარგი ორგანიზმთა ურთიერთდამოკიდებულების საერთო კანონზომიერებასა და გარემოზე.

**ЭКОЛОГИЯ ПРИКЛАДНАЯ - Applied ecology** - ბამოყენებითი ეკოლოგია - ბუნებრივი რესურსების და ცხოვრების გარემოს ნორმების გამოყენების შემუშავება, მათზე დასაყუბი დატვირთვა, სხვადასხვა იერარქიული დონის ეკოსისტემების მართვის ფორმები, მეურნეობის ეკოლოგიზაციის მეთოდები. უფრო ზოგადი გააზრებით - ადამიანის მიერ ბიოსფეროს დაშლის შესწავლის მექანიზმი, ამ პროცესების თავიდან აცილება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მეთოდების გამოშუშავება, ცხოვრების გარემოს დეგრადაციის გარეშე გამოყენებითი ეკოლოგია დაფუძნებულია კანონთა სისტემაზე, ბუნებათსარგებლობის, ეკოლოგიის წესებსა და პრინციპებზე.

**ЭКОЛОГИЯ ПРОМЫШЛЕННАЯ (ИНЖЕНЕРНАЯ) - Industrial ecology (engineering)** - სამრეწველო ეკოლოგია (საინჟინერი) - „დიდი“ ეკოლოგიის ნაწილი, რომელიც განიხილავს მრეწველობის და ზოგჯერ მთელი მეურნეობის ზემოქმედებას (ცალკეული საწარმოდან ტექნოსფერომდე) ბუნებაზე და პირიქით, ბუნებრივი გარემო პირობების გავლენას საწარმოებზე და მათი კომპლექსების ფუნქციონირებაზე.

**ЭКОЛОГИЯ ЧЕЛОВЕКА (АНТРОПОЭКОЛОГИЯ) - Anthropology** - ანთროპოლოგია - კომპლექსური მეცნიერება (სოციალური ეკოლოგიის ნაწილი), რომელიც აკონსტიტუციონირებს ადამიანის ზემოქმედებას, როგორც ბიოსოციალური არსება, რთულ მრავალკომპონენტთან გარე-

მოზე, რომელიც განუწყვეტლივ რთულდება ცხოვრების დინამიკობით.

**ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ ЗАТРАТ НА РЕКУЛЬТИВАЦИЮ** - Economic efficiency of expenses on reclamation - ხარჯების ეკონომიკური ეფექტიანობა რეკულტივაციაზე - ერთ მეტრზე უკარგის მიწის რეკულტივაციაზე გაწეული ხარჯების შეფარდება რეკულტივაციის შედეგად მიღებულ შემოსავალთან.

**ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ РЕКУЛЬТИВАЦИИ** - Economic efficiency of reclamation - რეკულტივაციის ეკონომიკური ეფექტიანობა - მიწის რეკულტივაციაზე გაწეული ხარჯებიდან მასში მალური ეფექტის მიღება.

**ЭКОСИСТЕМА - Ecosystem** - ეკოსისტემა - ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი გარემოს ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულების შედეგად შექმნილი ერთიანი ეკოლოგიური სისტემა (ტენსოლი). ეკოსისტემის შესწავლის მიზანია ცოცხალი ორგანიზმების ცხოველყოფილობის პროცესში ნიუთონებობა წარმოქმნის, ცირკულაციის, დავროვებისა და ტრანსფორმაციის გამოკვლევა აბიოტურ ფაქტორებთან ერთად. ეკოსისტემს თვითმარეგულირებელი ღია სისტემაა. განარჩევენ მიკროეკოსისტემას (მაგალითად, მოჭრილი ხე ადონაყარით და მასზე დასახლებული ცხოველებით და მიკროორგანიზმებით) და მაკროეკოსისტემას (ოკეანე). ეკოსისტემათა ურთიერთკავშირი ქმნის ბიოსფეროს. ტერმინი „ეკოსისტემა“, „ბუნებრივი ეკოსისტემა“ და „ბუნებრივი ლანდშაფტი“ არ წარმოადგენენ სინონიმებს. ისინი ასახავენ ბუნების სხვადასხვა თვისებებს. ტერმინები „ეკოსისტემა“ განსაკუთრებით მეცნიერულ და ბუნების დაცვით ლიტერატურაში, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, როცა პირველადილზე ისმის ბიოტის დაცვის პრობლემა (ადამიანის ჩათვლით). ტერმინი „ბუნებრივი ეკოსისტემა“ უპირველესად

გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი ყურადღება ექცევა ბუნების სხვა კომპონენტების დაცვას: წყალს, ჰაერს, ლითონფეროსა და ასევე მთლიანად ლანდშაფტს.

**ЭКОСИСТЕМА ОКЕАНА** - Ocean ecosystem - ოკეანის ეკოსისტემა - უპირავე დიდი ფართობი (ზედაპირი) - 361 მილ. კმ<sup>2</sup> და ფლობს წყლის დიდ მოცულობას - 1,37 მილ.კმ<sup>3</sup>, რომელიც შეადგენს დედამიწის მთელი ვიდროსფეროს 94%-ს. ეს არის ჩვენი პლანეტის ყველაზე დიდი ეკოსისტემა. ოკეანის საცხოვრებელი გარემო უწყვეტია. მას არა აქვს საზღვარი, რომელიც ზღუდავს ცოცხალი ორგანიზმების გაფანტვას. ოკეანეში წყალი იმყოფება მუდმივ მოძრაობაში, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ზღვის დინებები. ოკეანეს ახასიათებს როგორც პორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ცირკულიაცია. ოკეანის წყლებში გახსნილია 48-10<sup>5</sup> ტონა სხვადასხვა მარილი, რაც ხელს უწყობს მრავალნაირი ფორმის ორგანიზმების განვითარებას. ამჟამად ოკეანეში არის 160 000 ცხოველების სახე და 10 000 სახის მცენარეულობა. აქედან 16 000 თევზის სახეა, 80 000 მოლუსკების, 20 000-ზე მეტი კობოსანიობის, 15 000 უმარტივესნი და სხვა.

**ЭКОТЕХНОЛОГИЯ** - Ecotechnologia - ეკოტექნოლოგია - განსაკუთრებული ეკოლოგიური სისტემის პროექტირება და შექმნა, რომელსაც საფუძვლად უდევს უნარჩენო ბუნების დამცველი ტექნოლოგია.

**ЭКСПЛОЗИЯ** - Explosion - ექსპლოზია - ვულკანური აფეთქების მოვლენა, რომელსაც ჩვეულებრივ თან ახლავს დიდი რაოდენობით პიროქლასტური მასალისა და გაზების ამოტყორცნა.

**ЭКСПЛУАТАЦИОННЫЕ ЗАПАСЫ ПОДЗЕМНЫХ ВОД** - Operational resources of underground water - მიწისქვეშა წყალმაღის სამსახურადად გამოყენება - მიწისქვეშა წყლის ხარჯი მ/დღე-ღამეში, რომე-

ლიც შეიძლება იქნეს მიღებული რაკონალური (ტექნიკურ-ეკონომიკური ოვალსახრისით) კატაქური ნაგებობებით, მის მთელ სამშორტიზაციო პერიოდში წყლის ექსპლუატაციის რეჟიმისა და ხარისხის გაუარესების გარეშე.

**ЭКСПРЕСС-ИНФОРМАЦИЯ СТИХИЙНЫХ ПРОЦЕССОВ** - Express information about elemental processes - სტიქიური პროცესების მასპრეს ინფორმაცია - დაუყოვნებლივ გადასაცემი ფაქტური და პროგნოსტიკული ინფორმაცია ბუნების საშიში მოვლენების ვაქტიურების შესახებ, რომლებიც შეიძლება საფრთხე შექმნას ადამიანთა სიცოცხლეს, ზიანი მიაყენონ გარემოს და გამოიწვიონ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

**ЭКСПРЕСС-МЕТОД** - Express-method - მასპრეს მეთოდი - კვლევის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების სწრაფ მიღებას.

**ЭКССОЛИЦИЯ** - Exsolation - ექსოლიცია - მავარი ხსნარის დაშლა.

**ЭКСТРАИРИДНЫЙ** - Extraarid - ექსტრა-არიდული - ადგილები (ოლქები), რომლებიც ხასიათდებიან ძლიერი გვალეებით.

**ЭКСТРЕМАЛЬНАЯ СИТУАЦИЯ ПРОЦЕССОВ** - Extreme situation of processes - პროცესების ექსტრემალური სიტუაცია - ველისხმობს ტერიტორიის ისეთ მდგომარეობას, როცა პროცესების განვითარება დიდ ფართობზე ხშირად დებულობს დამანგრეველ და საშიშ ხასიათს; იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს და სტიქიურ უბედურებას.

**ЭЛЕКТРОДРЕНАЖ (ЭЛЕКТРООСМОТИЧЕСКОЕ ВОДОПОНИЖЕНИЕ)** - Electric drainage electro-osmotic water lowering - ელექტროდრენაჟი (ელექტროოსმოსური წყლის დაწვევა) - სუსტად წყალგამტარ ქანებში გრუნტის წყლის დონის ხელოვნური დაწვევა ჰაბურლილებიდან წყლის ამოტუმბვით, გრუნტის წყალუცემის გაძლიერებით, მასში მუდმივი ელექტრო დენის გატარებით.

**ЭЛЕКТРООСМОС** - Electrical osmosis - ელექტროოსმოსი - სითხის ცალმხრივი მოძრაობა ფორიან გარემოში (მაგალითად, დისპერსიული ქანები) მუდმივი ელექტროდენის პოტენციალების სხვაობათა გავლენით. ამ მოვლენაზე დამოკიდებული ელექტროოსმოსიკური წყალშემცველი თიხიანი ქანების გამოშრობა, რომელიც იწვევს გრუნტის გაშრობას დადებითი ელექტროდის ზონის ირგვლივ და წყლის დაგროვებას უარყოფით ელექტროდთან. ელექტროოსმოსური მოვლენა საფუძვლად უდევს ელექტროდენაჟს კარიერების, სამშენებლო ქვაბულების და სხვა გამოანამუშევრების გაყვლის დროს წყალშემცველ გრუნტებში, რომლებიც ხასიათდებიან სუსტი წყალგაცემით.

**ЭЛЕКТРОХИМИЧЕСКИЙ СПОСОБ ЗАКРЕПЛЕНИЯ ПОРОД** - Electric chemical mode (way) of rock strengthening - ძანპის ელექტრო-ქიმიური დამამკვამრის ხმარის ქანების სიმტკიცის გაზრდის მეთოდი, მათი ქიმიური და ელექტრონული დამუშავებით.

**ЭЛЕМЕНТАРНЫЙ ЦИРКУЛЯЦИОННЫЙ МЕХАНИЗМ (ЭЦМ)** - Elementary circulation mechanism (ECM) - ელემენტარული ცირკულაციონური მქანისმი (ეცმ) - საპერო დინების სისტემა, დამახასიათებელია ატმოსფეროს საერთო ცირკულაციონისთვის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დროის განსაზღვრულ (4-6 დღე-ღამე) შუალედში და უზრუნველყოფს პერისა და სითბოს ცვალებადობას. სულ გამოყოფილია ეცმ-ის 13 ტიპი და 41 ქვეტიპი.

**ЭЛЕМЕНТЫ РЕЧНОЙ ДОЛИНЫ И РУСЛА** - Elements of river valley and river bed - მდინარის ხეობისა და კალაპოტის ელემენტები - მათ მიეკუთვნება: **Нарынный берег** - მთიანი ნაპირი - მაღალი და ციცაბო ძირითადი ნაპირი, რომელიც უშუალოდ ეშვება მდინარის ხეობისაკენ ან კალაპოტისაკენ; **Луговой берег** - მდელი ნაპირი - დაბალი დამრეცი მდინარის ნაპირი; **Бровка склона** - ფერდობის

კიდე - ხეობის ფერდობის გარდატეხის ხაზი, ხეობის ზემოთ მიმდებარე ზედაპირთან; **Пойма** - ქალა - მდინარის ფსკერის ბრტყელი ნაწილი, რომელიც იფარება წყალდიდობის დროს; **Дно** - ძირი (ფსკერი) - ხეობის ყველაზე დაბალი ადგილი, ჩვეულებრივ, ამოვსებული მდინარის ნალექებით; **Шириня долины по дну** - ხეობის განი ფსკერზე - მანძილი ხეობის კალთების ძირებს შორის; **Главное русло** - მთავარი კალაპოტი - კალაპოტი, რომელშიც მიედინება მდინარის დიდი ნაწილი; **Рукав (протока)** - განტოტება (ტოტი) - განშტოებული კალაპოტის მორეხარისხოვანი ტოტი; **Гуш** - მდინარის ტოტი დელტაზე - ვიწრო წყლის ნაკადი, რომელიც აერთებს ლიანს ზღვასთან; **Старина** - ნამდინარევი - მდინარისსაკან მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყოფილი ძველი კალაპოტის მონაკვეთი. წარმოიქმნება მდინარის კალაპოტის შეცულის შედეგად (მანდრის ყვლის გარღვევა, ტოტების გადაკეტვა და ა.შ.); **Излучина** - მეანდრი - მდინარის გრძელი მოსახვევი წყალმარხობის დროს; **Дельта** - დელტა - ზღვაში ან ტბაში შეჭრილი მდინარის შესართავი, რომელიც აგებულია ფსვიერი ნალექებით და გადაკვეთილია მუტ-ნაკლებად დატოტევილი მდინარის ნაკადებით და ფშანებით; **Плавни** - ჭაობიანი ქალა - ჭაოლის ან მდინარის დელტის დადაბლებული ჭაობიანი ადგილები, რომლებიც დაფარული არიან ლელქანით ან ლერწმით; **Липан** - ლიმანი - მდინარის გაფართოებული კალაპოტი შესართავთან; **Перекат** - ჩქერი - ვაკის მდინარეების კალაპოტების წყალმარხი მონაკვეთები, რომელთაც ახასიათებს ზინულეები მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართული დამრეცად დახრილი ფერდობებით, ხოლო ციცაბო - დინების მიმართულებით; **Плос** - მუსლი (მდინარის) - მდინარის დინების უფრო ღრმა ადგილები ნელი დინებით, ვიდრე მის ზედა და ქვედა ნაწილებში; **Порог** - ზღურბ-

ლი - მდინარის წყალმარსხიანი უბანი დიდი დაქანებითა და სისწრაფით; **Волна** - წყალვარდნილი (ჩანსქერი) - მდინარის წყლის ვარდნა მკვირიე ქანებით აგებულ კალაპოტის საფუძვერიდან. რამდენიმე საფუძვერის არსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება კასკადი; **Стрежень** - მდინარის შუაწყალი - მდინარის დინების მაღალი სისქარის ზედაპირული ხაზი ნაკადში, რომელიც ჩვეულებრივად ემთხვევა ღრმა ადგილებს; **Фанатер** - ფორვატერი - მდინარის კალაპოტის ყველაზე უფრო ღრმა ნაწილების მანვენებელი ზოლი, რომელიც საჭიროა გემის უსაფრთხო კურვისათვის.

**ЭМИГРАЦИЯ** - Emigration - ემიგრაცია - 1. ბიოლოგიაში ორგანიზმების გასახლება გარკვეული რაიონიდან; 2. იტულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში.

**ЭНДЕМИКИ, ЭНДЕМИЧНЫЕ ФОРМЫ** - Endemic form - ენდემიკები, ენდემური ფორმები - ორგანიზმები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ განსაკუთრებული გეოგრაფიული პროცესებისათვის ან უფრო მცირე უბნისათვის. მათი წარმოშობის ადგილი შეიძლება მდებარეობდეს არა ამჟამად მოზინადრე ადგილზე, შეიძლება იყოს რელიქტი ან ახლადწარმოშობილი მოცემულ ტერიტორიაზე.

**ЭНДОГЕННЫЕ ПРОЦЕССЫ** - Endogenic process - ენდოგენური პროცესები - რელიეფწარმოქმნელი პროცესები, რომლებიც ხდება უმთავრესად დედამიწის წიაღში და შეპირობებულია მისი შინაგანი ენერგიით, სიმძიმის ძალით, დედამიწის ბრუნვით გამოწვეული ძალებით. ელინდება მათაა წარმოშობი პროცესების, დედამიწის ქერქის რხევით მოძრაობების, დეგმატიზმის მოვლენებით, მიწისძვრების სახით. ენდოგენური პროცესების მოქმედებით წარმოიშობა მორფოსტრუქტურები, ხოლო ეგზოგენურ პროცესებთან ურთიერთშემოქმედებით - დედამიწის ზედაპირის რელიეფი. სინო-

ნიმი: შიგადინამიკური პროცესები, ეპიგენური პროცესები, პლეტორული პროცესები.

**ЭНЕРГИЯ ВОЛНЫ** - Wave energy - ტალღის ენერჯია - ტალღის მექანიკური (კინეტიკური და პოტენციური) ენერჯია, რომელსაც შეიცავს ტალღის მთელი მოცულობა და წარმოშობილია სიბხის მერყობის მოქმედების შედეგად ამავე მოცულობაში.

**ЭОЛОВЫЕ ПРОЦЕССЫ** - Eolian process - ეოლური პროცესები - ქარის მოქმედებით შეპირობებული რელიეფწარმოქმნელი პროცესები - დეფლაცია (გამოქარვა) და აკუმულაცია. ეოლური პროცესები უმთავრესად უდაბნოებში ხდება, მაგრამ აღინიშნება ავრეოვე მშრალი და ზომიერად სოტიო ოლქებში (ზღვებისა და ტბების სანაპიროებზე და სხვ.).

**ЭОЛОВЫЙ РЕЛЬЕФ** - Eolian topography - ეოლური რელიეფი - წარმოიქმნება ქარის მოქმედების შედეგად მეტწილად არიდული პავის პირობებში, ავრეოვე, ზღვების, ტბებისა და მდინარეთა სანაპიროებზე. უფრო მეტადაა გავცულებული აკუმულაციური და აკუმულაციურ-დეფლაციური რელიეფის ფორმები - ქვიშის ბორცვები და სერები, ბარხანები, დიუნები, ღარტაფები, იარდანეები და სხვა. მათი მორფოლოგია და სიდიდე ძირითადად ვაბატონებული ქარის რეჟიმზეა დამოკიდებული. ტროპიკული არიდული უდაბნოებისათვის (სამარა, თაკლამაკანი) დამახასიათებელია შიშველი, ადვილად მოძრავი ქვიშიანი ფორმები; მცენარეულობით სუსტად შემოსილ ტროპიკულ ვარე უდაბნოებში ვცხვდება ნაკლებად მოძრავი ან უმოძრაო ეროზიული რელიეფის ფორმები (შუაზია, ავსტრალია და სხვა).

**ЭПИПОРОДА** - Epirock - ეპიპანი - მეორადი ქანი, რომელშიც შენარჩუნებულია პირველადი ქანის რელიქტები.

**ЭПИЦЕНТР** - Epicentre - ეპიცენტრი - ადგილი, რომელიც წარმოადგენს მიწის-



ქერის კერის - ჰიპოცენტრის გეგმილს დედამიწის ზედაპირზე. განისაზღვრება სეისმური სადგურების ჩანაწერებით.

**ЭРЛИФТ** - Airlift - მრლიზტი - მოწყობილობა სითხის ამოსაღებად შეკუმშული ჰაერის საშუალებით. გამოიყენება ძირითადად ნავთობისა და წყლის ამოსაქანად ჭაბურღილიდან დედამიწის ზედაპირზე.

**ЭРОЗИОННАЯ РАВНИНА** - Plain of erosion - ეროზიული ვაკე - ხშირი ეროზიული ქსელით და საკმაოდ ღრმად დანაწევრებული ვაკე რელიეფი.

**ЭРОЗИЯ** - Erosion - ეროზია - წყლის ნაკადის დამანგრეველი მოქმედება კალაპოტის ამგებ ქანებსა და ნიადაგზე. დედამიწის ზედაპირზე ეროზიის შედეგად წარმოიქმნება ხაზობრივად გადაჭიმული უარყოფითი ფორმები - ხეობები, ხრამები, ხევები და სხვა; საბოლოოდ კი მას შეიძლება მოჰყვეს მთიანი რელიეფის თითქმის ვაკედ ანუ პენეპლენად გარდაქმნა. ეროზიის სიძლიერე დამოკიდებულია წყლის მასაზე, რომელიც ნაკადს გადააქვს (III), მის სიჩქარეზე (V), რაც თავის მხრივ დამოკიდებულია კალაპოტის დაქანებაზე და გამოიხატება ფორმულით  $mv^2/2$ . ხანგრძლივი ეროზიული მოქმედების შედეგად ნაკადი გამოიშუშაგებს ისეთ გასწვრივ პროფილს, რომლის დახრილობა მატულობს

შესართავიდან სათაისაკენ. ეს არის წონასწორობის პროფილი, რომლის ქვემო დონეს ეწოდება ეროზიის ბაზისი. განასხვავებენ სიღრმით, კვერდით და უკუსვლით (რეგრესიულ) ეროზიას. უკუსვლილი გეომორფოლოგები ეროზიაში ხაზობრივ და სიბრტყით დენუდაციის ყველა პროცესს გულისხმობენ.

**ЭРОЗИЯ БОКОВАЯ** - Lateral erosion - გვერდითი ეროზია - ხეობის ფერდობების ძირის ნგრევა მდინარის მოქმედებით, რასაც მოსდევს ხეობის გაფართოება (იხ. ეროზია).

**ЭРОЗИЯ ОТВАЛОВ** - Dump (pile) erosion - ნაპარის ეროზია - ნაყარის ზედაპირის დაშლის პროცესი თოვლის, წვიმის წყლის ან ქარის მოქმედების შედეგად.

**ЭРОЗИЯ ПОЧВ** - Soil erosion - ნიადაგის ეროზია - ნიადაგის ზედა ფენის რღვევა, დაშლა, გადაადგილება (გაფანტვა). ჩამორეცხვა ანთროპოგენური და სხვა ფაქტების ზეგავლენის შედეგად.

**ЭФФЕКТИВНАЯ ПРОНИЦАЕМОСТЬ** - Effective permeability - ეფექტიური შეწვევა - რთული სითხის ან გაზის შეღწევადობა ქანის ფორიან გარემოში, როცა ერთდროულად არის მათი ნარევი. ქანის ეფექტიური შეღწევადობა მოცემული სითხისთვის ან გაზისთვის დამოკიდებულია ამ ქანის ფორების სითხით, ან გაზით გაჯერების ხარისხზე.

**Я**

**ЯВЛЕНИЕ ПРИРОДНО-АНТРОПОГЕННОЕ** - Natural and anthropogenic phenomenon - ანთროპოგენური-ბუნებრივი მოვლენა - ადამიანის და ბუნებრივი ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი მოვლენა. ადამიანის საქმიანობა შეიძლება იყოს ბუნებრივი მოვლენების ბიძგის მიმცემი მექანიზმი. მაგალითად, ევრეთ წოდებული

გამიზნული ან „ხელოვნური“ მიწისძვრები, განპირობებული დედამიწის ქერქზე შექმნილი წყალსაცავის დამატებით დაწვლით.

**ЯВЛЕНИЕ БОР** - Bore phenomenon - მოვლენა ბორი - ზღვის მოქცევის ტალღები სიმაღლით 9 მ-მდე, სისწრაფით 16 კმ/სთ-ში, გეხვდება ზოგიერთ სანაპირო რაიონში.

**ЯВЛЕНИЯ ИНЖЕНЕРНО-ГЕОЛОГИЧЕСКИЕ** - Engineering-geological phenomena - საინჟინრო-გეოლოგიური მოვლენები - პროცესები, რომლებიც წარმოიქმნება ბუნებრივ პირობებში მშენებლობისა და სხვადასხვა საინჟინრო ნაგებობების ექსპლუატაციის დროს. ტიპიურ საინჟინრო-გეოლოგიურ პროცესებს ეკუთვნის: ვისის ვაკისის დეფორმაცია და ფერდობის დეფორმაციები, ქანების შეკუმშვა, ქანის გამოტუტვა, მთის წნევა, ამობურცვა სამთოგამონამუშევრებში და სხვა.

**ЯД ПРОМЫШЛЕННЫЙ** - Industrial poison - სამრეწველო შხამი - ყველა სახის მომწამვლელი ნივთიერება, რომლებიც გამოიყოფა საწარმოებში ან წარმოიშობიან ნივთიერებათა ურთიერთმოქმედებით (მეორადი დაბინძურება), ხედებიან წყლის, ჰაერის ან ნიადაგის გარემოში და იწვევენ მათ დაბინძურებას.

**ЯДОХИМИКАТЫ** - Chemical weed and pest killers - ჰიმიური საწამლაშები - (იხილეთ პესტიციდები).

**ЯМА ОТСТОЙНАЯ** - Settling pit - სალექარი ორმო - აუზი ან რეზერვუარი, რომელშიც შენელებული დინების დროს ან უძრავ მდგომარეობაში ხდება ატიენარებული ნაწილაკების დალექვა, ან ურთიერთშეურევადი სითხეების (საფთი და წყალი) განცალკევება. სალექარი ორმო გამოიყენება წყლის გასაწმენდად.

**ЯР** - Ravine, gill - ხრამი - დროებითი საკადების ეროზიული მოქმედებით წარმოქმნილი ვიწრო და ციცაბოკალთებიანი რელიეფის უარყოფითი საზობრივი ფორმა, რომელიც აგებულია ადვილადშლადი დანალექი ქანებით; სივრცე რამდენიმე კმ-მდეა, სიგანე და სიღრმე ათეულობით მეტი. ხრამები დამახასიათებელია სემიპუმიდური ჰავის მქონე მაღლობი ვაკე მხარეებისათვის.

**ЯРУСНОСТЬ ЛАНДШАФТОВ** - Staging of landscape - ლანშაფტების სართულიანობა - მთების ლანდშაფტური დიფერენციაციის კანონზომიერება, რომელიც გამოიხატება პიქსომეტრიული მდგომარეობის თანმიმდევრულ ცვლაში, კლიმატწარმოქმნელ პროცესებში, ზედაპირის ევზოგენურ დანაწევრებაში, მათაა ახევეების სიმაღლეთა სარტყლების შედგენილობაში ქვემოდან ზემოთ და პერიფერიიდან ცენტრისკენ. ტიპურ შემთხვევაში გამოირჩევა სამი იარუსი - დაბალი, საშუალო და მაღალმთიანი. **ЯРУСНЫЙ ВОДОЗАБОР** - Staged water intake - სართულიანი წყალსაღები - წყალსაღები ადგილი, შემდგარი ერთმანეთისადმი ახლო განლაგებული არასრულყოფილი საექსპლუატაციო ჰაბურღილებით, რომლებიც მკლავრი წყალშემკვველი პორიზონტების სხვადასხვა ინტერვალზე აღჭურვილია ფილტრებით.

## ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА

- გეომორფოლოგიური ლექსიკონი (რედ. ზ. ტატაშიძე), თბილისი, 1997.
- გეოფიზიკის ტერმინოლოგია (ი. ცუცქერიძისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით), „მეცნიერება“, თბილისი, 1988.
- ეკოლოგიის საფუძვლები (ავტ.: ი. ელიაევა, ვ. ნახუცრიშვილი, ვ. ქაჯაია), თბილისი, 1992.
- კატასტროფები, ძირითად ცნებათა განმარტებითი ცნობარი // საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, თბილისი, 2002.
- მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი (ავტ.: ა. ტოროტოძე, ე. ტოროტოძე), თბილისი, 1959.
- რუსულ-ქართული ლექსიკონი (საქ. მეცნიერებათა აკადემია), თბილისი, 1983.
- რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული მასალები გეოგრაფიის ტერმინოლოგიისათვის (რედ. ა. კაპანაძე), თბილისი, 1941.
- საინჟინრო გეოლოგია (ავტ. ვ. ლომთათიძე), თბილისი, 1985.
- ტექნიკური ტერმინოლოგია - (რედ.: ვ. ბერიძე, რ. დვალი, რ. ღამბაშიძე), თბილისი, 1957.
- ტექნიკური ტერმინოლოგია (ავტ. ე. ოშიაძე), თბილისი, 1942.
- ტექნიკური ტერმინოლოგია (რედ.: რ. დვალი, და რ. ღამბაშიძე), თბილისი, 1982.
- ტექტონიკური ტერმინოლოგია (ავტ. მ. ჯაფარიძე), თბილისი, 1992.
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი მ. ჭაბაშვილი), თბილისი, 1989.
- ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის მეთოდები (ავტ. ვ. ლომთათიძე), თბილისი, 1989.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რედ. ა. ჩიქობავა), თბილისი, 1986.
- ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ავტ. ე. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი), თბილისი, 1968.
- ქართული ენციკლოპედია (რედ. ი. აბაშიძე), თბილისი, 1977–1981.
- А.С. Барков - Словарь-справочник по физической географии. Москва. 1948.
- Геологический словарь, том 1-2 (ред. А.Н. Криштофович), Москва, 1955.
- Геологический словарь, том 1-2 (ред.: К.И. Паффенгольц, Л.И. Боговаков и др.), Москва, 1978.
- Краткий толковый словарь по рекультивации земель (ред.: С.С. Трофимов и Л.В. Моторина). Новосибирск. 1980.
- В.Д. Ломтадзе - Инженерная геология. Ленинград. 1977.
- В.Д. Ломтадзе - Инженерная геология. Ленинград. 1984.
- А.А. Маккавеев - Словарь по гидрогеологии и инженерной геологии. Москва. 1971.
- Морская геоморфология. Терминологический справочник (ред.: В.П. Зенкович и Б.А. Попова). Москва. 1980.
- Научно-технический словарь (ред. Р.Г. Яновский), Москва. 1987.
- Д.П. Никитин, Ю.В. Новиков - Окружающая среда и человек. Москва. 1986.

- Оползни и сели (ред. Е.А. Козловский). Москва, 1984.
- Охрана ландшафтов. Толковый словарь (ред. В.С. Преображенский). Москва, 1982.
- Н.Ф. Реймерс - Природопользование. Москва, 1999.
- Е.М. Сергеев - Инженерная геология. Москва, 1978.
- Словарь по гидрогеологии и инженерной геологии (ред. О.К. Ланге). Москва, 1961.
- М.А. Солодухин, И.В. Архангельский - Справочник техника-геолога по инженерно-геологическим и гидрогеологическим работам. Москва, 1982.
- Справочник по инженерной геологии (ред. М.В. Чуринова). Москва, 1974.
- Д.А. Тимофеев - Терминология денудации и склонов. Москва, 1978.
- Е.Г. Чаповский - Инженерная геология. Москва, 1975.
- А.И. Чеботарев - Гидрогеологический словарь. Москва, 1970.
- Энциклопедический словарь географических терминов (ред. С.В. Калесник). Москва, 1968.
- Гидрологический словарь (авт. А.И. Чеботарев), Гидрометеорологическое изд., Ленинград, 1970.
- Справочник строителя (инженерные изыскания в строительстве). Москва, 1982.
- Справочник по инженерной геологии (авт. ред. М.В. Чурнков), изд. „Недра“, Москва, 1981.
- Прикладная экология (авт. В.А. Вронский), изд. „Феникс“, Ростов-на-Дону, 1996.
- Экологические проблемы (ред. В.И. Данилова-Данильяна), Москва, 1997.
- Экономика и окружающая среда (англо-русский словарь-справочник), Гарвардский институт международного развития (авт. Р. Перелет), 1996.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა .....	7	П .....	155
А .....	9	Р .....	174
Б .....	21	С .....	182
В .....	31	Т .....	200
Г .....	45	У .....	206
Д .....	62	Ф .....	210
Е .....	71	Х .....	214
Ж .....	73	Ц .....	216
З .....	74	Ч .....	217
И .....	82	Ш .....	217
К .....	92	Щ .....	219
Л .....	113	Э .....	219
М .....	121	Я .....	228
Н .....	133		
О .....	137	ლიტერატურა – Литература ....	230

გამომცემლობის რედაქტორები: ც. თოდუა, ლ. გელოვანი  
 ტექნიკური ნ. ოკუჯავა  
 კორექტორი ე. ნხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 30.11.2004; ხელმოწერილია დასაბუქდად 14.06.2005;  
 ქაღალდის ზომა 70x100/₪; ბეჭდვა ოფსეტური;  
 ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 14,5; სააღ. საგ. თაბახი 17,7

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 250

შეკვეთა 92

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება  
 „მეცნიერება“  
 თბილისი, 0160, გამრეკელის 19